N29 (528) 22/VII-28/VII-2010 ფასი 1 ლარი

გზა

ქართული პროზის საგანძური

ტომი №21
რეზო ინანიშვილი

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად 4 ლარი ღირს

შემდეგი ტომი
ნიკო ლომოური

რა ოინებს უწყობს „ხულიგანი“ მსახიობი პარტნიორებს

სმენადაქვეითებული „მის ევროპა“ ლაპარაკს სწავლობს

ნანკა კალატოზიშვილი: „ბოთლებით ვწუწაობთ“

„ვარჯიშის წყალობით, ქალს მკერდიც ეზრდება“

ქართველმა ქალმა კავკასიელი მამაკაცები აღაფრთოვანა

როგორ ერთობიან ცნობილი ადამიანები

რეპორტაჟი გაუშვლებული თბილისიდან

რატომ აყაჩალებდნენ ოსები მეზობლებს

ბიძინა კვერნაძის ცხოვრების გზა

„ბიძინას და ნუგეშას საოცარი სიყვარული ჰქონდათ“

ISSN 1987 - 5029

აზარტული მოზარდებისა და „კარტოქნიკი“ ქალის აღსარება

Elite House
DEVELOPMENT COMPANY

პრემიერული და
საცხოვრებელი ფართები
ვაკეში -
ფალიაშვილის 92 (მესახლეობელი)
დიდუბეში -
თევდორე მოვდლის 53 (მთავრდება 2010წ)
სოხუმის 4 (მთავრდება 2011წ.)
ვარკეთილში -
პალოუბნის 22 (მთავრდება 2010წ.)

500$-დან

გრძელვადიანი უპროცენტო განვადება www.elitehouse.ge; e-mail: eh98@mail.ru
მის: თბილისი, ფალიაშვილის ქ. 92 ტელ: 91-53-77; 29-28-02; 899 34-23-05

23-დან
30 ივლისამდე

ზღაპრების მესამე წიგნი,
ფერადი და მაგარუკლიანი
ჟურნალ „საბავშვო
კარუსელთან“
ერთად

კასტანეტი ესტანეტი
ესეკანეტ
ზეკანეტ!

წიგნის ფასი
4 ლარი
(ჟურნალთან ერთად
5 ლარი)

სალეთელი სალეანი დასახელება!
320 თანამედროვე კერძი!



ფასი: 29.99

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე
ტელ: 38 26 73; 38 26 74 www.elva.ge

№29 (528)
22 - 28 ივლისი, 2010 წ.
ფასი 1 ლარი

■ **მინიატიურები** 5
ექსპერტების ქვეყანა

■ **პოლიტიკა** 6

■ **ოკუპირებული ზონა** 8

■ **რეპორტაჟი** 10
შიშველი, შიშველი, შიშველი თბილისი!

■ **ხსოვნა** 12

■ **ტკივილი** 16
„ნუ წყევლი მკვლელსო, — აჩუმებდა ჩემს მეუღლეს რძალი“...

■ **მსახიობი** 18
ქალაქგარეთ „ჩავლებული“ და ყველაზე მაგარი პროფესიის მქონე

■ **სეზონი** 20

■ **ფსიქოპორტრეტი** 22
ციყვის დაკარგული სიყვარული, „ვაკური“ სტანდარტების ცხვირი და „სილიკონიან“ ტუჩებთან დაკავშირებული ფილოსოფია

■ **პერსონა** 24
კოსმონავტობაზე მეოცნებე პოლიტიკოსის არჩევანი

■ **ტალანტი** 26
ყველაზე მოუხელთებელი „ნიჭიერის“ ეგვიპტური შთაბეჭდილებები და გამხელილი ოცნება

■ **სულის სიმტკიცე** 29
ქართველი „მის ევროპა“ და მუსიკა, რომელსაც სმენადაქვეითებულები „უსმენენ“

■ **მადლი** 30

■ **პროფესია** 31
მიწის ქვეშ დახატული პორტრეტები და მხატვარი, რომელიც მზის სხივებს ემალება

■ **გატაცება** 33
სპორტის გაღებული მსხვერპლი

■ **დრონი** 35
ბიძინა კვერნაძე

ქვეყანა

შიშველი, შიშველი, შიშველი თბილისი!

დაცხა და ქუჩაში შილიფად ჩაცმული ხალხი მომრავლდა. შილიფად ჩაცმული კიდევ „მსუბუქადაა“ ნათქვამი, უფრო სწორი იქნებოდა, მეთქვა, — ნახევრად შიშველი ხალხი მომრავლდა ან, თუ გნებავთ — თითქმის შიშველი;

6

სახე

სად „ინახავს“ გოგა ბარბაქაძე როლებს?

„ნიკო გომელაურის გარდაცვალების შემდეგ, ავთო ვარსიმაშვილმა „კავკასიური ცარცის წრეში“ შემომთავაზა აზდაკის როლი, რომელსაც მანამდე ნიკო თამაშობდა...“

18

ცხოვრება

ქართველი „მის ევროპა“ და მუსიკა, რომელსაც სმენადაქვეითებულები „უსმენენ“

2010 წლამდე კონკურსის მასპინძელი ქვეყანა ჩეხეთი იყო, მაგრამ ნინოს წარმატების შემდეგ პრაღის მერთან დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, სმენადაქვეითებულთა სილამაზის კონკურსი წელს თბილისში ჩატარებულიყო. ამაზე — ცოტა მოგვიანებით, ახლა კი „მის ევროპა 2009“-ს, ნინო დავითინიძეს გაგაცნობთ.

28

ეზო ნილები

თაღლითი გიდებისა და ქმრის ღალატით „გამდიდრებული“ ქალის ამბავი

„გუშინ ბანკში ვიყავი. ჩემ წინ კაცი იდგა. ოპერატორს 50-ლარიანი მიაწოდა, ტელეფონის 15-ლარიან დავალიანებას იხდიდა. გულში გავიფიქრე, 35 ლარს დაუბრუნებს-მეთქი. ოპერატორი ასეც მოიქცა. კაცმა იუარა, რას ამბობთ, 100-ლარიანი მოგეციოთო. რას ბრძანებთ, აი, თქვენი მოცემული ფულიო და დაკუჭული 50-ლარიანი ღაანახვა.

74

■ ქართული სპორტის ლეგენდები 38
„დინამოს“ უნიკალური მიღწევა, რომელიც ვერავის გაუმეორებია
■ ეს სამყაროა 41
■ ტაძარი 42
როგორ დაარსდა რუსეთის ეკლესია
■ ისტორიის ლაბირინთები 44
ოსთა ჩამოსახლება დვალეთში
■ მუზა 47
პოეზიის გულწრფელი გამოძახილი და სკანდალური იგავი გიორგი კვანტრეს შემოქმედებაში
■ ავტო 48
■ საკითხავი ქალებისათვის 50
■ ჯანმრთელობა 52
■ კრიმინალი 54
გაყალბებული დასკვნა და პასუხისგებაში მიცემული 10 პირი
■ ემიგრანტი 56
ქართველობის გამო დაწუნებული გოგონას მოსკოვური ამბები
■ თქვენთვის, ქალბატონებო 57
როცა სხვის ჩრდილქვეშ გიწევს ცხოვრება
■ თინეიჯერული პონტები 59
■ წვეთი პოეზია 62
■ სახსოვარი 63
გრიგოლ რობაქიძე
■ ფანტასტიკური დეტექტივი 64
რუსუდან ბერიძე. ინტერვიუ მიცვალებულთან (გაგრძელება)
■ მინირომანი 68
„სტერვა“, რომელმაც სხვის ბედნიერებაზე იზრუნა
■ რომანი 70
სვეტა კვარაცხელია. ძლიერი სუსტი ქალი (დასასრული შემდეგ ნომერში)
■ გზავნილები 74
■ ყველა ერთისათვის 78
„მამაშენის ადგილას ლანძღვა-გინებას არ გაკმარებდი“
■ მობილი-ზაცია 80
■ მოზაიკა 86
■ სიახლე 87
■ მუნდიალი 88
■ შეჩერებული წამი 91
■ ერუდიტი 92
„აკრძალული ლიტერატურის შენახვა ბომბის შენახვის ტოლფასი იყო“
■ გასართობი 94
■ ასტროლოგია 96
■ სკანვორდი 97
■ საფირმო კროსვორდი 98

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com

რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო



ოსთა ჩამოსახლება დვალეთში

„დვალეთის ტერიტორიას ოსები „თუალგომს“ უწოდებენ. საინტერესოა ისიც, რომ ჩრდილოკავკასიელი ოსების ერთი ნაწილი ცხინვალელ ოსებსაც „თუალებს“ ეძახის“.

38

ადამიანი



გაყალბებული დასკვნა და პასუხისგებაში მიცემული 10 პირი

„...ის სასჯელს ქუთაისის ციხეში იხდის. როგორც ირკვევა, მას პატიმრობის პერიოდში სასჯელი დაუმძიმეს, რადგანაც გამოძიების მტკიცებით, მან ბადრაგს წინააღმდეგობა გაუწია“.

54

ბიბლუსი

— უკვე მივიღე გადაწყვეტილება და მას ვერავინ შემაცვლევინებს. ამჯერად მართლა დიდ ტკივილს მოგაყენებ, თუმცა შენზე მეტად შეიძლება, ჩემს თავს ვატკინო.

— რას გულისხმობ? — ვაკო დაიძაბა, გულმა უგრძნო, რომ სალომე რაღაც საშინელებას უმზადებდა.

— ხვალ აბორტი უნდა გავიკეთო!

62

ტაიმ-აუტი

ვესლი სნეიდერი დაოჯახდა

მსოფლიოს პირველობის ვერცხლის პრიზიორმა, ჰოლანდიის ნაკრების წარმომადგენელმა ვესლი სნეიდერმა ცოლად მოდელი და სერიალების მსახიობი, იოლანტე კაბაუ ვან კასპერგენი მოიყვანა.

86

ექსპერტების ქვეყანა

შესავლის ნაცვლად ზაფხული, როგორც წესი, პოლიტიკური აქტიურობითა და საინტერესო ამბების სიუხვით არ გამოირჩევა (ცხადია, თუკი რომელიმე პოლიტიკოსის „პლავკების ზომას“ არ მიიჩნევს ვინმე საინტერესოდ), ამიტომ „პროვოკაციებისთვის“ საკმაოდ უმოსავლო პერიოდად მივიჩნევ, მაგრამ გასული 7 დღე გამონაკლისი იყო — რა ვიცი, რომელი ერთი მოგახსენოთ: პრეზიდენტს რომ ჩუსტები არ ჰქონია და ქამარგადაჭერილს სძინავს, ამაზე უკვე ყველამ იმსჯელა; კუშნერი რომ ჩამოვიდა და ჭკვიანად იყავითო, — აქეთ რომ დაგვადო ოსებ-რუსებთან ვალი, ამაზეც უკვე ყველა (მათ შორის, პრეზიდენტიც) დაიბოღმა; ბაღაფში რომ ნიკარაგუის დედაქალაქში რევოლუციის 31-ე წლისთავის მიტინგზე გამოვიდა, თავისი „წითელი ახალგაზრდობა“ რომ გაიხსენა და „და ზდრავსტვუეტ ნიკარაგუა, და ზდრავსტვუეტ ტავარიშჩ ორტეგა“ — დასძახა, ამაზეც ყველამ იღადავა (გვერდით კოკოითი ედგა და ისიც ფხუკუნებდა)...

იმის თქმა მინდა, რომ დღევანდელი თემა (ან თემები) ძნელი საპოვნელი არ იყო, თუნდაც ის რად ღირს, რომ თვით თეა თუთბერიძემ თვით დიმიტრი შაშკინს სულ კრიმინალი ეძახა და სასამართლოში უჩივლა!!!

ანდა, რუსეთის ამბავი აიღეთ: იმდენი უკიჟინა ამერიკამ და ევროკავშირმა, შენი მილიცია უკანონოდ აკავებს ხალხს, რასაც უნდათ, იმას აკეთებენო, რომ ეს ყველაფერი კანონის ფარგლებში მოაქციეს — ახლა „ეფ-ეს-ბეს“! და მილიციას კანონიერი უფლება აქვთ, ნებისმიერი მოქალაქე დააკავონ 15 დღით, ყოველგვარი ადვოკატის, „ზარი ახლობელთან“-ის და ახსნა-განმარტების გარეშე! არა, არა, ზურაბ ბატონო (ნოღაიდელს ვეუბნები), ვიღაცაში გეშლებათ ეგენი და ერთი კაი მაგრად დაფიქრდით, რა... (თუ, რომ დაფიქრდით, მაშინ უფრო შეგიყვარდნენ?!)

მოკლედ, თემების სიუხვის მიუხედავად, ერთი ძველი თემის შესახებ მომიწევს საუბარი, თუმცა ამის საბაბი ახალი ფაქტი გახდა.

ეს თემაა — ქართველი ე.წ. ექსპერტები.

მაშ, ასე: ახლა რომ გკითხოთ — აბა, ვინ გამოიცნობს, დღეს დილას პირველს ვის დავურეკე-მეთქი, აზრი არა აქვს, რადგან თქვენ კი არა, მეც ვერ ვიფიქრებდი, თუ დილას ერთ-ერთ საიტზე ისეთ რამეს ამოვიკითხავდი, რომ მაშინვე ირანის საელჩოში დავრეკავდი! გაკიკვირდათ?! მე კი სრულიად გულწრფელი ვიყავი — დავრეკე ჩვენს კოლეგებთან საელჩოს პრესცენტრში და ვთხოვე, გადაეცათ ელჩისთვის, რომ ყველა ქართველი „ექსპერტი“ და ჟურნალისტი არ არის კრეტინი! ყოველ შემთხვევაში, მე არა ვარ ასეთი, მაგრამ მათ მაგივრად მე მოვიხადე ბოდიში...

ახლა, სიმართლე რომ ითქვას, „კრეტინი“ არ უნდა მეთქვა, რადგან „კა-გე-ბე-შნიკი“ და „კრეტინი“ ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია, მაგრამ ყველაფერს ხომ არ ვეტყოდი, დიპლომატიური მისიაა მაინც...

რაც შეეხება „კა-გე-ბე-შნიკობას“ ანუ, როგორც ილია იტყოდა, „მდაბიურის ენით რომ ვთქვათ“ — რუსეთის აგენტობას (ამას აღარ უნდა ბრჭყალებში ჩასმა): ტყუილად ნუ ეცდება ამ სიტყვების ადრესატი, რომ მიჩივლოს და „ღირსებისა და პატივის“ (რისი, რისი?) შელახვისათვის ფულადი კომპენსაცია მომთხოვოს (ჩემს ფეხებს მიიღებს ჩემგან, პუტინს სთხოვოს), მხოლოდ იმიტომ, რომ არც მისი ფოტო მაქვს რუსული სპეცსამსახურის სამხრეებიან (ეგენი რომ „პაგონებს“ ეძახიან) კიტელში გადაღებული და არც შეფთან გაგზავნილი, მისი საიდუმლო რადიოგრამა; მაგრამ ყველა, ვინც მტრის საქმეს აკეთებს, იმ მტრის სპეცსამსახურის თუნდაც უნებლიე თანამშრომელი არ არის?!

ვისზეც ახლა ვსაუბრობ, მასსა და რუსეთს შორის არსებულ, საკმაოდ „არაპლატონურ სიყვარულზე“ ჯერ კიდევ 20 წლის წინ დაიწყო საუბარი, მაგრამ ბოლო დროს სიბერე შეეპარა და ხშირად „იშიფრება“: მთელმა საქართველომ ნახა მისი ინტერვიუ, როდესაც აეროპორტში, მოსკოვში გამგზავრების წინ ცოფებს ყრიდა: დავითაშვილი და კუკავა არავის მიუწვევია რუსეთში, თავისი ინიციატივით მოდიან, მხოლოდ მე მაქვს ოფიციალური მოწვევაო (ალბათ ფიქრობდა, „პადაჩკაში“ წილს მომთხოვენო)...

ჰო, ახლა — მთავარი: რა ქნა ასეთიო? — იკითხავთ. ა, ბატონო, ციტატა მისი ინტერვიუდან, როდესაც ჟურნალისტის ბოლო კითხვაზე, — ირანის ელჩმა რომ მიგიწვიათ საელჩოში, როგორც ექსპერტი, რატომ არ წახვედითო? — პასუხობს:

— ვერ ვიტან ჩადრიან ქალებს!

აი, ასე, ლაკონიურად, ქართველმა „ექსპერტმა“! თუ იხუმრა, რა ხუმრობაა, მაგრამ არ უხუმრია — არავითარი განმარტება, ინტერვიუ ასე მთავრდება!

P.S. ვიღაცამ შეიძლება თქვას: დიდი ამბავი, თქვა და თქვა, რა მოხდა მერეო?.. რა მოხდა და, იმავე საიტზე ირანის საელჩოს კომენტარი წაიკითხეთ და მიხვდებით — ეს არის კორექტულობის, დიპლომატიურობისა და სხვა რელიგიისადმი (ამ შემთხვევაში, მართლმადიდებლობისადმი) კეთილგანწყობილების ნიმუში, ამან კიდევ, — ჩადრიან ქალებს ვერ ვიტანო. რაც მთავარია, საელჩო წერს, რომ ახალ ელჩს ამ ქვეყნის ჭკვიან ხალხთან შეხვედრა უნდოდა და ზოგიერთმა ჟურნალისტმა მას რამაზ კლიმიაშვილი (ჰო, მართლა, ჯერ არ მიხსენებია) ურჩია, როგორც „საუკეთესოდ მოაზროვნე“ და „დიდი კულტურის(?!) მქონე ექსპერტი“!!! კოლეგიალობა ჩემთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ ვინც ეს უთხრა, ჩემი აზრით, ის ჟურნალისტიც „კა-გე-ბე-შნიკია“!

საერთოდ, ვინმემ გამაგებინოს, სად ანიჭებენ ექსპერტის წოდებას? იქნებ მეც რაიმეს ექსპერტი ვარ და არ ვიცი?..

პროვოკატორი

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

ქვეყანა

„არაორაზროვნად მიგვანიშნა, რომ თავად უნდა ვიაქტიუროთ...“

„რუსეთის მხრიდან ყინული დაიძრა...“

ევროპა, ამერიკასთან ერთად, კავკასიაში ნიადაგს სინჯავს, რუსეთი კი გამოსავალს ეძებს, — ასეთია დასკვნა, რომელიც ექსპერტმა სოსო ცისკარიშვილმა ჩვენს ქვეყანაში მაღალი რანგის ევროპელ დიპლომატთა მოზღვავების გამო გამოიტანა. ირაკლი სესიაშვილის აზრით, დასავლეთი ხვდება, რომ კავკასიაში არსებული არასტაბილური გარემო უარყოფით გავლენას ახდენს არა მარტო რეგიონზე, არამედ მთელ ევროპაზე და ამიტომაც ცდილობს, სიტუაცია თავად „დაალაგოს“. ამის დადასტურებად, ის ფაქტი მოჰყავს, რომ ევროპა, საქართველოს გარდა, აზერბაიჯანისა და სომხეთის მიმართაც იჩენს აქტიურობას.

სათუნა გახტურიძე

ირაკლი სესიაშვილი:

— ევროპელი ლიდერების ვიზიტები საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში იმის ფიქრის საფუძველს მაძლევს, რომ კავკასია გარკვეულ პრიორიტეტებში მოექცა. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ყარაბაღში არსებული რთული სიტუაცია, იმიტომ, რომ თუ ამ რეგიონში კონფლიქტი განახლდა, მასში შესაძლოა, ჩაერთონ — თურქეთი, ირანი და რუსეთი, არეულობა დაიწყება ჩრდილოეთ კავკასიაშიც. ეს ყველაფერი კი მსოფლიოში სერიოზულ კატაკლიზმებს გამოიწვევს.

— როგორ ფიქრობთ — ეს საფრთხეები ევროპელმა ლიდერებმა მხოლოდ ახლა გააცნობიერეს?

— ჩემი აზრით, ევროპასა და ამერიკას 2008 წლის აგვისტომდე იმედი ჰქონდათ, რომ კავკასიაში, ასე თუ ისე, თავისთავად დალაგდებოდა სიტუაცია. ახლა ისინი ხვდებიან, რომ თუ აქტიურად არ ამოქმედდებიან, აქ მუდმივად იქნება კონფლიქტის ესკალაციის საშიშროება. დასავლეთი აშკარად უკმაყოფილოა კავკასიური სახელმწიფოების ხელისუფალთა პოლიტიკით, რადგან ისინი, კონფლიქტების მოგვარების მაგივრად, სიტუაციას კიდევ უფრო ძაბავენ და ამწვავებენ. აღსანიშნავია კუშნერის საკმაოდ მკაფიო განცხადება იმის შესახებ, რომ ევროპა ვერც დემოკრატიას ჩამოიტანს ჩემოდნით საქართველოში და ვერც კონფლიქტებს მოაგვარებს ქართველების მაგივრად; საკმაოდ არაორაზროვნად მიგვანიშნა, რომ ჩვენ თავად უნდა ვიაქტიუროთ და ქმედითი ნაბიჯები გადავდგათ.

— ეი. თქვენ იზიარებთ ირაკლი ალასანიას მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ აშშ და დასავლეთი პოსტსაკაშვილის პერიოდისთვის ემზადებიან?

— დიახ ვიზიარებ, კუშნერის განცხადებებში ნამდვილად, იკითხებოდა ის აზრი, რომ დასავლეთი უკმაყოფილოა საქართველოს პოლიტიკური ხელისუფლების მიერ განვლილი გზით და დღევანდელი პოზიციებით. დასავლეთი აშკარად დაინტერესებულია იმით, რომ ჩვენს ქვეყანაში საკაშვილი უფრო პრაგმატულმა და გაწონასწორებულმა ლიდერმა შეცვალოს. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პრაგმატიზმზე ხაზგასმით ისაუბრა და ისიც თქვა, — ცხინვალსა და სოხუმს ოკუპირებულ ტერიტორიებად კი მოვიხსენიებ, მაგრამ ეს პრაგმატული თვალსაზრისით, წამგებიანი იქნება და შედეგს ვერ მოიტანსო.

— მაშინ, ჰილარი კლინტონმა რატომ მოიხსენია ცხინვალი და აფხაზეთი ოკუპირებულ ტერიტორიებად?

— კლინტონი ამერიკელია და არა — ევროპელი.

— კი, მაგრამ რუსულ-ქართული კონფლიქტის მოგვარებით, ამერიკაც დაინტერესებულია და არც ამ ქვეყნისთვისაა პრაგმატიზმი უცხო.

— შეერთებული შტატები დაუფარავად აცხადებს, რომ საქართველო მისი სტრატეგიული პარტნიორია და იზიარებს ამ ქვეყნის მოსაზრებებს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით. ევროპა, ამერიკასა და საქართველოს შორის შუამავლის როლს კისრულობს, უფრო ფრთხილი პოლიტიკით ცდილობს სიტუაციაში გარკვევას.

— სიფრთხილის მიუხედავად, კუშნერი შეგვპირდა, რომ საფრანგეთი სარკოზი-მედვედევის ხელშეკრულებას არ დაივიწყებს და რუსეთს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას აიძულებს. თქვენი აზრით, მაინც, რის საფუძველზე მოგვცა ამის იმედი?

— დღეს კონკრეტულ გზებსა და დეტალებზე საუბარი ნაადრევია. ჩემი აზრით, ამ ვიზიტის დროს კუშნერმა მოსინჯა, თუ რისი გაკეთება შეიძლება იმისთვის, რათა პროცესი დაიწყოს. დარწმუნებული ვარ, პროცესის დაწყებისთანავე გამოჩნდება ის გზები და საშუალებები, რომლითაც სარკოზი-მედვედევის ხელშეკრულების შესრულება შესაძლებელი გახდება.

— პროცესის დასაწყებად დიალოგია საჭირო, მოსკოვი კი საკაშვილთან დიალოგზე ისევ უარს ამბობს...

— მხარეები ჯერჯერობით ისევ კონფრონტაციულ გზას მიჰყვებიან, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ საკაშვილსა და მედვედევს შორის საუბარი დაიწყება. საკაშვილი ნამდვილად ცდილობს, გამოძებნოს მედვედევთან მისასვლელი გზა, იმიტომ, რომ მას ეს ძალიან სჭირდება. უფრო მეტსაც გეტყვით — ის ამის გაკეთებას საპარლამენტო არჩევნებამდე ეცდება, რადგან მშვენივრად ხვდება, რომ თუ ამ კონფლიქტს ვერ მოაგვარებს, ხელისუფლებას ვეღარ შეინარჩუნებს.

სოსო ცისკარიშვილი:

— ჩემი აზრით, კრემლი ხვდება, რომ რუსეთის განვითარება, ქვეყანაში დასავლური, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის გარეშე, ვერ მოხერხდება. იმასაც შესანიშნავად ხვდება, რომ საქართველოს თემა რუსულ-ამერიკულ და რუსულ-ევროპულ ურთიერთოებებში ყოველთვის იქნება განხეთქილების მიზეზი. ე.ი. მოსკოვისთვის საქართველოსთან კონფლიქტი განიხილება არა როგორც

უთანხმოება ორ ქვეყანას შორის, არამედ როგორც რეალური მუხრუჭი რუსეთის ტექნოლოგიური განვითარების საქმეში. ამიტომ ვფიქრობ, კრემლმა დასავლეთს მიანიშნა, რომ მყარად აღარ დგას საკუთარ პოზიციაზე საქართველოს საკითხში. დარწმუნებული ვარ, კრემლში აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარებით დაშვებული შეცდომის სიმწარე კარგად იგემეს...

— თუ კონფლიქტის მოგვარების ინიციატორი თავად რუსეთია, გრიზლოვი სააკაშვილს მოკვეთილად რატომ მოიხსენიებს?

— როგორ გგონიათ — პუტინი და მედვედევი თავზე ნაცარს საჯაროდ დაიყრიან?.. რუსეთ-საქართველოს პრობლემის მოგვარება იმას არ ნიშნავს, რომ ორ ნაომარ ქვეყანას შორის ძმობა დამყარდება. სხვათა შორის, ბატონი გრიზლოვი, რომელიც სააკაშვილზე ამბობს, მოკვეთილიაო, თავად არის დაკვეთილი — ბატონი პუტინისგან. ფაქტია, რომ რუსეთის მხრიდან ყინული დაიძრა... საქართველოში ვიზიტორთა არნახულმა „სეზონმა“ მეზობელი ქვეყნების ყურადღებაც მიიპყო. კლინტონის, კუშნერის, ეშტონის ვიზიტების შემდეგ ბუნებრივად მიმაჩნია, რომ ჩვენს ქვეყანას აზერბაიჯანის პრეზიდენტი და უკრაინის ვიცე-პრემიერი ეწვივნენ. სერგეი ტიგიპკომ ძალიან თბილად ისაუბრა ქართველი და უკრაინელი ხალხების ურთიერთობაზე, ახალ რეალობაში. ასე რომ, ახლა ყველაფერი ქართულ მხარეზეა დამოკიდებული.

კუშნერის განცხადებებში ნამდვილად, იკითხებოდა ის აზრი, რომ დასავლეთი უკმაყოფილოა საქართველოს პოლიგიკური ხელისუფლების მიერ განელილი გზით

— სააკაშვილმა ბათუმში, ილჰამ ალიევთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის კონფედერაციული ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე ისაუბრა. როგორ ფიქრობთ — ჩვენს ქვეყნებს შორის კონფედერაციის ჩამოყალიბება რეალურ პერსპექტივას წარმოადგენს?

— ცოტა არ იყოს, გულდასაწყვეტია, რომ ჩვენს ხელისუფლებას სტაბილური ხედვა ერთი კვირის გათვლითაც კი არა აქვს: ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს სააკაშვილი სტრატეგიული გაზსადენის გაყიდვას ფიქრობს, სამშაბთს, ხუთშაბათს და შაბათს კი მზად არის, ითანამშრომლოს მეზობელ ქვეყანასთან, საკუთარი სტრატეგიული შესაძლებლობებით. ჩვენს ხელისუფლებაში ჯერ კიდევ დგას „სიყმაწვილის სენის“ სუნი. საპასუხისმგებლო თანამდებობის პირები ჯერ ისევ ემოციურად, სხვის ჯინაზე იღებენ გადაწყვეტილებებს... აზერბაიჯანთან კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობის ფორმა ნამდვილად მისასალმებელია, მაგრამ ისე არ უნდა გააკეთო, რომ მოკავშირე დააფრთხო. აზერბაიჯანის მილიმეჯლისის დეპუტატმა უკვე თქვა, რომ საქართველოს პრეზიდენტის განცხადება კონფედერაციული ურთიერთობების შესახებ, უფრო ემოციურ ხასიათს ატარებდა და სახელმწიფოთა შორის ახლო ურთიერთობების დემონსტრირება იყო, ამასთანავე, ეს ყველაფერი მომავლის საქმეაო. ჩვენმა პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ ჩაგვაყენა უხერხულ მდგომარეობაში... ■

„ნეიტრალური პასპორტები“

— ბიძგი აფხაზეთის დატოვებისკენ თუ ეთნოსის გადარჩენის საშუალება?!

საქართველოს ხელისუფლების შეთავაზებამ „ნეიტრალური პასპორტების“ გაცემის შესახებ, კონფლიქტურ ზონებში ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია. აფხაზეთის მოსახლეობის ნაწილი ამ დოკუმენტის გამოყენებას სკეპტიკურად შეხვდა, თუმცა იყო შეკითხვებიც, მაგალითად: რამდენად გამარტივებული იქნება მისი აღების პროცედურა? ჩაიწერება თუ არა პასპორტში მოქალაქეობა ან ეროვნება? რამდენად ხელმისაწვდომი იქნება პასპორტის საფასური კონფლიქტის ზონაში მცხოვრებთათვის?..

ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსეთსა და უცხოეთშია გახიზნული და იქ არალეგალურად ცხოვრობს

ლალი პაპასკირი

საქართველოს პარლამენტი გადაწყვეტილებას სავარაუდოდ, შემოდგომაზე დაამტკიცებს. დოკუმენტის გაცემა გამარტივებული პროცედურით, სრულიად უფასოდ მოხდება. „ეს დოკუმენტი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მოსახლეობას საშუალებას მისცემს, ისარგებლოს იმ სიკეთით, რომელსაც ქართული სახელმწიფო სთავაზობს, და მონაწილეობა მიიღოს ყველა პროგრამაში, რომელიც საქართველოსთვის საერთაშორისო არენაზე ხორციელდება“, — აცხადებს რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი. მისივე თქმით, თბილისში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ახალი დოკუმენტები არ განიხილება უკვე არსებულის შემცვლელად და მის მისაღებად, რუსულ პასპორტზე უარის თქმა არ იქნება აუცილებელი. ეს აფხაზებისთვის ხელსაყრელია...

გურანდი, *43 წლის, სოხუმელი ქართველი:*

— უკვე წლებია, ჩვენთვის სოციალური უფლებები და, მით უმეტეს, შეღავათები არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით რუსეთის ხელისუფლების მიერ დანიშნულ პენსიას, რასაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვაყვედრიან, და მოსკოვის მერის ყოველწლიურ საჩუქარს: სასექტემბროდ, აფხაზეთის სკოლების დაწყებითი კლასის მოსწავლეები იური ლუჟკოვის გადაწყვეტილებით, ახალ სახელმძღვანელოებს იღებენ. სხვა შეღავათი, მით უმეტეს სოციალური, აქ არ არსებობს, იმიტომ, რომ სახელმწიფო არ არსებობს... ახლა ჩვენი ქართველი ახლობლები გვეუბნებიან, — თქვენც იმავე სოციალური უფლებებით ისარგებლეთ, რომლითაც საქართველოში მცხოვრები მოქალაქეები სარგებლობენო. შეიძლება, აქედან ხალხმა არ იხუვლოს და ენგურს მიღმა რეესტრებთან რიგები არ დადგეს, მაგრამ ბევრი უკვე ფიქრობს ამაზე. იმიტომ, რომ აფხაზეთში მათზე არავინ ზრუნავს, მათი უფლებები არავის აწუხებს. აფხაზეთში, აფხაზის გარდა, ყველას უფლებაზე ზრუნავენ. ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსეთსა და უცხოეთშია გახიზნული და იქ არალეგალურად ცხოვრობს და თუ ამ პასპორტით მათ უცხოეთში წასვლა შეეძლებათ, ეს მათთვის შეღავათია.

ზურა, *26 წლის, სოხუმელი აფხაზი:*

— დიახ, ჩემს ქვეყანას უჭირს და მართლაც, მძიმე სოციალური ფონია. მაგრამ ჩვენ ვალდებული ვართ, ცოტაც მოვითმინოთ. რამდენიმე წლის შემდეგ აფხაზეთი ევროპაში ღირსეულ ადგილს დაიკავებს და საერთაშორისო დონის საკურორტო რეგიონი იქნება... ჩემს ოჯახს უჭირს, მაგრამ რაც უნდა მოხდეს, ჩემი ოჯახი და ახლობლები საქართველოში დაბეჭდილ პასპორტებს სახლში არ მივიტანთ — ეს ჩვენი გმირების სულების შეურაცხყოფა იქნება. დარწმუნებული ვარ, ყველა აფხაზი ამ პოზიციაზე დგას.

თამარი, *34 წლის, სოხუმელი ქართველი:*

— პირველი, რაც აფხაზებმა საქართველოს მთავრობის შემოთავაზების შემდეგ იკითხეს, იყო, — მითითებული იქნება თუ არა პასპორტში ეროვნება? თავდაპირველად გაღიზიანდნენ, შემდეგ კი ეს გაღიზიანება ინტერესით შეიცვალა და ერთმანეთისგან ფარულად მეკითხებოდნენ, — სად და როგორ შეიძლება ამ დოკუმენტის აღება? მას შემდეგ, რაც შეიტყვეს, რომ აფხაზებიც იმავე სოციალური უფლებებით ისარგებლებენ, რითიც დანარჩენები, მათი მხრიდან ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა... ვიცი, რომ აფხაზეთისა და რუსეთის ხელმძღვანელობისთვის ეს დიდი დარტყმა იქნება, მაგრამ აფხაზებისთვის ფსოუს საზღვარი ისევ დაკეტილია და მათ ფსიქოლოგიაში თანდათან ღვივდება აგრესია იმ იმედგაცრუების გამო, რომელიც რუსეთის ხელმძღვანელობის მხრიდან მიიღეს. „ნეიტრალური პასპორტი“ კი, სადაც ეროვნებად მათთვის საძულველი „ქართველი“ არ ჩაიწერება, მათ გარე სამყაროსთან დაკავშირების იმედს უსახავს. მთავარია, საქართველოს ხელისუფლებამ ეს დაპირება საქმედ აქციოს.

ნინა, *25 წლის, გაგრის მკვიდრი:*

— მე რუსი ვარ და თამამად შემიძლია გითხრათ, რომ აფხაზებზე ბევრად მეტი უფლებით ვსარგებლობ. ჩემს ზურგს უკან დგას აფხაზეთის ხელმძღვანელობა, რომელიც ჩემს ინტერესებს იცავს, ვინაიდან, თუ პროტესტი გამოვთქვი, ამით ის მოკავშირე და მფარველ რუსეთს გააღიზიანებს. მაგრამ დაუცველი არიან აფხაზები. შესაბამისად, სეპარატისტული ხელმძღვანელობა იქაური (*დანარჩენ საქართველოს გულისხმობს.* — *ავტ.*) ცხოვრების პირობებს იცნობს და შედეგის განჭვრეტაც შეუძლიათ — ანუ სრულებით რეალურია, რომ ამ დოკუმენტის ამოქმედების შემთხვევაში, მისი გამოყენების ბევრი მოსურნე გამოჩნდება... არსებობს კიდევ ერთი ვერსია, რომელიც აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის გაჩენილი ბზარის გაღრმავებას შეუწყობს ხელს: რუსული ბიზნესისთვის საქართველოს ხელისუფლების შეთავაზება ძალზე არახელსაყრელია, ვინაიდან „ნეიტრალური პასპორტის“ მასობრივად „გავრცელების“ შემთხვევაში, აფხაზეთიდან მათი აყრა ეტაპობრივად და უმტკივნეულოდ მოხდება.

ნადია კარაკაზიანი, *ბიჭვინთის მკვიდრი:*

— ხშირად ამბობენ, რომ აფხაზეთში რუსული პასპორტები პუტინის დავალებით

გაგრძელება იხ. გვ. 14

წყალი — პატარებისთვის აუცილებელი სითხე

ბავშვის ჯანმრთელობა ყველა დედის მთავარი საზრუნავია, განსაკუთრებით კი ისეთ დღეებში, როდესაც დედაქალაქში სიცხე 40-გრადუსს აღწევს. ბავშვების დიდი ნაწილი აგარაკებზე ისვენებს, ნაწილი კი ჯერ ისევ თბილისშია. წყალი საქართველოს ნებისმიერ კუთხეში მყოფ პატარებს ერთნაირად სჭირდებათ. ზაფხულის ცხელ დღეებში ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ საკვების რაციონისა და წყლის შერჩევაა.

დარწმუნებული ვარ, მშობლების დიდმა ნაწილმა არც კი იცის თუ რა რაოდენობით და როგორი წყალი სჭირდება ჩვენს პატარებს. არადა, ბავშვის ზრდისა და განვითარებისთვის წყლის ყოველ წვეთს, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. წარმოდგენა რომ მარტივად შეგექმნათ, რამდენიმე დადასტურებულ მონაცემს მოგაწვდით:

— წყალი ადამიანის ორგანიზმის 70%-ს შეადგენს, ბავშვის ორგანიზმში კი, წყლის მოცულობა 80%-ია.

— 10 კილოგრამამდე წონის ბავშვმა ყოველდღიურად დაახლოებით 1 ლიტრი წყალი უნდა მიიღოს.

— თუ ბავშვის წონა 10 კილოგრამზე მეტია, წყლის დღიური ნორმა ასე განისაზღვრება — 1 ლიტრს +50 მლ ყოველ დამატებით კილოგრამზე.

ზაფხულში გაუწყლოების საფრთხე არსებობს

ამ მონაცემებით და პედიატრების რჩევებით თუ ვიხელმძღვანელებთ, ბავშვს ყოველდღიურად დიდი რაოდენობით წყალი სჭირდება. წარმოიდგინეთ, რომ ჯანმრთელ მდგომარეობაში, ადამიანის ორგანიზმიდან წყალი ყოველი ამოსუნთქვისას ფილტვებიდან და კანიდან გაედინება. სითხეს ვკარგავთ ასევე ოფლიანობის დროს. მოუსვენარი პატარა კი ზრდასრულ ადამიანზე ორჯერ უფრო მეტ სითხეს კარგავს, მით უფრო ზაფხულის ცხელ დღეებში. ალბათ შეამჩნევდით, რომ ბოლო დღეებში თქვენი პატარა განსაკუთრებით ოფლიანობს. ამიტომ, აუცილებელია, რომ ბავშვმა ბევრი სითხე მიიღოს. თქვენ წარმოიდგინეთ, თავის წონასთან შედარებით, ბავშვს გაცილებით მეტი სითხის მიღება შეუძლია, ვიდრე ზრდასრულ ადამიანს. საშუალოდ ეს პროპორცია შეადგენს 130 მლ კილოგრამ წონაზე. შესაბამისად, ბავშვს, რომლის წონაც სულ რაღაც 4 კილოგრამია, შეუძლია დღეში 600 მლ სითხე მიიღოს. ხოლო თუ ბავშვი ხელოვნურ კვებაზეა, აუცილებელია დამატებით დღე-ღამეში 100-150 მლ სუფთა სასმელი წყალიც მივცეთ.

ვირუსი ყველა დედის სუსტი წერტილია, ზაფხულში კი ვირუსების საკითხი არანაკლებ აქტუალურია, ვიდრე ზამთარში. სხვადასხვა ვირუსული ინფექცია უმეტეს შემთხვევაში ორგანიზმის სითხისგან დაცლას იწვევს. წყალთან ერთად ორგანიზმი მინერალებისა და მიკროელემენტების საჭირო რაოდენობას კარგავს. წყლის ბალანსის აღდგენა კი ასეთ დროს საუკეთესო გამოსავალია.

როგორი უნდა იყოს წყალი, რომელსაც ჩვენი შვილების ჯანმრთელობას ვანდობთ.

გეტყვით, რომ ჩემი, პირველ რიგში როგორც დედის არჩევანი, წყაროს წყალი „ბაკურიანია“ — წყალი, რომელიც რეკომენდებულია ბავშვთა კვებაში გამოსაყენებლად. სერტიფიკატი გაცემულია ნათაძის სახელობის, სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო კვლევის ინსტიტუტის მიერ. დაბალი მინერალიზაციის გამო, მასზე დამზადებული კერძი თუ სასმელი, არა მხოლოდ სარგებელს მოუტანს ბავშვს, არამედ კვების პროცესს კიდევ უფრო სასიამოვნოს გახდის.

წყაროს წყალ „ბაკურიანს“, საქართველოში ყველასათვის კარგად ცნობილი კომპანია „აი დი ეს ბორჯომი საქართველო“ აწარმოებს. საბადო კი ეკოლოგიურად სუფთა საკურორტო ზონაში, ბაკურიანში მდებარეობს. „ბაკურიანის“ წყაროს წყლის შემადგენლობაში არსებული სულფატების განსაზღვრული რაოდენობა აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლის პროცესს. წყალში არსებული ქლორიდების ზომიერი რაოდენობა დადებითად მოქმედებს საკვების მონელების პროცესზე, ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების ათვისებაზე და ბავშვის ორგანიზმის განვითარებას უწყობს ხელს; და თუ „ბაკურიანის“ წყაროს წყალს ბავშვის რაციონში სისტემატურად მოიხმართ, თქვენი პატარა ჯანმრთელი და რაც მთავარია, ყოველთვის კარგ განწყობაზე იქნება.

წყაროს წყალი „ბაკურიანი“ — სასარგებლო მინერალების ნაკრები ერთ ბოთლში

ვიტამინები და მინერალები ის აუცილებელი კომპონენტია ჩვენი შვილების ცხოვრებაში, რომლის გარეშეც ჯანმრთელობა წარმოუდგენელია. ვიტამინებისა და მინერალების დეფიციტი ზრდასრულ ადამიანში შესაძლოა მრავალი დაავადების მიზეზი გახდეს, ბავშვებისთვის კი ამას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს. როგორც კი მოზარდ ორგანიზმს მიკროელემენტების აუცილებელი რაოდენობა არ მიეწოდება, ირღვევა ნივთიერებათა ცვლის პროცესი, თავს იჩენს საკვების მონელებასა და ზოგადად ორგანიზმის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები. ბავშვი ცუდად ჭამს, ცუდად სძინავს, ჭირვეულობს. შეშინებული მშობელი გამოსავალს ექიმებთან ეძებს, რაც ხშირად ძვირად ღირებული აბებისა და გამაჯანსაღებელი მიქსტურების ვრცელი რეცეპტის გამოწერით მთავრდება.

პედიატრებს მიაჩნიათ, რომ უმეტეს შემთხვევაში, მინერალებისა და ვიტამინების დეფიციტისგან თავის დასაცავად მნიშვნელოვანია, რომ პირველივე დღეებიდან, ბავშვისათვის განისაზღვროს კვების სწორი რაციონი და განსაკუთრებული ყურადღებით შეირჩეს წყალი, როგორც დასალევად, ასევე ბავშვისთვის საკვების დასამზადებლად. ექიმები ამბობენ, რომ წყალი აუცილებლად უნდა იყოს მაღალი ხარისხის, ეკოლოგიურად სუფთა, ჰქონდეს დაბალანსებული მინერალური შემადგენლობა და ადვილად მოსანელებელი იყოს ბავშვის ორგანიზმისთვის. სწორედ ამ წყალზე გიამბეთ ახლა, ასეთია წყაროს წყალი „ბაკურიანი“.

შიშველი, შიშველი, შიშველი თბილისი!

ემა ტუხიაშვილი

— უკაცრავად, გოგონა, მაგრამ სახლიდან გამოსვლისას ტანზე ჩაცმა ხომ არ დაგვიწყებიათ?

— მაპატიეთ თავხედობა, მგონი, თქვენ ჩემს მეზობლად უნდა ცხოვრობდეთ, არა? არადა, აქამდე რატომ ვერ გამჩნევდით?! ზაფხულში ქალს მაინც სხვა ხიბლი აქვს ალბათ.

— როგორ გიხდებათ ეს მოკლე კაბა! დიდი ცოდვა იქნებოდა, გრძელი კაბის ქვეშ მაგ ლამაზი ფეხების დამალვა...

წლეულს თბილისში ცხელი ზაფხული დაიჭირა. ახლა იტყვით: ჩვენს ქალაქში ყოველთვის ცხელი ზაფხული იცისო, მაგრამ ვისაც შარშანდელი ზაფხული ახსოვს, დამეთანხმება. დაცხა და ქუჩაში შილიფად ჩაცმული ხალხი მომრავლდა. შილიფად ჩაცმული კიდევ „მსუბუქადაა“ ნათქვამი, უფრო სწორი იქნებოდა, მეთქვა, — ნახევრად შიშველი ხალხი მომრავლდა ან, თუ გნებავთ — თითქმის შიშველი; ვისაც როგორ გესიამოვნებათ, ისე მოიხსენიეთ... მოკლედ, ჰაერის ტემპერატურის მატებასთან ერთად, სამოსი სულ უფრო მოკლე და გამჭვირვალე გახდა, სამაგიეროდ, საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობა — სულ უფრო უხერხული.

— რას დამადექით, ბატონო, თავზე?! აგერ, უკან თავისუფალი ადგილია და გადაბრძანდით! ისედაც უჰაერობაა ამ „მარშრუტკაში“ და თქვენ კიდევ მეკვრით.

— მალე უნდა ჩავიდე, ქალბატონო, და წინ დგომა მირჩევნია...

— ზემოდან მშვენიერი ხედი ეშლება და გიჟია, დაჯდეს?!. — ქირქილებს ვიღაცა.

— ნუ მოიშიშვლებენ, ბატონო, გულმკერდს და არავინ შეაწუხებს დაჟინებული მზერით, — ქოთქოთებს სხვა, სამარშრუტო ტაქსის ბოლოდან.

— სულ დაკარგეს ამ ახალგაზრდებმა სირცხვილის გრძნობა: ჯერ კაბები და შარვლები დაიმოკლეს, მერე კი საცვლების ჩაცმაზეც უარი თქვეს! — სიშიშვლე უმალ იქცა „მარშრუტკის“ მგზავრთა განსახილველ თემად. აი, რას ნიშნავს ზაფხული და სიცხე — მნიშვნელოვანი პოლიტიკური ამბებიც კი აღარავის აინტერესებს. არადა, მთელი წლის განმავლობაში საზოგადოებრივ ტრანსპორტში სულ ხელისუფლების ლანძღვა ისმის ან კიდევ, რომელიმე ოპოზიციონერის სკანდალურ განცხადებებს განიხილავენ ერთმანეთისთვის სრულიად უცხო ადამიანები. მოკლედ, შემოდგომამდე პოლიტიკოსებს საზოგადოების მხრიდან ყურადღება ეღირსებათ. ისე კი, თავი უნდა შეახსენონ ელექტორატს, თორემ გულმავიწყობა სჩვევია. ვინაიდან ახლა თბილისში სიშიშვლეა „აქტუალური“, — მაგალითად, მოაწყონ აქცია, რა თქმა უნდა — პარლამენტის წინ, მოთხოვნით — აიკრძალოს თბილისის ქუჩებში ნახევრად შიშველ მდგომარეობაში სიარული! — შემდეგ ეს როგორმე სააკაშვილისა და მისი მთავრობის პოლიტიკურ კურსს დაუკავშირონ და მიტინგზე იმდენ ხალხს მოუყრიან თავს, რამდენიც ბოლო საპროტესტო აქციებზეც არ ჰყოლიათ.

— გასაგებია, ბატონო, რომ სცხელათ ამ ახალგაზრდებს, მაგრამ ჩვენ რა, ახალგაზრდები არ ვიყავით თუ ჩვენ არ გვცხელოდა?! ყველაფერს თავისი წესი და რიგი აქვს. ახლა რომ შორტები აცვიათ, მასეთი სიგრძის ჩემს ახალგაზრდობაში ქალებს საცურაო კოსტიუმები ეცვათ. არა, ბატონო, მეტის ატანა აღარ შეიძლება! მახსოვს, სასტუმრო „ივერიიდან“ შორტებში ჩაცმული ტურისტები რომ გამოდიოდნენ და დატანტალებდნენ თბილისის ქუჩებში, მთელი ქალაქი სტვენა-სტვენით დასდევდა. ახლა კი პირიქით, ჩვენ ვაოცებთ უცხოელებს ჩვენი თამამი ჩაცმულობით. უკაცრავად, ჩაცმულობით კი არა, ალბათ უფრო სწორი იქნებოდა, მეთქვა — გახდილობით!.. სიშიშვლის თემა საზოგადოებრივი ტრანსპორტიდან ქუჩაში ინაცვლებს. აქ კი იმდენი გასარჩევი ობიექტია, მხოლოდ მათი თვალიერებითაც დაიღლები. შადრევანთან ახალგაზრდები შეკრებილან და გრილდებიან. პატარა გოგო-ბიჭები ტრუსის ამარა ბანაობენ წყალში, ცოტა უფრო მოზრდილები კი საცურაო კოსტიუმებით წამოწოლილან შადრევნის ჯებირზე და ირუჯებიან. გამვლელთაგან ვიღაც ღიმილით ადევნებს თვალს ამ სანახაობას, ვიღაც კი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ახალგაზრდების თამამ ქცევას.

— ახლა, ბატონო, ყველაფერს გლობალურ დათბობას აბრალებენ. ხშირად წვიმს, ქარია თუ ჭექა-ქუხილი — ყველაფერი გლობალური დათბობის ბრალი ყოფილა. ტანთ გახდასაც მაგას აბრალებენ: კლიმატი შეიცვალა, დაცხა და უნდა გავიხადოთო. რომ გცხელა, ამიტომ სახლიდან დედიშობილა უნდა გამოხვიდე?! შენს თავზე თუ არ ფიქრობ, სხვა მაინც შეიცოდე. ამბობენ, ამ ბოლო დროს გულის დაავადებების რიცხვმა იმატა, ინფარქტი გახშირდაო. კაცი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნახევრად შიშველ ქალს რომ ხვდები, რამდენს



ლელების ყურადღების მიღმა რჩება და ისევ იწყება განხილვა თემაზე — „შიშველი თბილისი“. ახლა მზესუმზირის „მრავალჭირნახული“ გამყიდველი ქალები და გარე მოვაჭრეები ებმებიან პოლემიკაში:

— ჩვენმა ქალებმა ჭიპები რომ გამოიჩინეს და კაბები წამოიხადეს, სულ ლათინურამერიკული სერიალების ბრალია. იქ, ბატონო, სიშიშვლე ურცხვობად არ მიიჩნევა და ბევრად უფრო ცხელი კლიმატია, ვიდრე ჩვენთან.

— რა გეგონათ, რომ გაიძახოდით, — ევროპაში ინტეგრაცია და ნატოში შესვლა გვინდაო. მაპ-ი და ევროკავშირის შეშფოთება იკმარებს მხოლოდ?! ვერ ხედავთ, როგორ ცხოვრობენ ამერიკელები და ევროპელები — ქალი ქალს აღარ ჰგავს და კაცი — კაცს! აკი ჩვენც გვეუბნებიან: ცოტა თვალში გამოიხედეთ, ქართველებოო!.. ჯერ ქალებს კაბებს დაამოკლებინებენ, ვაჟებს თმას დააგრძელებინებენ და შემდეგ სულ სიხარულით მიგვიღებენ თავიანთ საზოგადოებაში.

— არა, გენაცვალე, ამათ ეტყობა, პატრონი არ ჰყავთ, თორემ ნორმალური მშობელი შვილს ასე სახლიდან როგორ გამოუშვებს?! ამ შიშველ გოგოებს რომ ვუყურებ, „მის ბიკინის“ კონკურსზე მგონია თავი.

ამბობენ, წლეულს ცხელი ზაფხული აგვისტოს ბოლომდე გასტანსო. სანამ შიშველი ქალაქი შეიმოსება, ქუჩაში ხშირად გაიგონებთ:

— უკაცრავად, გოგონა, მაგრამ სახლიდან გამოსვლისას ტანზე ჩაცმა ხომ არ დაგვიწყებიათ?..

— მაპატიეთ თავხედობა, მგონი, თქვენ ჩემს მეზობლად უნდა ცხოვრობდეთ, არა? არადა, აქამდე რატომ ვერ გამჩნევდით?! ზაფხულში ქალს მაინც სხვა ხიბლი აქვს ალბათ.

— როგორ გიხდებათ ეს მოკლე კაბა, დიდი ცოდვა იქნებოდა, გრძელი კაბის ქვეშ მაგ ლამაზი ფეხების დამალვა...

■

გაუძლებს ეს გული?!

— ქალებს ისე აცვიათ, რომ ქვედა და ზედა საცვალი მოუჩანთ. ეს კიდევ რაა — ბიჭებიც იჩენენ საცვალს! სხვას რა პასუხი მოვთხოვო, როცა ჩემი შვილიშვილიც ისე დადის, ჩაცმული თუ გახდილი, იფიქრებ, შარვალი ცოტაც და ჩასძვრებაო. რომ ვსაყვედურობ, მეუბნება, — მოდაა ასეთიო. მთლად ჩამორჩენილი არც მე ვარ; გამიგია, რომ რაღაც დროის შემდეგ ძველი მოდა ბრუნდება, მაგრამ კაცობრიობის ისტორიის დასაწყისს — ფოთლებით შემოსილი ადამისა და ევას მოდას თუ დავუბრუნდებოდით, არ მეგონა ნამდვილად...

საგანგებოდ ვჩერდები და გამვლელებს თვალს ვაყოლებ. ზოგის ჩაცმულობა მაინტერესებს, ზოგის რეაქცია ამ ჩაცმულობაზე. დიდხანს ლოდინი არ მიწევს — ქუჩას შილიფად ჩაცმული გოგო მოუყვება და უკან რამდენიმე ვაჟი ღიღინ-ღიღინით მოჰყვება.

— გოგო, რა ლამაზი ხარ, რა დედამ გშობა, ნეტაო, კაბისთვის ქსოვილი თუ გაკლდა, გაზეთი მოგეკერაო.

ვაჟების ეს წამღერება არც გამვ-

23 ივლისს კლუბ "ქალაქურში" გაიმართება
პოპულარული ჯგუფის
"VIA SLIVKI"-ს სოლო კონცერტი.

მოსკოვის ჰიტ-ათეულების ლიდერი ჯგუფი, თბილისში ავიაკომპანია არმავიას რეისით ჩამოფრინდება. "სლივკები" თურმე რეპეტიციას თვითმფრინავის ბორტზეც გეგმავენ.
შესაძლოა ჰაერში ახალი ჰიტიც კი დაწერონ. თბილისის კონცერტთან დაკავშირებით,როგორც ცნობილია "სლივკებს" მიღებული აქვთ მეტად დამაინტრიგებელი გადაწყვეტილება. მათ საკონცერტო მაკიაჟზე და ვარცხნილობაზე ცნობილი რუსი სტილისტი, ზვერევი კი არ იზრუნებს, არამედ ჩვენი სილამაზის სალონის ქსელი "ნატალი"

„ღვთიური ბიჭის“ სასწაულები

„დათოს საფლავზე გამრავლებულმა ყვავილმა ბოლნური ჯვრის ფორმა მიიღო...“

1993 წლის 28 ოქტომბერს, სახელმწიფო ტელევიზიის ჟურნალისტი და უცხოური კომპანია WTN-ის ამიერკავკასიის სააგენტოს კორესპონდენტი, 24 წლის დათო ბოლქვაძე ხობის მოედანზე, რამდენიმე ახალგაზრდა ბიჭთან ერთად დახვრიტეს იმიტომ, რომ — ხუნტის ტელევიზიდან მოსული და შევარდნაძის შპიონი ხარო, — უთხრეს. მერე კი უბრძანებიათ: აქ დატოვეთ, ხელი არავინ ახლოსო... მაინც „ახლეს ხელი“ ხობელებმა და მიწას მიაბარეს...

ირმა ხარშილაძე

ძალიან ნათელი და ლამაზი ბიჭი იყო დათო, ძალიან კეთილი, მოსიყვარულე და ყურადღებიანი. სულ „ძალიან“ უნდა „მიაკრა“ — სხვაგვარად მასზე სიტყვასაც ვერ იტყვი. ჰო, კიდევ — ძალიან ხუჭუჭა თმა და ცისფერი თვალები ჰქონდა, ცისფერი და მოღიმარი. იმ დღეს ალბათ არ უღიმოდა. უფრო „გაოცებული“ ექნებოდა, მაგრამ არა — „შეშინებული“... ძალიან მამაცი ბიჭი იყო. კიდევ, ძალიან უბრალო და გამორჩეული. მაინც სულ „ძალიან“ მინდა, ვთქვა...

მერე, ტყვიების წვიმაში ამოთხარეს ბიჭებმა დათოს ცხედარი და ხობიდან თბილისში გადმოასვენეს. ძმათა სასაფლაოზე დამარხეს, დანარჩენ კარგ ბიჭებთან ერთად. დათოს დედამ, ჟურნალისტმა ლია ისიანმა შვილის სახელის უკვდავსაყოფად, ვაჟა-ფშაველას მე-7 კვარტალის სკვერში დათოს ბიუსტი დაადგმევინა, სახლის კედელზე კი — მემორიალური დაფა, შვილის ბრინჯაოს გამოსახულებით. ერთი თვის წინ კი მეორედ მოუწია შვილის მემორიალური დაფის გაკეთებამ...

მემორიალის გახსნამ ძალიან თბილ აგმოსფეროში ჩაიარა

— მემორიალური დაფა პირველად, 1995 წელს გავაკეთე. ლოთი ქობალია ახალი დაპატიმრებული ჰყავდათ. შესანიშნავმა მოქანდაკემ, სამხატვრო აკადემიის პროფესორმა ბეჟან სულხანიშვილმა რომ შეიტყო — უცოლშვილო, 24 წლის, იმედისმომცემი ჟურნალისტი დაიხვრიტა და თანაც, ასე მუხანათურად, მთელი სიყვარული ჩააქსოვა თავის ნამუშევარში, უბრალო, ტრაფარეტული მემორიალური დაფა კი არ გააკეთა, არამედ დათოს პროფილი ბრინჯაოში გამოაქანდაკა. გამოსახულება „შტრიხებით“ არ იყო ჩამაგრებული, ბატონმა ბეჟანმა მარმარილოს ფილაზე დააწება... 2006 წლის 26 დეკემბერს კი დამდეგი ახალი წელი იმით მომილოცეს, რომ ჩემი შვილის მემორიალს ქვა ესროლეს, ჩამოაგდეს და წაიღეს. პირველი სართულის მეზობელი კი მაშინვე ამოვარდა ჩემთან, მაგრამ... ამ ამბავმა თავბრუ დამახვია, დავეცი და მარცხენა ხელიც გადამიტყდა. 5 წელი იყო ასე, გადახლეჩილი დაფა...

— არავის გამოუძიებია ეს ამბავი?

— მაშინ ჯართის ისეთი ბუმი იყო, რომ... სხვათა შორის, შევცდით, ეს ამბავი რომ გავახმაურეთ — ყველა სატელევიზიო არხმა გადასცა; არ უნდა გვეხმაურა და იქნებ მოეტანათ კიდეც. ძალიან მწყდებოდა გული, მშრალ წარწერას რომ ვუყურებდი სახლის კედელზე: ჩემი შვილი მიწაზე არ დააყენეს და არც ქვასა და ლითონში აცალეს ყოფნა. მხოლოდ იმით ვიმშვიდებდი თავს — როგორ ჰყვარებია უფალს, რადგან ასე მხოლოდ კარგს ებრძვის ეშმაკი, ცუდს კი — არა-მეთქი. ნაძირალა, არაკაც ქობალიას უამრავი მკვლელობა აქვს ჩადენილი და დათოს მკვლელობა რომ არ შერჩა, გაუკვირდა, — ვინ არის ეს დათო ბოლქვაძე, ასე რომ ვისჯები მაგის

გულისთვისო?!. რატომ, იცი? დათო უცხოელებთან მუშაობდა და სწორედ ის უცხოელები არ გაჩუმდნენ და გაახმაურეს. ქობალიას უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა ელოდა და თავი რომ დაეძვრინა, დათოს მაროდიორობაც კი დააბრალა... ყველაზე მეტად, იცი, რამ გამაოცა?.. რა მცირე დოზით ყოფილა ქართველ ჟურნალისტებს შორის, კოლეგიალური ერთსულოვნება. ან საერთოდაც — არ ყოფილა. 25 წლის სტაჟი მაქვს ჟურნალისტობის და ასეთი რამ არ მსმენია... მე კი არაფერს ვაკლებ დათოს, მაგრამ საოცრად გულნატკენი ვარ. ჩემი მონდომება რომ არა, არც დაბადებისა და გარდაცვალების დღეები გაახსენდებოდათ ტელეჟურნალისტებს. გიორგი სანაია (ღმერთმა გაანათლოს მისი სული!) შინ დაგდებული იპოვეს მკვდარი და მთელი საქართველო დადგა „რუსთავი 2“-ის წინ; დათოს უამრავი ჟურნალისტი იცნობდა, ბატკანივით შეიწირეს, დახვრიტეს და ხმა არავინ ამოიღო! ქვეყანამ იცის, რომ მხოლოდ 3 საათი იყო ხობში და როდესაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დახვრეტილ ჟურნალისტს მაროდიორობა დასწამეს, გამოსარჩლების სურვილი არ უნდა გასჩენოდათ კოლეგებს?!. 11 თვე მიდიოდა სასამართლო პროცესი და ხმა არავის უნდა ამოეღო?! თითქოს მკვლელის მიმართ უფრო იგრძნობოდა ჩემი კოლეგების თანაგრძნობა, ვიდრე დათოსადმი... დათოს ახალი, უფრო სწორად, ძველის იდენტური გამოსახულება რომ დაამზადა ბეჟანმა, კმაყოფილების გრძნობა გამიჩნდა: ჩემი შვილის უკვდავების, არდავიწყების პაწაწინა დეტალი კვლავ მისსავე სახლის კედელზეა.

— ვინ დაგეხმარათ? თანხა

ხომ დაგჭირდებოდათ ახლის დასამზადებლად.

— მერიის თანამშრომელი, მამუკა ქაცარავას მოადგილე, ზაზა დოლიძე ყოფილი წყალბურთელია და თურმე დათოსთან ერთად თამაშობდა წყალბურთს; მომხდარის შესახებ რომ შეიტყო, ძალიან შეწუხდა და მაშინვე დამპირდა დახმარებას. მამუკა ქაცარავას შემახვედრა და საოცარი სიტყვებით გაიხსენა დათო: უსუფთავესი ბიჭი იყო, კაცობის ეტალონიო. დანაპირებიც შემისრულეს და რაკი მატერიალურად ძალიან გვიჭირს, — დათოს პრემიაც ეკუთვნოდაო, — და პრემიასაც დამპირდნენ. ღმერთმა უშველოს!.. მემორიალთან დაკავშირებით, მე და ბეჟანი ერთად დავდიოდით მერიაში და ბეჟანი გაოცებული იყო, ყველგან თბილად რომ გვხვდებოდნენ. ვუთხარი კიდეც, — დათოს დამსახურებაა, ადამიანების მეხსიერებაში თბილად რომ დარჩა, ისევე, როგორც ერთ დროს გურამ რჩეულიშვილი-მეთქი... მემორიალის გახსნამაც ძალიან თბილ ატმოსფეროში ჩაიარა. კაკო სიხარულიძე მოვიდა, გუბაზ მეგრელიძე, აკადემიკოსი ნელი ჩაფიძე, ჟურნალისტი ლუარა გორდიევიჩი, ლუიზა ასათიანი, კირა ანდრონიკაშვილი, ლევან ბოლქვაძე...

— **ძველი „მეორეარხელები“ იყვნენ?**

— არა, რადგან ვერ შევატყობინე. ძალიან გადაღლილი ვიყავი. წიგნი რომ გამოვეცი, მარჯანიშვილის თეატრში ვთქვი: ასე მგონია, ამ წიგნის სახით, დათოს შვილი დარჩა, მეტს კი ველარაფერს გავაკეთებ-მეთქი. ცოტა დრომ რომ გაიარა და დავწყნარდი, მივხვდი, კიდევ მინდოდა რაღაცის გაკეთება და მაშინვე მემორიალზე დავიწყე ფიქრი. უეჭველად დათომ „მიკარნახა“ ეს აზრი. ამ უხილავი სულიერი კავშირის ძალიან მჯერა, რადგან დათუნა ძალიან ბევრ სასწაულს ახდენს. ერთ ამბავს მოგიყვები: დათო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მოწამებრივად აღსრულებულთა სიაში შეიყვანა. ცოტა ხნის წინ მისმა უწმინდესობამ შვილმკვდარი დედები სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში გვიხმო. უამრავი ადამიანი მოვიდა, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდანაც იყვნენ ჩამოსული. პატრიარქის შემობრძანებამდე, ცენტრის ფოიეში ვიდექით. ამ დროს, წინ ახალგაზრდა, 20-21 წლის ქალი დამიდგა, ხელში აყვანილი 8 თვის ბავშვით. ბიჭუნა დედას იყო შემოხვეული და მის მხარს იქიდან ჩემკენ იწვდენდა ხელებს. მოვესიყვარულე და კიდევ უფრო გადმოიწია. გამოვართვი დედას და ხელში ავიყვანე. ბავშვი კისერზე შემომეხვია და ჩამეხუტა. კინაღამ გავგიჟდი. დედას ბიჭუნას სახელი ვკითხე და... დავითი აღმოჩნდა. უცებ რომ წამომცვივდა ცრემლები, ველარ გავჩერდი (*კვლავ ცრემლით აევსო თვალი. — ავტ.*). ბიჭუნა არც ჩემმა ცრემლებმა შეაშინა და კიდევ უფრო მომეწება. კარგა ხანს ვიყავით მე და პატარა დათუნა ჩახუტებული, კარგად მოვისიყვარულე... ფაქტობრივად, რა მოხდა, იცი? ჩემი დათუნას სული ჩასახლდა ამ პატარა ანგელოზში და მომეფერა... ქობალიას სასამართლო პროცესზე კი ხილვა მქონდა: უზენაესი სასამართლოს იმ დარბაზს ერთ მხარეს ფანჯრები ჰქონდა. მე ქობალიასგან მოშორებით ვიჯექი. უეცრად ზემოთ, კუთხისკენ ავიხედე და ვხედავ — დათო დგას... მხოლოდ წელს ზემოთ ჩანდა... ტუჩის კუთხეში იცოდა ღიმილი და მაშინაც ასე გამიღიმა, თან ტუჩითან თითის მიტანით მანიშნა, ჩუმად იყავიო. გაოგნებისგან გავშეშდი. მერე ქობალიას გახედა და ორჯერ, — მოგიტევე, შე ფარჩაკო ქობალიავ, მოგიტევეო, — უთხრა... მერე მიაყოლა: გაპატიე, შე ფარჩაკო, გაპატიეო, — და გაქრა... ქობალიას უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა ელოდა, მაგრამ გააუქმეს და სასჯელიც შეიცვალა. ხედავთ?.. არ უნდოდა დათოს, მის გამო ვინმე მოეკლათ!.. კიდევ ერთი უცნაური რამ მოხდა: დათოს საფლავზე შვიდფერა ყვავილმა იხარა და გამრავლდა, — ალბათ ქარმა თუ მოიტანა თესლი სხვა საფლავიდან. ცისარტყელას ყველა ფერი აქვს შვიდფერას და ყვავილობისას გეგონება, სიმღერას მღერიან საფლავზეო. საოცარი, იცი, რა არის?.. დათოს საფლავზე გამრავლებულმა ყვავილმა ბოლნური ჯვრის ფორმა მიიღო... დათოს საცოლეს, დიანას დაესიზმრა, თითქოს დათოსთან ერთად დათოსსავე საფლავზე ავიდა; ძმათა სასაფლაოს წმინდა გიორგის ეკლესია ჯერ კიდევ არ იყო პერანგში და მხოლოდ აგურით იყო ნაშენი. სიზმარში დათოს დიანასთვის უთქვამს, — ამ ეკლესიას ბოლნისის ქვა როგორ დაამშვენებდაო!.. დიანამ სიზმარი მიამბო და მეორე დღესვე ჩემი უფროსი ქალიშვილის, თამრიკოს მეუღლესთან ერთად წავედი ბოლნისში, იქაური ნათესავის დახმარებით, სამტეხლოდან ბაზალტის ქვა წამოვიღე და ეკლესიის მშენებლობის საქმის მწარმოებელს ავუტანე, — იქნებ იატაკის კუთხეში მაინც ჩაამონტაჟოთ-მეთქი. მშენებლობის უფროსმა პირჯვარი გადაიწერა და ეკლესიის გვერდით გაგვიყვანა, — შეხედეთ ამ ფილებს; ეკლესიის პერანგისთვის ამ დილით ჩამოიტანეს ბოლნისიდანო. ბაზალტის კი არა, სწორედ ის ბოლნისის ქვა იყო, რომელიც დათომ სიზმარში ახსენა... კიდევ ბევრი უცნაური ამბავი დაუკავშირდა დათოს და ეს ამბები პატრიარქს რომ ვუამბე, ბრძანა: ამას სასწაულებს ვუწოდებდი — ღვთიური ბიჭი გყოლიათ შინო... ერთ-ერთ ცნობილ ჟურნალისტს, დათოს დასაფლავების შემდეგ, იცი, რა უთქვამს? — კი მაგრამ, რა გააკეთა ამ 24 წლის ბიჭმა ისეთი, რომ პატრიარქმა სიონის ტაძრიდან გაასვენა, სიკვდილის შემდეგ, გორგასლის ორდენით დააჯილდოეს და პანთეონში დაასაფლავესო?!. მეორე, კიდევ უფრო ცნობილმა ჟურნალისტმა ირონიით მიუგო: მოგკლან შენც ისე მოწამებრივად და გარანტიას გაძლევ, მე გაგასვენებ სიონიდანო...

მთელი სიყვარული ჩააქსოვა თავის ნამუშევარში

P.S. ვაშინგტონში, თეთრი სახლის წინ, ჰილარი კლინტონის ინიციატივით, აღმართულია ცხელ წერტილებში დაღუპული ჟურნალისტების მემორიალი. პოსტსაბჭოური სივრციდან მხოლოდ დათო ბოლქვაძის სახელია მასზე ამოტვიფრული... ■

დასაწყისი იხ. გვ. 8

ოკუპირებული ზონა

რიგდება, მაგრამ სინამდვილეში, ასე არ ხდება. რუსული პასპორტი ყველამ რომ მიიღოს, ეს უმუშევარი და გზას აცდენილი ახალგაზრდობა რუსეთს მიაწყდება. მათ კი თავიანთი უსაქმურები და ყაჩაღებიც თავზე საყრელად ჰყავთ... ჩვენი პასპორტით კი, ნაურუსა და კონგოში თუ წავიდოდით მხოლოდ, რადგან აფხაზეთის დამოუკიდებლობა მხოლოდ მათ

გვითხრეს, ხვალ შუადღემდე აქ მოგიწევთ დგომაო...

ცნეს. თუმცა ამ ქვეყნებში წასვლა ჩვენ არაფერს მოგვცემს, ამიტომაც, არ ველოდები იმ დღეს, როცა ჩვენ შორის თუნდაც საჰაერო მიმოსვლა იქნება. ნაურუ-აფხაზეთისა და კონგო-აფხაზეთის რეისებს არც აფხაზები ელოდებიან და მართალი გითხრათ, ამით არც ბიზნესდაინტერესება და არც რაიმე სხვა ინტერესი არსებობს.... მართალია, აფხაზეთში ქართველის, როგორც მტრის ხატი, ჯერ კიდევ ძლიერია, მაგრამ თუ საქართველოს ხელისუფლებამ ეს დაპირება რეალობად აქცია, ნეიტრალური პასპორტების აღების მსურველები ნამდვილად იქნებიან.

ირმა, *47 წლის, ბიჭვინთის მკვიდრი:*

— ამ პატარა რეგიონში მხოლოდ 3 ქალაქის მოსახლეობა ცხოვრობს ნორმალურად, თუმცა ესეც პირობითადაა ნათქვამი, რადგან ტურისტებისა და დამსვენებლების დაყაღაჩაღება ჩვეულებრივი რამ არის. აქაურობა კლანური ბიზნესით იმართება, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ვინმეს საოჯახო ბიზნესს ეწევა, სახლს აქირავებს და თავისი რესტორანი აქვს, მეორე ცდილობს, მას ტურისტული სეზონი ჩაუშალოს: ქირაობს შეიარაღებულ პირებს და მეზობლისა თუ უბნელის ბიზნესის ჩასაშლელად მათ ფულს უხდის. ასეთი შემთხვევა მახსოვს: ერთმა კაცმა მეზობლის უბანში წყალი მოწამლა, რათა ტურისტები დაეფრთხო. 3 წლის რუსი გოგონა ისე ცუდად გახდა, პირდაპირ მოსკოვში გადააფრინეს და რამდენიმეთვიანი მკურნალობა დასჭირდა... ასე რომ, აფხაზეთში მოსახლეობის უმეტესობა ისეთ სიღატაკეში ცხოვრობს, რომ ხალხი თვითგადარჩენისთვის იბრძვის და მშიერი ოჯახის დაპურებაზე ზრუნავს. ბევრმა თქვა, — ღმერთმა დამიფაროს, ქართველების პასპორტი ავიღოო! — მაგრამ მე ამ ხალხის ფსიქოლოგიას კარგად ვიცნობ და ვიცი, რისი გამკეთებლებიც არიან. ომს ისე არ გაუტეხავს აფხაზები, როგორც ომის შემდგომმა წლებმა გატეხა. ისინი ახლა არავის სჭირდებიან. თავად აფხაზებს არ სჭირდებათ აფხაზობა. აქ ნახავთ მტრად გადაკიდებულ აფხაზებს, რომლებსაც ერთმანეთის სასიკვდილოდ გამეტება ძალიან მარტივად შეუძლიათ... მათ, ვისაც მატერიალურად შედარებით არ უჭირთ, სახლებს უწვავენ, რადგან ისინი რუსეთის ხელმძღვანელობით კმაყოფილები არიან. განხეთქილება პოლიტიკურ მხარეებს შორის კი არა, უბრალო ადამიანებს შორისაც არის და ეს ბოლო დროს განსაკუთრებით თვალში საცემი გახდა. შეიძლება, რომელიმე აფხაზი მართლა გადმოვიდეს ენგურს გაღმა, მაგრამ მას თავისივე მეზობელი და ახლობელი გაწირავს და ხელმძღვანელობასთან დაასმენს, ანუ ის აფხაზი, ვინც ნეიტრალურ პასპორტს აიღებს, აფხაზეთში ველარ დაბრუნდება.

ელენა ალექსანდრიდი:

— ერთ დღეს მივქარე და აფხაზური პასპორტით, ფსოუს საზღვარზე გადასვლა მოვინდომე, რათა იქიდან პროდუქტები წამომეღო... სოხუმში პატარა სასურსათო მაღაზია მაქვს. სანამ ენგურის ხიდზე მიმოსვლა გართულდებოდა, ზუგდიდში გადამსვლელ ვაჭრებს ვაბარებდი და მათ მოჰქონდათ პროდუქტი, მერე კი, როცა ვითარება დაიძაბა, საქონლის რუსეთიდან შემოტანა დავაპირე. ქართველებისთვის ფსოუს საზღვარზე წასვლა სარისკო იყო და ვეცადეთ, როლები გაგვეცვალა — ანუ, მე ჩამომეტანა პროდუქტი მათთვის... იქამდე წვალებით მივედი. ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვაჩერებდნენ და ყველგან, როგორც მძღოლს, ისე მგზავრებს ფულს გვართმევდნენ... მძღოლმა გვითხრა, — მე სანდო ვარ, მაგრამ აქ ისეთებიც დადიან, ვინც ამ მილიციასთან წინასწარ არიან შეკრულები და ისეთი გზებით მიჰყავთ მგზავრები, სადაც მათ დახვდებიან და გაყვლეფენო... ფსოუს საზღვართან მისულს, ატირებული ბავშვების, დაღლილ-დაქანცული ქალების, მამაკაცების თვალწვდენელი რიგი დამხვდა. საზღვრის გადაკვეთის მსურველთა ნაწილი პირდაპირ მიწაზე იჯდა, ზოგი — ჩანთაზე ან ხილითა და ბოსტნეულით სავსე ტომრებზე. დაახლოებით ისეთი რიგი იყო, როგორიც ომის დროს — პურის საცხობთან ან მაღაზიასთან... იმავე დღეს დავბრუნდით მე და ჩემი მეუღლე უკან, ვინაიდან გვითხრეს, ხვალ შუადღემდე აქ მოგიწევთ დგომაო... ჩემს ქართველ ბიზნესპარტნიორებს ვთხოვე, — ტაქსის ფულსაც მე დაგიმატებთ და იქნებ როგორმე ისევ საქართველოდან ჩამომიტანოთ საქონელი, საქმე მივარდება-მეთქი. ახლა ისევ შემოვლითი გზებით დავატარებ საქართველოდან სურსათს.

— ქართულ პროდუქტს აფხაზები ყიდულობენ?

— დიახ, შინაურებზე ვყიდი, უცხოებისთვის კი თურქული, რუსული და ბულგარული პროდუქტი მაქვს... პირადად ჩემთვის, ნეიტრალური პასპორტით სარგებლობა ძალიან კარგი შეღავათი იქნება და მოუთმენლად ველოდები შემოდგომას. როგორც კი დაიწყება გაცემა, მაშინვე ჩამოვალ და ავიღებ... აფხაზეთის ხელმძღვანელობის შეკითხვაზე პასუხიც მაქვს: ბიზნესის გაფართოებას ვაპირებ და საქონელი თურქეთიდან და დუბაიდანაც უნდა შემოვიტანო.

აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელმძღვანელობამ ქართული მხარის შეთავაზებას სატყუარა უწოდა და ადგილობრივი მოსახლეობა გააფრთხილა, რომ ყველა დაინტერესებული პირი მკაცრი კონტროლის ქვეშ იქნება აყვანილი, და მოუწოდა, ამ ნაბიჯის გადადგმისგან თავი შეიკავოს. გავრცელებული ინფორმაციით, შესაბამისი სამსახურები აქტიურად იზრუნებენ იმ მოქალაქეთა გამოსააშკარავებლად, ვინც საქართველოს მთავრობის მიერ შეთავაზებული პასპორტის აღებით დაინტერესდება.

სერგეი შამბა, *დე ფაქტო აფხაზეთის პრემიერ-მინისტრი:*

— საქართველოს ხელისუფლების შეთავაზება, ისევე, როგორც სხვა დანარჩენი, მკვდრადშობილია. ახალი ინიციატივა ცალსახად უარყო ცხინვალმაც. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ამის მიზეზი გვაქვს: ნეიტრალური სამოქალაქო სტატუსის, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები არავის სჭირდება, რადგან მოსახლეობას უკვე აქვს რუსული პასპორტები, რომლის საშუალებითაც უპრობლემოდ გადაადგილდება მეზობელი რუსეთის მთელ ტერიტორიაზე.

■

დაიცავით ბავშვის კანი სისველისგან!

სიახლე "ჩიკოვიტასგან"! - საუკეთესო ხარისხის ბავშვის საფენები

"ჩიკოვიტას" ბავშვის საფენებს ისრაელში კომპანია "PRODUCTS FOR PEOPLE" აწარმოებს, რომელსაც ბავშვების, დიდებისა და ქალის ჰიგიენური საფენების წარმოების 25-წლიანი გამოცდილება აქვს.

2003 წლიდან კომპანია ISO სერტიფიკატის მფლობელია, რაც იმის დასტურია, რომ მისი პროდუქცია საერთაშორისო სტანდარტს აკმაყოფილებს.

"ჩიკოვიტა" ბავშვის მოვლის საუკეთესო საშუალებებს გვთავაზობს, რომლებიც მხოლოდ ბუნებრივ ნედლეულზეა დამზადებული. სწორედ ამიტომ, სხვადასხვა ქვეყნებში მასზე მოთხოვნა მუდმივად იზრდება.

დღესდღეობით კომპანია ბავშვის საფენებს მსოფლიოში ცნობილი არაერთი ბრენდისთვის აწარმოებს. მისი პროდუქცია ევროპის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, აზიისა და წყნარი ოკეანის მრავალ ქვეყანაში იყიდება. "ჩიკოვიტას" ნაწარმი საქართველოშიც უკვე ძალზედ პოპულარულია.

ჩიკოვიტას პროდუქტი მრავალფეროვანია: სველი სანმენდები, შამპუნი, ბადუზანი, საფენქვეშა კანის დამცავი საცხი, ბავშვის ტანის ლოსიონი და ახალი პოზიცია - საფენები.

პატარას კანი ნაზია და იოლად ღიზიანდება, ამიტომ ხარისხიანი საფენი ზაფხულში განსაკუთრებით სჭირდება.

* "ჩიკოვიტას" საფენი მაღალი ხარისხის ნედლეულისგან არის დამზა-დებული. კარგად ატარებს ჰაერს, შესაბამისად, ბავშვის კანი საფენქვეშაც ჩვეულებრივად სუნთქავს.

* საფენი თითქმის 100%-ით იწოვს სითხეს და პატარას ნაზი კანი მუდმივად მშრალია.

* სითხე საფენიდან არ ჟონავს, რადგან მას ელასტიური, რბილი და მოქნილი ბოლოები აქვს

* რაც მთავარია, "ჩიკოვიტას" საფენი არ აღიზიანებს კანს. შესაბამისად ბავშვი, რომელსაც "ჩიკოვიტას" საფენს ახმართ, ყოველთვის ხალისიანი და მშვიდი იქნება.

ასე რომ, იზრუნეთ თქვენი პატარას კომფორტზე, მშვიდ ძილსა და სიმშრალეზე.

"ჩიკოვიტას" ბავშვის საფენები ხელმისაწვდომი ფასითა და მოხერხებული შეფუთვითაც მოგხიბლავთ.

საფენები ახალი შემოსულია "ავერსის" სააფთიაქო ქსელში. საზაფხულოდ კომპანია "ავერსი" ქართველ მომხმარებელს შესანიშნავ სიურპრიზს სთავაზობს: მთელი შეკვრა საფენის შეძენისას საჩუქრად მიიღებთ "ჩიკოვიტას" ბავშვის სველ სანმენდს. თითოეულ პაკეტში 72 ცალი სველი სანმენდია. ის ფაქიზად წმენდს ბავშვის ნაზ კანს და სასიამოვნო სურნელს ანიჭებს. სანმენდი მკვრივი, მაღალი ხარისხის, ბუნებრივი ჰიპოალერგიული მასალისგან არის დამზადებული და ზომიერად გამოხატული ბაქტერიციდული მოქმედებით გამორჩევა. გავლილი აქვს დერმატოლოგიური ტესტირება. ამ სანმენდით ბავშვს შეგიძლიათ გაუწმინდოთ არა მხოლოდ მთელი სხეული, არამედ სახეც. სანმენდი აცხრობს კანის გაღიზიანებას; მასში შემავალი ალოეს ექსტრაქტი კანს გამოშრობისგან იცავს და ნატურალურ pH-ს უნარჩუნებს. სანმენდი ტანსაცმელზე ლაქებს არ ტოვებს.

გაუკეთეთ საჩუქარი თქვენს პატარებს - შეიძინეთ "ჩიკოვიტას" საფენები და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენს პატარას არც სისველე შეაწუხებს და არც კანი გაღიზიანდება!

"ჩიკოვიტას" საბავშვო სერიაში შედის ასევე სველი სანმენდი გელ-ფორმულა. შეფუთვაში 64 ცალი სანმენდია. გამოირჩევა ზომიერად გამოხატული ბაქტერიციდული მოქმედებით, ამშვიდებს კანს და აღადგენს ნატურალურ pH-ს.

ამავე სერიის პროდუქტია საფენქვეშ კანის დამცავი საცხი, რომელიც მაღალი ხარისხის ნატურალური ზეითუნის ზეთისა და აფრიკული შეას ნაყოფის ზეთისგან არის დამზადებული. საცხი საფენქვეშ კანის საიმედო დაცვას უზრუნველყოფს. ამასთანავე, მკვეთრად გამოხატული ანთების საწინააღმდეგო და ანტისეპტიკური მოქმედებაც ახასიათებს. ის ატენიანებს, ამშვიდებს და მთელი დღის განმავლობაში იცავს ბავშვის სათუთ კანს.

ცრემლების გარეშე ბავშვისთვის ბანაობა სასიამოვნო და სახალისო რომ იყოს, "ჩიკოვიტას" დასაბანი საშუალებები გამოიყენეთ."ჩიკოვიტას" კიდევ ერთი პროდუქტია ბავშვის შამპუნი, რომელიც მაღალი ხარისხის ნატურალურ ზეითუნის ზეთზეა დამზადებული, არ აღიზიანებს თვალის ლორწოვანს და არ იწვევს ცრემლდენას, ეს კი ბავშვებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. შამპუნი შეიცავს ვიტამინების კომპლექსს, რომელიც არეგულირებს თავის კანში ნივთიერებათა ცვლის პროცესს. მასში შემავალი აქტიური ნივთიერებები და ვიტამინები აღადგენს კანის ნატურალურ pH-ს და, რაც მთავარია, მისი გამოყენება ახალშობილის დასაბანადაც შეგიძლიათ.

"ჩიკოვიტას" ბავშვის ბადუზანი (ტანის დასაბანი კრემი) არ შეიცავს საპონს და არ იწვევს ცრემლდენას თვალში მოხვედრისას. ისევე, როგორც "ჩიკოვიტას" ყველა პროდუქტი, ისიც ტესტირებულია დერმატოლოგების მიერ. საუკეთესოდ ატენიანებს, არბილებს, იცავს და ამშვიდებს ბავშვის კანს.

"ჩიკოვიტას" ბავშვის ტანის ლოსიონი კანს დიდი ხნით არბილებს და ანოტივებს. ამასთანავე, მასში შემავალი აქტიური ნივთიერებები ანთების საწინააღმდეგო და ანტისეპტიკური მოქმედებით გამოირჩევა. ლოსიონი შეიცავს ვიტამინების კომპლექსს, რომლებიც კანს სიგლუვეს ანიჭებს და აძლიერებს მის დაცვას. ასე რომ, შეიძინეთ "ჩიკოვიტას" პროდუქცია ავერსის და სხვა აფთიაქებში და დაიცავით თქვენი პატარა ალერგისა და კანის გაღიზიანებისგან!



ავერსი გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

„ნუ წყევლი მკვლელსო, — აჩუმებდა ჩემს მეუღლეს რძალი“...

შპს „თბილისის ავტობუსის“ გენერალური დირექტორის მოადგილის, გია წულაძის მკვლელობიდან ერთი წლის შემდეგ, ძალოვნებმა სენსაციური ინფორმაცია გააკრცელეს — მკვლელობის შემკვეთად, მოკლულის მეუღლე, ინგა (ია) წულაძე-ჯვარშეიშვილი ამხილეს და მისი თანამზრახველებიც საკნებში გამოამწყვდიეს. ცნობილია, რომ ზვიად საყვარელიძემ იგი დააკავშირა მკვლელობის უშუალო შემსრულებელს, ზურაბ სოლომონიშვილს, რომელმაც დაკვეთა 5.000 დოლარად შეასრულა. ისიც ცნობილია, რომ ოჯახის მოსამსახურე, ელენე თუშიშვილი მოლაპარაკების უშუალო მონაწილე იყო და შეპირებული თანხაც სწორედ მან მიუტანა შემსრულებელს. დაკავებისას თუშიშვილი 7 თვის ფეხმძიმე იყო. საყვარელიძე წულაძეების მდგმური იყო და გვერდით ეზოში მდებარე მათ ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდა. ელენე თუშიშვილიც ახლობლობდა საყვარელიძესთან.

მოკლული გია წულაძე

თეა ხურცილავა

დაკავებული პირები დანაშაულს აღიარებენ. მართალია, შეკვეთილი მკვლელობის მიზეზად, შურისძიება დასახელდა, მაგრამ არავის დაუკონკრეტებია, თუ რისთვის იძია შური ცოლმა ქმარზე და კილერი რატომ დაიქირავა. ალბათ გამოძიების პროცესში ბევრი დეტალი გაირკვევა. ჯერჯერობით ამაზე მხოლოდ კულუარული ინფორმაცია არსებობს. როგორც შევიტყვეთ, ინგა ჯვარშეიშვილს საყვარელი მამაკაციც ჰყავდა და წულაძის მკვლელობიდან რამდენიმე თვეში სწორედ მასთან გადავიდა საცხოვრებლად. ჩვენი ინფორმაციით, ძალოვნებმა ისიც პატიმრობაში აიყვანეს, თუმცა წულაძის მკვლელობასთან მის დაკავებას კავშირი არა აქვს: ამბობენ, როცა ჯვარშეიშვილის დაკავების შემდეგ საცხოვრებელ ბინაში ჩხრეკა ჩატარდა, იქ იარაღი ამოიღეს და სწორედ ეს აქვს მის საყვარელ მამაკაცს ბრალად წაყენებულიო. ინგა ჯვარშეიშვილს თან წაუყვანია უმცროსი ქალიშვილი, 13 წლის გოგონა, რომელიც ახლა, დედის დაკავების შემდეგ, დასთან გადავიდა საცხოვრებლად.

მოკლული გია წულაძის მამა, ბატონი ბეჟან წულაძე წუხს, რომ შვილი რძალმა მოუკლა. მისი თქმით, წლების წინ წყვილი სიყვარულით შეუღლდა და 25 წელი ცხოვრობდა ერთად.

ბეჟან წულაძე:

„გია 20 წლის იყო, როცა ტელეფონით გაიცნო ია. ერთმანეთს შეხვდნენ და 15 დღეში შეირთო ცოლად. რაჭაში, ნათესავებთან წაიყვანა. თბილისში 3 დღეში დაბრუნდნენ. სტუდენტობის დამთავრებამდე ჩვენთან ცხოვრობდნენ. პირველი ტკივილი — პირველი შვილის გარდაცვალება იყო. მშობიარობიდან მეორე დღეს ბავშვი გარდაიცვალა, ფილტვი არ გაეხსნა. ამას ყველანი განვიცდიდით. შემდეგ, ხატია გაჩნდა და სიტუაცია შეიცვალა. ხატია დღეს 2 შვილის დედაა... მესამე ბიჭიც გაჩნდა, მაგრამ ისიც მეორე დღეს გარდაიცვალა. მერე გოგონა გაჩნდა. ის ახლა 13 წლისაა... იას მძიმე ხასიათი ჰქონდა. შვილების სიკვდილის შემდეგ უფრო გაუფუჭდა ხასიათი. ჩვენთან, გიას მშობლებთან, კონტაქტი იშვიათად ჰქონდა. ისინი ცალკე ცხოვრობდნენ და ხშირად შვილიშვილის გასეირნების უფლებასაც არ მაძლევდა. ჩემს შვილს ცოლი ძალიან უყვარდა და ეს მისი სიკვდილის შემდეგ მისი სამუშაო კაბინეტიდან ამოღებული ჩანაწერებიდან ჩანს. იქ წერს, რომ მის გარეშე ცხოვრება არ შეეძლო და რომ ის მისი ოცნების ქალი იყო. მან კი 5.000 დოლარი გადაიხადა და შვილი მომიკლა...“

როგორც ჩანს, თავდაპირველად, ძალოვნები მომხდარ მკვლელობას წულაძის სამსახურებრივ საქმიანობას უკავშირებდნენ. სამსახურში ფინანსური პოლიცია შევიდა და დარღვევებიც აღმოაჩინა. როგორც ბატონი ბეჟანი ამბობს, 12 პირი იყო დაკავებული, მაგრამ არც ერთი მათგანი დღეს პატიმრობაში აღარ არის, გაათავისუფლეს და ნაწილთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდა. გაირკვა, რომ მკვლელობა მის საქმიანობას არ უკავშირდებოდა. ამბობენ, რომ დანაშაული სწორედ მისი კაბინეტიდან ამოღებული დღიურის წყალობით გაიხსნა: იქ ცოლ-ქმრის ურთიერთობაზე ბევრი ეწერა. *„იქნებ მერჩია, ტყუილში მეცხოვრა, ვიდრე ის მომესმინა, რაც შენ მითხარი. ეს რატომ მითხარი, ჩემი განადგურება გინდოდა მთლიანად?“* — წერდა 2001 წლით დათარიღებულ ჩანაწერში გია წულაძე; მის დღიურში ის პრობლემაცაა ნახსენები, რომელიც არსებობდა. თუმცა ამის თქმისგან ჯერჯერობით, გამოძიების დასრულებამდე, თავს შევიკავებთ. მართალია, მეზობლები ამბობდნენ, რომ ცოლ-ქმრის ჩხუბი არ გაუგონიათ და ისინი მოსიყვარულე წყვილის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, მაგრამ გაირკვა, რომ მთლად ისე არ იყო საქმე, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანდა...

„გიამ სმა დაიწყო. ვამტყუნებდი. რა ვიცოდი, სახლში ასეთი პრობლემა რომ ჰქონდა?! ჩემმა შვილმა მიკროინფარქტიც გადაიტანა. ცოტა ხნით სახლიდანაც იყო წამოსული და ჩემთან ცხოვრობდა. მერე პატარა გაჩნდა, შერიგდნენ და ვიფიქრეთ, სიტუაცია დალაგდა-თქო. ძალიან კარგი ხასიათი ჰქონდა გიას, სიმთვრალეში უფრო მოსიყვარულე იყო“, — ამბობს ბეჟან წულაძე და იმ მძიმე დღეებსაც იხსენებს, როცა შვილის ცხედარს დასტიროდნენ: *„ცოლს ერთი ცრემლი არ ჩამოვარდნია თვალიდან. თუმცა ჩემს მეუღლეს ეუბნებოდა, — შენ 20 წელი უვლიდი და გაზარდე, მე კი 25 წელი ვუარეო!.. როგორ მოუარა, ხომ ვნახეთ... გამწარებული დედა მკვლელს წყევლიდა, ის კი აჩუმებდა და ეუბნებოდა, — ნუ წყევლიო. ალბათ არ უნდოდა, მოესმინა, როგორ წყევლიდნენ მას, ეკლესიას იშველიებდა და, — ასე არ შეიძლებაო... სანამ სეიფიდან ჩანაწერები ამოიღეს, მასზე ეჭვი არ მიგვიტანია. ერთი წელი გავიდა და გადამეწურა იმედი, რომ ჩემი შვილის მკვლელს დაიჭერდნენ, მაგრამ გაირკვა, რომ ისინი მუშაობდნენ, ფაქტები „დაალაგეს“ და ისე აიყვანეს დამნაშავეები. მადლობის მეტი რა მეთქმის“.*

ბატონი ბეჟანის თქმით, მისი შვილის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვეში ია ჯვარშეიშვილმა უფროს ქალიშვილს უთხრა, რომ მის საყვარელ მამაკაცთან გადადიოდა საცხოვრებლად და რომ თან წაიყვანდა 13 წლის შვილს. არის თუ არა კავშირში მომხდარ მკვლელობასთან საყვარელი მამაკაცის არსებობა, ამას ალბათ გამოძიება დაადგენს. თუ ერთად ცხოვრებას ვერ ახერხებდნენ, რატომ არ დასცილდნენ ისინი ერთმანეთს და საქმე რატომ მივიდა შეკვეთილ მკვლელობამდე, — ჯერჯერობით უცნობია. თუ ჩანაწერებს დავეყრდნობით, შესაძლოა, გია წულაძე საყვარელ ქალს ვერ თმობდა. წერდა, რომ ყველაფრის მიუხედავად, უყვარდა... ბეჟან წულაძე ადასტურებს, რომ ოჯახში ძალადობა არ ყოფილა. ისიც ცნობილია, რომ ია ჯვარშეიშვილს დიდი ვალები ჰქონდა, თუ რა მიზეზით — ესეც გამოძიების პროცესში გაირკვევა. ერთ-ერთი ვერსიით, შესაძლოა, მკვლელობის დაკვეთის შემდეგ ვინმე აშანტაჟებდა. როგორც შევიტყვეთ, დაკავების შემდეგ მის ქალიშვილს მევახშეები მიადგნენ და უთხრეს, რომ იას 90.000 ლარის ოქროული ჰქონდა „ჩადებული პროცენტში“ და თუ არ გადაიხდიან, ეს ქონება დაეკარგებათ. შვილის მკვლელობის შემდეგ ჯანმრთელობა შეერყა გია წულაძის დედას, მკვლელობაში რძლის მხილებამ კი მისი მდგომარეობა დაამძიმა და რამდენიმე დღის წინ გარდაიცვალა... ■

„მსოფლიო დეტექტივების სეიფი“
ყოველ ორშაბათს! ჟურნალ „რეიტინგთან“ ერთად
თითო კრიმინალური საქმე!
მსოფლიო დეტექტივების სეიფი
საქმე №6
19 - დან 26 ივლისამდე
ეფექტურად ანგარიშსწორება
როს მაკდონალდი
კვალს მივყავართ ელ რანჩოში
საქმე №5
ჯადსონ ფილიპსი
• სახლი მთაზე
• ჭორების ქალაქი
საქმე №7
26 ივლისიდან
ჯონ დიქსონ კარი
• იმპერატორის საბურნუთე
• სიკვდილი არარსებულ ოთახში
ფასი 2 ლარი!
(ჟურნალთან ერთად 3 ლარი)
უკვე გამოსული წიგნები - საქმე №1 , №2 , №3 და №4
(ჯეიმს კედლი ჩეიზი, ართურ კონან დოილი, სიდნეი შელდონი და ჯადსონ ფილიპსი)
შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში

სახე

ქალაქგარეთ „ჩავლებული“ და ყველაზე მაგარი პროფესიის მქონე

ანუ სად „ინახავს“ გოგა ბარბაქაძე როლებს?

გოგა ბარბაქაძესთან ინტერვიუს ჩაწერა, მისი მოუცლელობის გამო, რამდენჯერმე გადაიდო. როცა ლამის ხელი ჩავიქნიე მასთან შეხვედრაზე, მოულოდნელად კახეთში, ნეკრესში შევხვდი, სადაც „ლამის შოუს“ სტუდიის რამდენიმე მსახიობს ექსკურსია მოეწყო. ამით ვისარგებლე და სასწრაფოდ დავურეკე. გოგა გულწრფელად შეწუხდა, — რა ვქნა, ახლაც არა ვარ ქალაქშიო... რომ გაიგო, იქვე ვიმყოფებოდი, — ამდენ ხანს გემალებოდი და მაინც მომაგენიო?!. — შეიცხადა. გულწრფელობის „ტესტის“ წარმატებით „ჩაბარების“ გამო, იმ დღეს დავინდე და ინტერვიუსთვის არ შემიწუხებია. სამაგიეროდ, პირობა მომცა, რომ ქალაქში ჩამოსვლისთანავე, უეჭველად შემხვდებოდა.

ინტერვიუს დროს გამიმხილა, რომ ჟურნალისტებთან ურთიერთობისას თურმე ძალიან იძაბება, ამიტომ ცოტას ლაპარაკობს...

ელენე გასილიძე

— გოგა, „ლამის შოუს“ სტუდიის წევრები ხშირად დადიხართ ქალაქგარეთ უქმე დღეებში?

— არა, ერთხელ ვიყავი და მაშინაც „ჩამავლე“ (*იღიმის*). ქალაქგარეთ ხშირად გასვლის დრო არ გვაქვს, ხანდახან ვცდილობთ, გავეცალოთ აქაურობას.

— მინდოდა, პირველ რიგში, მსახიობობაზე გვესაუბრა...

— მსახიობობა პატარაობიდანვე მინდოდა. როგორც ყველა ბავშვი, მეც რაღაცებს ვიგონებდი, ვთამაშობდი, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს ვბაძავდი... დროთა განმავლობაში, მსახიობობის სურვილი უფრო „გამირთულდა“ და გამიმძაფრდა. საბოლოოდ კი ამ „გართულებულმა“ სურვილმა თეატრალურ უნივერსიტეტში ჩამაბარებინა. ინსტიტუტამდე, ახალგაზრდულ თეატრ „ბერიკებში“ დავდიოდი. მაშინ დაახლოებით 13-14 წლის ვიყავი. სწორედ იქ ვითამაშე პირველი როლი. მახსოვს, მონადირის როლი შევასრულე... „ბერიკებში“ ძალიან დამეხმარნენ და ხელი შემიწყვეს, რომ ჩემი მსახიობური გამოცდილება გამდიდრებულიყო. ოცნების ასრულება რომ შევძელი, ეს ახალგაზრდული თეატრის დამსახურებაა. პირველივე წელს წარმატებით ჩავაბარე; რომ ჩავჭრილიყავი, არ ვიცი, რას მოვიმოქმედებდი. შეიძლება, მომდევნო წელს თეატრალურში ბედი აღარც მეცადა და სხვა პროფესია ამერჩია (*იღიმის*). ინსტიტუტში დიდ პედაგოგთან და რეჟისორთან — შალვა გაწერელიასთან მოვხვდი; უდიდესი ადამიანია, რომელმაც მსახიობის „ხელობა“ მასწავლა... დღემდე, დროთა განმავლობაში, გზადაგზა ვპოულობ იმ თვისებებს, რომლებიც ბატონმა შალვამ გამიღვივა და მიხარია. დარწმუნებული ვარ, „პოვნის“ ეს პროცესი კიდევ დიდხანს გაგრძელდება... პირველად, რუსთაველის თეატრის სცენაზე რომ დავდექი, დიდმა სცენამ და ბევრმა მაყურებელმა გამაოგნა... ფარდა რომ გაიხსნა და ხალხის გუგუნი გავიგონე, რამდენიმე წამით დავმუნჯდი; ისე შემეშინდა, მეგონა, ხმას ვეღარ ამოვიღებდი. მომეჩვენა, რომ ჩემი პაუზა ძალიან დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ დავიწყე თუ არა ტექსტი — ყველაფერი ადგილიდან დაიძრა... ჩემთვის ყველა სპექტაკლი სცენაზე პირველ გამოსვლას ჰგავს; არა აქვს მნიშვნელობა, რამდენჯერ მაქვს ის როლი ნათამაშები, ყველა სპექტაკლის დროს ძალიან ვნერვიულობ. ხშირად მეუბნებიან, — რა განერვიულებს, ვერ ხარ შენ კარგადო?.. სულაც არ მინდა, ვნერვიულობდე, მაგრამ არ გამომდის... ალბათ ეს ნერვიულობაც მეხმარება რაღაცაში...

ჩემთვის ყველა სპექტაკლი სცენაზე პირველ გამოსვლას ჰგავს

— დღეს ორ — რუსთაველის და „თავისუფალ თეატრში“ მუშაობ...

— კი, „თავისუფალ თეატრში“ ამ

ბოლო დროს ისევ დავბრუნდი. ნიკო გომელაურის გარდაცვალების შემდეგ, ავთო ვარსიმაშვილმა „კავკასიური ცარცის წრეში“ შემომთავაზა აზდაკის როლი, რომელსაც მანამდე ნიკო თამაშობდა... ადრე, „თავისუფალ თეატრში“ „ტელემისტერიაში“, „დონ ჟუანსა“ და კიდევ რამდენიმე სპექტაკლში ვთამაშობდი. სამწუხაროდ, 2 თეატრს ერთმანეთს ვერ ვუთავსებდი და დროის სიმცირის გამო, „თავისუფალი თეატრის“ დატოვებამ მომიწია. ძალიან კარგია იმ თეატრში დაბრუნება, სადაც წლების განმავლობაში ვთამაშობდი. ახლა „თავისუფალ თეატრში“ მხოლოდ ერთ სპექტაკლში ვითამაშებ და იმედია, ყველაფერს მოვასწრებ.

— შენი აზრით, მსახიობები ყველაზე მეტად, რითი განსხვავდებიან სხვა პროფესიების წარმომადგენლებისგან?

— ჩვენ მეტად გამძაფრებული გვაქვს ამა თუ იმ ფაქტისა და მოვლენის მიმართ რეაქცია და ემოცია... ბევრ ადამიანს ვთამაშობ; შეიძლება, ხან მკვლელი ვიყო, ხან — შეყვარებული და ხანაც — ძაღლი. სხვა პროფესიის ადამიანები კი მხოლოდ ერთი ადამიანის ცხოვრებით ცხოვრობენ. ჩვენი ცხოვრება ძალზე მრავალფეროვანია. საერთოდ, მსახიობები სულ ვფიქრობთ და სადღაც ვართ „გასულები“ (*იცინის*)... იცი, ბევრს უთქვამს, რომ მსახიობობა სურს. ამიტომაც მგონია, რომ ყველაზე მაგარი პროფესია ავირჩიე (*იცინის*).

— ხომ არ ფიქრობ, რომ ქართველებში გენეტიკურად დევს მსახიობური ნიჭი?

— ქართველები რომ ძალიან ნიჭიერი ერი ვართ, დარწმუნებული ვარ. საერთოდ, სცენისკენ ლტოლვა გვახასიათებს. აი, თუნდაც ესტრადა ავიღოთ: ნიჭიერსა თუ უნიჭოს — ყველას სიმღერა და სცენაზე დგომა უნდა. დიდი ემოცია უგროვდებათ და უნდათ, სადმე დახარჯონ, სცენა კი ამის საშუალებას აძლევს. სცენაზე დგომას მე, მანქანით დიდი სისწრაფით მოძრაობას ვადარებ — ორივე დიდ „ადრენალინს“ გაგრძნობინებს, ბევრ ენერგიას ხარჯავ და მაყურებლისგანაც საპასუხო ენერგიას იღებ. ამას ვერაფერი შეედრება... ნიჭი გვაქვს და რაღაცები ძალიან კარგად გამოგვდის; ცუდი კი ის არის, რომ ძალიან ზარმაცები ვართ და თუ რაიმე არ გამოგვდის — ეს მხოლოდ სიზარმაცის ბრალია.

— მიგაჩნია თუ არა, რომ საკუთარი თავის რეალიზებას ახერხებ?

— არა, ჯერ კიდევ ბევრი რამე მაქვს გასაკეთებელი იმისათვის, რომ ვთქვა: საკუთარი თავის რეალიზება მოვახერხე-მეთქი. ჯერ საამისოდ არაფერი გამიკეთებია!

— მაყურებელს ყველაზე კარგად, მსახიობის კინოროლები ამახსოვრდება. შენი ბოლო კინონამუშევარი — „ოცნების ქალაქში“ შესრულებული ბარმენია. როგორ გაიხსენებ გადაღების პერიოდს?

— ძალიან საინტერესო და კარგი ადამიანების გარემოცვაში მოვხვდი. ადრე არ ვიცნობდი ამ გადამღები ჯგუფის წევრებს, პირველად შევხვდი რეჟისორ დათო იმედაშვილსაც... სამუშაო პროცესი საკმაოდ მოწესრიგებული იყო. მართალია, მე მხოლოდ 1 კვირა მქონდა გადაღებები, მაგრამ მშვენიერი დრო გავატარე გადასაღებ მოედანზე (*იღიმის*).

— ფილმში — „ყველაფერი კარგად იქნება“ — სახასიათო როლის შესრულებამ მოგიწია...

— როგორც ცნობილია, ამ სურათს ინდოეთში ვიღებდით და ასეთ დროს სამუშაო პროცესი ათმაგად უფრო საინტერესო ხდება: ბევრ რამეს სწავლობ: სხვა ხალხია, სხვა კულტურა... ყოველდღე ახალ-ახალ ადამიანებს ვპოულობდი. ბევრი ისეთი ადამიანი შემხვდა, შეიძლება, მისი მსგავსი ტიპი მომავალში რომელიმე როლისთვის გამოვიყენო... მაშინ ნიკო გომელაურიც ჩვენ გვერდით იყო. მე და ნიკო კარგად ვუგებდით ერთმანეთს და კარგ დროსაც ვატარებდით. ნიკო ჩემი მეჯვარე იყო, მისი მეუღლე კი — ჩემი ბავშვის ნათლიაა... საერთოდ, ყველაფერი კარგად მაგონდება, რაც კი ნიკოს უკავშირდება. გოაში კი, ნიკოსთან ერთად, სანდრო მარგალიტაშვილი, ჯაბა კილაძე და უამრავი არაჩვეულებრივი ადამიანი იყო.

ამ სურათს ინდოეთში ვიღებდით და ასეთ დროს სამუშაო პროცესი ათმაგად უფრო საინტერესო ხდება

— იოლად მოირგე სომეხი კაცის როლი?

— არც ერთი როლის შესრულება არ არის იოლი, პატარა როლზეც ბევრი მუშაობაა საჭირო... მგონი, გამომივიდა სომეხი კაცის სახე. სულ სახალისო სიტუაციაში ვიყავით, დღე არ გავიდოდა, რაიმე არ გვემაიმუნა, თუმცა ახლა არც ერთი არ მახსენდება (*იცინის*)... საერთოდ, გადაღებებსა და რეპეტიციებზე ძალიან მიყვარს „ხულიგნობა“ — სხვებს პატარ-პატარა ოინებს ვუწყობ ხოლმე. კიდევ კარგი, ყველა კარგად იღებს ჩემს მაიმუნობას. დღემდე არავინ განაწყენებულა (*იცინის*)...

— რამდენად იოლია, მსახიობი დაიშტამპოს და რომელიმე პერსონაჟის „ტყავიდან“ ვერ გამოვიდეს?

— არ ვიცი, მე პირადად, ჯერ-ჯერობით ასეთი რამ არ მომსვლია,

ჩემი მეუღლე ხშირად მეჩხუბება, — სულ ცუდ ხასიათზე ხარო

არ დავშტამპულვარ (*იღიმის*)... ჩემი როლების „შესანახად“, სპეციალური ადგილი მაქვს გამოყოფილი: ეს არის სცენა ან გადასაღები მოედანი და მის მიღმა, პერსონაჟების ხასიათი და მიმიკა არასოდეს გამომაქვს. ხშირად უთქვამთ, რომ მე თურმე ზუსტად ისეთი ვარ ცხოვრებაში, როგორიც დათო ალექსიძეა. ამაზე მეცინება ხოლმე. დათოსნაირი ნამდვილად ვარ, ოღონდ — გარეგნულად... საერთოდ, ცხოვრებაში ნაკლებად ვხუმრობ. ჩემი მეუღლე ხშირად მეჩხუბება, — სულ ცუდ ხასიათზე ხარო! ვიღლები და იმიტომ... სახლშიც რომ ისევე ვხუმრობდე, როგორც ეკრანზე — ეს ნამდვილად, არ შემიძლია.

— რას ურჩევ შენზე ახალგაზრდა მსახიობებს?

— პირველ რიგში — წარმატებას ვუსურვებ! ვურჩევ, იყვნენ მონდომებულები და ყველაფერი (*კარგი!*) გააკეთონ წარმატების მისაღწევად. ყველა მსახიობი და მსახიობობის მსურველი ადამიანი ძალიან მიყვარს, რადგან ეს საქმიანობა დიდ გმირობას ითხოვს... ახალგაზრდა მსახიობებს იღბალსაც ვუსურვებ და წარმატებასაც! ■

თბილისისთვის „უვარგისი“ „გულახდილი“ კაბები, „ჭრელი კუპალნიკი“ და ფუფაოებით „გაზავებული“ რეპეტიციები

ალბათ ყველა ჩემი კოლეგა დამეთანხმება — როგორც კი ზაფხული დადგება, ცნობილ ადამიანებთან ინტერვიუზე შეთანხმება ჭირს, რადგან მათი უმეტესობა თბილისის სიცხეს გაურბის და დასასვენებლად მიემგზავრება. გადავწყვიტე, რამდენიმე მათგანს ტელეფონით დავკავშირებოდი და გამეგო, თუ სად და როგორ ისვენებენ.

ნათია ჟვიტიძე

თიკო სადუნიშვილი:

— სიმართლე რომ ვთქვა, დასვენება მთაშიც მიყვარს და ზღვაზეც. თუმცა, თუ ორივე ერთად არის, მაგას რა სჯობია?! მაგალითად, ვგიჟდები გონიოსა და კვარიათზე. მიუხედავად ამისა, ამჟამად ბათუმში ვიმყოფები, რადგან მთელი ზაფხულის განმავლობაში მუშაობა მომიწევს: „თბილისი ლაივის“ ნაცვლად, „ბათუმი ლაივი“ გავა ეთერში. ვეცდები, მუშაობა და დასვენება ერთმანეთს შევუთავსო.

— მერე, ეს რთული არ იქნება?

— რა თქმა უნდა, რთულია, მაგრამ რას ვიზამ. საბედნიეროდ, აქტიური დასვენება მიყვარს ძალიან და სწორედ ასეთი ზაფხული მექნება. მართალია, ხალხს ჰგონია, რომ „ქლაბერობა“ ძალზე მარტივია და მხოლოდ ვერთობი, მაგრამ დამერწმუნეთ, ეს დიდ შრომასთან არის დაკავშირებული.

— რომელიმე მეგობარი შენ გვერდით თუ იმყოფება, რომ თავისუფალ დროს მასთან ერთად გაერთო?

— „ჩიბურაშკა“ არა ვარ, რომ მეგობარი არ მყავდეს, უამრავი მეგობარი მყავს. თანაც ჩემს შემოქმედებით ჯგუფთანაც ვმეგობრობ და მათ გარემოცვაშიც არაჩვეულებრივად ვერთობი.

— ახლა ბათუმში უკვე აქტიური ცხოვრებაა?

— შენ წარმოიდგინე, არც ისე. რომ ჩამოვედი, პირველი რამდენიმე დღე თითქმის არავინ იყო და ყველა კლუბში მხოლოდ ადგილობრივი მცხოვრებლები ერთობოდნენ. ახლა კი უკვე ჯაზფესტივალი დაიწყო და თბილისიდან უამრავი ადამიანი ჩამოვიდა. დარწმუნებული ვარ, აგვისტოდან აჭარას კიდევ ბევრი ადამიანი ეწვევა.

— თბილისიდან რომ წახვედი, უკვე გარუჯული იყავი. ახლა ისევ ეფიცხები მზეს?

— რა თქმა უნდა! სოლარიუმის ნარუჯს ნატურალური მზის სხივების „ზაგარი“ დაემატა და ამით კმაყოფილი ვარ.

— დასასვენებლად გამგზავრებამდე ალბათ გარდერობის განახლებაზეც ზრუნავ ხოლმე...

— რასაკვირველია. ამჯერადაც განვაახლე გარდერობი, თუმცა ამ შემთხვევაში, გადაცემის ფორმატიდან გამომდინარე, ჩემს ჩაცმულობაზე ერთ-ერთმა მაღაზიამ იზრუნა. შევიძინე ახალი საცურაო კოსტიუმები და ისეთი „გულახდილი“ კაბები, რომლებსაც თბილისში ვერ ჩავიცვამ.

თიკა ვჩამგურია:

— დასვენება ზღვაზეც და მთაშიც ერთნაირად მიყვარს. მთავარია, კარგ გარემოში ვიყო. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ივლისია, გარკვეულწილად, დასვენება უკვე მოვასწარი. 10 დღე ბათუმში ვიყავი, მერე კი ჯგუფელ გოგონებთან ერთად, ერთი კვირით სიონში ავედით. სხვათა შორის, სიონში პირველად მოვხვდი და აღფრთოვანებული დავბრუნდი იქიდან. ძალიან მომეწონა. ამჟამად, წყნეთში ვიმყოფები, ჩვენს აგარაკზე. აგვისტოს დასაწყისში კი მეუღლესთან ერთად, საბერძნეთში, კუნძულ კრეტაზე გავემგზავრები, სადაც მეგობარმა დაგვპატიჟა.

— საბერძნეთში პირველად მიდიხარ?

— არა. 2 წლის განმავლობაში დავდიოდი იქ დასასვენებლად და ძალიან რომ მომეწონა, ახლაც იმიტომ მივდივართ.

— სხვა ქვეყანაში თუ ყოფილხარ, დასვენების მიზნით?

— საზღვარგარეთ, ძირითადად, საქმიანი ვიზიტებით ვყოფილვარ, თუმცა მეუღლესთან ერთად, თაფლობის თვის გასატარებლად დუბაიში ვიყავი და იქაური გარემოც ძალიან მომეწონა.

— დასასვენებლად წასვლამდე, გარდერობის განახლებაზე ზრუნავ ხოლმე?

— რომ გითხრა, სპეციალურ „შოპინგებს“ ვაწყობ-მეთქი, მოგატყუებ. თუ რომელიმე მაღაზიაში ჩემთვის საინტერესო სამოსს წავაწყდები, მხოლოდ ამ შემთხვევაში ვყიდულობ. საცურაო კოსტიუმების შეძენაზე კი ვზრუნავ.

— რამდენი საცურაო კოსტიუმი გაქვს?

— ვაიმე, არ ვიცი. უამრავი. „ცალ-ცალი“ და ჭრელი „კუპალნიკი“ მომწონს და ასეთებს ვყიდულობ. კიდევ ზაფხულში სარაფნები მიყვარს ძალიან და უამრავი მაქვს. მთელი ზაფხულის განმავლობაში სულ სარაფანი მაცვია, რადგან მასში გრილად და კომფორტულად ვგრძნობ თავს.

ნანკა კალატოზიშვილი:

— სამწუხაროდ, წელს დასასვენებლად ვერსად ვერ მივდივარ, რადგან ახალ სპექტაკლზე ვმუშაობთ და მთელი ზაფხულის განმავლობაში რეპეტიციები გვექნება. საერთოდ კი, ზღვაზე თუ არ წავედი, სხვანაირად, დასვენებას არ ვცნობ.

— ეი. აქტიური დასვენება გიყვარს.

— გააჩნია, როგორი წელი მქონ-



და და როგორ ხასიათზე ვარ. გიჟივით მარტოც წავსულვარ ზღვაზე და არაჩვეულებრივად დამისვენია, თუმცა, რა თქმა უნდა, მეგობრების გარემოცვაში დასვენებაც გადასარევია. სამწუხაროდ, წელს ამას ველარ მოვახერხებ, რადგან ახლა ძალიან მაგარ სპექტაკლზე ვმუშაობთ. დათო დოიაშვილი დგამს „სირანო დე ბერჟერაკს“, სადაც ერთ-ერთ მთავარ როლს ზურა ყიფშიძე თამაშობს. დამერწმუნეთ, დასვენებაზე გაცილებით საინტერესო სანახავია, როგორ მუშაობს ზურა ყიფშიძე როლზე.

— მთელი ზაფხულის განმავლობაში თბილისში უნდა იყო. როგორ ებრძვი აქაურ სიცხეს?

— იმის გამო, რომ რეპეტიციებიდან გვიან საღამოს ვბრუნდები, ვერსად გასვლას ვერ ვახერხებ, მაგრამ სიცხეს თეატრშიც არაჩვეულებრივად ვებრძვით: ბოთლებით ვწუწაობთ და კარგად ვხალისობთ. მოკლედ, ბავშვობას დავუბრუნდით.

კრისტი:

— რატომღაც, დასვენება ზღვაზე უფრო მეტად მიყვარს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქტიური დასვენების მომხრე ვარ. პირიქით, მგონია, რომ სიწყნარეში ყოფნა უფრო კარგია. მომწონს, არაფერზე ფიქრი რომ არ მიწევს, გარდა იმისა, თუ რა დროს უნდა გავიდე პლაჟზე და რა ვჭამო.

— თუმცა, იმის გამო, რომ ცნობილი ადამიანი ხარ, დამსვენებლები ალბათ არ გაძლევენ მშვიდად ყოფნის საშუალებას.

— იცი, რა, ეს საერთოდ არ მაწუხებს. თუ ვინმე მოვა და ფოტოს გადაღებას მთხოვს ან კომპლიმენტს მეტყვის, მსიამოვნებს კიდეც. არ მივეკუთვნები იმ კატეგორიას, ვისაც მსგავსი ფაქტები ანერვიულებს. თბილისშიც ჩვეულებრივად დავდივარ ქუჩაში და სულაც არ მიმაჩნია, რომ პოპულარული ადამიანი ვარ.

— ამ ზაფხულს დასვენებას აპირებ?

— ბათუმში ვიყავი გადაღებაზე რამდენიმე დღე და არაჩვეულებრივად გავერთე. მართალია, წყნარად დასვენება არ გამომივიდა, მაგრამ მაინც კარგი იყო. ახლა ჩემი შვილი ბაკურიანშია წასული დედაჩემთან ერთად. რომ ჩამოვა, ალბათ ლოპოტაში წავალთ და აი, იქ ნამდვილად კარგად დავისვენებ, რადგან არაჩვეულებრივი ადგილია.

— შენს საზაფხულო გარდერობს დიდ ყურადღებას უთმობ?

— რა თქმა უნდა! ამისთვის გაზაფხულიდანვე ვემზადები, რადგან არ მინდა, შარშანდელი საცურაო კოსტიუმი მეცვას. ყოველ წელს ახალს ვყიდულობ. რასაკვირველია, ტანსაცმელსაც ვიძენ.

— საკურორტო რომანებზე რა აზრის ხარ?

— ამის შესახებ არანაირი აზრი არ გამაჩნია, რადგან მსგავს სიტუაციაში არასოდეს აღმოვჩენილვარ. იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დასასვენებლად, ყოველთვის ქმართან ერთად მივდივარ.

— ახლა ხომ არ გყავს ქმარი?!

— არ მყავს, მაგრამ ახლა ჯერ-ჯერობით დასასვენებლადაც არ ვყოფილვარ...

ციყვის დაკარგული სიყვარული, „ვაკური“ სტანდარტების ცხვირი და „სილიკონიან“ ტუჩებთან დაკავშირებული ფილოსოფია

დათო გოგიშვილს პატარაობიდანვე, როგორც თავად ამბობს, „დიადი მიზნები“ ჰქონდა; გრძნობდა, რომ საზოგადოებისა და ქვეყნისათვის სარგებლობის მოტანა შეეძლო, თანაც — არაერთ სფეროში. ამიტომაც აიკრა გუდა-ნაბადი და „დიდ თბილისს“ მოაშურა... ახლა ვერაზე, პეტრიაშვილის ქუჩაზე ცხოვრობს მარტო, დაქირავებულ ბინაში. თვითონ არის საკუთარი თავის დიასახლისიც და კულინარიც. ამბობს, რომ სისუფთავე მისთვის, უმთავრესია. ჯერჯერობით სარეცხი მანქანა ვერ შეიძინა, მაგრამ იმედს არ კარგავს, რომ მალე ისე განვითარდება ტექნოლოგია, პირდაპირ აივნიდან გათოხნის ყანას... მისი საყვარელი კერძია ბორშჩი; ამბობს, რომ „სადოქტორო დაიცვა“ ამ კერძის მომზადებაში. პოლიტიკა უყვარს და ყველაფერს, მათ შორის სიყვარულსაც, ამ კონტექსტში განიხილავს. საყვარელი პოლიტიკოსებიც ჰყავს: ფრანკლინ დელანო რუზველტი, ვაცლავ ჰაველი, ჯოჰარ დუდაევი. მისი საყვარელი გამონათქვამია: „პოლიტიკაში არ არსებობენ მუდმივი მტრები და მუდმივი მეგობრები, არსებობს მუდმივი ინტერესები“...

ნინო მჭედლიშვილი

— დათო, რას საქმიანობ „რუსთავი 2“-ში?

— ამჟამად იუმორისტული გადაცემების („ღამის შოუ“, „კომედი შოუ“, „დაამარცხე ვარსკვლავი“) პროდიუსინგის ჯგუფში ვირიცხები. გარდა ამისა, ვარ პროექტებში — „ნიჭიერი“, „ვის უნდა 20 ათასი“; ვიყავი „ვაბანკში“, რომელიც დაიხურა. ამ პროექტებში რეჟისორის ასისტენტი გახლავართ, დარბაზში გადაღების ხარისხს ვკურირებ. მიწევს მუშაობა მაყურებელთანაც.

— ეკრანზე რატომ არ ჩანხარ?

— „ფარული კამერის“ დახურვისა და შესაბამისად, რუბრიკის — „ციყვი და კვერნა“ — შეწყვეტის შემდეგ, ჩვენმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ჩემი ქმედუნარიანობა უფრო შედეგიანი იქნებოდა პროდიუსინგის მიმართულებით, საორგანიზაციო საკითხებში. უკმაყოფილება არ გამომითქვამს. კი მენატრება კამერასთან მუშაობა, მაგრამ მაყურებლისთვის თავის მობეზრებას, ისევ მონატრება სჯობია. ისე, ამ შეკითხვაზე ჩვენი ხელმძღვანელობა უფრო ამომწურავად გაგცემდათ პასუხს.

— საკმაოდ შრომატევად საქმეს ასრულებ. საიდან გაქვს ამდენი ენერგია?

— „მიზანი ამართლებს საშუალებას“. არსებობენ ადამიანები, რომელთაც თუნდაც „დიადი და ნათელი მიზნები“ ჰქონდეთ, მაინც ნაკლებ ენერგიას დახარჯავენ და მეტ დროს დაუთმობენ საკუთარი თავისთვის მიკროკომფორტის შექმნას. ჩემთვის ეს მიუღებელია.

— შენ „დიადი მიზნებისთვის“ ბრძოლა გირჩევნია? როგორია შენი „დიადი მიზნები“?

— წარმატების მიღწევა იმ ადამიანებს ძალუძთ, რომლებმაც 16-17 წლის ასაკში ძალიან კარგად იციან, რა უნდათ. მე ამ ასაკში უკვე არჩეული მქონდა პროფესია — ისტორიკოსობა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო „მოვლენა“ ვიყავი. შემეძლო, ბევრ სფეროში მომეტანა სარგებელი ჩემი ქვეყნისა და საზოგადოებისთვის. ამისათვის საჭირო იყო ასპარეზი. იმ სოფელში, სადაც დავიბადე და გავიზარდე, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ლამაზი და კარგია (სამტრედიის რაიონის სოფელი ტოლები), ასპარეზი არ იყო. ამიტომაც წამოვედი დედაქალაქში, ჩავაბარე უნივერსიტეტში და, როგორც კი ცხოვრებამ შესაძლებლობა მომცა, ამეთვისებინა კონკრეტული მიკროპლაცდარმები შემდგომი განვითარებისთვის, ხელიდან არ გამიშვია. წინააღმდეგობები შემხვდა, მაგრამ გავუმკლავდი.

კონკრეტულ მომენტში, სარგებლობა მომაქვს სამაუწყებლო კომპანიისა და მისი მაყურებლისთვის

— სარგებლობა ახსენე; რა სარგებლობა მოაქვს დათო გოგიშვილს საზოგადოებისთვის?

— კონკრეტულ მომენტში, სარგებლობა მომაქვს სამაუწყებლო კომპანიისა და მისი მაყურებლისთვის. ზოგადად, ეროვნულ უმცირესობებთან მუშაობის დიდი გამოცდილება მაქვს: კავკასიის ხალხთა ისტორიის სპეციალისტი ვარ.

— როცა იღლები, რაში პოულობ შვებას, როგორ ისვენებ?

— ძალიან მიწყობს ხელს ის ფაქტი, რომ სიგარეტს არ ვეწევი... ზოგჯერ ისეთი სასოწარკვეთილი ვყოფილვარ, ისეთი პრობლემები მქონია — მატერიალური თუ მორალური კუთხით — საკუთარი თავისთვის მითქვამს, — დავით, რა თბილისი, რის კარიერა, ჩაალაგე ჩემოდანი და წადი სახლში-მეთქი... მაგრამ ბავშვობიდან, ასეთ სიტუაციებში შინაგანი ხმა ყოველთვის მამხნევებს, — დავით, ახლა არ გატყდე, უკან არ დაიხიო!..

— რამდენ ხანს გრძელდება შენი დეპრესია?

— 2-3 დღე. ბოლო დროს აღარ მქონია.

— მორალური პრობლემები უფრო გტეხს თუ მატერიალური?

— მორალური, რასაკვირველია! იცი, რა მშველის?.. ძალიან მიყვარს პოლიტიკა. ქართულ პოლიტიკას არ ვგულისხმობ, ეს მარაზმია, — ზოგადად, პოლიტიკა მიყვარს. ყოფითი პრობლემების გადაჭრის დროს ძალიან ხშირად, პოლიტიკით ვხელმძღვანელობ. პოლიტიკა არის შესაძლებლობათა გამოყენების ხელოვნება. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ურჩევნიათ, სიტუაციის მიხედვით იმოქმედონ და ამის გამო ხშირად იტეხენ რქებს — ანუ, ვთქვათ, იმ კონკრეტულ სიტუაციაში შეტევა არ მოქმედებს, არ არის რეკომენდებული და მაინც უტევენ... მე შედეგზე ორიენტირებული ადამიანი ვარ. შედეგისთვის კომპრომისზეც წავალ.

— სიყვარულის გამო გულგატეხილი თუ ყოფილხარ?

— კი, როგორ არა, ერთი-ორჯერ.

— მახსოვს, შენი ერთ-ერთი სიყვარული საზღვარგარეთ წავიდა...

— იმას ვუთხარი, — შენ და აფხაზეთი

ერთად დაბრუნდებით-მეთქი... მთლად ვერ ჩასწვდა ჩემს ნათქვამს. სიყვარულში „პოლიტიკური შედეგი“ შეიძლება, იმას დავარქვათ, წლების შემდეგ 3 ბავშვით რომ შემხვდება ქუჩაში, — რა კარგი ბიჭი ყოფილხარ თურმეო! — რომ მეტყვის, ესეც — იმ შემთხვევაში, თუ იმ დროისთვის თანამდებობის პირი ვიქნები.

— **მერე გაუძლებ, ყოფილმა შეყვარებულმა 3 შვილით რომ ჩამოგიაროს?**

— კი, როგორ არა.

— **ესე იგი, „ძალიან რომანტიკოსიც“ არ ხარ?..**

— როგორ არა?! სიყვარულისთვის იმდენი სიგიჟე ჩამიდენია!.. ნიკა გრიგოლია ჰყვება კარგად ჩემი სიგიჟეების შესახებ.

— **ერთ-ერთს მოგვიყევი.**

— ეს მთლად სიგიჟე არ არის, მაგრამ ცოტათი გაგამხიარულებთ. იმ გოგონასთან, რომელზეც ახლა უნდა გიამბოთ, სიყვარული დასრულებულია, „ტიტრები წავიდა“ უკვე და შემიძლია, თამამად მოვყვე. მიუხედავად იმისა, რომ არ ვუყვარდი, მისი მობილურიდან მომდიოდა „ჯეო-მხსნელები“, — „გთხოვ, დამირეკე“. ეს ნიშნავდა, რომ მან მშობლებს გამოსტაცა ხელიდან ქალაქის ტელეფონი, გაიტანა თავის ოთახში და შემეძლო, დამერეკა. ასე, ტელეფონზე საუბრისას, არაერთგზის დაგვთენებია. დედამისმა შეგვამჩნია. ის მათ ოჯახში ასრულებდა იმავე ფუნქციას, რასაც იგორ როდიონოვი 9 აპრილის შემდგომ, კომენდანტის საათის დღეებში, თბილისში... შეგვამჩნია და გაახელა ქმარი, — ღამეებს ათენებენ „ტელეფონზეო“. ერთ დღესაც მომდის „ესემესი“, — ახლა მამაჩემი დაგირეკავსო. მოვემზადე ფსიქოლოგიურად, ვიფიქრე, „ვაკურ“ „ბლატაობას“ „შემომიყვანს“-მეთქი: ვაკეში ცხოვრობდნენ, მაგრამ სოციალურად დაუცველ ვაკელთა კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ... დამირეკა და მეუბნება, — ჩემი მეორე შვილის ტოლი ხარ; არ მინდა, გაწყენინო, პატივს გცემ და დაგვაძინე, რა იქნება, ნამუსი არა გაქვსო?! ხომ ვერ ვეტყოდი, — შენი შვილი მიგზავნის „გთხოვ დამირეკეს“-მეთქი?! ვისმინე მისი მორალი და დავპირდი, აღარ დავრეკავ-მეთქი. მოვედი სამსახურში, გახარებული, რომ კაცმა მამაშვილურად მომმართა და მოვუყევი ამ ამბავს ალეკო მალხაზიშვილს და ნიკა გრიგოლიას. ნიკამ დამცინა, — ნამეტანი გასახარი ამბავია, გაამზადე ესკორტი და მივდივართ სოფელში, შენიანებს ვახაროთ შენი გაბედნიერების ამბავიო.

— **მახსოვს, სიყვარულის გამო ცხვირის ოპერაციაც კი გაიკეთე...**

— მთლად სიყვარულის გამო არ იყო ეგ ამბავი: ისეთ მდგომარეობაში იყო ჩემი ცხვირი, ქირურგიულ ჩარევას მოითხოვდა. თუმცა იმასაც მოეწონა. თუ დააკვირდებით, სავსებით ესადაგება ჩემი ცხვირი „ვაკურ“ სტანდარტებს — თან დაჰყვება მკვეთრი ასო-ბგერა „ლ“-ს სილუეტები...

— **მოხვედრილხარ ისეთ სიტუაციაში, სადაც ზედმეტად გიგრძნია თავი?**

— იმდენად ადაპტირებადი ვარ, ნებისმიერ სიტუაციას მოვერგები. კაციჭამიების ან კანიბალების შეკრება თუ არ არის, პრობლემას ვერ ვხედავ ვერც ერთი ტიპის საზოგადოებაში. დისკომფორტი შეიძლება შემექმნას ძალიან „გრუზ“ საზოგადოებაში, იმის გამო, რომ თვითონ ძალიან მხიარული და თავისუფალი ადამიანი ვარ. თუმცა იქაც გავართმევ თავს — სხვა დიფუზორს ჩავრთავ. მე ხომ რამდენიმე დიფუზორი მაქვს — სხვადასხვა სოციალური კატეგორიის აუდიტორიისთვის.

— **მაშინ, ასე გკითხავ: როგორი ადამიანის მეგობარი ვერ იქნები?**

— ყალბი ადამიანის მეგობარი ვერ ვიქნები.

— **ამბიციურის?**

— ამბიციურთან ურთიერთობა ძალიან მარტივია — ის გაშიფრულია; მას, პირიქით, კომფორტს შევუქმნი: შენ ხარ და მერე ვარ მე-მეთქი, — ვეტყვი. ყალბ ადამიანებთან ვერ ვურთიერთობ და კიდევ, იცი, როგორთან?.. დიდ ორგანიზაციებში გაურკვეველი თანამდებობის პირები რომ ჰყავთ გაშვებული იმისთვის, რომ გაიგონ, რას ლაპარაკობენ უფროსობაზე. იმათ „თვალი და ყური“ ჰქვიათ და ნაძირალები არიან.

— **რის გაკეთებას ითაკილებ?**

— იმდენი რამ მაქვს გაკეთებული ცხოვრებაში, არც მახსენდება, რა შეიძლება კიდევ გააკეთოს ადამიანმა ისეთი, რომ ვითაკილო. ამას წინათ, ძალიან ცუდად მომხვდა ყურში ერთ-ერთ არხზე, ერთ-ერთ ტოქ-შოუში დასმული შეკითხვა, რომლის შინაარსიც დაახლოებით ასე ჟღერდა: „დამლაგებელზე მეტი ინტელექტი გაქვს?“ დამლაგებლები ჩვენს სისუფთავეს უზრუნველყ-

ეს საგრაფიკო ბროქეტი, რომელიც არაერთხელ განხორციელდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, საქართველოშიც დაიწყო. გამოეთხვა გაგრძელდება ივლისის ბოლომდე. ხოლო გამოცემლობა “პალიტრა L” წიგნების გამოცემას შემოგთავაზებს დაიწყებს. ეს თქვენი არჩეული წიგნები იქნება!

ეს ნამდვილი!

ეროვნული ბიბლიოთეკა
ნიკოლოზ ბარათაშვილი
ბოდიერი
ბოდიერი
ბოდიერ

ოფენ და ღირსეული ნაწილი არიან ამ საზოგადოების. ასე კითხვის დასმა არ შეიძლება.

— გოგოს გამო თუ გიჩხუბია?

— არა. როცა გოგოს გამო ჩხუბი მოგდის, 90%-ით გოგოა დამნაშავე — მაპროვოცირებელი ასეთ შემთხვევაში სწორედ ის არის. სხვათა შორის, ქართველი გოგოების უმეტესობას ძალიან უყვართ ხულიგანი ბიჭები, თავხედები. მე ასეთი გოგო არ შემიყვარდება; შეიძლება, ვებღლარძუნო, „ვეწალიჩო“, მაგრამ არ შემიყვარდება.

— „გიჩალიჩია“ გოგოსთან, რომელიც არ გყვარებია?

— კი, მაგრამ ისე არა, ჩვენი ახალგამომცხვარი „ფეისა“ ბიჭები რომ წერენ ხოლმე ჟურნალებში და თავს იდებენ, — თავიანთ „ხინკალურ“ აზროვნებას წარმოაჩენენ... ჭეშმარიტი მამაკაცი, ვინც მართლაც წარმატებულია ქალებში, ამ თემაზე ხმამაღლა არ ლაპარაკობს. ცოდვა გამხელილი ჯობს — დიდი მექალთანე არა ვარ, ჩემი გრაფიკიც არ იძლევა ამის საშუალებას.

— რადგან ხინკალი ვახსენეთ, ქართულ ტრადიციებსაც მინდა შევეხოთ: დამისახელე ერთი ტრადიცია, რომელიც ძალიან არ მოგწონს.

— ღვინის დაძალება; ღვინის ტევადობაში რომ გამოიხატება ადამიანების ერთმანეთისადმი სიყვარული და პატივისცემა; იმხელა სასმისით რომ სვამ, ღვინო ნიაგარის ჩანჩქერივით მიედინება ფილტვებში, — ეს არ მომწონს.

— ამ უკანასკნელ შედარებაზე გამახსენდა — ერთი საოცარი ფრაზა გეკუთვნის: „სილიკონიანი ტუჩები ჭეშმარიტებას ვერ იღალადებს“...

— მაგას გაგრძელებაც აქვს: „სილიკონიანი ტუჩები ძალიან ჰგავს უკანონო მიშენებებს“...

— შენი უახლოესი, „დიადი გეგმები“ როგორია?

— დავით გოგიშვილი აუცილებლად გაიელვებს ცისფერ ეკრანზე. არ ვიცი, როდის, მაგრამ — „მე დავბრუნდები“ (*იცინის*)...

არ ვიცი, როდის, მაგრამ — „მე დავბრუნდები“

პერსონა

კოსმონავტობაზე მეოცნებე პოლიტიკოსის არჩევანი

ბავშვობაში კოსმონავტობაზე ოცნებობდა. როცა წამოიზარდა, ქართული პოეზია და ისტორია შეუყვარდა, მაგრამ იურიდიულზე ჩააბარა. ახლა ლეიბორისტია და, როგორც თავად ამბობს, სხვაგვარად არ ძალუძს. გიორგი გუგავას აზრით, ლეიბორისტული პარტია საქართველოში ერთადერთია, რომელიც პირად ამბიციებზე მაღლა, მოსახლეობის ინტერესებს აყენებს. ამბობს, რომ ყველა ლეიბორისტის მსგავსად, პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის დღიდან სტრესულ სიტუაციაში უწევს ცხოვრება, მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერს უძლებს...

ხათუნა გახტურიძე

— ბატონო გიორგი, მაინც რას აკეთებთ იმისთვის, რომ თქვენ შვილები დამოუკიდებელ და პრინციპულ ადამიანებად ჩამოყალიბდნენ?

— პირველ რიგში, ვცდილობ, რომ მათთვის მაგალითი გავხდე. გარდა ამისა, არ ვაპირებ, შვილებს დათვური სამსახური გავუწიო და ყველა პრობლემა მე მოვუგვარო ან მათი მომავალი დავგეგმო. ყველანაირად ვეცდები, კარგი განათლება მივაღებინო, დანარჩენს თავად მიხედონ, პროფესიული არჩევანიც დამოუკიდებლად გააკეთონ და ცხოვრებისეულ სირთულეებსაც მარტო შეეჭიდონ. თუ ადამიანმა ცხოვრების ა-კარგი არ გაიგო, მის წინაშე არსებული ბარიკადები თავად არ გადალახა, დამოუკიდებელ ადამიანად ვერ ჩამოყალიბდება.

— თქვენ რა ბარიკადების გადალახვამ მოგიწიათ?

— ძალიან ბევრი ბარიკადის გადალახვამ მომიწია. მშობლებმა დამოუკიდებელ პიროვნებად გამზარდეს. სკოლა ხონში დავამთავრე, თბილისში მარტო წამოვედი და ჩემი მომავალი თავად დავგეგმე. ლეიბორისტულ პარტიაში რომ შევედი, სულ რაღაც 23 თუ 24 წლის ვიყავი. მას შემდეგ 13 წელი გავიდა... ამ დროის განმავლობაში უამრავი სირთულე გადავლახე. როდესაც საკრებულოს წევრი ვიყავი, ჩემი პრინციპების დათმობის სანაცვლოდ, ხან ფულს, ხანაც პრესტიჟულ უბანში კეთილმოწყობილ ბინას მთავაზობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდი და ხელფასის დახარჯვაც ხელმომჭირნედ მიწევდა, ჩემი ცდუნება ვერ შეძლეს. სხვათა შორის, დღესაც ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობ. ამით კი არ ვამაყობ, ეს ასეც უნდა ყოფილიყო. თუ საქმის ერთგულება არ შეგიძლია, პოლიტიკაში არ უნდა მოხვიდე. სამშობლოს მსახურებას დიდი რწმენა და ნებისყოფა სჭირდება. სამწუხაროდ, დღევანდელ პოლიტიკოსებს შორის, ძალიან ცოტაა თავისი საქმისა და სამშობლოს ერთგული. ბევრი ვერ უძლებს ცდუნებას და ბახმაროს ნიავივით, ხან იქით უბერავს, ხან — აქეთ.

— რომანტიკული ადამიანი ხართ?

— ალბათ ვარ: პოეზიაზე შეყვარებული კაცი რომანტიკული არ იქნება?.. ვაჟა-ფშაველა ისე მიყვარდა, რომ მისი შემოქმედების კითხვაში ღამეებს ვათენებდი. გალაკტიონ ტაბიძეც ძალიან მიყვარს. სტუდენტობის დროს, მისი 300 ლექსი ვიცოდი ზეპირად. სხვათა შორის, გალაკტიონისა და სიყვარულის წყალობით, ერთი პერიოდი ლექსების წერაც კი დავიწყე.

— ამ ლექსების მუზა დღეს თქვენი მეუღლეა?

— დიახ. გოგონა (თეა ჭანტურია), რომელსაც ლექსებს ვუძღვნიდი, დღეს ჩემი მეუღლეა.

— როდესაც კეთილმოწყობილ ბინას, ქირით ცხოვრება არჩიეთ, ამ საკითხზე თქვენი მუზისა და მეუღლის აზრი როგორი იყო?

— სხვათა შორის, ასეთ მომენტებში ჩემი მეუღლე ყოველთვის ღირსეულ პოზიციას იკავებს. თანამოაზრეები რომ არ ვიყოთ, ძალიან გამიჭირდებოდა ცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ შვილები უკვე წამოგვეზარდნენ (გოგონა 7 წლისაა, ვაჟი კი 4-ის), ჩემს მეუღლეს ერთი საყვედურიც არ დასცდენია იმის გამო, რომ მე არ ვიყიდები.

— თეას დაქორწინებამდე დიდი ხნით ადრე იცნობდით?

— კი. ერთმანეთი სტუდენტობის დროს გავიცანით. თავიდან ვმეგობრობდით, დროთა განმავლობაში სიყვარულიც მოვიდა. ჩვენი ურთიერთობა 6 თუ 7 წელი გრძელდებოდა. ეს იყო ძალიან ლამაზი რომანი, თუმცა ხშირი იყო გაბუტვა, განშორება...

— ვინ უფრო ხშირად იბუტებოდა?

— (*იცინის*) მაგას ვერ გეტყვით, მაგრამ იმას ვაღიარებ, რომ დამნაშავე უფრო ხშირად, მე ვიყავი.

— ის თქვენი პირველი სიყვარული იყო?

— პატარა-პატარა გატაცებები ადრეც

მქონდა, მაგრამ ნამდვილი სიყვარული მხოლოდ თეას წყალობით განვიცადე. რამდენს მალაპარაკებთ! ჩემი პირადი განცდების „დეკლარირება“ და ამაზე საჯაროდ საუბარი ძალიან არ მიყვარს — ასე მგონია, თუ ამ თემაზე საჯაროდ ვილაპარაკებ, ჩემს გრძნობას ჩრდილს მივაყენებ...

— ამ თემაზე თქვენთვის, გულში ხშირად ფიქრობთ?

— ჯერ ისეთ ასაკში არა ვარ, რომ გულჩვილობა შემომპარვოდა, 35 წლის გახლავართ. ისე, ხანდახან მართლა ვიხსენებ განვლილ გზას, რაღაც-რაღაცებსაც ვაანალიზებ. სიმართლე რომ გითხრათ, ბავშვობა ძალიან მენატრება...

— თქვენი ბავშვობის დროინდელი ოცნებები თუ გახსოვთ?

— (*იღიმება*) პირველ კლასში, წერა-კითხვა რომ გვასწავლეს, ფურცლები დაგვირიგეს და გვითხრეს, — დაწერეთ, მომავალში რა გინდათ, რომ გამოხვიდეთო. მასწავლებელმა ეს ფურცლები შეინახა და ბოლო ზარზე დაგვირიგა. სიცილით მოვკვდი, როდესაც ვნახე, რომ ჩემი ბავშვობის ოცნება თურმე კოსმონავტობა ყოფილა. ამ სურვილს ალბათ პირველი კლასის დასრულებისთანავე დაესვა წერტილი, იმიტომ, რომ ასეთი ოცნება თუ მქონდა, აღარც მახსოვდა. აი, ფეხბურთელობა კი მართლა ძალიან მინდოდა. სკოლა რომ დავამთავრე, სამწუხაროდ, სამოქალაქო ომი დაიწყო და ჩემი ფეხბურთისთვის აღარავის ეცალა.

— თუ ისტორია, პოეზია, ლიტერატურა, ფეხბურთი გიყვარდათ, ან იურიდიულზე რატომ ჩააბარეთ, ან პოლიტიკამ როგორ გაგიტაცათ?

— ისტორიულზე ჩაბარება ვერ მოვახერხე... სხვები იურიდიულზე იმისთვის აბარებდნენ, რომ პოლიციელები გამოსულიყვნენ, მე კი ეს ფაკულტეტი ისტორიის სიყვარულით ავირჩიე. რაც შეეხება პოლიტიკას... ვფიქრობ, ისტორია პოლიტიკასთან პირდაპირ კავშირშია. თუ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ისტორიით ხარ დაინტერესებული, წარსულში მომხდარ მოვლენებს აანალიზებ და დღეს არსებულ რეალობას ადარებ, ეს იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკა გიტაცებს.

— მაინცდამაინც ლეიბორისტობა რატომ გადაწყვიტეთ?

— ლეიბორისტულ პარტიაში ჩემი მისვლა შალვა ნათელაშვილის ფაქტორმა განაპირობა: ამ კაცს საოცარი მიზიდულობის ძალა აქვს, იდეური ადამიანია და სხვების მიმხრობის უნარიც აქვს.

— ნათელაშვილს იცნობდით, ვიდრე მის პარტიაში გაწევრდებოდით?

— არა, მანამდე მხოლოდ მის იდეებს ვიცნობდი.

— ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად ამბობენ, რომ ოპოზიციაში ყოფნა და სხვისი კრიტიკა გაცილებით იოლია, ვიდრე ხელისუფლებაში საქმის კეთება...

— ვისაც სააკაშვილის ოპოზიციაში ყოფნა იოლი ჰგონია, დეგენერატია. ჩვენ გამუდმებული სტრესის ქვეშ გვიწევს ცხოვრება. არ გახსოვთ, შალვა ნათელაშვილი მოღალატედ რომ გამოაცხადეს და 35 თუ 40-წლიანი პატიმრობით დაემუქრნენ?! რამდენჯერმე ტერაქტიც კი მოუწყვეს. მისი სიცოცხლე არაერთხელ ყოფილა სერიოზული საფრთხის წინაშე. თუ ვინმეს ოპოზიციაში ყოფნა კომფორტული ჰგონია, მოვიდეს ჩვენთან, ვნახოთ ერთი, რამდენ ხანს გაძლებს. ყველა ამქვეყნიურ სიამოვნებას ვართ მოკლებულნი — დასვენება ჩვენთვის არ არსებობს, მატერიალური სიკეთეები და მშვიდი ცხოვრება. სხვათა შორის, ბევრი მოსულა კიდეც ჩვენს პარტიაში, მაგრამ რომ უნახავს, როგორ ვმუშაობთ და როგორ ვცხოვრობთ, ერთ თვეში ან ხელისუფლებისთვის მიუყიდია სული 30 ვერცხლად, ან კუდამოძუებული გაქცეულა აქედან.

— ერთხანს გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ ლეიბორისტები არჩევნებში მიღებულ ხმებს „ნაციონალებზე“ ყიდიანო...

— იცით, რა?.. „უშიშროებაში“ შექმნილია ჭორების დაყრის სამსახური, რომელიც ცდილობს, სხვადასხვა ჭორით საზოგადოებაში ხელისუფლების ოპონენტების დისკრედიტაცია მოახდინოს. ასეთ მეთოდს ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს იყენებდნენ. „ნაციონალები“ მიხვდნენ, რომ ჩვენ წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობდნენ და ამ მეთოდს მიმართეს.

— პარლამენტში რომ არ შეხვედით, მაგრამ დეპუტატის ხელფასს მაინც იღებთ, ესეც ჭორია?

— ეს ჭორი არ არის, მაგრამ რა არის ცუდი იმაში, რომ ჩვენს კუთვნილ ჯამაგირს ვიღებთ?! ხალხის მიერ ვართ არჩეულნი და ჩვენს მოვალეობას იმათზე უკეთ ვასრულებთ, ვიდრე ისინი, ვინც ახლა პარლამენტშია წამოსკუპებული. პარლამენტში არაერთი კანონპროექტი გვაქვს შეტანილი.

— რომელ კანონპროექტებს გულისხმობთ?

— მაგალითისთვის გეტყვით, რომ ჩვენ მოვამზადეთ პრეზიდენტის იმპიჩმენტის დოკუმენტი, ასევე — კანონპროექტი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის, კანონპროექტი ანაბრების დაბრუნების შესახებ და კიდევ სხვა მრავალი.

— ეს კანონპროექტები რომ არავის განუხილავს?

— ეს უკვე იმათი პრობლემაა, ვინც პარლამენტში არიან მოკალათებულნი. როგორც ჩანს, არ ანაღვლებთ ჩვენი ქვეყნისთვის ასეთი მნიშვნელოვანი საკითხები და საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვით არიან დაკავებულნი. რატომ არ იმაღლებენ ეს ადამიანები ხმას, როდესაც ჩვენს რელიგიურ გრძნობებს შეურაცხყოფენ?! მართლმადიდებლურ ეკლესიას ჩვენი დაცვა არ სჭირდება, მას ღმერთი იცავს, მაგრამ ჩვენი ოჯახები ხომ უნდა დავიცვათ! გაშმაგებული ბრძოლა მიმდინარეობს ჩვენი ეროვნული ღირებულებების წინააღმდეგ. როგორ შეიძლება, ტრადიციების ქვეყანაში გეი-აღლუმების გამართვა იგეგმებოდეს?! ღმერთმა დამიფაროს, ვინმე, თუნდაც განსხვავებული ორიენტაციის ადამიანი მეჯავრება! ქართველები ტრადიციულად, ტოლერანტები ვართ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ ყველა გამოხდომას ტაშს დავუკრავ ან ჩემი შვილებისთვის პროპაგანდის ჩატარების უფლებას მივცემ. იყვნენ თავიანთთვის, ვინ რას უშლის?! როგორც ჩანს, ვიღაც-ვიღაცები მიზანმიმართულად ცდილობენ ხალხის გაღიზიანებას, უნდათ, მართლმადიდებლების პროვოცირება მოახდინონ და ამით ისინი ექსტრემისტებად წარმოაჩინონ.

— ეი. ტრადიციების მიმდევარი ხართ?

— დიახ, ბატონო. ქეიფი და დროს ტარება არ მიყვარს, ყანწებს არ ვატრიალებ, მაგრამ ცნობიერებითა და ცხოვრების წესით, ტრადიციების მიმდევარი ქართველი ვარ.

— ვიდრე თქვენს ოთახში შემოვიდოდი, კორიდორში მიხეილ სააკაშვილის 2 ფოტო ვნახე: ერთზე ჰალსტუხს ღეჭავს, მეორეზე კი გორის დაბომბვისას, დაოთხილია. ამ ფოტოების ყურება დისკომფორტს არ გიქმნით?

— ეს ფოტოები მე კი არა, სააკაშვილს უნდა უქმნიდეს დისკომფორტს. სხვათა შორის, მართლა ძალიან ვინერვიულე, როდესაც დაოთხილი სააკაშვილი დავინახე, იმიტომ, რომ ის არ იყო ჩემი ქვეყნის რიგითი მოქალაქე. მაშინ სააკაშვილი კი არა, საქართველო დაფოფხავდა მიწაზე. გული კინაღამ გამისკდა, მაგრამ სინამდვილეს ხომ უნდა ჩავხედოთ თვალებში?! სააკაშვილმა ფრანგ ჟურნალისტთან კი იმართლა თავი, — შიში ადამიანური მომენტია და მეც ადამიანი ვარო, — მაგრამ... პრეზიდენტი, ქვეყნის ლიდერი, მთავარსარდალი ასე არ უნდა ლაპარაკობდეს. მის ზურგს უკან ჯარისკაცები დგანან. რა მაგალითი მისცა მან ქართულ არმიას?! საქართველომ დღემდე იმიტომ მოაღწია, რომ ჩვენს მეომარ წინაპრებს მაგალითებად გმირები ჰყავდათ და არა მშიშარა ადამიანები. თუ სააკაშვილი ჩვეულებრივი და მშიშარა ადამიანია და სხვა კომპლექსებიც აქვს, დატოვოს თანამდებობა და ასპარეზი უფრო მტკიცე ნებისყოფის მქონე ადამიანს დაუთმოს. ასეთი არაფერი მინახავს: ქვეყანა თავზე დაგვამხო, ტერიტორიები დაგვაკარგვინა და იმის მაგივრად, რომ კაბინეტიდან სირცხვილით გა-

პაგარა-პაგარა გაგაცეებები აღრეც მქონდა, მაგრამ ნამდვილი სიყვარული მხოლოდ თეას წყალობით განვიცადე

პარულიყო, გვეუბნება, — 2013 წლის შემდეგაც მე უნდა ვიყო თქვენი ბატონიო. ზოგიერთი ამბობს, ახალგორში სეპარატისტები ჩვენს მოქალაქეებს იტაცებდნენ, მშვიდობიანი მოსახლეობის სახლებს ცეცხლს უხსნიდნენ და მათი დაცვა ხელისუფლების ვალი იყოო. საღად მოაზროვნე ადამიანი ამა თუ იმ მოვლენაზე შედეგის მიხედვით მსჯელობს. რა ქნა საკაშვილმა — დაიცვა მშვიდობიანი მოსახლეობა?! თუ მართლაც, მოქალაქეებზე შესტკიოდა გული და მათი დაცვა უნდოდა, რატომ გაიქცა და პარტიზანული ომი რატომ არ გააგრძელა?.. ან კიდევ, მოსახლეობა წინასწარ რატომ არ გამოიყვანა კონფლიქტის ზონიდან?.. აგვისტოს ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა, ბატონმა ჩოჩელმა საქონელი გადმოდენა აქეთ. ნუთუ ჩოჩელის საქონელი ახალგორელი გლეხების სიცოცხლეზე ღირებული იყო?! გარდა იმისა, რომ საკაშვილის ხელისუფლებამ ომიდან გამოქცევით, საქვეყნოდ შეგვარცხვინა, ერთობ უცნაური რამეც გააკეთა — ბრძოლის ველზე ახალგაზრდა, მებრძოლი ბიჭების ცხედრები მიატოვეს და თბილისში კონცერტი გამართეს. ქართული ოპოზიცია უპრინციპო და ბრძოლისუუნარო რომ არ იყოს, ასეთი ხელისუფლება ერთ თვესაც ვერ გაძლებდა ქვეყნის სათავეში. დღეს საქართველო ორადაა გაყოფილი: ერთი ნაწილი რუსეთს აქვს ოკუპირებული, მეორე კი ამერიკის კოლონიური მმართველობის ქვეშაა მოქცეული. არჩევნებსაც ეგენი ატარებენ და სასამართლო რეფორმებსაც... ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თავიდან გვაქვს დასაწყები, მაგრამ ამ ოპოზიციას ერთიანი პირი არა აქვს და რისი იმედი შეიძლება გვქონდეს?!

— ლეიბორისტულ პარტიას თუ გაუკეთებია რაიმე ოპოზიციის გაერთიანებლად?

— საზოგადოებაში ოპოზიციის ერთიანობასთან დაკავშირებით, ძალიან მცდარი წარმოდგენებია შექმნილი. ოპოზიციური ძალები, რომლებიც იდეის კი არა, საკუთარი ამბიციების დაკმაყოფილების მიზნით ერთიანდებიან, თანაც, სხვადასხვა ქვეყნის მთავრობიდან იმართებიან, ვერასდროს გაერთიანდებიან. მათი გაერთიანება მხოლოდ ერთი მიზნითაა შესაძლებელი — ეს მიზანი გახლავთ არჩევნებში რაღაც შედეგის მიღწევა და თანამდებობის დაკავება. ვიდრე ქართველები თეთრისა და შავის გარჩევას ვერ ვისწავლით, არაფერი გვეშველება. ახლა ჩვენთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, მხარი დავუჭიროთ იმ ძალას, რომელიც საქართველოს ინტერესებისთვის ბრძოლისას პრინციპულია და არასდროს არაფრის ფასად არ ღალატობს საკუთარ ხალხს.

— ასეთ ძალად ალბათ, ლეიბორისტულ პარტიას მიიჩნევთ...

— მე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ჩვენ ყოველთვის პრინციპულები ვიყავით და ვართ ამ ხელისუფლებასთან ბრძოლისას, არც რუსეთიდან ან ამერიკიდან ვილებთ მითითებებს, ერთხელ არჩეული გზიდანაც არასდროს გადაგვიხვევია. დანარჩენი თავად განსაჯეთ, თქვენც და თქვენმა მკითხველმაც. ■

ყველაზე მოუხელთებელი „ნიჭიერის“ ეგვი პაპური შთაბეჭდილებები და გამხელილი ოცნება

რომ არა მიზანდასახულობა და კარგი გაგებით სოჯიუტე, მარიამ კახელიშვილი ამდენს ვერ მიაღწევდა. გავიხსენოთ, რა თქვა ტელეპროექტ „ნიჭიერის“ ამ ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ შემსრულებელზე ჟიურის კომპეტენტურმა წევრმა, ნიკა მემანიშვილმა: ჩვენ გვყავს ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდები და გვყავს მარიამ კახელიშვილი; მიკვირს, ეს ბავშვი რატომ ვერ იმარჯვებდა მუსიკალურ კონკურსებსა და ფესტივალებშიო...

მარინა ბაბუნაშვილი

მართალია, მარიამს „ნიჭიერში“ პირველი ადგილი არ ერგო, მაგრამ სამეულში მოხვდა და თავბრუდამხვევი წარმატებაც მოიპოვა. დღეს მარიამი „ბზიკების“ სტუდიაში მღერის, ცნობილი პედაგოგის — სოფო ოყრეშიძის ხელმძღვანელობით, რომელიც გოგონას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს.

მარიამს ინტერვიუს ჩასაწერად ვაკეში, ხმის ჩამწერ სტუდიაში შევხვდი. მისი პროდიუსერი — გიგა კუხიანიძეა. მარიამი კარგა ხანია, წყნეთიდან მარტო დადის. დედას უამრავი საქმე აქვს, თან უნდა, რომ გოგონა დამოუკიდებლობას შეეჩვიოს, ამიტომაც აღარ დაჰყვება.

რა დასამალია და, „ნიჭიერთაგან“ ყველაზე მეტად, მარიამის მოხელთება გამიჭირდა. ხან რეპეტიციაზე იყო, ხან — ჩაწერაზე სტუდიაში, ხან — ბათუმსა თუ ურეკში, კონცერტზე...

— ამიერიდან, „მოუხელთებელი მარიამი“ უნდა დაგარქვა: ამდენი ხანი არც ერთი რესპონდენტის სადევნად არ დამჭირვებია. გულწრფელად მიპასუხე — ვარსკვლავური სენი ხომ არ შეგეყარა?

— არა, რას ამბობთ?! რამდენჯერაც დამირეკეთ, იმ პერიოდში მართლაც, სულ დაკავებული ვიყავი, დედას გეფიცებით!..

— კეთილი, მჯერა. აშკარაა, რომ ალალი ხარ და შეუნიღბავი. ამიტომ, უშუალოდ კითხვებზე გადავიდეთ. მინდა, თავიდან, პატარაობა გაიხსენო — როგორი ბავშვობა გქონდა?

— წყნეთში დავიბადე, დღემდე იქ ვცხოვრობ და ძალიან მიყვარს იქაურობა. მეათე კლასში გადავედი, 9 ოქტომბერს 15 წლის გავხდები. ჩემი სახლი სტალინის ქუჩაზეა და როცა მისამართს მეკითხებიან, უკვირთ, — გორის გარდა, კიდევ სადმე თუ იქნებოდა სტალინის ქუჩა, არ გვეგონაო. ბაბუასგან ვიცი, რომ წყნეთელები სტალინს ძველებურად პატივს სცემენ და ამიტომაც არსებობს დღემდე მისი სახელობის ქუჩა... მყავს უმცროსი ძმა, თემური, ისიც მღერის.

პროექტის შემდეგ ბევრ კონცერტში მიგვიღია მონაწილეობა

— ხომ არ ჩხუბობთ ხოლმე?

— კი, ვჩხუბობთ, მაბრაზებს ხოლმე, მაგრამ მერე მალევე ვრიგდებით. დედა, მამა და ძმა ერთ სახლში ცხოვრობენ, მე კი პატარაობიდანვე, ბებია-პაპასთან ვარ — დედის მშობლებთან. ისინი მარტონი არიან, ჰოდა, მე რომ

დავიბადე, დედას სთხოვეს, — ბავშვი ჩვენ დაგვიტოვე, ჩვენ გავზრდით, არაფერს მოვაკლებთო. დედა მთლად ვერ შემელია, მაგრამ მშობლებსაც ვერ უთხრა უარი და... მოკლედ, ჩემი მშობლები ჩემი მეზობლებიც არიან (*იცინის*).

— სიმღერის ნიჭი როდის აღმოაჩინეს შენში?

— დედა იხსენებს, რომ ჩვილობაში, როცა იავნანას მიმღეროდა, ავყვებოდი ხოლმე; ამბობს, — ერთი სული მქონდა, მუსიკალურ სკოლაში როდის მიგიყვანდიო. 3 წლის გავხდი თუ არა, ვოკალის მასწავლებელს მოასმენინა ჩემი სიმღერა და მანაც, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან პატარა ვიყავი, მაშინვე მიმიღო. რუსუდან ჩიქოვანმა ბევრი რამ გააკეთა იმისთვის, რომ სცენაზე გავსულიყავი. მერე ფორტეპიანოზეც გადავწყვიტე სწავლა, მაგრამ სიმღერის შემდეგ, რთულად მომეჩვენა და რამდენიმე თვეში თავი დავანებე. ახლა ვფიქრობ, გავაგრძელო სწავლა, რადგან ფორტეპიანო ან სხვა ინსტრუმენტის ფლობა აუცილებელია. სიმღერა ისე მიყვარს, დაკვრაც უნდა ვიცოდე.

— სკოლაში როგორ სწავლობ? სწავლის გაგრძელებას ალბათ მუსიკის სფეროში აპირებ, არა?

— სკოლაში ცუდად არ ვსწავლობ, მაგრამ რადგან მასწავლებლებმა იციან, რომ პროფესიონალ მომღერლობას ვაპირებ, მკაცრად არ მექცევიან და ყველანაირად მიწყობენ ხელს.

— როცა „ნიჭიერის“ შესარჩევ ტურზე პირველად გამოხვედი, თითქოს იმედი გქონდა გაცრუებული და ბოლომდე არ გჯეროდა, რომ გაიმარჯვებდი...

— იმიტომ, რომ ბევრ კონკურსში მიმიღია მონაწილეობა და არ გამიმარჯვია. „ნიჭიერში“ რომ არ გამმართლებოდა, შეიძლება, ხელი ჩამექნია და სიმღერისთვის თავი დამენებებინა. გულის სიღრმეში მაინც მქონდა პატარა იმედი, რომ ჩემი შესრულება ჟიურის მოეწონებოდა. როცა მათ სახეებს ვუყურებდი და აღტაცებას ვამჩნევდი, ისეთი სტიმული მომეცა, რომ ხმას ავუწიე და ავუწიე... მერე ნიკამ ძალიან თბილი და ჩემთვის მნიშვნელოვანი შეფასება მომცა და მომდევნო ტურებზე აღარ ვღელავდი.

— როცა ბოლოს, სამეული (ვაშაძე, გოლეთიანი და შენ) დარჩით, მაშინაც დარწმუნებული იყავი, რომ პირველ ადგილზე გახვიდოდი?

— არა, მაშინ უკვე ძალიან ვღელავდი, არ ვიცოდი, რა მოხდებოდა...

— მაგრამ როცა ვაშაძე დაასახელეს, განაწყენებულმა, მალევე დატოვე სცენა...

— კი, მალევე დავტოვე, რადგან მეტირებოდა და არ მინდოდა, სცენაზე ავტირებულიყავი. მეუბნებიან, — შენთან მოსულ თიკა ფაცაციას ხელი ჰკარი და კულისებში გავარდიო. არ მახსოვს, ძალიან ემოციური და რთული წუთები იყო. კულისებში ცრემლების შეკავება ვეღარ მოვახერხე, მაგრამ მერე გამარჯვებულს გულწრფელად მივულოცე.

— კმაყოფილი ხარ, პროექტში რომ მონაწილეობდი?

— დიახ, ძალიან. ბედნიერი ვარ. მან სამომავლოდ გზა გამიხსნა.

— იმედგაცრუება რომელ კონკურსებს უკავშირდება?

— 12 წლის ვიყავი, როცა ბავშვთა „ევროვიზიის“ შესარჩევ ტურში მივიღე მონაწილეობა. მაშინ ვერ გავიმარჯვე, „ბზიკები“ გავიდნენ. 2008 წელი იყო. გული კი დამწყდა, მაგრამ გადავწყვიტე, შემდეგ წელს მეცადა ბედი. მეორე წელს კი შესარჩევ ტურშიც აღარ მიმიღეს, არც მომისმინეს. ამან ლამის ხელი ჩამაქნევინა სიმღერაზე. „ნიჭიერმა“ იმხელა სტიმული მომცა, რომ არაფრის აღარ მეშინია. მინდა, მომავალი წლის „ევროვიზიაზეც“ გავიდე, ასე რომ, კვლავ ვცდი ბედს.

— ვიცი, რომ „ნიჭიერის“ დროს, შენმა სკოლამ „მარიამ კახელიშვილის ფანკლუბი“ შექმნა. წყნეთელებიც აქტიურად გიჭერდნენ მხარს. როგორი დამოკიდებულება გაქვს დღეს მეგობრებთან? რამე ხომ არ შეიცვალა?

— ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა ჩემი სკოლელებისა და წყნეთელების მხარდაჭერა. მიხაროდა, როცა სცენაზე გამოსვლისას ოვაციებით, აპლოდისმენტებითა და ტრაფარეტებით მხვდებოდა დარბაზი. რაც შეეხება ჩვენს ურთიერთობას, — ამ მხრივ არაფერი შეცვლილა, ძველებურად, ძალიან გვიყვარს ერთმანეთი.

— რომელი საგანი გიყვარს ყველაზე მეტად?

— მშობლიური ენა-ლიტერატურა და ინგლისური. ახლა ბრიტანულ სასწავლებელში დავიწყე სიარული: მინდა, კარგად დავეუფლო ინგლისურს.

— როცა რომელიმე შემსრულებელი ინგლისურენოვან სიმღერას მღეროდა, თუ სიტყვებს კარგად არ წარმოთქვამდა, ჟიურისგან შენიშვნას იღებდა. შენთვის კი შენიშვნა არავის მოუცია...

— ამბობენ, ვისაც კარგი სმენა აქვს, ის ენებისადმი მიდრეკილებითაც გამოირჩევაო. რა ვიცი, მაშინ ჯერ კიდევ არ დავდიოდი ბრიტანულ სასწავლებელში, ამიტომ ვფიქრობ, ეს სწორი მეტყველება სმენის წყალობით მაქვს.

— ვიცი, რომ შენ და ანა ხანჩალიანი ძალიან დამეგობრდით.

— ანა ძალიან თბილი და კარგი გოგოა. მაისში დაბადების დღე ჰქონდა, მშობლებმა იმ რესტორანში, სადაც ანას და და სიძე უკრავენ, იუბილე გადაუხადეს და „ნიჭიერის“ ბევრი მონაწილეც დაპატიჟეს. არასოდეს დამავიწყდება ის დღე. მე და ანამ ბევრი ვიმღერეთ და ვიცეკვეთ. ისე დაგვათენდა, ვერც გავიგეთ. პროექტის შემდეგ ბევრ კონცერტში მიგვიღია მონაწილეობა, „ვა-ბანკსა“ და „ეკივოკშიც“ ერთად ვიყავით, ასე რომ, ძალიან დავახლოვდით და მჯერა, სულ ასე იქნება.

— პროექტში გამოსასვლელად, რეპერტუარი ვინ შეგიდგინა?

— საერთოდ, ძალიან მიყვარს უიტნი ჰიუსტონი, კარგად გამომდის მისი რეპერტუარის ჟანრის სიმღერები, სადაც ხმის ფართო დიაპაზონია საჭირო, ამიტომაც მირჩია პედაგოგმა, ჰიუსტონის სიმღერა მემღერა.

— იმ კონკურსებიდან, რომლებშიც მონაწილეობა მიგიღია, რომელი გახსენდება ყველაზე კარგად?

— 2 წლის წინ სიმღერის საერთაშორისო ფესტივალზე ეგვიპტეში ვიყავი წასული. ძალიან კარგად იყო ორგანიზებული, შემსრულებლები ასაკის მიხედვით გამოდიოდნენ. 7-დან 16 წლამდე ასაკის ბავშვები და მოზარდები მონაწილეობდნენ. ჩემი ასაკის მომღერლებიდან, 12 წლის ფილიპინელმა ბიჭმა გაიმარჯვა. მართლაც საოცარი და ძალზე განსხვავებული ხმა ჰქონდა. იმედი მაქვს, „ევროვიზიის“ შესარჩევ ტურში (იმ „ევროვიზიის“, რომელიც ოცნებად მაქვს გადაქცეული...) მივიღებ მონაწილეობას და იმ ბიჭივით, ვასახელებ ჩემს ქვეყანას.

■

ქართველი „მის ევროპა“ და მუსიკა, რომელსაც სმენადაქვეითებულები „უსმენენ“

„ადამიანებს ჩემი არ ესმით...“

უკვე წლებია, რაც სმენადაქვეითებულთა შორის არაერთ ქვეყანაში სილამაზის კონკურსი ტარდება. შარშან მათ რიგებს ჩვენი ქვეყანაც შეუერთდა და „საქართველოს ყრუთა კავშირის“ მიერ წარგზავნილი ნინო დავითინიძე პრაღიდან „მის ევროპის“ ტიტულით დაბრუნდა. 2010 წლამდე კონკურსის მასპინძელი ქვეყანა ჩეხეთი იყო, მაგრამ ნინოს წარმატების შემდეგ პრაღის მერთან დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, სმენადაქვეითებულთა სილამაზის კონკურსი წელს თბილისში ჩატარებულიყო. ამაზე — ცოტა მოგვიანებით, ახლა კი „მის ევროპა 2009“-ს, ნინო დავითინიძეს გაგაცნობთ. მას „ყრუთა კავშირში“ შევხვდი და ინტერვიუ თარჯიმნის დახმარებით ჩავწერეთ.

თამუნა კვინიკაძე

— ნინო, შენი ფოტოები რომ ვნახე, ვთქვი, — რა ლამაზი გოგა-მეთქი! ცხოვრებაში უფრო ლამაზი ყოფილხარ...

— გმადლობ. სამწუხაროდ, ბოლო დროს ცოტათი მოვიმატე წონაში; როცა „მის ევროპა“ გავხდი, უკეთეს ფორმაში ვიყავი.

— მიამბე, კონკურსისთვის როგორ ემზადებოდი?

— წარმატებას „ყრუთა კავშირის“ თანადგომით მივაღწიე. მათი დაფინანსებით დავდიოდი ცეკვაზე, პოდიუმზე სიარული ვისწავლე, ვვარჯიშობდი, დიეტაზეც ვიყავი (*იცინის*)... „მის ევროპის“ ნომინაციაში გამარჯვებამ ძალიან გამახარა. ლამაზი, ნაცრისფერი კაბა მეცვა, „სვაროვსკის თვლებით“ გაფორმებული, რომელიც ნაკლებად ცნობილმა დიზაინერმა შემიკერა. ყველას მოვეწონე და ეს ქალბატონი მაია მეტონიძის დამსახურებაა. სამკაულები, სუვენირები და გვირგვინი მაჩუქეს.

— სამშობლოში დაბრუნების შემდეგ პრეზიდენტმაც მიგიღო. ელოდი, რომ ქვეყნის პირველი პირი შენდამი ასეთ ინტერესს გამოიჩენდა?

— როცა ჩამოვედი, დამიბარა და მითხრა, — შენი წარმატებით გახარებული ვარო. მან ძვირად ღირებული მობილური ტელეფონი მაჩუქა, რომელიც 2 დღის წინ დამეკარგა და გული ძალიან დამწყდა.

„საქართველოს ყრუთა კავშირის“ მიერ წარგზავნილი ნინო დავითინიძე პრაღიდან „მის ევროპის“ ტიტულით დაბრუნდა

— ახლა რას საქმიანობ?

— სახლში ვარ. აბა, სად ვიმუშაო? სმენადაქვეითებულს ვინ მიმიღებს?!

— ამის გამო დაბრკოლებას ხშირად აწყდები?

— დიახ. ცოტა ხნის წინ მინანქარზე მუშაობა ვისწავლე, მაგრამ ჯერ არაფერს ვაკეთებ. ისე, სამომავლოდ მინდა, გამოფენები მოვაწყო და ჩემი ნამუშევრები გავყიდო. სხვათა შორის, კერვა, ქარგვა მეხერხება.

— როგორც ვიცი, რამდენიმე თვის წინ ოჯახი შექმენი. შენს მეუღლეზე რას გვეტყვი?

— ჩემი მეუღლე სმენადაქვეითებულთა სკოლაში წლების წინ გავიცანი. ახლა მის მშობლებთან ერთად ვცხოვრობთ. იმედია, მალე ცალკე გადავალთ საცხოვრებლად.

— მეუღლეც სმენადაქვეითებულია?

— დიახ. ის 20 წლისაა და აეროპორტში მუშაობს.

— მოდელობაზე არ გიფიქრია?

— რა თქმა უნდა, მიფიქრია, მაგრამ ახლა ფეხმძიმედ ვარ და ჯერ-ჯერობით ეს არ გამოვა... მინდა, 3 შვილი მყავდეს ანუ მრავალშვილიანი დედა გავხდე და ამ ოცნებას ავისრულებ, თუ, რა თქმა უნდა, ამაში მატერიალური მდგომარეობა შემიწყობს ხელს.

— და-ძმა გყავს?

— დიახ, მშობლები და და-ძმა მყავს. ოჯახში ჩემ გარდა ყველა მეტყველებს. და ჩემზე უფროსია, ძმა — უმცროსი. როგორც მშობლები მეუბნებიან, 9-10 თვის ასაკში გავცივდი და ექიმმა გენტამიცინი დამინიშნა. სწორედ ამ პრეპარატის მიღების შემდეგ დავყრუვდი.

— თავისუფალ დროს რითი ერთობი?

— ვკითხულობ, მეგობრებთან მივდივარ ან ვმეცადინეობ. სახლში სპეციალური წიგნი მაქვს, რომლითაც სიტყვების მნიშვნელობას ვსწავლობ. ისე, ჩემი მეუღლე უფრო კარგად ლაპარაკობს, ვიდრე მე და თუ რამეს ვერ გავიგებ, მიხსნის.

— **შარშან სილამაზის კონკურსში რამდენი გოგონა მონაწილეობდა?**

— 21 ქვეყნის წარმომადგენელი იყო. პრაღაში გატარებული პერიოდი კარგად მახსენდება, მაგრამ ის დღეები წარსულს ჩაჰბარდა...

— **იქ გაცნობილ გოგონებთან თუ გაქვს მიწერ-მოწერა?**

— რა თქმა უნდა, ზოგიერთს დღემდე ვეკონტაქტები.

„მის მსოფლიოს“ კონკურსი სმენადაქვეითებულ ლამაზმანებს შორის, თბილისში 8 ივლისს ჩატარდა და მასში „მის საქართველო“ — ნინო კახაძეც მონაწილეობდა. რჩეულთა შორის რჩეული ანუ „მის ევროპა“ და „მის მსოფლიოც“ — რუსეთის წარმომადგენელი გახდა, „მის სიმპათია“ — ფრანგი ლამაზმანი.

ნინო კახაძე, *„მის საქართველო 2010“:*

— წელს „მის საქართველოს“ კონკურსში (სმენადაქვეითებულთა შორის) 12 გოგო მონაწილეობდა. ჩვენი შერჩევა „ყრუთა კავშირის“ პრეზიდენტის, ამირან პატატუნაშვილის ხელმძღვანელობით მოხდა. ჩემი სახელი და გვარი რომ გამოაცხადეს, ემოციას ვერ ვფარავდი.

— **როგორც ვიცი, სკოლა ჯერ არ დაგიმთავრებია.**

— მეათე კლასში ვსწავლობ.

— **სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?**

— მინდა, თმის სტილისტი ან დიზაინერი გამოვიდე.

— **შენი ოჯახის წევრები გაგვაცანი...**

— მშობლები და უფროსი ძმა მყავს. ჩემგან განსხვავებით, მათ სმენის პრობლემა არა აქვთ.

— **შენ ეს პრობლემა დაბადებიდან გაქვს?**

— არა. როგორც სმენადაქვეითებულ ადამიანთა უმრავლესობა, მეც მედიკამენტის მიღების შემდეგ დავყრუვდი. 1 წლის ვიყავი, როცა მაღალი ტემპერატურის გამო ანტიბიოტიკები მიმაღებინეს და მკურნალობა ასეთი შედეგით დასრულდა...

— **პირადი ცხოვრების შესახებ შეიძლება, გკითხო?**

— (*იცინის*) დიდი ხანია, შეყვარებული მყავს. სხვათა შორის, ერთმანეთს ძალიან ვგავართ. მას ლევანი ჰქვია.

— **მსგავსებაში რას გულისხმობ?**

— გარეგნულად, განსაკუთრებით კი თვალებით ვგავართ ერთმანეთს და ისიც სმენადაქვეითებულია.

— **როგორ გაიცანი?**

— სმენადაქვეითებულთა სკოლაში რომ მოვიდა, გოგონების მიმართ ყურადღებას იჩენდა, თვალს გვადევნებდა, მერე კი მე გამეცნო. ურთიერთობა მეგობრობით დავიწყეთ, მოგვიანებით მითხრა, — მიყვარხარო (*იცინის*). მისგან დიდ სითბოსა და პატივისცემას ვგრძნობდი, ჰოდა, მეც შემიყვარდა.

— **ოჯახის შექმნაზე ფიქრობთ?**

— რა თქმა უნდა. აუცილებლად დავიწერთ ჯვარს!

— **ერთმანეთის ოჯახის წევრებს იცნობთ?**

— დიახ. თურმე, როცა ლევანის დედა ფეხმძიმედ ყოფილა, მათი ახლობლის ბავშვი გარდაცვლილა. ქალს ეს ამბავი ძალიან განუცდია და ნერვიულობა ლევანზე ამ ფორმით აისახა — სმენადაქვეითებული დაიბადა.

— **ლევანი რამდენი წლისაა?**

— 22 წლისაა. თონეში მუშაობს, ხოლო თავისუფალ დროს ჩემთან ერთად სეირნობს.

— **შენი მეგობრები ვინ არიან?**

— ძირითადად, სმენადაქვეითებულებთან ვმეგობრობ.

— **სხვებს გაურბიხარ?**

— მე არავის გავურბივარ, უბრალოდ, სხვებს ჩემი არ ესმით, სხვანაირად მიყურებენ, ვერ მიგებენ და მათთან ურთიერთობისას რაღაც ბარიერი აუცილებლად იქმნება. ამიტომაც, ჩემნაირებთან ყოფნა მირჩევნია. მერე რა, რომ ყრუები ვართ?! ჩვენ ერთმანეთის კარგად გვესმის. მართალია, ტელეფონით ვერ ვლაპარაკობთ, მაგრამ ერთურთს მესიჯებით ვეკონტაქტებით. და კიდევ, შეიძლება გაგიკვირდეს, მაგრამ მუსიკასაც ვუსმენთ.

— **ეს როგორ?**

— მართალია, სიმღერის ტექსტს ვერ ვხვდები, მაგრამ მუსიკის რიტმს ვიბრაციით ვიგებ. უმეტესად, ტემპიან მუსიკას ვუსმენ.

— **ბავშვობაში ოპერაცია რომ გაგეკეთებინა, სმენა არ დაგიბრუნდებოდა?**

— ბავშვობაში შეიძლებოდა, ახლა კი, რა თქმა უნდა, გვიანია. სამწუხაროდ, ოპერაცია ძალიან ძვირი — დაახლოებით 30-35 ათასი დოლარი ჯდება.

— **წიგნების კითხვა გიყვარს?**

— დიახ და სკოლაშიც კარგად ვსწავლობ, მათემატიკა მიყვარს.

ნინო კახიძესთან ინტერვიუს ჩაწერისას, ლამარა ჯაფოშვილი მიწევდა დახმარებას. მისი მშობლებიც სმენადაქვეითებულები არიან: დედა „ყრუთა კავშირის“ პრეზიდენტის თანაშემწეა, მამა აეროპორტში, ფანჯრების მწმენდავად მუშაობს. ახლა ლამარა მეათე კლასშია და სწორედ მან გამაცნო 17 წლის ტყუპი ძმა — დათო და გიორგი ბედენაშვილები, რომლებმაც „მის მსოფლიოს“ კონკურსზე ნინო კახაძესთან ერთად, „მთიულური“ იცეკვეს.

დათო:

— ერთი თვის წინ ცეკვის მასწავლებელთან სიარული დავიწყეთ და ილეთები იოლად ავითვისეთ.

გიორგი:

— ჩვენი ინტერვიუ სად დაიბეჭდება?

— **„გზაში“.**

— (*იცინის*) მაგარია. ამას არ ველოდი, მიხარია.

— **„მთიულურის“ გარდა, კიდევ რომელი ცეკვა ისწავლეთ?**

დათო:

— „ქართული“ და „აჭარული“. სხვათა შორის, ნინო კარგი პარტნიორი იყო. მუსიკის ხმას ვიბრაციით ვგრძნობთ. გვინდა, ცეკვა კარგად ვისწავლოთ და მერე სხვებსაც ვასწავლოთ. ■

წელს „მის საქართველოს“ კონკურსში (სმენადაქვეითებულთა შორის) 12 გოგო მონაწილეობდა

ახალი გალერეა – „ახალი სისხლი“ ხელოვნების სფეროში

და შეზღუდული შესაძლებლობის მქონეთათვის მოწყობილი გამოფენა-გაყიდვა

ძველი თბილისის უბანში, ერეკლე II-ის ქუჩაზე კიდევ ერთი არტ-ცენტრი — „ტიფლის ავენიუ“ გაიხსნა, რომელმაც პრეზენტაციის დღე საქველმოქმედო აქციით აღნიშნა. მოეწყო ცნობილი და უცნობი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, შემოსული თანხა კი ფონდს — „ინტეგრაცია ხელოვნების მეშვეობით“ — მოხმარდება, რომლის ფარგლებშიც, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების მხარდამჭერი პროექტები იგეგმება. როგორც თავად საგამოფენო დარბაზის წარმომადგენლები აღნიშნავენ, ახალგახსნილი გალერეა ვიზუალური ხელოვნების პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.

ელენე გასილიძე

ეკა მაჭარაძე

ეკა მაჭარაძე, *გალერეა „ტიფლის ავენიუს“ დირექტორი:*

— განათლებით ფსიქოლოგი ვარ, მაგრამ ხელოვნების სფერო ყოველთვის მიზიდავდა, გალერეის გახსნის იდეაზე დიდხანს ვფიქრობდი და საბედნიეროდ, ჩანაფიქრიც მალევე განვახორციელე. ძალიან მიხარია, რომ კიდევ ერთი საგამოფენო დარბაზი შეემატა თბილისს... ჩვენი გალერეის მიზანია, ქართული ხელოვნების წარმოჩენასა და პოპულარიზაციას შეუწყოს ხელი. ვაპირებთ, მოვაწყოთ ექსპოზიციები საქართველოსა და უცხოეთში, აგრეთვე ექსპერიმენტული პროექტები, აქციები, პრეზენტაციები, სემინარები და მასტერკლასები. იმედი გვაქვს, ახალგაზრდა და ნიჭიერი ადამიანების მხარდაჭერასაც მოვახერხებთ (*იღიმის*). ყველამ იცის, რომ საქართველოს გააჩნია უდიდესი პოტენციალი არა მხოლოდ მხატვრობის, არამედ ნებისმიერი სხვა კულტურული მიმართულების კუთხით. სამწუხაროდ, ბოლო 20 წლის მანძილზე ქართული ხელოვნება არასაკმარისადაა წარმოდგენილი საზღვარგარეთ და ჩვენი პრიორიტეტია, უცხო ქვეყნებში ქართული ვიზუალური ხელოვნების პოპულარიზაცია მოვახდინოთ. ამავდროულად გვსურს, ჩვენი პროექტები და აქციები გარკვეულ სოციალურ მიზანს ემსახურებოდეს. დღევანდელი გამოფენით, ჩვენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს ვეხმარებით და სხვადასხვა საქველმოქმედო აქციების გამართვას მომავალშიც ვაპირებთ.

— მოდით, უფრო ვრცლად ვისაუბროთ ამ საქველმოქმედო საღამოს შესახებ...

— დღევანდელ გამოფენას „იყავით ჩვენთან ერთად“ ჰქვია. საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვის ფარგლებში ვაპირებთ, განვახორციელოთ სპეციალური მხარდამჭერი პროექტები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატარებისათვის. შემოსული თანხა მოხმარდება ბავშვებს, რომლებსაც ჩაუტარდებათ ხატვის გაკვეთილები და შემდგომში, უკვე მათი ნამუშევრების გამოფენაც გაიმართება. გვსურს, ისინი სხვადასხვა სპექტაკლში ვათამაშოთ, მათი ფიზიკური აქტიურობის ხელშეწყობაზე და იმაზე ვიზრუნოთ, რომ ბავშვებს მუსიკის, ცეკვის გაკვეთილები ჩაუტარდეთ...

— წელან ახსენეთ, რომ ხელოვნებაში ახალი სახეების წარმოჩენას დაუჭერთ მხარს, ამას როგორ აპირებთ?

— ჩვენს გალერეაში სხვადასხვა სახის გამოფენა ჩატარდება: ინდივიდუალური, ჯგუფური, თემატური. ჩვენს ყურადღებას ვიზუალური ხელოვნების ყველა სფერო იქცევს, იქნება ეს გრაფიკა, ქანდაკება, ფოტოხელოვნება, ილუსტრაციები თუ თეატრალური ესკიზები... აგრეთვე კომპიუტერული გრაფიკისა და ვიდეოინსტალაციების წარმოჩენასაც ვგეგმავთ, რომელიც ვფიქრობთ, რომ საზოგადოებას ძალიან დაინტერესებს.

— პირად საუბარში, გალერეის ერთ-ერთ პრიორიტეტად საგანმანათლებლო პროექტებიც დასახელეთ. რას გულისხმობდით?

— რაც შეეხება საგანმანათლებლო პროექტს, ვგეგმავთ ცნობილი მხატვრების მასტერკლასების მოწყობას, სემინარების ჩატარებას და ახალგაზრდა მხატვრების „გაცვლით პროგრამებში“ ჩართვას.

— წარმატებებს გისურვებთ!

— დიდი მადლობა. იმედია, ჩვენი ჩანაფიქრის განხორციელებას შევძლებთ (*იღიმის*).

ბევრი ნაცნობი თუ უცნობი მხატვარი დაგვეხმარა ამ საქველმოქმედო გამოფენის მოწყობაში

ქეთევან კორძახია, *ხელოვნებათმცოდნე, ფონდ „არტ კავკასიის“ დირექტორი:*

— დღევანდელ გამოფენაში ჩემი დამსახურება, ცოტა არ იყოს, გაზვიადებულია (*იღიმის*). ახალი გალერეა ახალი სისხლია ხელოვნების სფეროში და თითოეულ ნოვატორულ წამოწყებას მხარი უნდა დავუჭიროთ. დღეს მე ჩემი ოპტიმიზმითა და პროფესიონალიზმით ვეხმარები გამოფენას, რომელსაც საკმაოდ დიდი დატვირთვა აქვს. მოგეხსენებათ, დღევანდელი გამოფენა-გაყიდვის დროს შემოსული თანხა იმ პატარებს მოხმარდება, რომლებიც საკუთარი ნიჭის რეალიზებას ნაკლებად ახერხებენ. მინდა, ყველამ იცოდეს, თუ როგორი ნიჭიერი ადამიანები არიან ე.წ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები. გუშინ მათ მიერ დადგმულ სპექტაკლს დავესწარი და ემოციები ვერ შევიკავე (*იღიმის*).

— რა არის დღევანდელი გამოფენა-გაყიდვის მიზანი?

— შემოსული თანხით დაიდგმება სპექტაკლები, სადაც ისევე და ისევ ჩვენი უნიჭიერესი პატარები მიიღებენ მონაწილეობას. ძალიან გვინდა, მათ ნიჭს შევუწყოთ ხელი და ხატვის, მუსიკის, ცეკვის გაკვეთილები ჩაუტარდეთ. გვსურს, ცურვაზეც იარონ — ეს მათი ფიზიკური აქტივობის გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

— ქალბატონო ქეთევან, რომელი მხატვრები მონაწილეობენ დღევანდელ გამოფენაში?

— ნუგზარ მანჯაფარაშვილი, ედმონდ კალანდაძე, შალვა მაყუაშვილი, თენგიზ მირზაშვილი, ირაკლი სუთიძე, ირაკლი ფარჯიანი, გენო ზაქარაია და კიდევ ბევრი ნაცნობი თუ უცნობი მხატვარი დაგვეხმარა ამ საქველმოქმედო გამოფენის მოწყობაში. იმედი გვაქვს, ჩვენი ჩანაფიქრის განხორციელებას შევძლებთ, რითაც პატარებს ძალიან გავახარებთ. ■

მიწის ქვეშ დახატული პორტრეტები და მხატვარი, რომელიც მზის სხივებს ემალება

მეტროში კარგა ხნის ლოდინის შემდეგ გამხდარი ქალი მომიახლოვდა.

— მე მელოდებით?

— ზიზი თქვენ ხართ?

— დიახ.

ჩემ წინ ძალიან გამხდარი ქალი იდგა.

შელახული ტანისამოსი, ნაღვლიანი გამოხედვა, თავდაჯერებული საქციელი — ერთი შეხედვით, ასე დაახასიათებ.

ის უკვე 4 წელია, მიწის ქვეშ „ცხოვრობს“. დილიდან გვიან ღამემდე, ვიდრე მეტრო მუშაობს, მატარებლიდან მატარებელში, ვაგონიდან ვაგონში გადადის და ერთსა და იმავე გზას ვინ იცის, უკვე მერამდენედ გადის.

ვაგონში შესული მოხერხებულად მოკალათდება, ფეხს ფეხზე გადაიდებს, წინა სავარძელზე მსხდომ ხალხს თვალს მოავლებს, ერთ-ერთს ამოირჩევს და ფანქრით მის ხატვას იწყებს. ხატვის პროცესში ხშირ-ხშირად უყურებს „ნატურას“; თუ ვინმე წინ ჩამოეფარება, სთხოვს, გაიწიოს და ხელი არ შეუშალოს.

მე და ჩემმა ფოტოგრაფმა — ფრიდონმა მგზავრების ყურადღება მაშინვე მივიპყარით, გარშემო ყველა შემოგვეცალა. თუმცა ზოგს, როგორც ჩანს, მოერიდა და ადგილზე დარჩა. ზიზიმ ახალგაზრდა გოგონას დაადგა თვალი. გოგონას შუა ხნის ქალბატონი ახლდა და მისკენ შებრუნდა, ჩვენკენ აღარც გამოუხედავს — ეტყობა, მოერიდა. ზიზიმ მისი დახატვა მაინც მოახერხა, შემდეგ კი ნახატი მიაწოდა. როგორც ჩანს, ცნობისმოყვარეობამ თავისი ქნა და გოგონამ მოიხედა. ფრიდონმაც მაშინვე, დრო იხელთა და სურათი გადაუღო. პორტრეტის დანახვისას გოგონას სახე გაუნათდა, ზიზის ნახატი გამოართვა და რკინის ლარიანი ჩაუდო ხელში.

— გმადლობ, — გაუღიმა მხატვარმა და შემდეგი „მსხვერპლი“ ამოარჩია. როგორც კი ფოტოგრაფი მუშაობას მორჩა და ვაგონიდან გავიდა, ზიზის გარშემო ცნობისმოყვარეთა წრე შეიკრა — ღიმილით უყურებდნენ, როგორ მუშაობდა, ხან ნახატს დაჰყურებდნენ, ხან კი იმ ადამიანს გახედავდნენ, ვისაც ქალი ხატავდა.

მხატვარი ყურადღებას არავის აქცევს, ნახატის დასრულებას ჩქარობს — მატარებელი ხომ მალე გაჩერდება და უნდა მოასწროს, პორტრეტი უნდა გაყიდოს. 3 წუთი საკმარისია, რომ ნახატზე საყურე, თავზე დამაგრებული სათვალე და თმის კულულიც კი გაჩნდეს.

ნახატს ყველა ართმევს, მაგრამ ფულს ყველა როდი იხდის

„შემდეგი გაჩერება — „მარჯანიშვილი“, — აცხადებს ხმა, მაგრამ ზიზის არ ესმის. მისთვის სულერთია, რომელი გაჩერებაა შემდეგი ან შემდეგის შემდეგი. მის წინ მგზავრები იცვლებიან — ზოგი ჩადის, მის ადგილს სხვა იკავებს, ზიზი კი ხატავს და ხატავს...

— ინებეთ, — დაანახვებს პორტრეტს და მიაწვდის.

ნახატს ყველა ართმევს, მაგრამ ფულს ყველა როდი იხდის — ზოგი მადლობას სჯერდება, ზოგი მოუბოდიშებს, — ფული არა მაქვსო. შესაძლოა, ასეთი ადამიანი რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ გადაეყაროს ვაგონში მხატვარს და გარკვეული თანხა მიაწოდოს, — ბოდიში, მაშინ ფული არ მქონდა, ახლა ინებეთ თქვენი შრომის საფასურიო...

აღებულ ფულს ზიზი ჩანთაში ჩადებულ მინის პატარა ქილაში ყრის და ახალი პორტრეტის ხატვას იწყებს...

უცებ, ახალგაზრდა ბიჭი მოვიდა, დაიხარა და მხატვარს ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. ზიზიმ ვაგონის ბოლოსკენ გაიხედა და კარზე მიყრდნობილი გოგონას ხატვა დაიწყო — ეს შეკვეთაა, შეკვეთა კი ძვირი ღირს ანუ დამკვეთს ცოტა მეტის გადახდა მოუწევს, მაგრამ მხატვარი ამაზე წინასწარ არ უთანხმდება. ბიჭმა იცის, თუ იმ უცნობი გოგონას პორტრეტის ხელში ჩაგდება სურს, რომელსაც მეტროში შემთხვევით შეხვდა და მოეწონა, მხატვარს ზედმეტი უნდა გადაუხადოს. შემდეგ, ნახატს გოგონას მიართმევს, გაუღიმებს... გოგონას უეჭველად მოეწონება ზიზის ნამუშევარი და ბიჭს მადლობას ეტყვის... შესაძლოა, ეს ახალი ოჯახის შექმნის საწინდარიც კი გახდეს.

— მამაჩემი პროფესორი იყო. მე ზარიძე ვარ, მაგრამ ეს დედის გვარია. ის აბასთუმანში მუშაობდა და საკმაოდ ცნობილი ექიმი გახლდათ. მერწმუნეთ, იქ დღესაც კი ახსოვთ ემილია ზარიძე. დედა და მამა გაშორებულები იყვნენ. პატარა ვიყავი, როცა დედაჩემი გარდაიცვალა და დეიდამ გამზარდა. მამასთან ურთიერთობა საკმაოდ გვიან დავამყარე. ის ახლა მოხუცია და ხანდახან ვნახულობ, მაგრამ ეს ის ურთიერთობა არ არის, რაც მამა-შვილს შორის უნდა იყოს... ხატვა 5 წლის ასაკიდან დავიწყე და ძერწვაც მეხერხებოდა. 8 კლასის დამთავრების შემდეგ „ნიკოლაძეში“ ჩავბარე. აკადემიაში თავისუფალ მსმენელად დავდიოდი. მოგვიანებით უნივერსიტეტში, ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. ჩემი პედაგოგი მარინა თურმანიძე გახლდათ. დიპლომი XVII საუკუნის ჰოლანდიელ მხატვრებზე დავიცავი, შემდეგ სტაჟირებაზე ლენინგრადის ერმიტაჟში ვიყავი. 15 პერსონალური გამოფენა მქონდა. 1990 წელს მხატვრის სახლში გრანდიოზული გამოფენა მოვაწყვე — 120 სურათი გამოიფინა. ახლა ჩემი ნამუშევრები მიმოფანტულია, ბევრი მათგანი კერძო კოლექციაშია, ბევრის ასავალ-დასავალი არც ვიცი.

— დიდი ხანია, მეტროში ხატავ?

— მას შემდეგ, რაც ჩემი შვილი დაიჭირეს. მისმა დაპატიმრებამ ჩემზე ძალიან იმოქმედა, საშინელ დეპრესიაში ვიყავი და მეტროში ხატვა დავიწყე. თავიდან უბრალოდ, მზის სინათლეს ვემალებოდი, გულის გადასაყოლებლად ვხატავდი და ხალხს ნახატებს ვჩუქნიდი, შემდეგ ერთმა კაცმა ფული მომცა, — ფანქარს და ქაღალდს მაინც იყიდიო. მაშინ ვიფიქრე, რომ ამ საქმით ცოტაოდენი ფულის შოვნა

მეტროში ხატვა ჩემი საქმე არ არის, მე უფრო მეტის გაკეთება შემიძლია

შეიძლებოდა. ახლა დღეში სულ მცირე, 30 ლარს მაინც ვშოულობ, ხანდახან — 50-ს ან მეტსაც. ერთხელ ახალგაზრდა მამაკაცი დავხატე და 50-ლარიანი მომაწოდა. უხერხულად ვიგრძენი თავი, რადგან ხურდა არ მქონდა. თან ვიფიქრე, როგორც ჩანს, 5-ლარიანი ეგონა-მეთქი და უკან გავეკიდე. ხურდა არ მინდა, შენი იყოს, დაიმსახურეო, — მითხრა. ახლა მთელი დღე მიწის ქვეშ ვარ, გარეთ მხოლოდ გვიან ღამით გავდივარ, როდესაც მეტრო იკეტება. ხომ ნახეთ, ზოგიერთი ფულს არ მიხდის. ღმერთმა გაუმარჯოს თავის გზაზე! ზოგიერთს ფული თუ არა აქვს, სხვანაირად ცდილობს პატივისცემას: ხატები უჩუქებიათ, ჯვარიც... ისე, თავიდან, პირველი რამდენსაც გადამიხდის, ყველას ჰგონია, ისაა „სტავკა“ და ყველა ისე იხდის.

— რამე თუ მოუპარავთ შენთვის მეტროში?

— კი, ჩანთა მომპარეს — ვხატავდი და ყურადღება ვერ მივაქციე. ტირილი დავიწყე, ხმამაღლა ვბღაოდი და ვკიოდი. ყველაფერი იქ მქონდა — საბუთები, ფული, მობილური. სიმწრით ნაშოვნ ფულს ასე უცებ რომ დაკარგავ, საშინელებაა. ყოფილა შემთხვევა, ყალბი ფულიც შემოუჩეჩებიათ. მეტროში ათასგვარ ადამიანს გადააწყდები და არაფერი უნდა გაგიკვირდეს.

— აგრესიას თუ იწვევს შენი საქმიანობა? ვისაც ხატავ, ყველა კეთილგანწყობით ხვდება ამას?

— რა თქმა უნდა, არა — ზოგიერთი მეჩხუბება კიდეც. ერთხელ გოგონას ვხატავდი. მას რამდენიმე მეგობარი ახლდა. ერთ-ერთმა თქვა: ხატვა არ შეიძლება, ცოდვააო და მატარებელი გაჩერდა თუ არა, მაშინვე ჩავიდნენ. ასეთ ადამიანებს ყურადღებას არ ვაქცევ, ყველა ერთნაირი ხომ არ არის?!

— როგორ ირჩევ იმ ადამიანს, რომელიც უნდა დახატო?

— ყველა ადამიანს თავისი აურა აქვს. გადავხედავ ხოლმე მგზავრებს და ავირჩევ. ზოგს თითქოს არ უნდა, რომ დავხატო, თავს გვერდზე მიაბრუნებს, უკმაყოფილო სახეს მიიღებს, მაგრამ პორტრეტს რომ ნახავს, თვალები უბრწყინდება... სიმართლე გითხრა, ხატვას რომ ვიწყებ, მაშინვე ვხვდები, ფულის გადამხდელია თუ — არა. ერთმა ქალმა 3 ბავშვი დამახატვინა და ფული არ გადამიხადა... ერთმა საოცრად დიდთავიანი ბიჭუნას დახატვა მთხოვა. ასეთი ბავშვის ხატვა საშინელებაა, რადგან განიცდი. ნაკლი თმით დავუფარე და ძალიან ლამაზი სურათი გამოვიდა. იმ ბავშვის დედამ 5 ლარი მაჩუქა. საღამოობით უფრო მეტ ფულს ვშოულობ. ზოგიერთი მგზავრი თავად მეუბნება, — დამხატეო და მერე 10 ლარს მჩუქნის. ახლა ჩემი ყველაზე დიდი პრობლემა — უბინაობაა. ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობ და ქირის გადახდა ძალიან მიჭირს... სპონსორს ვეძებ, რომელიც სახელოსნოს გამიკეთებს და საშუალებას მომცემს, ხალხს ჩემი ნამდვილი შემოქმედება ვუჩვენო. მეტროში ხატვა ჩემი საქმე არ არის, მე უფრო მეტის გაკეთება შემიძლია. ქალაქის მერთან შეხვედრაც მინდოდა, მაგრამ ვერ მოვახერხე. იმედია, ოდესმე შევხვდები და ჩემი გასაჭირის შესახებ მოვუყვები.

ზიზის პირდაპირ ახალგაზრდა წყვილი დაჯდა — თმახუჭუჭა ბიჭი და გოგო. ერთმანეთისგან მხოლოდ იმით გაარჩევდი, რომ გოგონას საყურე ორივე ყურზე ეკეთა, ბიჭს — მხოლოდ ერთზე. დასხდნენ თუ არა, მობილური მოიმარჯვეს და პოზირება „გააჩაღეს“ — სურათებს საკუთარ თავს უღებდნენ. ზიზიმ ფანქარი მოიმარჯვა და ხატვა დაიწყო.

— მე მხატავს! ავდგები ახლა და თავზე დავახევ იმ ნახატს, — კბილები გააკრაჭუნა ბიჭმა.

— შეეშვი, ხატოს და იყოს, — შესცინა გოგონამ.

ახალგაზრდებს ზიზისთვის ყურადღება აღარ მიუქცევიათ, ისევ სურათების გადაღებით იყვნენ დაკავებული.

მზა ნახატით დაინტერესდნენ და ზიზის გამოწვდილ ფურცელს ჯერ ირიბად გახედეს, შემდეგ, როგორც ჩანს, მოეწონათ და გამოართვეს კიდეც.

— თუ საშუალება გაქვთ, დამეხმარეთ, — ზიზიმ მიანიშნა, რომ ფული უნდა გადაეხადათ.

წყვილს ყურიც არ შეუბერტყავს. მხატვარმა მათ რამდენჯერმე შეახსენა, რომ საფასური უნდა გადაეხადათ, მაგრამ ამაოდ. ახალგაზრდები ნახატს ათვალიერებდნენ, თვალს არ აშორებდნენ, ერთი გაჩერების შემდეგ კი ჩავიდნენ და ფურცელიც თან გაიყოლეს.

ზიზიმ მხრები აიჩეჩა და ახალი „ნატურის“ ძებნას შეუდგა. მგზავრები მეც მოვათვალიერე და ვცადე გამომეცნო, ვის დახატავდა. გამოვიცანი — მის გვერდით 2 ახალგაზრდა მამაკაცი იდგა და მხატვრის საქმიანობას თვალყურს ადევნებდა. ერთ-ერთი მათგანი მხატვრის „ობიექტივში“ მოხვდა. „ნატურა“ კეთილად იღიმოდა, ჯიბეში ფულიც მოიძია; როცა ზიზი შეხედავდა, ყელს მოიღერებდა ხოლმე. ვატყობდი, მოუთმენლად ელოდა, ნახატს როდის მიაწვდიდნენ. ბოლოს, კმაყოფილმა მხატვარს ფული გადაუხადა და ნახატს ღიმილით დახედა. ის გოგონა დახატეო, — კართან მდგარ, ლამაზ გოგონაზე მიუთითა, რომელიც მორცხვად იღიმოდა. ზიზიმ მუშაობა რამდენიმე წუთში დაასრულა. ბიჭმა ფული გადაიხადა და ნახატი გოგონას გაუწოდა.

— მოგეწონათ? — ვკითხე გოგონას.

— დიახ, ძალიან მომწონს. ადრეც დამხატა და ის ნახატიც შენახული მაქვს. ზიზი ყველას უყვარს. ვინც მეტროთი ხშირად მგზავრობს, თითქმის ყველა იცნობს და ცდილობენ, თუ შეუძლიათ, დაეხმარონ.

როგორც ჩანს, ცნობისმოყვარეობამ თავისი ქნა და გოგონამ მოიხედა. ფრიდონმაც მაშინვე, დრო იხელთა და სურათი გადაუღო

„ბოლო გაჩერება — „ვარკეთილი“. გთხოვთ გაათავისუფლოთ ვაგონები“.

მე და ჩემი რესპონდენტი ვაგონიდან გამოვედით. ზიზის დავემშვიდობე და მეტროს ამოსასვლელისკენ წამოვედი.

დავინახე, როგორ შევიდა ვაგონში, დაჯდა და მაშინვე ფურცელი და ფანქარი მოიმარჯვა. ასე, გაჩერებიდან გაჩერებამდე, რამდენიმე პორტრეტს დახატავს და დღის ბოლოს ხურდა ფულით დამძიმებული ჩანთით შინ დაბრუნდება. მალე ალბათ, ყველა თბილისელის სახლში იქნება თითო ნახატი მაინც, წარწერით — „მხატვარი ზიზი“. ■

სპორტისთვის გაღებული მსხვერპლი — ანუ ტანგაპარსული კაცებისა და დაკუნთული ქალების „სილამაზის კონკურსი“

„ვარჯიშების წყალობით ქალს მკერდიც ეზრდება“

როცა ამიერკავკასიის ჩემპიონატზე გავედი, 45 კილო ვიყავი და კუნთებიც კარგად „მაჯდა“. ჰოდა, დარბაზი ამიტომაც აღფრთოვანდა, როგორც სპორტსმენი, ნამდვილად დამაფასეს

მილადა მაცაბერიძე მთელ ამიერკავკასიაში ერთადერთი ქალია, რომელმაც გარისკა და სპორტის იმ სახეობაში დაიწყო ვარჯიში, სადაც ბევრის აზრით, ქალის ადგილი არ არის. მილადამ ამიერკავკასიის ჩემპიონატისას ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ მამაკაცებს დაუმტკიცა, რომ შესაძლოა, მანდილოსანსაც ჰქონდეს განვითარებული კუნთი, მაგრამ ქალურობა შეინარჩუნოს. სცენაზე გასული მილადას დანახვისას, კაცები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ, ქალები კი შურით უმზერდნენ. თუმცა, მას ეს თავგანწირვა არ დაუფასდა — ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობა ვერ შეძლო, რადგანაც სპონსორმა ბოლო წუთს უთხრა უარი და მილადამაც ხელი ჩაიქნია...

დღეს ყოფილი ბოდიბილდერი ფიტნეს-დარბაზში, ინსტრუქტორად მუშაობს და ქალებს არა მარტო წონის „დაგდებაში“, არამედ მის მომატებაშიც ეხმარება. დაბოლოს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მასთან ვარჯიშისას, თურმე, ცერებრალური დამბლით დაავადებულსაც „აუდგამს ფეხი“.

ლიკა ქაჯაია

— რამდენიმე წლის წინ, როცა შენთან ინტერვიუს ჩასაწერად მოვედი, მითხარი, რომ მთელ ამიერკავკასიაში ერთადერთი ქალი ხარ, რომელიც ბოდიბილდინგით სერიოზულადაა დაინტერესებული. ამ მხრივ რაიმე თუ შეიცვალა? შენთან სავარჯიშოდ თუ მოდიან გოგონები, რომელთაც სპორტის ამ სახეობაში საკუთარი ძალების მოსინჯვა სურთ?

— საერთოდ, ქართველი ქალები სპორტს იშვიათად მისდევენ, მით უმეტეს, ბოდიბილდინგს ან ბოდიფიტნესს, რადგან ეს საოცრად შრომატევადი საქმეა. ბოდიბილდერს მოეთხოვება დისციპლინა, სპეციალური კვებისა და ძილის რეჟიმის დაცვა. მოკლედ, სპორტსმენი გამუდმებით საკუთარ თავზე უნდა მუშაობდეს, არ უნდა მოდუნდეს. ჰოდა, ბევრი ამ ყველაფერს ვერ უძლებს ანუ სურვილი აქვთ, მაგრამ მონდომება აკლიათ.



მათთვის ყველაზე უსიამოვნო თმის ზრდის პროცესია

— მიუხედავად ამისა, თქვენს დარბაზში თითქმის ყოველთვის, ვილაც ვარჯიშობს...

— აქ ძირითადად, ქალები იმისთვის მოდიან, რომ წონაში დაიკლონ ან პირიქით — მოიმატონ; ზოგი კი მხოლოდ სხეულის გასაკაჟებლად, ჯანმრთელობის აღსადგენად ვარჯიშობს. უმეტესად, ადამიანებს ხერხემალთან დაკავშირებული პრობლემა აწუხებთ, მოდიან ავარიის შემდეგ, რეაბილიტაციის კურსის გასავლელად. სხვათა შორის, ჩვენს დარბაზში სავარჯიშოდ ცერებრალური დამბლით დაავადებულებიც ხშირად მოჰყავთ.

— ახლა არ მითხრა, რომ აქ ვარჯიშის შემდეგ ცერებრალური დამბლით დაავადებული გავლას შეძლებს. ალბათ დამეთანხმები, რომ უკვე ბევრგან გაიხსნა ფიტნეს-დარბაზი, მაგრამ არ გამიგონია, რომ იქ ასეთ ავადმყოფებს ვარჯიშით კურნავდნენ...

— ჩვენ ასეთ ადამიანებს განსხვავებული მეთოდით ვავარჯიშებთ და ხშირ შემთხვევაში, მიზანსაც ვაღწევთ. მაგალითად, ჩვენთან დადიოდა ბიჭი, რომელიც ფეხს ოდნავ ამოძრავებდა, ხოლო ვარჯიშების შემდეგ სირბილიც შეძლო. იმისათვის, რომ „კუნთოვანი კარკასი“ ძლიერი იყოს, ვარჯიშია საჭირო, მაგრამ თითოეული ადამიანი ინსტრუქტორმა განსხვავებული, მისთვის საჭირო მეთოდით უნდა ავარჯიშოს, რასაც შესაბამისი ცოდნა სჭირდება.

— გქონიათ თუ არა შემთხვევა, როცა მძიმე ცერებრალური დამბლით დაავადებულს ანუ ისეთ ადამიანს გაუვლია, რომელსაც ვარჯიშების დაწყებამდე ნაბიჯის გადადგმაც არ შეეძლო?

— მამაჩემს (ბოდიბილდინგისა და ფიტნესის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი) ჰყავდა ასეთი პაციენტი და შედეგი ცხადია, არის. ზოგს უნდა, მისმა შვილმა ერთი ან ორი ვარჯიშის შემდეგ შეძლოს ფეხზე დგომა, რაც შეუძლებელია — ყველაფერს დრო სჭირდება. შესაძლოა, მარცხიც განვიცადოთ — ადამიანმა ვერ გაიაროს, სამაგიეროდ, მას კუნთები საბოლოოდ არ მოუდუნდება, ვარჯიშების შემდეგ ცხოვრების ხალისი დაუბრუნდება.

— დღესდღეობით ბევრს აწუხებს ოსტეოქონდროზი, სქოლიოზი...

— მართალი ხარ და შეიძლება ითქვას, რომ ეს დაავადებები XXI საუკუნის ეპიდემიაა. საერთოდ, თუ ზურგის კუნთი და მუცლის პრესი მოშვებულია, ეს იმას ნიშნავს, რომ ხერხემალი „ჰაერშია ჩამოკიდებული“ და ამიტომაც, ის მრუდდება. ხერხემალი უნდა იყოს ე.წ. კუნთოვან

„კორსეტში“, ამის მისაღწევად კი ვარჯიშია საჭირო.

— და იმისათვის, რომ ჩვენს ხერხემალს პრობლემა არ შეექმნას, ვარჯიში რა ასაკიდან უნდა დაიწყოთ?

— 13 წლის ასაკიდან. ისე კი, უფრო პატარებიც მოჰყავთ. მაგალითად, ჩვენთან 7 წლის პატარაც დაჰყავდათ. ცხადია, ამ ასაკის ბავშვისთვის დატვირთვა არ შეიძლება, მაგრამ გარკვეული ტანვარჯიშების ჩატარება მისაღებია.

— როგორც ვიცი, არსებობს ხერხემლის ისეთი დაავადებები, რომლებზეც ვარჯიში უარყოფითად მოქმედებს და ხშირ შემთხვევაში, ფიზიკური დატვირთვა საბალალო შედეგითაც სრულდება.

— მართალია. მაგალითად, არ შეიძლება ხერხემლის დატვირთვა მოტეხილობის დროს. ამიტომაც, როცა ადამიანი ჩვენთან მოდის და გვეუბნება, რომ რაღაც პრობლემა აქვს, პირველ რიგში, ვითხოვთ რენტგენს, ექიმების მიერ გაკეთებულ დიაგნოზს. აუცილებლად უნდა გავიგოთ, რა აწუხებს ადამიანს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მასთან ვერ ვიმუშავებთ...

— მოდი, ისევ ბოდიბილდინგს მივუბრუნდეთ. როგორც ვიცი, წელიწადში ორჯერ ბოდიბილდერები ერთმანეთს ეჯიბრებიან.

— ბოდიბილდინგის და ფიტნესის ეროვნული ფედერაცია ყოველწლიურად ატარებს როგორც საქართველოს ჩემპიონატს, ისე ამერიკავკასიის თასის გათამაშებას, რომელშიც არა მარტო ქართველი, არამედ აზერბაიჯანელი და სომეხი სპორტსმენები მონაწილეობენ. სხვათა შორის, წელს ამერიკავკასიის აბსოლუტური ჩემპიონი ჩვენი თანამემამულე გახდა... მიუხედავად იმისა, რომ ძალიან პერსპექტიული ბიჭები გვყავს, სპორტის დეპარტამენტი არაფრით გვეხმარება, ხელს არ გვიწყობს, რომ ისინი საერთაშორისო შეჯიბრებაზე წავიყვანოთ.

— ბოდიბილდერებს სცენაზე გამოსვლისას ტანი საოცრად უბზინავთ და ეს შეჯიბრება რაღაცით სილამაზის კონკურსს ჰგავს...

— ეს სპეციალური გრიმია და იმისთვისაა საჭირო, რომ შუქის ქვეშ კუნთი უკეთესად გამოჩნდეს. მოგეხსენებათ, მონაწილეებს აფასებენ თითოეული კუნთის ხარისხის, სილამაზის მიხედვით. მნიშვნელოვანია ისიც, თუ რამდენად პლასტიკურია მონაწილე.

— და კიდევ ერთი, ბოდიბილდერებს ტანზე თმა არა აქვთ. საინტერესოა, კაცები მთელ ტანს იპარსავენ თუ ამასაც გრიმი ფარავს?

— (*იცინის*) არა, გაპარსულები არიან.

— და ტანის გაპარსვას ქართველი კაცები არ თაკილობენ?

— სხვათა შორის, არა. მათ იციან, რომ ეს საჭიროა და სპორტის გამო მსხვერპლს იღებენ. მათთვის ყველაზე უსიამოვნო თმის ზრდის პროცესია, მაგრამ სხვა რა გზა აქვთ, ესეც უნდა აიტანონ (*იცინის*)! ისე, კაცისთვის უფრო რთულია იყოს დიეტაზე, მაგრამ როცა ბოდიბილდერი ხარ და გინდა, ამ სფეროში წარმატებას მიაღწიო, ყურადღება არა მარტო ვარჯიშზე, არამედ კვების რეჟიმზე და საკვებზეც უნდა გაამახვილო.

— დიეტის დროს საკვები შეზღუდული რაოდენობით უნდა მიიღო. ამას როგორ ეგუება სპორტსმენი, რომელიც ვარჯიშისას უამრავ ენერგიას ხარჯავს?

— დიეტა არ ნიშნავს იმას, რომ შიმშილით თავი უნდა მოიკლა. უბრალოდ, არ უნდა მიიღო ზედმეტი ცხიმი და დიდი ოდენობით ტკბილეული. ბოდიბილდერისთვის მთავარია, მიიღოს ცილა: კვერცხი, ხაჭო, მაწონი, ყველი, თევზი, ხორცი, მაგრამ ეს ყველაფერი ნაკლებცხიმიანი და მოხარშული უნდა იყოს. თუმცა, ხილ-ბოსტნეულის მიღებაც აუცილებელია.

— შენი აზრით, რატომ უჭირთ ქართველ ქალებს საკუთარ თავზე ზრუნვა, მით უმეტეს მაშინ, როცა ბევრი უჩივის ცელულიტს...

— ეს უბრალოდ, სიზარმაცის ბრალია (*იცინის*). როცა ვარჯიში დავიწყე, ბევრ რამეზე ვთქვი უარი. მაშინ ჩემი დღის რეჟიმი ასეთი იყო: ვმუშაობდი (ბავშვებს რუსულ და გერმანულ ენაში ვამზადებ), ვვარჯიშობდი, ჯანსაღ კვებაზე ვზრუნავდი და დაქალებისთვის, სეირნობისთვის ნაკლები დრო მრჩებოდა, რასაც ბევრი ვერ შეეგუება. ისე, ეს მართლაც, რთულია. თან მოგეხსენებათ, საქართველოში ქალების უმეტესობა „დიასახლისია“ ანუ მას არ სცალია იმისათვის, რომ საკუთარ ჯანმრთელობაზე, სხეულის მოვლაზე იზრუნოს.

საქართველოში ქალების უმეტესობა „დიასახლისია“ ანუ მას არ სცალია იმისათვის, რომ საკუთარ ჯანმრთელობაზე, სხეულის მოვლაზე იზრუნოს

— ქართველი მამაკაცების უმეტესობა აღნიშნავს, რომ სპორტსმენი ქალები არ მოსწონს, რადგანაც მათ დაკუნთული სხეული აქვთ. ჰოდა, იქნებ ქალებიც ამიტომ იკავებენ ვარჯიშისგან თავს?

— შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ ვარჯიში იმას არ ნიშნავს, რომ აუცილებლად კუნთები უნდა დაგეტყოს და ბოდიბილდერად იქცე. მაგალითად, სპორტის იმ სახეობაში, რომელშიც მეც ვვარჯიშობდი (ბოდიფიტნესს ვგულისხმობ), დიდი კუნთი აკრძალულია. არ უნდა გქონდეს ზედმეტი წონაც და არც მკაცრი რელიეფია საჭირო. მეტიც, სპორტის ეს სახეობა უფორმო ტანის მქონე ქალებს ტანის დაყენებაში ეხმარება და ბოდიფიტნესში ჩატარებულ შეჯიბრებას ამიტომაც ადარებენ სილამაზის კონკურსს.

— თანაც, მონაწილეები საცურაო კოსტიუმით გადიან სცენაზე, არა?

— ჰო, აუცილებელია, გეცვას საცურაო კოსტიუმი და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელიც. ფასდება მონაწილის ვარცხნილობა, მაკიაჟი და სახის კანიც კი. მოგეხსენებათ, ამერიკავკასიის ჩემპიონატისას მეც გავედი „პოდიუმზე“, რათა ყველასთვის მეჩვენებინა, თუ რა არის ბოდიფიტნესი. მაშინ ვემზადებოდი ევროპის ჩემპიონატზე წასასვლელად, რომელიც იალტაში ტარდებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, სპონსორმა მიღალატა და მას შემდეგ ვარჯიშს გულს ვერ ვუდებ.

— მაგრამ როგორც ვხედავ, ისევ ფორმაში ხარ...

— ჰო, მართალი ხარ. მე ისევ ვვარჯიშობ, მაგრამ ამას მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის ვაკეთებ.

— როცა ბოდიბილდერები სცენაზე გამოდიან, გოგონები თავს ვერ იკავებენ და დარბაზს კივილით იკლებენ. ამ სპორტის მიმდევრები ცხოვრებაში სულ სხვანაირები ხართ, ვიდრე შეჯიბრებისას. პირადად მე, შენთან მოსვლისას მეგონა, „კუნთებდაყრილ“ ქალს უნდა შევხვედროდი, მაგრამ ხელში ნაზი არსება შემრჩა...

— (*იცინის*) შეჯიბრებაზე გასვლისას, სპორტსმენის კუნთი მშრალია ანუ ბოდიბილდერები ჩემპიონატამდე 2-3 თვით ადრე იწყებენ მზადებას იმისათვის, რომ ასეთ შედეგს მიაღწიონ. ისინი სპეციალურ დიეტაზე არიან — ნაკლებ ნახშირწყლებს იღებენ, ორგანიზმში გრამი ცხიმი არ უნდა დარჩეს, მხოლოდ ცილით მდიდარ პროდუქტებს მიირთმევენ, საკუთარ თავს ხილისა და ბოსტნეულის ჭამას უკრძალავენ. პირადად მე, როცა ამერიკავკასიის ჩემპიონატზე გავედი, 45 კილო ვიყავი და კუნთებიც კარგად „მაჯდა“. ჰოდა, დარბაზი ამიტომაც აღფრთოვანდა, როგორც სპორტსმენი, ნამდვილად დამაფასეს. მახსოვს, აზერბაიჯანელები შოკში ჩავარდნენ (მაშინ აზერბაიჯანელ ჩემპიონთან ერთად გავედი სცენაზე, მუსიკის თანხლებით) და მითხრეს, — ჩვენს ნაკრებში გადმოდით, თქვენნაირი ქალები არ გვყავსო. სხვათა შორის, ამის შემდეგ შემიყვანეს საქართველოს სპორტულ ენციკლოპედიაში.

— **ანუ შრომა რაღაცით მაინც დაგიფასდა, არა?**

— ჰო, ასეა!

— **შენ აღნიშნე, რომ ვარჯიში წონის მატებასაც უწყობს ხელს...**

— რა თქმა უნდა, კუნთის გამკვრივებისა და „ამობურცვის“ შემდეგ ადამიანის გარშემოწერილობაც ვიზუალურად იმატებს. მაგალითად, სპეციალური ვარჯიშების წყალობით ქალს მკერდიც ეზრდება, მაგრამ არა 3 ან 4 ზომით, არამედ ვიზუალურად.

— **ეს იმას ნიშნავს, რომ კარგად ნავარჯიშებ კუნთს მამაკაცის მოტყუებაც შეუძლია, არა?**

— (*იცინის*) ასე გამოდის...

— **ალბათ ბევრი თაყვანისმცემელი გყავს. როცა კაცი თავს გაბეზრებს, მას ცხვირწინ კუნთებს უტრიალებ?**

— (*იცინის*) არა, მე ცხოვრებაში ძალიან ქალური ვარ.

— **და ალბათ ვერავინ წარმოიდგენს, რომ ასეთ თხელ და ნაზ ქალში ძლიერი არსება იმალება.**

— ძალა მაქვს, მაგრამ ამის აფიშირება საჭიროდ არ მიმაჩნია და მადლობა ღმერთს, ამის გაკეთება არც დამჭირვებია. ქალს კაცთან სხვანაირი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს, მისთვის შენი სიძლიერის ჩვენება და რაიმეს დამტკიცება საჭირო არაა.

— **ალბათ, მამაშენი თავ-ბედს იწყევლის, რადგან სწორედ მისი გავლენის წყალობით დაიწყე ვარჯიში ჯერ ბოდიბილდინგში, შემდეგ კი ბოდიფიტნესში გადაინაცვლე და იმდენად დაკავებული ხარ, რომ პირადი ცხოვრებისთვის ვერ იცლი.**

— ჩემი გაუთხოვრობა სპორტის ბრალი ნამდვილად არაა. მერწმუნე, რაც არ უნდა დაკავებული იყო, ძვირფასი ადამიანისთვის დროს აუცილებლად გამონახავ.

— **დაბოლოს, ქართველ მანდილოსნებს ხომ არ ურჩევ რამეს?**

— ჩვენი ქალები ფიქრობენ, დღეში ერთხელ თუ შევჭამთ და მერე ვიშიმშილებთ, 6 საათის მერე არ შევჭამთ, წონაში დავიკლებთო. მინდა, მათ იმედი გავუცრუო და ვუთხრა, რომ ასე სასურველ შედეგს ვერ მიაღწევენ, ამ დროს ორგანიზმი მეტ ცხიმს აგროვებს. ქალი უნდა ჭამდეს დღეში ბევრჯერ, თუნდაც, 5-ჯერ, მაგრამ ცოტ-ცოტას. გარდა ამისა, საკვები არ უნდა იყოს ზედმეტად ცხიმიანი და კარგია, თუ უარს იტყვით შემწვარ-მოხრაკულზე, ბევრ ტკბილეულზე. ამასთანავე, ადამიანმა უნდა მიიღოს ფიზიკური დატვირთვაც ანუ უნდა ივარჯიშოს, სხვანაირად სხეულის ლამაზ ფორმას ვერ შეინარჩუნებს. და კიდევ ერთი, ქალისთვის სიმძიმეების აწევა, ბევრი ვარჯიში არ შეიძლება. ასევე, გათვალისწინებული უნდა იყოს ქალური დაავადებებიც. ■

ბიძინა კვერნაძე

„მისთვის მარტოობაც ბედნიერება იყო...“

როდესაც ოთხი კვირის წინ ჩვენი ჟურნალის მკითხველს ახალი რუბრიკა — „დრონი“ შევთავაზეთ და მაშინვე აღვნიშნეთ, რომ წერილების გმირების შერჩევის ერთადერთი კრიტერიუმი რაიმე „მრგვალი თარიღი“ იქნებოდა და ნამდვილად არ გვიფიქრია, რომ ასე მალე მოგვიხდებოდა ამ პრინციპის დარღვევა, გამონაკლისის დაშვება, თანაც — ესოდენ სამწუხარო მიზეზით... კარგი იქნებოდა, ეს წერილი რამდენიმე წლის შემდეგ, მისი 85 ან თუნდაც 90 წლის იუბილესთვის მიგვეძღვნა და იუბილარისგან ინტერვიუც აგვეღო, მაგრამ სამწუხაროდ, დღეს ამ დიდ ადამიანსა და შემოქმედზე წარსულ დროში გვიხდება საუბარი... ბიძინა კვერნაძე გარდაიცვალა...

ბიძინა კვერნაძე
მეუღლესთან ერთად

ზეპიად გურული

როდესაც რედაქციამ რუბრიკა „დრონისთვის“ ბიძინა კვერნაძეზე სტატიის დაწერა დამავალა, სიმართლე გითხრათ, გამიხარდა კიდეც და თან, ცოტა არ იყოს, შევფიქრიანდი — ყოველთვის სასიამოვნოა დიდ პიროვნებაზე წერა, როდესაც არავითარი ეპითეტისა თუ „იარლიყის“ გამოგონება არ გჭირდება, როდესაც მასზე ნებისმიერი ეპითეტი და ქათინაური ალალია; შეგიძლია უამრავი მასალა მოიპოვო, თანამედროვეთა მოგონებები გამოიყენო, ოჯახს ან შთამომავლებს ინტერვიუ ჩამოართვა... ამ დროს, თავისთავად, ადვილად იწერება და თითქმის ყოველთვის კარგი სტატიაც გამოდის, რადგან მკითხველსაც სიამოვნებს კარგი ამბების წაკითხვა კარგი ხალხის შესახებ... მაგრამ ახლა რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდი — პატონი ბიძინა სულ ახლახან მიაბარეს თბილისის მიწას და ცხადია, ჯერ მგლოვიარე ოჯახს შევბედავდი ინტერვიუზე მისვლას და მეგობრისა და კოლეგის დაკარგვით გამოწვეული მწუხარების გამო, არც მისი მეგობრები იქნებოდნენ „ადვილი“ რესპონდენტები...

თუმცა, მხოლოდ მშრალი, უკვე დაწერილი თუ ეთერში ნათქვამი ამბებით რომ არ შემოვფარგლულიყავი, პატონ ანზორ ერქომაიშვილს ვთხოვე, ბიძინა კვერნაძეზე ესაუბრა. გამოჩენილი ლოტბარი და მომღერალი ხომ არა მხოლოდ კოლეგა იყო განსვენებულისა, არამედ მეგობარიც, თანამეინახეც და მეზობელიც — ისინი ბოლო 25 წლის მანძილზე აბანოთუბანში, ზუსტად ჭრელი აბანოს წინ, ყველაზე „თბილისურ“ თბილისში (ანუ ზუსტად იქ, სადაც უნდა ეცხოვრა ცნობილი ქართულ-ქალაქური სიმღერების ავტორს) ცხოვრობდნენ, თანაც — გვერდიგვერდ, უფრო სწორად, ზევითქვევით, და სართულებზე.

— **პატონო ანზორ, მხოლოდ ახლა გავიგე საოცარი ფაქტის შესახებ: ასეთი დონისა და ასეთი ხალასი ნიჭის მქონე კომპოზიტორს 17 წლამდე არავითარი შეხება არ ჰქონია მუსიკასთან, ნოტების წაკითხვაზე რომ არაფერი ვთქვათ...**

— ცხადია, საყოველთაო გაჭირვების დროს და თანაც, ობლობაში გაზრდილ ბიჭს მანამდე არ ექნებოდა ამ ნიჭის გამოვლენის საშუალება, მით უმეტეს, პროვინციულ ქალაქში. ომის დამთავრების შემდეგ ანუ 1945 წელს თბილისში ე.წ. ნიჭიერთა ათწლედი გაიხსნა და იმ ათწლედში სწორედ მუსიკისთვის „უცხო“ ახალგაზრდები ჩაირიცხნენ — იმ ათწლედის პედაგოგები სოფელ-სოფელ დადიოდნენ და მარტივი ტესტების საფუძველზე, ბუნებრივი სმენის შემოწმების შემდეგ ახალგაზრდებს ნიჭიერთა ათწლედში იღებდნენ. ეს კი, სწავლის გარდა, იმ გაჭირვებულ წლებში იმასაც ნიშნავდა, რომ ახალ-

კომპოზიტორის მშობლები

გაზრდას სახელმწიფოს ხარჯზე საჭმელ-სასმელი, ტანსაცმელი და თავზე ჭერიც ექნებოდა.

ბიძინა კვერნაძე 1928 წელს, სიღნაღში დაიბადა. მამამისი — ალექსანდრე პროვიზორი (აფთიაქარი) იყო და იმერელი კაცი შუა ქიზიყში მოხვდა. ცოლიც იქაური შეირთო — ნინო ნადირაშვილი, რომელსაც მუსიკალური განათლება ევროპაში ჰქონდა მიღებული. თურმე, ბოლშევიკებმა ნინოს ოჯახის ყველა წევრი დაუხვრიტეს და არავინ იცის, ამის შედეგად მიღებული სტრესის ბრალი იყო თუ სხვა რამისა, მაგრამ პატარა ბიძინა მხოლოდ ხუთი წლის გახლდათ, როცა დედა გარდაეცვალა. ასე რომ, ბიძინა კვერნაძის ნიჭიერებას გენეტიკური საფუძველიც ჰქონდა და მართალია, მის მუსიკალურ აღზრდაში დედამ მონაწილეობის მიღება ვერ მოასწრო, მაგრამ ნიჭიერთა ათწლედში შესანიშნავი პედაგოგები შეხვდა და უკვე სამი წლის შემდეგ, არა მხოლოდ ინსტრუმენტს დაეუფლა სრულყოფილად, არამედ იქ დაწერილი კომპოზიციების საფუძველზე, სახელმწიფო კონსერვატორიამ უგამოცდოდ ჩარიცხა კომპოზიციის ფაკულტეტზე. ამას ვამბობთ ახალგაზრდაზე, რომელმაც 17 წლის ასაკში პირველად ნახა (ახლოდან) სერიოზული მუსიკალური ინსტრუმენტი და როგორც შემდგომში თავად იხსენებდა, კონტრაბასი მხოლოდ იმიტომ „აირჩია“, რომ ასარჩევიც აღარაფერი იყო: როდესაც ნიჭიერთა ათწლედში მიგვიყვანეს და გვითხრეს, — ინსტრუმენტები აიღეთო, ყველანი ლამაზ და პრიალა საყვირებსა თუ პატარა ვიოლინოებს ეცნენ, მე კი მორიდებული ვიყავი, ბოლოს მივედი და მხოლოდ მტვრიანი კონტრაბასი შემრჩა. სამაგიეროდ, როდესაც დაღლილს ფეხზე ჩამომეძინებოდა, ყველაზე კარგი ჩამოსაყრდნობი სწორედ კონტრაბასი იყოო. ცხადია, ბატონი ბიძინა მისთვის ჩვეული იუმორით აშარჟუბდა სიტუაციას, თორემ „ინსტრუმენტზე ჩამოძინებულს“ როდი შეეძლო ასე მოკლე დროში ასეთი წარმატებისთვის მიეღწია.

ანზორ ერქომაიშვილი:

— აღარ ეყო კონტრაბასი მის ტალანტს. მან საკუთარ თავში კომპოზიტორის ნიჭი აღმოაჩინა და პატარ-პატარა ნაწარმოებების

კონსერვატორიის სტუდენტები რექტორთან ერთად

წერა დაიწყო. სამაგიეროდ, კონსერვატორიაში ჰყავდა გენიალური პედაგოგები და პირველ რიგში, ანდრია ბალანჩივაძე, რომელმაც ქართველ კომპოზიტორთა მთელი თაობა დააოსტატა. შემდგომში თვითონაც ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა და გარდაცვალებამდე კომპოზიციის კათედრის გამგე იყო, ყველა სტუდენტს მასთან სურდა კურსის გავლა. თვით გია ყანჩელმა, თანამედროვეობის ამ უდიდესმა კომპოზიტორმაც კი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთ თაობას ეკუთვნიან და ბიძინა ვერანაირად ვერ იქნებოდა მისი პედაგოგი, სწორედ კვერნაძისგან ისწავლა ბევრი ნიუანსი — ამის შესახებ ის თავის ბიოგრაფიულ წიგნში წერს და დიდ მაესტროს მადლობასაც უხდის.

სამწუხაროდ, ხელოვან ხალხში ერთმანეთის ღირსებისა თუ უპირატესობის აღიარება იშვიათი ამბავია, მაგრამ ეს ბიძინას არ ეხებოდა. ის ამბობდა ხოლმე, — „შ-ზე დაწყებული არც ერთი სიტყვა არ ვიციო“ (შურს გულისხმობდა) და სხვათა შორის, მის მიმართაც ასევე იყვნენ განწყობილნი — ადრეულ პერიოდში ზოგიერთებმა მისი გულისტკენა სცადეს, მაგრამ როდესაც ბიძინამ ბოროტებაზე სიკეთით უპასუხა, „ხელი ჩაიქნიეს“ და აღარ ერჩოდნენ.

— როგორ ფიქრობთ, რის გამო მოხდა, რომ იმ თაობის თითქმის ყველა კომპოზიტორს ძალიან ფართო დიაპაზონი ჰქონდა შემოქმედებაში: ქალაქური თუ მსუბუქ ჟანრის სიმღერებიდან დაწყებული, ოპერებითა და სიმფონიებით დამთავრებული. ეს იმ თაობის განსაკუთრებული ნიჭის თუ მაშინდელ კონსერვატორიაში მიღებული მაღალი დონის განათლების შედეგი იყო?

— ორივე ერთად! მართლაც, ღმერთმა საქართველოს საჩუქრად მისცა იმ თაობის კომპოზიტორები. არ მიყვარს წუწუნი და წარსულის გამო ტირილი, მაგრამ ძალიან მეეჭვება, რომ ოდესმე კიდევ გვეყოლება მთელი თაობა ასეთი ნიჭიერი კომპოზიტორებისა. ეს იყო ტალანტების ტალღა, რომელიც უეცრად მოვარდა ქართულ მუსიკაში. რადგანაც ბიძინაზე ვლაპარაკობთ, მეც მხოლოდ მასზე ვიტყვი: წარმოიდგინეთ — „ასეთია ქურდი კაცის ბედი“ და მეორე მხრივ — სიმფონიური კონცერტები, ოპერები და რაც მთავარია, ყველაფერი უმაღლეს პროფესიულ დონეზე შესრულებული. სხვათა შორის, ბევრს არ ახსოვს, მაგრამ იმ ფილმში, სადაც ეს ცნობილი „ქურდული სიმღერა“ ჟღერს, მთლიანად მუსიკაც ბიძინას დაწერილია (ეს მისი პირველი ნამუშევარია კინოში) და იქ ბოლოს ისეთი ჰანგებია, რომ მის ავტორობას ნებისმიერი დიდი კოპოზიტორი მოაწერდა ხელს. ფილმის გამოსვლის შემდეგ ბევრმა უთხრა, — ასეთი რამე ამ უბრალო ფილმისთვის როგორ „დახარჯე“, ამის საფუძველზე ხომ სიმფონიის შექმნა შეიძლებოდაო?! მაგრამ ასეთი იყო — თუკი რამეს დაივალებდა და გააკეთებდა, უშურველად დებდა თავის ტალანტსაც და შრომასაც, ხოლო თუ იცოდა, რომ რაიმე ხელს შეუშლიდა, მაშინ საერთოდ უარს ამბობდა ასეთ საქმეზე.

— ამ ფილმის გარდა, ზოგადად მისი კინომუსიკა, ალბათ, ცალკე საუბრის თემაა...

— რა თქმა უნდა! ეს ფილმი („განაჩენი“) დებიუტი იყო, შემდეგ კი უდიდესი მუსიკა შექმნა სხვა კინოფილმებისთვის. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ეს მართლაც, მაღალი დონის მუსიკაა და ძალიან ცდებიან ისინი, ვინც კინომუსიკას არასერიოზულ ჟანრად მიიჩნევენ. ენრიო მორიკონესა და მიშელ ლეგრანის შემოქმედება სწორედ ჩემს აზრს ადასტურებს და დარწმუნებული ვარ, კინომუსიკის დარგში ბიძინა კვერნაძეც მათ დონეზე დგას. წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა თუნდაც, „დათა თუთაშხია“ ბიძინას მუსიკის გარეშე?.. ერთი სახალისო ეპიზოდი მიამბო მაგ ცნობილი სიმღერის შესახებ: კახეთში დამპატიჟეს და სანამ ჩავედი, გზადაგზა 3-4 ადგილას შევჩერდით, ყველგან „კახურად“ დაგვხვდნენ და ადგილზე კარგა მთვრალი მივედიო. როდესაც დარბაზში შესულან, იქაურ თავმჯდომარეს თუ დირექტორს სამასკაციანი აუდიტორიისთვის ასე წარუდგენია: „აი, ჩვენი საყვარელი კომპოზიტორი გვეწვია, რომელმაც „ასეთია ქურდის კაცის ბედი“ დასწერა!“ არადა, მაშინ უკვე დიდი მაესტრო იყო. ბიძინა ღიმილით იხსენებდა, — ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ მთელმა დარბაზმა სიმღერა დაიწყო, ოღონდ ტექსტი სწორად თქვეს, ხოლო მუსიკა აშკარად, „ბაში-აჩუკიდან“ იყო და ძალიან სასაცილო გამოვიდაო.

— ბატონო ანზორ, არც მე ვარ მუსიკის სპეციალისტი და მკითხველსაც ალბათ, ბატონი ბიძინა უფრო როგორც მეგობარი და ადამიანი აინტერესებს. მით უმეტეს, რომ მისი მუსიკა საქართველოში ისედაც ყოველთვის აქტუალური და ხელმისაწვდომი იქნება. როგორი ადამიანი და როგორი მეგობარი იყო?

— საოცარი თვისება ჰქონდა: სრულიად გულწრფელად გეუბნებით — ის ყველასთან მეგობრობდა! არ არსებობდა მისთვის ცენზი, თანამდებობა, ეროვნება და არც ის, თუ რამდენხანს იცნობდა ადამიანს. რაც მთავარია, მასთან ყველა სხვანაირი ხდებოდა, ცუდიც კი უკეთესდებოდა, ყველას „იმსგავსებდა“. ახლა, დაკრძალვაზე ვიღაცამ თქვა — „სიკეთიანი კაცი იყოო“, მე კი ვიტყვი, რომ თავად იყო სიკეთე, ის გახლდათ ბიძინა კვერნაძის „ფორმაში მოქცეული“ სიკეთის განსახიერება. ზემოთაც

ვთქვი, ძალიან ბევრი „უხერხულ მდგომარეობაში“ ჩაუყენებია, როდესაც ბოროტებას სიკეთით პასუხობდა. საერთოდ, ძალიან მინდა, ბიძინაზე წიგნი დაიწეროს, ოღონდ, არა როგორც მუსიკოსზე (მუსიკაში მან უკვე უკვდავყო საკუთარი სახელი), არამედ როგორც ადამიანზე. ამ წიგნში ჩვენ — მისი მეგობრები თუ ნამოწაფარები მოვიგონებდით ბიძინას, ხოლო ახალგაზრდები ისწავლიდნენ, როგორი უნდა იყოს კაცი, ქართველი და მეგობარი.

„...ყველა რანგის მეგობარი მყავს, მარტო ინსტრუმენტიდან ვერაფერს „გამოკენკავ“, ცხოვრებიდან მოდის ყველაფერი... ჩემი თაობის ერთგული ვარ. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი აღარაა ცოცხალი და ჩემთვის ეს აუტანელი ტკივილია. ხანდახან მუშაობისას გამახსენდება, რომ ჯანსუღ კახიძე ცოცხალი აღარ არის, წამოვვარდები და ოთახში კედლებს ვაწყდები. ამ ხნის მოვიყარე, რამდენი სიკვდილი მინახავს, მაგრამ მეგობრის გარდაცვალებასთან შეგუება, მაინც დღემდე აუტანელია ჩემთვის“, — ასეთი იყო ყველას მეგობარი და ყველას საიმედო დასაყრდენი, მაგრამ რას გაუგებ შემოქმედის ნატვრას?! სხვაგან ის ასეთ რამესაც წერდა: „ჩემთვის ბედნიერებაა მარტოობა, მართლაც კარგია მარტოობის დღეასწაული...“ ალბათ, ესეც გასაგებია — აბა, ქეიფისას თუ თევზაობისას ხომ არ დაწერდა ოპერას ან სიმფონიას? თუმცა, აქ კი შემეშალა — სანადირო და სათევზაოდაც, სადაც ძირითადად, რეზო ლაღიძეს დაყვებოდა, აუცილებლად ბლოკნოტი და კალამი მიჰქონდა და სწორედ იქ — ტყის შრიალში თუ მდინარის ჩხრიალში დაიბადა ბევრი მელოდია...

ანზორ ერქომაიშვილი:

— არც თოფის სროლა იცოდა და არც ბადის გაშლა, მაგრამ ყველას უხაროდა მასთან ყოფნა და ამიტომ ყოველთვის ახლდა რეზო ლაღიძესაც. მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან „ხელსაც უშლიდა“ და ერთხელ მთელი გოდორი თევზიც „გაექცა“ მდინარეში... ჯანსუღ კახიძესთან კი მართლაც, სულისმიერი ძმობა აკავშირებდა. ჯანო ბიძინას „ქართული მუსიკის ბარათაშვილს“ ეძახდა. კიდევ ერთ ამბავს გეტყვით: ჯანსუღს ისე უყვარდა, რომ როდესაც ცუდად იყო და ექიმები ეხვეოდნენ, როდესაც მიხვდა, რომ მისი აღსასრული ახლოვდებოდა, იმწუთებშიც კი ბიძინაზე ფიქრობდა და ახლობლებს ჩურჩულით უთხრა: ბიძინა გაიყვანეთ, ცოდვაა, ინერვიულებსო...

მე „სულწასულს“ მეძახდა, ოღონდ ცალკ-ცალკე — „სულ წასული“ ანუ სულ გასტროლებზე რომ ხარ წასულიო. საოცარი იუმორის გრძნობა ჰქონდა, ქალაქში ანეკდოტებად დადიოდა მისი ფრთიანი ფრაზები. ერთხელ, სწორედ რეზო ლაღიძის პანაშვიდზე ყოფნისას, აივანზე ვიდექით, როდესაც მთელი მაშინდელი მთავრობა, „ცეკა-ტეკა“ მოვიდა შავი „ვოლგებით“ — ათი მანქანა მაინც იქნებოდა და ყველა შავი. „მოშავდნენ“, — თქვა ბიძინამ და ერთ სიტყვაში გამოხატა თავისი დამოკიდებულება. მეორე დღეს შევარდნაძე მოვიდა დაკრძალვაზე და პირდაპირ ბიძინას მიმართა, ღიმილით: აი, მეც მოვშავდიო (ცხადია, წინა დღესვე მიუცუნცულეს ამბავი). მაშინდელ მთავრობასთან დამოკიდებულებაზე ისიც სათქმელია, რომ ბიძინა იმ იშვიათთაგანი იყო, ვინც არც ლენინზე წერდა სიმფონიებს და არც პარტიაზე — ჰიმნებს. თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, მისთვის ეს არც არავის დაუძალებია — ალბათ, ვერ შეჰკადრეს.

— თქვენ 25 წელი ერთ სახლში ცხოვრობდით...

— ეს 25 წელი ჩემთვის ღვთის საჩუქარი იყო. დღე არ ყოფილა (თუკი ორივენი თბილისში ვიყავით), ჩემთან არ გამოევლო და ისე წასულიყო საქმეზე, საღამოსაც ჯერ ჩემთან შემოივლიდა, ვისაუბრებდით, თუკი ნასვამი იყო, ცოტათი გამოფხიზლდებოდა და მერე ადიოდა სახლში. ცხადია, ამ უბანში ყველა უყვარდა და ყველას უყვარდა. მგონი, ეს ერთადერთი ადგილია თბილისში, სადაც ის ძველი თბილისური „ინტერნაციონალია“ შემორჩენილი და ქურთი მეეზოვიდან დაწყებული, ოქროყანელი მემაწვნით დამთავრებული, ყველა თავის მეგობრად მიიჩნევდა და ასეც იყო!

სხვათა შორის, მცირე ხნის მანძილზე, „სამსახურებრივი ურთიერთობაც“ გვქონდა — 90-იან წლებში, როდესაც კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე ნოდარ გაბუნია იყო, მე და ბიძინა კავშირის მდივნებად აგვირჩიეს და ერთხელ კომპოზიტორთა სახლის მდგომარეობის სანახავად ბორჯომში წავედით. ხომ გახსოვთ, რა დრო იყო — ყველაფერი გაპარტახებული გახლდათ, ბორჯომში კი იმხელა ქონება იყო უპატრონოდ — შენობა, ინსტრუმენტები, ინვენტარი... მოკლედ, ჩავედით ბორჯომში და კომპოზიტორთა სახლის დირექტორის კაბინეტში დაგვხვდა ვიღაც ღიპიანი კაცი, რომელმაც ბიძინას შემოქმედებიდან აშკარად, მხოლოდ „ასეთია ქურდი კაცის ბედი“ იცოდა (ჩემს შემოქმედებაზე აღარაფერს ვამბობ). შევედით, გამარჯობა ვთქვით, მაგრამ არც მოგვესალმა — მხოლოდ თავი დაგვიქიცინა, ოდნავ და ჩვენ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— ვინ ხართ?

— მე ბიძინა კვერნაძე ვარ, ეს ანზორ ერქომაიშვილია, — რეაქცია, ნული.

ეს იყო ტალანტების ტალღა, რომელიც უეცრად მოვარდა ქართულ მუსიკაში

— საიდან ხართ?

— თბილისიდან.

— თბილისში სად ცხოვრობთ?

არც თოფის სროლა იცოდა და არც ბადის გაშლა, მაგრამ ყველას უხაროდა მასთან ყოფნა (გოგი ცაბაძესა და შოთა მილორავასთან ერთად)

— აბანოთუბანში.

— იქ რაზე მუშაობთ?

— მე მექისეების ხუდრუკი ვარ, ეს კი ჩემი მოადგილეა, — მიუთითა ჩემზე. მე სიცილისგან გული შემიწუხდა, ის კაცი გოცებული მიყურებდა — რა აცინებსო? ბიძინა კი აბსოლუტურად მშვიდი სახით იჯდა...

შინ ღამის სამ საათზე, მთვრალები დავბრუნდით. იმ პერიოდში ისე დაემთხვა, რომ ქალბატონმა ნუგეშამ (ბიძინას მეუღლემ) რამდენჯერმე იღრძო ფეხი და იმ ღამესაც ჩემი მეუღლე ამ ამბით შემოგვეგება:

— რა კარგია, რომ დაბრუნდით, ბატონო ბიძინა, ნუგეშამ ისევ ფეხი იღრძო.

— ვაა. რა ამბავია, ამდენი ტრაგმა ბორია პაიჭაძეს არ ჰქონია... — დინჯად თქვა ბიძინამ და მესამე სართულის კიბეს აუყვა. არადა, მე ხომ ვიცოდი, როგორ აღელდა — საოცარი სიყვარული, პატივისცემა ჰქონდათ ერთმანეთისადმი და რაც უმნიშვნელოვანესია, შემოქმედებითი თანამშრომლობაც — ქალბატონი ნუგეშა ხომ უმაღლესი კლასის პიანისტია!..

ბიძინა კვერნაძის შესახებ საოცარი რამ თქვა ვახუშტი კოტეტიშვილმა: „დავადგინე: ბიძინა კვერნაძე წარმოშობით ყოფილა ანგელოზთა ჯიშისა, ამიტომ ზეცის საუფლოდან მას ჩიტების ნისკარტებით ეგზავნება ღვთაებრივი თითო-თითო ნოტი, ბიძინა თავისებურად ალაგებს და ასე ჩნდება ის საოცარი სიმღერები, ჩვენ რომ ვერა და ვერ აგვიხსნია...“

თუმცა ეს წერილი თუ მოგონება მინდა, ბიძინა კვერნაძის ერთი რიგითი თაყვანისმცემლის სიტყვებით დავამთავრო, რომელიც ინტერნეტშია განთავსებული და რომელიც შარშან, კომპოზიტორის დაგვიანებული იუბილეს შემდეგ დაიწერა (ის 80 წლისა აგვისტოს ომის დროს გახდა):

„იჯდა ოპერაში, აივანზე და თავმდაბლობისაგან არ იცოდა, რა ექნა... ისეთი საყვარელი... ისეთი მორიდებული... ჩუმად იჯდა, თავისთვის და უსმენდა ათეული წლების წინ დაწერილ საკუთარ ჰანგებს; ჰანგებს, რომლებიც სამუდამოდ შემორჩება მეხსიერებას...“ ■

სამყარო

„დინამოს“ უნიკალური მიღწევა, რომელიც ვერავის გაუმეორებია

1962 წლის ივნისის ბოლოს თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვეს. ფინალურ მატჩში, რომელიც ჟენევაში გაიმართა, ჩვენმა „დინამოელებმა“ მადრიდის „რეალი“ დაამარცხეს. არც მანამდე და არც მას შემდეგ, სპორტის არც ერთ სახეობაში, ქართულ კლუბს კონტინენტის ყველაზე პრესტიჟული ჭრიზი ჩვენს დედაქალაქში არ ჩამოუტანია, თუმცა ამ დაუვიწყარი გამარჯვების ამსახველი არც კინო და არც ფოტომასალა არ გვქონდა. საქმე ის არის, რომ ჩვენს გუნდს შვეიცარიაში ფოტოკორესპონდენტიც კი არ გააყოლეს, ხოლო თავად კალათბურთელები თამაშის მეორე დღეს დილაადრიან გადმოფრინდნენ და ადგილობრივი გაზეთების ყიდვა ვერ მოასწრეს.

უფროსი თაობის ჟურნალისტები ბევრს ეცადნენ, რაიმე მოეძიათ ამ მატჩის შესახებ, მაგრამ ვერაფერს მიაგნეს. „რეალის“ კლუბის მუზეუმსა და მოსკოვის არქივებში მეც ვეძებე, მაგრამ კვლავაც უშედეგოდ. მატჩის ფოტოები არც ფიბას — კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის შტაბბინაშია.

ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი თბილისის „დინამო“. 1962 წლის 29 ივნისი. ჟენევა

ახლოვდებოდა ჟენევური მატჩის 45 წლის იუბილე, როდესაც შემთხვევით შევიტყვე, რომ მწერალი დავით ტურაშვილი რამდენიმე თვით მადრიდში მიდიოდა, თანაც, იქაურ არქივებში უნდა ემუშავა. დათოს პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ვიცოდი, რომ გულიანი კაცია და ვიფიქრე, ქართული საქმისთვის არ დამზარდებოდა. დავურეკე და ჩვენი გასაჭირი ავუხსენი. ვთხოვე, თუ დრო გექნება, ეგებ, დაგვეხმარო-მეთქი. მიპასუხა, ამ მატჩის შესახებ მეც მსმენია, ისიც ვიცი, თუ რა მნიშვნელობაც აქვს ამ გამარჯვებას ჩვენთვის, თუმცა ერთი ფოტოც თუ არ მოგვეპოვებოდა, არ მეგონაო. დამპირდა, იქაურ მეგობრებსაც დავიხმარებო. დათო მადრიდში გაფრინდა, მე კი შევეცადე, ვეტერან „დინამოელებთან“ ერთად იმ მატჩის პერიპეტიები გამეცოცხლებინა.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება ფიბა-მ, პოპულარული ფრანგული გაზეთის — „ეკიპის“ ინიციატივით, 1958 წელს დააწესა. „ვერცხლის კალათისათვის“, ევროპის გარდა, ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების ჩემპიონატების გამარჯვებული კლუბები იბრძოდნენ. პირველ ორ გათამაშებაში რიგელმა არმიელებმა იმარჯვეს. თბილისის „დინამოელების“ დებიუტი ევროთასებზე 1960 წელს შედგა და საკმაოდ წარმატებითაც. ქართველმა კალათბურთელებმა ფინალამდე მიაღწიეს, მაგრამ შემდეგ ვერაფერი მოუხერხეს ბალტიისპირელთა გიგანტს — 217 სმ სიმაღლის იანის კრუმინშს. თბილისშიც და რიგაშიც ორივე მატჩი არმიელებმა მოიგეს.

ჩვენთვის ისტორიულ, 1961-62 წლების გათამაშებაში, 24 გუნდი ჩაება. „დინამოელები“ პირველ წრეში ისვენებდნენ, ხოლო მადრიდის „რეალმა“ საკმაოდ ადვილად — 84:46 და 82:38 ერთობ სუსტი მაროკოს „კასაბლანკა“ დაამარცხა.

ლევან ინწკირველი:

— ევროპული თასისათვის ბრძოლაში ტურნირის მერვედფინალიდან ჩავერთეთ. ისევე, როგორც 2 წლით ადრე, ახლაც კენჭისყრით პირველი მეტოქე ბუქარესტის არმიელთა გუნდი იყო. კონტინენტის ჩემპიონატებში რუმინელები დიდად არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ არმიელთა კლუბს კარგი კალათბურთელები ჰყავდა და ორივე მატჩი დაძაბული აღმოჩნდა. ორივე მაინც ჩვენ მოვიგეთ — 77:76 და 82:77. ჩემპიონთა თასის გათამაშება ჯერ კიდევ შედარებით ახალი ტურნირი იყო. მიუხედავად ამისა, პოპულარობა უკვე მოპოვებული ჰქონდა და მომდევნო წრეში სტამბოლში რომ ჩავედით სათამაშოდ, „დარუშაფაკის“ დარბაზი პირთამდე სავსე იყო გულშემატკივრებით. თურქების ყოველი შეტევისას ტრიბუნები საშინლად ხმაურობდნენ, მაგრამ მასპინძლებს საკუთარი ქომაგები ვერაფრით დაეხმარნენ. სტამბოლ-

ში დიდი ანგარიშით — 84:49 გავიმარჯვეთ. მოგება არც თბილისში გაგვჭირვებია — 80:67.

ქართველი კალათბურთელების მსგავსად, მერვედფინალში გაუჭირდათ ესპანელებსაც. იტალიის ქალაქ ვარესეში, ადგილობრივმა „ინისმა“ 82:80 სძლია „რეალს“, მაგრამ მადრიდში პირენელებმა სრული რევანში აიღეს — 83:62 და მომდევნო ეტაპზეც ისინი გავიდნენ, სადაც ვარშავის „ლეგიას“ დაუწყვილდნენ. პოლონური კალათბურთი იმხანად საშუალო ევროპული დონისა იყო, მაგრამ ისინი კონტინენტის ჩემპიონატში ესპანელებზე უფრო მაღალ ადგილებს იკავებდნენ. პირველი მატჩი ვარშავაში მათ მოიგეს — 73:62. ნახევარფინალში გასასვლელად ესპანელებს კვლავ „საკუთარი კედლების „დახმარება“ დასჭირდათ და „რეალმა“ გაიმარჯვა კიდეც — 100:71.

ნახევარფინალში ორივეს — თბილისელებსაც და მადრიდელებსაც ძალიან ძლიერი მეტოქე ელოდა: ესპანელები იუგოსლავიის „ოლიმპიას“ ხვდებოდნენ, ხოლო ქართველი კალათბურთელები ჩემპიონთა თასის იმჟამინდელ მფლობელებს, მოსკოველ არმიელებს. ბალკანეთში სწორედ იმ პერიოდში დაიწყო კალათბურთის აღორძინება. იუგოსლავიის ეროვნული ნაკრები ევროპის ვიცე-ჩემპიონის ტიტულს ფლობდა. ერთი წლის შემდეგ კი მათ ბრაზილიის მსოფლიოს ჩემპიონატზე საბჭოთა ნაკრები დაამარცხეს და იქაც ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს. ამდენად, „რეალის“ გამარჯვება ორრაუნდიან ბრძოლაში, სენსაციად შეიძლება ჩაითვალოს. მართალია, ლიუბლიანაში მასპინძლებმა 105:91 მოიგეს, მაგრამ მადრიდში ესპანელებმა 69:53 იმარჯვეს. ამასთან, ნათლად გამოჩნდა, რომ პირენელები განსაკუთრებით ძლიერად საკუთარ მოედანზე თამაშობენ, ხოლო გასვლითი მატჩები, მაროკოს „კასაბლანკას“ გარდა, ყველა წააგეს.

ძალიან მძიმე ნახევარფინალური შეხვედრები ჰქონდა ჩვენს „დინამოსაც“. იმჟამინდელი „ცეესკას“ პრაქტიკულად საბჭოთა კავშირის ნაკრები იყო და ისინი საკავშირო ჩემპიონატებსაც ზედიზედ იგებდნენ. 1961 წლის ჩემპიონატიც მათ მოიგეს, „დინამოელებმა“ კი მეორე ადგილი დაიკავეს. ამავდროულად, არმიელები, როგორც ვთქვით, ევროთასსაც ფლობდნენ და ფიბა-ს წესდებით, „დინამომაც“, როგორც ქვეყნის ჩემპიონატის მეორე პრიზიორმა, ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. „დინამო“-„ცეესკას“ პირველი მატჩი მოსკოვში გაიმართა.

გურამ მინაშვილი:

— მოსკოველ არმიელებს კარგი გუნდი ჰყავდათ: გენადი ვოლნოვი, ვიქტორ ზუბკოვი, ალექსანდრე ტრავინი, არმენაკ ალაჩაჩიანი... ისედაც ძლიერ შემადგენლობას, რიგიდან იააკ ლიპსო დაემატა და ორივე მატჩი ძალიან რთული და დაძაბული აღმოჩნდა. მოსკოვში პირველი ტაიმი ფრედ, 37:37 დამთავრდა, ხოლო მეორეში 4 ქულით ვაჯობეთ და გასვლაზე 75:71 მოვიგეთ. საპასუხო შეხვედრაში ჩვენი უპირატესობა კიდევ უფრო სოლიდური იყო და აქაც 77:66 გავიმარჯვეთ.

ვალერი ალთაგაევი:

— მაშინ ისეთი სისტემა იყო, სპორტის ყველა სახეობაში საბჭოთა არმია და არმიელების გუნდი მთელ ქვეყანაში საუკეთესო უნდა ყოფილიყო. „ცეესკას“ უფროს მწვრთნელს, ალექსანდრე გომელსკის ვინც მოეწონებოდა, არმიაში გააწვევინებდა და თავის გუნდში ჩარიცხავდა. ამიტომაც, „ცეესკას“ დამარცხება ძალიან ძნელი იყო, თანაც მის ავტორიტეტს საკავშირო მთავრობაც უფრთხილდებოდა, რაც მსაჯებმაც შესანიშნავად იცოდნენ და არმიელებს ისინიც მფარველობდნენ. თბილისში მეორე მატჩიც რომ მოვუგეთ, საბჭოთა კავშირის კალათბურთის ფედერაციის მაღალჩინოსანმა ერთი ამბავი ატეხა — ჩვენს მწვრთნელს, ოთარ ქორქიას ეჩხუბა: „ეს რა ქენით, მადრიდის „რეალს“ თქვენ ვერ დაამარცხებთ და საბჭოთა კალათბურთის ღირსებას დაღუპავთო. დედის გინებამდე მივიდა საქმე...

ასეა თუ ისე, ფინალში ქართული „დინამო“ და ესპანური „რეალი“ გავიდნენ. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ იმ დროისთვის არც მადრიდული კლუბი და არც მთლიანად ესპანური კალათბურთი საერთაშორისო სარბიელზე არაფრით გამოირჩეოდა. ეს მერე იქნება, „რეალი“ რომ ჩემპიონთა თასს ზედიზედ მოიპოვებს და კონტინენტის ერთ-ერთი ცნობილი კლუბიც გახდება; მანამდე კი ქართველი კალათბურთელები უფრო ძლიერები იყვნენ. ჩვენებს უკვე ევროპის ჩემპიონატებიც ჰქონდათ მოგებული და ოლიმპიური თამაშების პრიზიორებიც იყვნენ.

ფიბას დებულებით „დინამოს“ და „რეალს“ ფინალში ორი მატჩი უნდა ეთამაშათ, საკუთარ და მეტოქის მოედანზე, მაგრამ იმ პერიოდში საბჭოთა კავშირსა და ესპანეთს შორის დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობა იყო. როგორც ამბობდნენ, ესპანელთა ლიდერის, ფრანკოს თანამოაზრეებმა საბჭოელები სოლიდურ თანხაში „გადააგდეს“ და ოდესღაც მოკავშირე ქვეყნები ახლა დასანახავად ვეღარ იტანდნენ ერთმანეთს.

ილარიონ ხაზარაძე:

— ესპანეთის მთავრობამ ვიზები არ მოგვცა და მატჩის ჩაშლის რეალური საშიშროება დადგა. ფიბა-ს გენერალურმა მდივანმა, უილიამ ჯონსმა „რეალს“ კომპრომისული ვარიანტი შესთავაზა — ერთი მატჩი გამართულიყო და ნეიტრალურ მოედანზე ჩატარებულიყო. გარდა ამისა, თბილისური კლუბის ყველა ხარჯს: თვითმფრინავით მგზავრობა, სასტუმროში ცხოვრება, კვება თუ ავტობუსის მომსახურება, ამის თანხას მადრიდელები გადაიხდიდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში თასს პირდაპირ „დინამოელები“ დაეუფლებოდნენ.

„რეალი“ ფრანკოს ფავორიტი გუნდი იყო და როგორც ჩანს, მასაც და სხვებსაც სჯეროდათ, რომ საბჭოეთის „პროვინციული“ ქალაქის გუნდს ადვილად დაამარცხებდნენ და ამით ესპანეთის პრესტიჟს დაიცავდნენ, მაგრამ აშკარად შეცდნენ.

ლევან ინწკირველი:

— ფინალის წინადღეს სათამაშო დარბაზში ვარჯიში გვქონდა. მადრიდელებს უკვე დაემთავრებინათ წვრთნა და წასასვლელად ემზადებოდნენ. ჩვენ რომ დაგვინახეს, ცოტა ხნით შეყოვნდნენ და შეგვხედეს, რა დონის კალათბურთელები ვიყავით. მახსოვს, ტრიბუნებიდან გადმოგვხედეს და ჩვენი მძიმე „ცენტრი“, ანზორ ლეჟავა რომ დაინახეს, სიცილი დაიწყეს. მათი ცენტრალური თავდამსხმელი, ამერიკელი ჰაიტაუერი უფრო ათტელური იყო და ალბათ იფიქრეს, ადვილად მოგვიგებდნენ.

ანზორ ლეჟავა მართლაც მძიმე იყო და შედარებით ნელა მოძრაობდა, მაგრამ ის და ჩვენი გუნდის კაპიტანი, გურამ მინაშვილი, ფაქტობრივად, მსოფლიოს ჩემპიონები იყვნენ: 1959 წლის ჩილეს მსოფლიოს ჩემპიონატზე საბჭოთა ნაკრებს, ასევე დაძაბული პოლიტიკური სიტუაციის გამო, კრემლის მაღალჩინოსნებმა ტაივანის გუნდთან თამაში აუკრძალეს და უკვე განაღდებული ოქროს მედლები დაუკარგვინეს. ესპანელებმა რატომღაც არც ის გაითვალისწინეს, რომ ქართველი

ვლადიმერ უგრეხელიძის შეტევა

კალათბურთელები საბჭოთა ნაკრებში ყოველთვის ლიდერები იყვნენ, ხოლო ჩვენი გუნდის მწვრთნელი, ოთარ ქორქია, თავის დროზე სულაც ნაკრების კაპიტანი იყო. დაბოლოს, ისევ რატომღაც, „რეალის“ ხელმძღვანელობამ ანგარიში არ გაუწია „დინამოს“ ძალას, იმ გუნდის შესაძლე-

ბლობებს, რომელმაც საბჭოეთის იმპერიის უძლეველი მანქანის, საბჭოთა არმიის საუკეთესო კლუბი დაამარცხა.

ვლადიმერ უგრეხელიძე:

— ესპანელების კლუბის შესახებ თითქმის არ გვქონდა ინფორმაცია. მხოლოდ ის ვიცოდით, რომ ორი ძლიერი კალათბურთელი დაიმატეს ამერიკის სამოყვარულო გუნდებიდან — მორისონი და ჰაიტაუერი. ეს უკანასკნელი 205 სმ-ის სიმაღლის, ცენტრალური თავდამსხმელი იყო და აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატიც, მაგრამ რომის ოლიმპიადის წინ ტრავმა მიუღია და იტალიაში ველარ გაემგზავრა.

ფინალური მატჩის დღეს ჟენევის ათიათასიანი დარბაზი თითქმის გაივსო. გულშემატკივართა უმრავლესობა ესპანელი იყო. შვეიცარიელებიც თავიდან უფრო მადრიდელების მხარეს იყვნენ, რადგან საბჭოეთი მაშინ გულზე არავის ეხატებოდა. ქართველებს მხოლოდ 5 ქომაგი ჰყავდა: მწერალი გრიგოლ რობაქიძე, გალაკტიონ ტაბიძის მუზა, მერი შერვაშიძე, ჟენევის უნივერსიტეტის სტუდენტი, გუგუ კობახიძე, მენშევიკების პერიოდის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ქალიშვილი, დიკა კედია და კიდევ ერთი ქართველი ქალბატონი, რომელიც ლუქსემბურგში, ახლანდელ ბოლნისში დაიბადა.

ამირან სხიერელი:

— სასტუმროში ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელთან, ბატონ ნიკოლოზ ღვინიანიძესთან ერთად ვცხოვრობდი. იგი განათლებული კაცი იყო და უცხო ენებიც იცოდა. სწორედ ის კითხულობდა ადგილობრივ პრესას და მისგან გავიგე, რომ მასპინძლები ფავორიტებად „რეალის“ კალათბურთელებს მიიჩნევდნენ, მაგრამ თამაში ჩვენი უპირატესობით დაიწყო. შემდეგ ესპანელებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლებს და წინაც გავიდნენ.

ქართველ კალათბურთელებს ყველაზე მეტად, ათლეტი ჰაიტაუერის წინააღმდეგ თამაში უჭირდათ. ტანმაღალი ამერიკელი სწრაფი იყო და ჩინებულადაც ტყორცნიდა. მისი მეურვეობა ანზორ ლეჟავას დაავალეს, დამხმარედ კი მეორე ცენტრალური თავდამსხმელი, ილარიონ ხაზარაძე მიუჩინეს, მეგობრების დაზღვევას კი გუნდის კაპიტანი, გურამ მინაშვილიც ცდილობდა.

ილარიონ ხაზარაძე:

— მატჩის წინ ოთარ ქოქიამ დამავალა, ანზორ ლეჟავას დავხმარებოდი და მეც ჰაიტაუერს წინიდან ვკეტავდი, რომ როგორმე ბურთი არ მიეღო. მახსოვს, თითქმის მთელი პირველი ტაიმი ვითამაშე, სამი ქულაც შევმატე გუნდს, მაგრამ ძალიან დავიღალე და მწვრთნელს შეცვლა ვთხოვე. ვიდრე მოედანზე ვიყავი, ყველაფერი მახსოვს. მეორე ტაიმის უკვე სათადარიგოთა სკამიდან ვუყურებდი და ეტყობა, თავად რომ არ ვთამაშობდი, ძალიან ვნერვიულობდი და აღარაფერი დამამახსოვრდა.

მატჩი ქართველი კალათბურთელების მცირე უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ ესპანელებმაც ოთხჯერ შეძლეს დაწინაურება. მე-12 წუთიდან „დინამოელებმა“ თითქოს გატეხეს მეტოქე და შვიდი ქულითაც გაუსწრეს 36:29, თუმცა შესვენებისთვის 2 ქულამდე შემცირდა სხვაობა 38:36.

გურამ მინაშვილი (მარცხნივ) ევროთასით

ლევან ინწკირველი:

— მეორე ტაიმი უფრო ძნელი აღმოჩნდა. დასაწყისშივე ესპანელებმა ანგარიში გაათანაბრეს, შემდეგ კი წინაც გავიდნენ. ჰაიტაუერი თავისი ფიზიკური მონაცემებით სჯობდა ჩვენს ბიჭებს. ასეთი ძლიერი კალათბურთელის წინააღმდეგ ადრე არასდროს გვითამაშია. იყო რაღაც მონაკვეთი, როდესაც გაგვიჭირდა. მათი ბომბარდირი ამერიკელი იყო და მის თამაშზე აკეთებდნენ აქცენტს, ხოლო ჩვენ მთელი გუნდით ვთამაშობდით. „რეალი“ კარგი გუნდი იყო, ბოლომდე იბრძოლეს, მაგრამ არც ჩვენ ვიყავით ურიგო კალათბურთელები. ჯერ გავათანაბრეთ ანგარიში — 50:50, მერე კი სოლიდურადაც გავუსწარით — 83:70. ამის შემდეგ მადრიდელებმა სხვაობის შემცირებაღა მოახერხეს და საბოლოოდ, 90:83 გავიმარჯვეთ კიდეც.

ამირან სხიერელი:

— ფინალური სასტვენის ხმა არ გამიგონია. მხოლოდ ის მახსოვს, რომ ძალიან გვიხაროდა. ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ ბედნიერები ვიყავით: ქართველმა კალათბურთელებმა ევროპუღლი თასი მოვიპოვეთ. ევროპის კონტინენტზე საუკეთესო კლუბი გავხდით. კიდევ მახსოვს, რომ ფიბას გენერალურმა მდივანმა, უილიამ ჯონსმა ჩვენს კაპიტანს, გურამ მინაშვილს თასი გადასცა, მერე კი ყველამ ერთად ფოტო გადავიღეთ.

ილარიონ ხაზარაძე:

— ძალიან ვნერვიულობდი, ისიც ვერ მოვიფიქრეთ, ფული შეგვეკრიბა და ფოტოკორესპონდენტისთვის მიგვეცა — სამახსოვროდ გვექნებოდა... უკვე წლების შემდეგ რამდენჯერმე ვიყავი ესპანეთში. ის ფოტოები ვეძებე, მაგრამ ვერ მივაგენი. „რეალის“ კლუბის მუზეუმშიც ვიკითხე. სხვათა შორის, არც ის თასი დაგვრჩენია: ერთი წელი, როგორც წესი, თბილისში ინახებოდა, მერე კი ახალი გათამაშებისათვის წაიღეს ისე, რომ ასლის დამზადებაც არავის უფიქრია.

...საიუბილეო თარიღამდე 4 დღეღა რჩებოდა. დათო ტურაშვილი მირეკავს და მეუბნება: ესპანეთიდან ინტერნეტით ფოტოები მივიღეო. ამდენი ძებნის შემდეგ, სიმართლე გითხრათ, არც ველოდი. ავნერვიულდი, მაგრამ თქვენ დათო უნდა გენახათ, სიხარულისგან პატარა ბავშვივით ღელავდა.

დავით ტურაშვილი:

— მადრიდში რომ ჩავედი, პოპულარული სპორტული გაზეთის, „MARCA“-ს არქივში იმ პერიოდის სტატიები მოვიძიე, მაგრამ ფოტოები არ აღმოჩნდა. მერე, ესპანელი ჟურნალისტების დახმარებით, მალაგაში იმ ფოტოგრაფის ოჯახს მივაგენი, ვინც მატჩს იღებდა. როგორც გაირკვა, ჯერ კიდევ გაუმჟღავნებელი ფირები მადრიდის აეროპორტშივე ჩამოურთმევიათ ჟურნალისტებისთვის: ფრანკოს რეჟიმის დროს ესპანელების დამარცხება, ისიც საბჭოელებთან, დაუშვებელი იყო. მხოლოდ სტატია დაუბეჭდავთ, რომელშიც წერია: „ჰაიტაუერმა 32 ქულით უკეთეს მეტოქეს აჯობა... მიუხედავად დამარცხებისა, მადრიდელებს რუსები მთელი მატჩის განმავლობაში შებოჭილები ჰყავდათ, თუმცა მოწინააღმდეგის გამარჯვება მაინც სამართლიანი იყო“... ბოლოს, სახელმწიფო არქივში მოვიკითხეთ. არც იცოდნენ, რაიმე თუ ჰქონდათ. ძიების პროცედურა დიდხანს გაგრძელდა. ვთხოვე, იუბილე გვაქვს-მეთქი. კარგი ადამიანები აღმოჩნდნენ. ამ დღეებში მათგან ეს ფოტოები მივიღე, ფულიც არ გამოგვართვეს, ქართველებს გვაჩუქეს... ქართველი კაცის ყველა გამარჯვება მიხარია. მით უმეტეს — ამ დონის. რომ ვიცოდე, ჩემს გამარჯვებას ათწლეულების შემდეგაც დაუწყებენ ძებნას, ძალას არ დავზოგავდი, ისე ვითამაშებდი.

საიუბილეო დღეს კაფე „მსოფლიო სპორტში“ ახალი თაობის ვეტერანმა, კალათბურთელმა მიხეილ ახვლედიანმა ჩვენი „დინამოელები“ მიიწვია და ამ ფოტოების საზეიმო პრეზენტაცია მოაწყო; ევროპის თასის მფლობელებს, ყველას უსახსოვრა იმ გამარჯვების დაუვიწყარი ფოტო. ვალში არც საქართველოს კალათბურთის ფედერაცია დარჩა. საპატიო სტუმრები ფულადი პრემიებით დააჯილდოვა.

საბედნიეროდ, ქართველ ათლეტებს მნიშვნელოვანი წარმატებებისთვის ბევრჯერ მიუღწევიათ, მაგრამ საკლუბო დონეზე ევროპის ქვეყნების ჩემპიონის თასი არც ერთ გუნდს არ მოუპოვებია. თუმცა, ალბათ ახალი თაობის ჯერიც დადგება.

■

ადამიანთა თავის „მოქანდაკეები“

ამერიკის ორივე კონტინენტსა და აფრიკის ზოგიერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია წაგრძელებული ფორმის თავის ქალები (ზოგიერთ ტომში თავის წაგრძელების კულტურა რამდენიმე ათული წლის წინაც აქტუალური იყო). ადამიანების ასეთ ქალებს „მოქანდაკეები“ ქმნიდნენ. ბავშვს დაბადებიდან თავს ძაფებით ან ნაჭრით მჭდროდ უხვევდნენ, შემდეგ ხის ჩარჩოებს უმაგრებდნენ, რათა თავის ქალას წაგრძელებული ფორმა მიეღო. უცნობია, თუ რა დანიშნულება ჰქონდა თავის ასეთ „ქანდაკებას“, მაგრამ ცნობილია, რომ წაგრძელებული თავის პატრონი, მთელი სიცოცხლის მანძილზე თავის ტკივილებით იტანჯებოდა.

საინტერესოა აგრეთვე ტრეპანაციის ფაქტი, რომელსაც ძველად ხშირად მიმართავდნენ. მიაჩნდათ, რომ თავში ნახვრეტით შიდა თავის ქალის წნევას უმკურნალებდნენ; ადამიანს თავში ავი სულები ჰყავდა და ნახვრეტიდან მათ გამოდევნას შეძლებდნენ. გათხრების დროს აღმოჩენილ თავის ქალებს ზოგჯერ რამდენიმე ნახვრეტი აქვს.

გახვრეტილთავიანებს (ძირითადად დაბალ საფეხურზე მყოფ ადამიანებს) განსხვავებულად მარხავდნენ. სამხრეთ ამერიკაში აღმოჩენილ სამარხებში ტანი ცალკე, თავისგან მოშორებით ასვენია, თავის ადგილას კი მრგვალი საგანი დევს.

დაბოლოს, წაგრძელებულთავიანებს ტრეპანაციას არ უკეთებდნენ (მაიას ტომში წაგრძელებული თავის ფორმა ძირითადად დიდგვაროვნებს ჰქონდათ) ანუ ადამიანებს არჩევანის საშუალებას უტოვებდნენ — ან ბავშვობიდან დატანჯულიყვნენ თავის ქალის ფორმის შეცვლის პროცედურით, ან ტრეპანაციის მსხვერპლი გამხდარიყვნენ. თავის ჯანსაღად შენარჩუნების შანსი თითქმის არ არსებობდა. ■

ბოშები — მხიარული და მოგზაური ხალხი

ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, მხიარულებისა და ნიჭის გამო ღმერთს ბოშები ისე შეუყვარდა, რომ მათი ერთ, რომელიმე კონტინენტზე დატოვება გაუჭირდა და მთელი მსოფლიო აჩუქა. ამიტომ, ბოშების ნახვა ანტარქტიდის გარდა ყველა კონტინენტზეა შესაძლებელი.

იშვიათად შეხვდებით მოკლეთმიან ბოშას. ასეთ ვარცხნილობას მხოლოდ მოკვეთილი, იზოლირებული ბოშები ატარებენ. კაცებსაც კი გრძელი თმა აქვთ.

თუ ბოშა „მიუღებელ“ პროფესიას მისდევს, როგორიცაა ქარხანაში მუშაობა, ქუჩების დალაგება და ჟურნალისტობა, იგი ამ ფაქტს დამალავს, რათა ბოშათა საზოგადოებიდან არ გამოაგდონ.

ყველა ერს აქვს ნაციონალური კერძი. გამონაკლისი არც ბოშები არიან. ისინი მრავალი წლის მანძილზე ტყეში ან მის მახლობლად ცხოვრობდნენ და კერძებსაც ტახის, კურდღლის ან სხვა ცხოველისგან ამზადებდნენ, მაგრამ ყველაზე პოპულარულია ზღარბის კერძი.

თუ მამაკაცი მხოლოდ ერთ ყურზე ატარებს საყურეს, ესე იგი, იგი ოჯახში ერთადერთი ვაჟია.

ბევრს მიაჩნია, რომ ბოშები თავისუფალი ხალხია. სინამდვილეში მათაც აქვთ კანონები და ხშირად, მკაცრი კანონებიც კი. ბოშები ნაადრევად ქორწინებიან. უფროსებს მიაჩნიათ, რომ ახალგაზრდა თუ არ დააქორწინეს, იგი „გაიგულავებს“ და გაფუჭდება. თანაც, ახალგაზრდა გოგონა რაც უფრო ადრე შევა ქმრის ოჯახში და იქ არსებულ კანონებს დაემორჩილება, მით უკეთესია. ახალგაზრდები პაემნებზე არ დადიან, ერთმანეთს ქორწილებსა და სხვა დღესასწაულებზე იცნობენ და ხვდებიან.

საქორწინო წვეულებაში მხოლოდ გათხოვილი და იღბლიანი ქალები მონაწილეობენ. მართლმადიდებელ ბოშებს ხატებითაც ლოცავენ. ცნობილია, რომ ბოშა საცოლეს იპარავს. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ ახალგაზრდების მშობლები ქორწინების წინააღმდეგი არიან. ასეთ დროს მოკრძალებულ ქორწილს იხდიან. თუ ორივე ახალგაზრდის მშობელი ქორწინების მომხრეა, დიდ, გრანდიოზულ დღესასწაულს იხდიან წვეულებით, ცეკვებითა და სიმღერებით. სხვათა შორის, ცეკვის დროს არც ერთი მამაკაცი სხვის ცოლს თითსაც კი არ დააკარებს.

ყველა ბოშა მამაკაცს უყვარს ცხენები. ზოგიერთი, ცხენისგამოსახულებიან ბეჭედსაც კი ატარებს ან სახლში ცხენის სურათები უკიდია. ახლა ცხენები მანქანებმა შეცვალა და მდიდარი ბოშები ძვირად ღირებულ ავტომობილებს ამჯობინებენ. ქალებს უყვართ ოქრო, ბრილიანტი. ქვებიდან — ფირუზი და მარჯანი.

სახლი ნოხებით აქვთ მორთული. უყვართ ძვირფასი ჭურჭელი. მუდმივად სტუმრების მომლოდინე დიასახლისი ყოველთვის ბევრ კერძს ამზადებს. შინ მისულ უცხოსაც კი უმასპინძლდებიან ჩაით, რომელსაც ვაშლის ან ლიმონის ნაჭრებს უმატებენ და ბროლის ჭიქებით მიირთმევენ.

ბოშები ერთმანეთს გაჭირვებაში არ მიატოვებენ. გაჭირვებაში მყოფს ოჯახი დაეხმარება და უშველის. ამიტომ, ისინი ძალიან მეგობრულად ცხოვრობენ. დაუწერელი კანონია, რომ თუ სხვა ეროვნების ადამიანი

უცხო ქვეყანაში სასტუმროში ჩერდება, ბოშას ბოშა წაიყვანს, აჭმევს და დააძინებს.

ბოშებში რამდენიმე განსხვავება არსებობს.

რუსეთში ბოშები XVIII საუკუნეში, პოლონეთიდან შესულან. ისინი მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან. მათი ძირითადი პროფესია ცხენებით ვაჭრობა, მკითხაობა და მუსიკა ყოფილა, მაგრამ დღეს ბევრი მათგანი ვაჭარი, მსახიობი და ბიზნესმენია.

სერბები — უკრაინელი ბოშები — მართლმადიდებლები არიან. უკრაინაში XVII საუკუნიდან ცხოვრობენ. აქვე ცხოვრობენ ვლახები. მამაკაცები მჭედლობით არიან ცნობილი, ქალები — მკითხაობით.

მოლდაველი ურსარები მუსლიმანები არიან. ისინი საუკეთესო მოცეკვავეები და მომღერლები არიან, ბოშურ ტრადიციებს მისდევენ, პატარძალში გამოსასყიდს იხდიან.

კელდერარები — რუმინელი ბოშებიც მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან.

არსებობს ბოშების კიდევ რამდენიმე ეთნოჯგუფი: უნგრეთში მცხოვრები ლოვარები, მადიარები, პლაშუნები; კიშინიოველები, ჩოკენარები, ლინგურარები (მოლდავეთში მცხოვრებნი) და ლოტვები (ლატვიაში ცხოვრობენ და ლუთერანები არიან); ბოშა მუგატები შუა აზიაში ცხოვრობენ და რა თქმა უნდა, მუსლიმანები არიან. შესისხლხორცებული აქვთ აზიელთათვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებები. ტაჯიკურ და უზბეკურ ენებზე ლაპარაკობენ. ■

ტაძარი

როგორ დაარსდა რუსეთის ეკლესია

სლავთა შორის ქრისტიანობის გავრცელება IX-X საუკუნეებიდან იწყება, მოციქულთა სწორი ძმების — წმინდა კირილესა და მეთოდეს ქადაგებით. სწორედ ამ პერიოდიდან ეყრება საფუძველი რუსეთის ეკლესიასაც, რომელიც თავიდან კიევის სამიტროპოლიტოს სახით არსებობდა, XVI საუკუნეში კი საპატრიარქო ტიტულიც მოიპოვა. ამჯერად რუსეთის ეკლესიის შესახებ მოგითხრობთ.

შორენა მერკვილაძე

არქიმანდრიტი მაკარი (*აბესაძე*). — გადმოცემის თანახმად, იმ ტერიტორიებზე, სადაც ამჟამად რუსეთის ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდება, ქრისტიანობა პირველ საუკუნეშივე იქადაგა ანდრია პირველწოდებულმა. ამას სლავთა ქრისტიანობაზე მოქცევა და ქრისტიანული ეკლესიის ან თუნდაც ქრისტიანული თემების ჩამოყალიბება არ მოჰყოლია. რუსეთის მოქცევა, რომელიც იმ დროს კიევის რუსეთად იწოდებოდა, X საუკუნის ბოლოს, კიევის მთავრის მეუღლის — ოლღას — ქრისტეს სჯულზე მოქცევის შემდეგ, 954 წელს მოხდა. მან თავად კიევის მთავარი — ვლადიმირიც მოაქცია, რასაც მთელი ერის მოქცევა — ნათლობა მოჰყვა. რუსეთში და საერთოდ, სლავებს შორის ქრისტიანობის გავრცელება მოციქულთა სწორი ძმების — წმინდა კირილესა და მეთოდეს მიერ მოხდა. მათ სლავებს ანბანიც კი შეუქმნეს. მათვე თარგმნეს სლავურად საღვთისმეტყველო ლიტერატურა; საფუძველი ჩაუყარეს სლავურ ღვთისმეტყველებას და ხელი შეუწყვეს ახლად დაარსებული რუსული ეკლესიის აღორძინებას. რუსეთში ქრისტიანობა პირველად სამეფო ოჯახის წევრებმა მიიღეს და შემდეგ მოხდა ერის მოქცევა. როგორც ვიცით, სლავები მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ, ხშირად ესხმოდნენ თავს ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიებს და ტყვეებიც მოჰყავდათ. მათი უმეტესობა ქრისტიანი იყო და სლავთა შორის ქრისტიანობას ისინიც ავრცელებდნენ. X საუკუნის ბოლოს მოსკოვის სამთავრო ჯერ კიდევ არ იყო დაარსებული. 1051 წელს, ახალმოქცეული ქვეყნის მიტროპოლიტი რუსი ეროვნების ილარიონი გახდა. როდესაც სლავებმა ქრისტიანობა მიიღეს, ამ პერიოდში რუსეთის სამთავრობოები ახალი ჩამოყალიბებული იყო, რომელთა ჩამოყალიბებას საფუძველი არა რუსების, არამედ გარეშე ძალების — ვიკინგების, ვარიაგების ერთ-ერთი ტომის მიერ დაედო. მათ დააარსეს კიევი და ნოვგოროდი. ე.ი. ქრისტიანობის მიღების ხანაში სახელისუფლებო ელიტა იყო გარეშე ძალა, რომელთაც ადგილობრივი სლავები (რომელთაც შემდგომში რუსები ეწოდათ) მენიჩბეებად ჰყავდათ და როსებს უწოდებდნენ. როსი ვიკინგების ენაზე მენიჩბეს ნიშნავს. მალე კიევის რუსეთი თათარ-მონღოლებმა დაიპყრეს. ამ პერიოდისთვის კიევის რუსეთის ტერიტორიაზე ვიკინგების არსებობის ნიშანიც აღარ არსებობს. ამდენად, მონღოლთაგან დაპყრობისას რუსეთის ერი უკვე ჩამოყალიბებული იყო და თავისი სახელმწიფო სტრუქტურები ჰქონდა, მაგრამ არ იყო ერთიანი სახელმწიფო და მთავრებსაც გადამწყვეტი უფლებები არ ჰქონდათ. მოგვიანებით, როდესაც რუსეთში მონღოლთა ძალაუფლება შესუსტდა, ყველაზე წარმატებულ სამთავროდ მოსკოვის სამთავრო ჩამოყალიბდა, რადგან ჩრდილოეთით მდებარეობდა. მონღოლთა შემოსევის შემდეგ რუსული ეკლესია ძალიან შევიწროვდა. მონღოლებს ისე არსად უთარეშიათ, როგორც რუსეთში. თავისთავად ცხადია, მათი ქმედებები ქრისტიანებზე და ეკლესიაზეც აისახა. ამ დროს ეკლესია ნორმალურად ჩამოყალიბებულიც არ იყო — ერში ქრისტიანული მენტალიტეტი სუსტი გახლდათ. ამას ისიც დაერთო, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსა და მის მიტროპოლიას ე.ი. კიევის სამიტროპოლიტოს შორისაც გაწყდა ურთიერთობა იმის გამო, რომ თავად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაც პრობლემები შეექმნა ჯერ არაბთაგან, შემდეგ — თურქ-სელჩუკთაგან დაპყრობის გამო. კონსტანტინოპოლი XII-XIII საუკუნეებში ჯვაროსნების მიერ იყო დაპყრობილი. სწორედ ამ ფაქტებმა განაპირობა კიევის სამიტროპოლიტო ეკლესიის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან გამოსვლა. 1448 წელს, მიტროპოლიტმა იონამ ეპისკოპოსთა კრება მოიწვია და მოსკოვისა და სრულიად რუსეთის მიტროპოლიტის ტიტული მიიღო. რუსეთის პირველი პატრიარქი იობი გახლდათ. მონღოლებს მოსკოვზე ნაკლებად მიუწვდებოდათ ხელი. ისინი უფრო სამხრეთ რეგიონებს ეტანებოდნენ. იყვნენ რა მომთაბარეები, უფრო ისეთი რეგიონები აინტერესებდათ, სადაც ზამთრის პერიოდში ნაკლები პრობლემები შეექმნებოდათ. გარეშე ძალებისგან შევიწროებას, გარეშე მტრის ზეგავლენას ყველაზე ნაკლებად მოსკოვის სამთავრო განიცდიდა, რის გამოც, რუსეთის გაერთიანება სწორედ მოსკოვის გარშემო მოხდა. ამის შემდეგ მოსკოვის მიტროპოლიტმაც უპირატესობა მოიპოვა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსგან გამოყოფილი კიევის სამიტროპოლიტოც მოსკოვის სამიტროპოლიტოს შეუერთდა. რუსეთში

საპატრიარქოს ინსტიტუტის ჩამოყალიბება მას შემდეგ მოხდა, როდესაც თითქმის ყველა მართლმადიდებლური საპატრიარქო — ანტიოქიის, ალექსანდრიის, იერუსალიმის, კონსტანტინოპოლის — მუსლიმანების ხელში აღმოჩნდა. შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო საქართველოს საპატრიარქო, მაგრამ მასაც გამუდმებული ბრძოლა უხდებოდა მუსლიმანურ სამყაროსთან. XV საუკუნის ბოლოსთვის რუსებმა თათარ-მონღოლთა უღელი გადააგდეს. ამის შემდეგ, რუსეთის ტერიტორიაზე ქრისტიანობისთვის ყველაზე მშვიდობიანი პერიოდი დადგა და რუსეთის ეკლესიამ საპატრიარქოს ტიტულის მოპოვება მოახერხა. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ანტიოქიის პატრიარქი, რომელიც მოსკოვში იმყოფებოდა, დააპატიმრეს და რუსეთის ეკლესიის საპატრიარქო ტიტული აღიარებინეს... რუსეთის ეკლესიის ჩამოყალიბების დროიდანვე განვითარდა ბერმონაზვნური ცხოვრებაც. პირველი ბერი ღირსი ანტონ პეჩორელი გახლდათ, რომელმაც 1001 წელს კიევ-პეჩორის მონასტერი დააარსა. ღირსი ანტონი ათონის მთაზე მოღვაწეობდა. მან ახლად დაარსებულ მონასტერში ათონური ბერმონაზვნობის წესი დაამკვიდრა. 1334 წელს, მას შემდეგ, რაც რუსეთი თათარ-მონღოლთა ბატონობისგან გათავისუფლდა, ღირსმა სერგი რადონეჟელმა წმინდა სამების მონასტერი დააარსა, რომელიც მალე რუსეთის სულიერების ცენტრი გახდა. ღირსი სერგისა და მისი მოწაფეების ძალისხმევით კიდევ არაერთ ქრისტიანულ სავანეს ჩაეყარა საფუძველი.

1654-1656 წლებში რუსეთის პატრიარქმა, ნიკონმა, ბიზანტიური, ანუ მართლმადიდებლური ეკლესიის წეს-ჩვეულებებთან დაახლოების მიზნით, საეკლესიო რეფორმა გაატარა. საღვთისმსახურო წიგნები ბერძნული, მართლმადიდებლური წესით შეასწორა. ნიკონის რეფორმები სამღვდელოებისა და მრევლის ნაწილმა არ მიიღო. რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას სქიზმატური ფრთა ჩამოსცილდა, რომელიც თითქოსდა, ქრისტიანობის ძველ წეს-ჩვეულებებს აღასრულებდა. ამიტომაც თავიანთ თავს სტაროვერები უწოდეს. ამას სტაროვერთა დევნა და მათი გადასახლება მოჰყვა. ასე მოხვდნენ ამ სექტის მიმდევრები საქართველოშიც. მათი ჯგუფები საქართველოში XIX საუკუნის ბოლომდე არსებობდა. ციმბირის მხარესა და რუსეთის განაპირა რაიონებში სტაროვერთა ფრთა დღემდე არსებობს. XV-XVII საუკუნეებიდან რუსეთში თითქოს ღვთისმეტყველებაც განვითარდა, მაგრამ მას ნაკლოვანებებიც ჰქონდა — ბევრი ისეთი რამ იყო, რაც მართლმადიდებლობას ეწინააღმდეგებოდა.

XVIII საუკუნის დასაწყისში პეტრე I-მა პატრიარქ ადრიანეს გარდაცვალების შემდეგ ახალი პატრიარქის არჩევა აკრძალა. რუსეთის ეკლესიაში სინოდალური მმართველობა დაიწყო და მთელი 200 წლის მანძილზე რუსეთის ეკლესიას პატრიარქი არ ჰყოლია. თავად სინოდი მეფის მიერ დანიშნულ საერო პიროვნებას — ობერ-პროკურორს ემორჩილებოდა.

სინოდალური მმართველობის პერიოდში (1721-1917 წწ.), ქვეყნის განაპირა მხარეებში განსაკუთრებული ყურადღება საგანმანათლებლო-მისიონერულ ღვაწლს ექცეოდა, და ახალი სავანეებიც კი იქნა დაარსებული. სწორედ იმ პერიოდში მოღვაწეობდნენ რუსეთის ეკლესიაში უდიდესი საეკლესიო მამები: სერაფიმ საროველი, წმინდა ფილარეტი, წმინდა თეოფანე დაყუდებული, წმინდა ეგნატე ბრიანჩანინოვი, ოპტის უდაბნოს წმინდა მამები..

XX საუკუნის დასაწყისში, 1917 წლის რევოლუციისა და მონარქის დაცემის შემდეგ, სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევისათვის მზადება დაიწყო. კრება 1917 წელს გაიმართა, რომლის მთავარ მიზანს პატრიარქობის აღდგენა წარმოადგენდა. კრებამ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქად ტიხონი (ბელავინი) აირჩია. სწორედ ამ პერიოდში გამოაცხადა საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ავტოკეფალიის აღდგენა. რუსეთის ახლად არჩეულმა პატრიარქმა ტიხონმა საქართველოს ეკლესია იმის გამო შეაჩვენა, რომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, აღიდგინა ის, რაც ეკუთვნოდა.

რევოლუციის შემდეგ რუსეთის ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა ძირეულად შეიცვალა. ეკლესია ახალი ხელისუფლების იდეური მოწინააღმდეგე გახდა, რასაც საშინელი რეპრესიები და დევნა მოჰყვა. რუსეთის ეკლესიამ ამ პერიოდში უამრავი მოწამე შეიძინა. პატრიარქი ტიხონის გარდაცვალების შემდეგ რუსულ ეკლესიაში პატრიარქობა კვლავ გაუქმდა. 1941-45 წლებში, ომიანობის პერიოდში, მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა — რუსეთში ქრისტიანობა გამოცოცხლდა, რადგან ხელისუფლება ცდილობდა, მტრის წინააღმდეგ ეკლესიის ავტორიტეტიც გამოეყენებინა. ამოქმედდა 30-იან წლებში დაკეტილი ტაძრების უმეტესობა; სტალინის ბრძანებით, ციხეებიდან მრავალი სამღვდელო პირი გაათავისუფლეს. 1943 წელს სტალინი საპატრიარქოს ტახტის მოსაყდრეს, სერგის შეხვდა, რომელიც მალე პატრიარქად აკურთხეს. და ამის შემდეგ რუსეთის ეკლესიის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობა მოხდა.

ხრუშოვის მმართველობის პერიოდში კვლავ დაიწყო რუსეთის ეკლესიის დევნა-შევიწროება. მოქმედი ეკლესიების რაოდენობა მინიმუმამდე იქნა დაყვანილი. ამ პერიოდში რუსეთიდან უამრავი სასულიერო პირი საზღვარგარეთ წავიდა. იქ ჩამოაყალიბეს რუსეთის ემიგრანტული ეკლესია, რომელიც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებულ ეკლესიას არ ემორჩილებოდა. ბოლო წლებში ემიგრანტთა ეკლესიის ნაწილი კვლავ შეუერთდა რუსეთის ეკლესიას, ნაწილი ისევ სქიზმაში დარჩა.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან, როგორც ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, ქრისტიანთა დევნა-შევიწროება შეწყდა, რუსეთის ეკლესიაშიც საეკლესიო ცხოვრების გამოცოცხლება დაიწყო.

ამჟამად რუსეთის ეკლესიას მე-16 პატრიარქი — უწმინდესი კირილი — ჰყავს. მას 130-მდე ეპარაქია აქვს როგორც რუსეთის ტერიტორიაზე, ასევე მის საზღვრებს გარეთ. 500-მდე მოქმედი მონასტერი და 19000-ზე მეტი ტაძარი, რამდენიმე სემინარია, სასულიერო აკადემია და სასულიერო სკოლები. ამ მიმართულებით რუსეთის ეკლესია ძალიან მაღალ დონეზე დგას. ბოლო წლებში, როგორც მთელ მსოფლიოში, რუსეთის ეკლესიაშიც მრევლის რიცხვმა საგრძნობლად იმატა.

რუსეთის ეკლესიას ალექსანდრიაში მუდმივი წარმომადგენელი ჰყავს. ასევე დამასკოში, ბეირუთში, სოფიაში, ვარნაში, ნიუ-იორკსა და ტოკიოში. იერუსალიმში კი რუსული სასულიერო მისია მოქმედებს.

რუსეთის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში იაპონიის ავტონომიური ეკლესიაც შედის.

■

ოსთა ჩამოსახლება დვალეთში

მიხეილ ლაბაძე

დვალეთი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ისტორიული კუთხეა, რომელიც დღევანდელი ჩრდილოეთ ოსეთის უკიდურეს სამხრეთ ნაწილს, ე.წ. ნარმამისონის ქვაბულს მოიცავდა. ამ კუთხეში ძველთაგანვე ქართველები მკვიდრობდნენ, თუმცა XVII საუკუნიდან აქ ჩამოსახლება იწყეს ოსებმა, რომლებიც მანამდე ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინეთსა და სტეპებში სახლობდნენ და საქართველოსთან ურთიერთობა იმთავითვე ჰქონდათ. დვალეთში მათი მასობრივი გადმოსვლის ერთ-ერთი მიზეზი თავშესაფრის ძიება გახლდათ. მაშინ ოსებს ჩრდილოეთი კავკასიის ბარში გაბატონებული ყაბარდოელები ავიწროებდნენ.

დვალეთელი ოსები; XIX საუკუნის II ნახევრის ფოტო

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ოსები ირანული მოდგმის ხალხია. ისინი ორ ეთნიკურ ჯგუფად იყოფიან — მუსლიმან დიგორელებად და ქრისტიან ირონელებად. დვალეთში ძირითადად, ეს უკანასკნელები სახლდებოდნენ, რადგან გამუსლიმანება არ სურდათ. დიგორელები კი, რომლებმაც ჯერ კიდევ XVI საუკუნეში მიიღეს ისლამი, ყაბარდოელთა მოკავშირეები იყვნენ. ასე რომ, ოსთა ერთი ნაწილის დვალეთში (და აქედან შემდგომ საქართველოს სხვა კუთხეებშიც) გადმოსვლა შინაურ შუღლსაც უკავშირდებოდა.

აღსანიშნავია, რომ ოსთა ჩამოსახლების დროს, საქართველოში ადგილობრივი მოსახლეობა თითქმის განადგურებული იყო, ერთიანი ქართული სახელმწიფო აღარ არსებობდა, ქართლსა და კახეთში კი მუსლიმანი გვირგვინოსნები მეფობდნენ. ისინი ქართველთა ნასახლარებზე ოსების დასახლებით დიდად იყვნენ დაინტერესებულნი, რადგან ყმაგლეხები და მოლაშქრეები ესაჭიროებოდათ. სწორედ აქედან გამომდინარე, ოსები ქართულ კულტურას ძალზე სწრაფად ითვისებდნენ და ორი-სამი თაობის მერე, ქართველებისაგან აღარც კი განირჩეოდნენ. ისინი ქართულდაბოლოებიან გვარებს ატარებდნენ და თავიანთ გვირგვინოსნად ქართველ მეფეს მიიჩნევდნენ.

ისტორიული წყაროებიდან ისიც ირკვევა, რომ იმხანად დვალეთი კულტურულად ერთ-ერთ ყველაზე დაწინაურებულ მხარეს წარმოადგენდა. აქ იყო ბევრი ეკლესია-მონასტერი, რომლებშიც ცნობილი სულიერი მამები მოღვაწეობდნენ. მონასტრებთან არსებობდა სკოლები, სადაც განათლების მიღება პრაქტიკულად, ყველას შეეძლო, ვისაც ამის სურვილი ექნებოდა. მაშინ, როდესაც ქართლის ბარში აღმოსავლური კულტურის გავლენა აშკარად შესამჩნევი იყო, დვალეთი, იქ მოღვაწე სასულიერო პირთა დიდი ძალისხმევით, ტრადიციულ ქართულ იერს ინარჩუნებდა. ამიტომაც, პირველ ხანებში, ჩამოსახლებული ოსები ამ კუთხის კულტურულ ცხოვრებაზე არათუ გავლენას ვერ ახდენდნენ, არამედ პირიქით — თავადვე ცდილობდნენ, შეეთვისებინათ ქართული კულტურა, რომელიც, როგორც ითქვა, მათთვის სამშობლოში ცხოვრების დროს იყო უცხო. დავძენთ იმასაც, რომ დვალეთის სამონასტრო სასწავლებლებში განათლებამიღებული ბევრი ოსი თანამემამულეთა გასაქრისტიანებლად ჩრდილოეთ კავკასიაში ბრუნდებოდა; იქ მათი მოღვაწეობა კი უამრავ ოსს იზიდავდა დვალეთისკენ, თუმცა ვითარება სულ მალე შეიცვალა.

XVII საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც ქართლის სამეფო შემოსევათა შედეგად დასუსტდა, დვალეთში ოსების გადმოსვლის პროცესი გაძლიერდა და მალევე, მათ ამ მხარეში რიცხობრივი უპირატესობა მოიპოვეს. იმხანად ქართლში მეფობდა გამუსლიმანებული სვიმონ-ხანი, რომლის მოურავიც გიორგი სააკაძე იყო. როგორც მატიანეებიდან ცნობილია, დვალეთში დასახლებული ოსები იმ დროს სვიმონ-ხანს ეურჩებოდნენ, რის გამოც გიორგი სააკაძეს მათ დასამორჩილებლად რამდენჯერმე მოუწია გალაშქრებამ. ოსები სააკაძის ლაშქარს წინ ვერ აღუდგნენ და დანებდნენ — მათ მეფის ერთგულებაზე დაიფიცეს, თუმცაღა, როდესაც სააკაძემ დვალეთი დატოვა, ურჩობა კვლავაც განაგრძეს — სვიმონ-ხანის წარგზავნილი მღვდელი მოკლეს და ქართველ მშვიდობიან მოსახლეებზე თავდასხმები განაახლეს.

ოსების ტრადიციული მეურნეობის ერთ-ერთი დარგი, როგორც ცნობილია, იყო ე.წ. „ბალცი“, ანუ მეზობელ თემთა წინააღმდეგ გალაშქრება, ნადავლისა და მონების შოვნის მიზნით. ეს ჩვეულება სათავეს სკვითურ-ალანურ ტომთაგან იღებს, რომლებიც ოსთა წინაპრები იყვნენ და მომთაბარე ცხოვრებას მისდევდნენ. შუა საუკუნეების ევროპელი მემატიანეები წერენ, რომ სკვითებსა და ალანებს არ ჰქონდათ ტაძრები და არც ღმერთი სწამდათ. ისინი თაყვანს სცემდნენ მიწაში ჩარჭობილ მახვილს, რომელიც ომის მბრძანებლად წარმოედგინათ. გვიან, შუა საუკუნეებშიც, კავკასიის მთიანეთში დასახლებულმა ოსებმა „ბალცის“ ჩვეულება ძალზე კარგად შეინარჩუნეს, რადგანაც სხვაგვარად აქ ცხოვრებას ვერ შეძლებდნენ. ამ ხალხს არ ეხერხებოდა არც მიწათმოქმედება, არც მესაქონლეობა, ამიტომ თავს მეზობლებზე თავდასხმებით ირჩენდა. დვალეთიდან ოსები თავს რაჭას, სვანეთს, იმერეთს, ქართლის ბარსა და ხევს ესხმოდნენ. ქართულ და ოსურ ფოლკლორში უამრავია ისეთი გადმოცემები, რომლებშიც მოთარეშე ოსთა და ქართველთა დაპირისპირებას ასახავს. მაგალითად, ერთხელ დვალები (ოსები) რაჭის სოფელ ღებს დასხმიან თავს. მამაკაცები სათიბში ყოფილან წასულები და მომხდურებს ქალების გატაცება მოუხერხებიათ. ტყვეები მამისონის უღელტეხილისკენ რომ წაუყვანიათ, მდევარიც მაშინ დასდევნებიათ და ბრძოლაც გაჩაღებულა. ამ გადმოცემაში იხსენიება ვინმე სულთანიშვილი შალიკი, რომელიც მამაცი მებრძოლი ყოფილა, თუმცა მცირე ტანისა. ტყვეთა გათავისუფლების შემდეგ, ის მოთარეშე დვალებს მიჰყოლია, ისინიც დაუხოცავს და მათი სოფლელებიც. ამის შემდეგ დვალებს რაჭველებისათვის ზავი მოუთხოვიათ.

ამ გადმოცემაში საინტერესო ისაა, რომ „დვალების“ სახელით აშკარად ოსები არიან ნახსენები, მიუხედავად იმისა, რომ XVII საუკუნემდე ასე ქართველთა ერთ-ერთ თემს უწოდებდნენ. აღნიშნული პერიოდიდან, როგორც

უკვე ითქვა, დვალეთში ოსობა გაბატონებულ ეთნოსად იქცა და აქაურ ქართველთა იმ ნაწილმა, რომელმაც სხვა კუთხეებში გადახვეწა ვეღარ მოასწრო, თანდათანობით შეითვისა ოსური ენაც და კულტურაც, თუმცაღა ქართულიც არ დაივიწყა. XX საუკუნის დასაწყისამდეც კი, დვალეთის მოსახლეთა დიდი ნაწილი ორენოვანი იყო: ლაპარაკობდა ოსურად და ქართულად; ეროვნული თვითაღქმაც ასევე, გაორებული ჰქონდა. XIX საუკუნის ბოლო წლებით დათარიღებული საეკლესიო წიგნების ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ნარიდან მამისონამდე მცხოვრები ოსები თავიანთ ეროვნულ კუთვნილებას დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ. ეწერებოდნენ როგორც ოსებად, ისე ქართველებადაც; როგორც ჩანს, ამან დიდად შეაშფოთა რუსები და უკვე XX საუკუნის დასაწყისიდან, დვალეთის სოფლების საეკლესიო წიგნებში ყველა ოსებადაა ჩაწერილი.

დვალეთის ტერიტორიას ოსები „თუალგომს“ უწოდებენ. საინტერესოა ისიც, რომ ჩრდილოკავკასიელი ოსების ერთი ნაწილი ცხინვალელ ოსებსაც „თუალებს“ ეძახის. სხვათა შორის, ეს უკანასკნელები XIX საუკუნის დასაწყისში, დვალეთიდან ჯავის ხეობაში და ქართლის ბარში ჩამოსახლებულ ოსთა შთამომავლები არიან; თავიანთი ახლო წინაპრებისგან განსხვავებით, ისინი არც ქართველ მეფეებს ეურჩებოდნენ და არც მეზობლებს არბევდნენ. დვალეთიდან ჯავის ხეობაში გადმოსახლებული ოსები ქართულ ლაშქარში ცალკე სადროშოს ქმნიდნენ და რაც უნდა ძნელი დასაჯერებელი იყოს, ქართველ გვირგვინოსანთა საიმედო ქვეშევრდომები იყვნენ. შემორჩენილია XVIII საუკუნის ერთი სიგელი, რომლითაც მეფე ერეკლე II-მ ოს თუჯუკო კუდუხაშვილს აზნაურობა უბოძა იმის გამო, რომ მან პარტახად ქცეულ ჯავის ხეობაში დვალეთიდან ძმები ჩამოასახლა და მედგარი წინააღმდეგობა გაუწია იქ დაღესტნიდან გადმოსულ, მოთარეშე ლეკთა მრავალრიცხოვან მხედრობას.

ამდენად დვალეთი, ფაქტობრივი გაოსების მიუხედავად, საქართველოს ერთბაშად არ მოსწყვეტია. იქ მცხოვრებმა ოსებმა XVIII საუკუნიდან ქართული სახელმწიფოს უზენაესობა აღიარეს და ჩვეულებრივად იწყეს ცხოვრება. მათგან ქართველი მეფეები მხოლოდ ერთ რამეს ითხოვდნენ — ომიანობის დროს ლაშქარში გამოსვლას; ამავე დროს, მოლაშქრეებს ჩვეულებისამებრ, ჯამაგირს აძლევდნენ და ამიტომაც, ოსები დაკისრებულ მოვალეობას სიამოვნებით ასრულებდნენ. სავაჭროდ და სამუშაოდაც ისინი საქართველოს ბარში ჩამოდიოდნენ, ვინაიდან ჩრდილო კავკასიაში იმხანად ქალაქები არც იყო. ასე რომ, ოსები ქართველებისაგან გამოყოფით მაშინ საერთოდ არ იყვნენ დაინტერესებულნი. უნდა ითქვას ისიც, რომ 1801 წლისათვის, რუსთაგან ქართლ-კახეთის ანექსიის პერიოდში, დვალეთი ქართული სახელმწიფოს ნაწილი იყო და ცხადია, იქაურ ოსებს ეკონომიკური კავშირები ქართლის ბართან და რაჭასთან ჰქონდათ. ამ დროს ოსები ის-ის იყო, სახლდებოდნენ ჯავის ხეობაში, სადაც კვლავ შემორჩენილი იყო ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა; მათი წყალობით, ოსები უფრო ახლოს ეცნობოდნენ ქართულ კულტურას.

XIX საუკუნის დასაწყისში, მეფე ერეკლე II-ის კარზე აღზრდილმა დვალეთელმა ოსმა, იოანე იალღუზიძემ (ნამდვილი გვარი — გაბარათი), ქართული დამწერლობის (როგორც ნუსხა-ხუცურის, ისე მხედრულის) საფუძველზე ოსური ანბანი შექმნა და საღვთისმსახურო წიგნები ოსურად თარგმნა. დვალეთის ქართულ ტაძრებში, რომელთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ XVII საუკუნიდან დაცარიელებული იყო, წირვა-ლოცვა განახლდა — მღვდლები ქართულად წირავდნენ, სახარებას კი ოსურად კითხულობდნენ; 1811 წლიდან კი, როდესაც რუსეთმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა, მთელი საქართველოს დარად, ქართულენოვანი წირვა-ლოცვა აქაც შეიზღუდა, ხოლო ოსურად სახარების კითხვა საერთოდ მოისპო. მიუხედავად ამისა, დვალეთის ოსები უფრო ხელსაყრელ ვითარებაში აღმოჩნდნენ, ვიდრე მათი ჩრდილოელი მეზობლები — ალაგირელები, დიგორელები, ქერთათელები და სხვა ოსური თემები, რომლებიც რუსეთმა უშუალოდ, ხელის ერთი დაკვრით შეიერთა.

XIX საუკუნის 10-იან წლებში, როცა

ოსეთის გერბი ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით

ქართლ-კახეთში ალექსანდრე ბატონიშვილმა რუსთა წინააღმდეგ აჯანყება წამოიწყო, დვალეთელი და ჯავისხეველი ოსების დიდი ნაწილი მას მიემხრო. ოსებმა იარაღი ალექსანდრე ბატონიშვილის სპარსეთში წასვლის შემდეგაც არ დაყარეს და ამის გამო, XIX საუკუნის 40-იან წლებამდე, დვალეთში რუსებმა ზედიზედ რამდენიმე დამსჯელი ლაშქრობა მოაწყვეს. აღსანიშნავია, რომ ამ დროს ჩრდილოკავკასიელი ოსები სიმშვიდეს ინარჩუნებდნენ და თანამოძმეების ბედით არ ინტერესდებოდნენ, რადგან მათი უმეტესობა მუსლიმანი იყო და დვალეთის ოსებს თავისიანებად არც კი თვლიდა. რუსებისაგან უკიდურესად შევიწროებულმა დვალეთელებმა კი ისევ აყრასა და გადასახლებას მიჰყვეს ხელი — ზოგი ქართლის ბარში ჩამოსახლდა, ზოგი კი ჩრდილო-აღმოსავლეთით, ინგუშების მიწებზე, სადაც მათ გარდა, ალაგირელები, თაგაურელები და ქურთათელებიც დამკვიდრდნენ.

ამგვარად, XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს, როცა რუსეთმა კავკასიაში შამილი დაამარცხა და საკუთარი კოლონიური ხელისუფლება დაამყარა, დვალეთელი ოსები მრავლად იყვნენ არა მარტო საქართველოში, არამედ ჩრდილო კავკასიაშიც და თავიანთი რწმენის გამო, ცარიზმის მესვეურთა კეთილგანწყობილებას იხვეჭდნენ. რა

ნუსხური დამწერლობით შესრულებული ოსური ტექსტი; ფრაგმენტი იოანე იალღუზიძის მიერ თარგმნილი ერთ-ერთი საღვთისმსახურო წიგნიდან. XIX საუკუნის I ნახევარი



Приложение № 6.

Текст из молитвенника И. Ягуандже, напечатанного в 1820 г.

Приложение № 7.

Текст из требника И. Ягуандже, напечатанного в 1824 г.

კასრისკარის ციხის ნანგრევი დვალეთში (თანამედროვე ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორია)

თქმა უნდა, ამას თავისი მიზეზი ჰქონდა — რუსები კავკასიელთა დამონებას აპირებდნენ და მოკავშირეები სჭირდებოდათ; ამასთან, ისინი მუსლიმან და წარმართ ოსებს დიდად არ ენდობოდნენ და დვალეთელებზე ყურადღებას იმიტომ ამახვილებდნენ, რომ ეს უკანასკნელები, ქართულ სამყაროსთან მჭიდრო ურთიერთობის გამო, ქრისტიანობას აღიარებდნენ. ჩრდილო კავკასიაში ქრისტიან ოსთა რაოდენობა რომ გაზრდილიყო, 1858 წელს, რუსებმა დვალეთი თბილისის გუბერნიას ჩამოაცილეს და ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე თერგის ოლქს შეუერთეს. აღსანიშნავია ისიც, რომ დვალეთში იმხანად არა მარტო ეთნიკური ოსები, არამედ ეთნიკური ქართველებიც ცხოვრობდნენ, რომელთაც მშობლიურ ენაზე უკეთ ოსური იცოდნენ და ოსებთან ყოველდღიური მჭიდრო ურთიერთობების გამო, სრული გაოსების გზაზე იდგნენ. ამდენად, რუსებმა დვალეთის თერგის ოლქისადმი გადაცემით, ეს ხალხი საქართველოს სამუდამოდ დაუკარგეს.

ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ ითქვას ის, რომ „ოსური ლიტერატურის მამად“ წოდებული კოსტა ხეთაგუროვის წინაპრებიც ქართველები — დვალები იყვნენ და ქართულ გვარს, ხეთაგურს ატარებდნენ. სხვათა შორის, ამას თავად კოსტაც კი არ უარყოფდა, თუმცა მას შემდეგ, რაც ოსეთში სახელმოხვეჭილი მწერალი გახდა, საკუთარ წარმომავლობაზე საუბარს ყოველთვის თავს არიდებდა. კოსტა ხეთაგუროვმა ქართული ენა და წერა-კითხვა ბრწყინვალედ იცოდა და, ქართული ლიტერატურის შედევრებს ორიგინალში კითხულობდა; ოსურ ენაზე საკუთარ ნაწარმოებებს რუსული ასოებით წერდა, რადგან ქართული ასოებით რომ ეწერა, ცენზურა არ დაუბეჭდავდა. საინტერესოა, რომ მას ეკუთვნის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი, სათაურით — „ოსობა“, რომელშიც მეტად საყურადღებო ცნობები აქვს მოყვანილი დვალეთში ოსი მოსახლეობის დამკვიდრებაზე, თუმცა ტენდენციურობასაც ამჟღავნებს. მაგალითად, თავის წინაპრებზე წერს, რომ ისინი დვალეთში ყაბარდოდან ჩამოსულან და გვარი მოგვიანებით გადაუკეთებიათ ქართულად; სინამდვილეში კი „ხეთაგური“ უძველესი ქართული (დვალური) გვარი ჩანს, რომლის მატარებელთა ნაწილი გაოსდა.

ასევე, დვალეთის საქართველოდან ჩამოშორება ჩვენთვის წამგებიანი იმიტომაც იყო, რომ ეს მხარე ერთგვარ დამაკავშირებელ ხიდს ჰქმნიდა რაჭასა და ხევს შორის, იქაური ციხესიმაგრეებით კი ჩრდილო კავკასიიდან შიდა ქართლისაკენ მიმავალი გზები კარგად კონტროლდებოდა. ეს ციხესიმაგრეები ისე იყო აგებული, რომ ჩრდილოეთიდან შემოჭრილი მტერი ხელცარიელი გაბრუნდებოდა უკან, თუკი მათ ზედიზედ აღებას ვერ მოახერხებდა; რომც მოეხერხებინა, წინ კავკასიონის მიუვალი მთები ეღობებოდა და ბუნებრივ წინაღობას უქმნიდა. რამდენად საოცრადაც უნდა მოგვეჩვენოს დღეს, ქართველი გვირგვინოსნები დვალეთში ოსების ჩასახლებას ხელს იმიტომაც არ უშლიდნენ, რომ ეს უკანასკნელები კარგი მოლაშქრეები იყვნენ, თანაც საქართველოსთან დაკავშირებით, გარკვეული ეკონომიკური ინტერესები ჰქონდათ — ქართველი მეფეები მათ ჯამაგირს უხდიდნენ; ამიტომაც სეპარატისტული ტენდენციების არსებობა იმთავითვე გამორიცხული იყო: სამეფო ხაზინაში ოსი მოლაშქრეებისთვის განკუთვნილი ფული მუდამ მოიპოვებოდა.

აქედან გამომდინარე, რუსებმა დვალეთის საქართველოსადმი ჩამოშორებით ორი კურდღელი დაიჭირეს — ჩვენს ჩრდილო საზღვარზე თავდაცვითი ზღუდე მოშალეს და როგორც უკვე ითქვა, ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიან ოსთა რაოდენობა გაზარდეს. ამავდროულად, 1859 წლიდან, როდესაც შამილი დაატყვევეს, მუსლიმანი ოსები ანუ დიგორელები მასობრივად გაასახლეს ოსმალეთში. ასე რომ, თუ ოსთა ისტორიულ სამშობლოში — დღევანდელ ჩრდილო ოსეთში — XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქრისტიანებს მუსლიმანები სჭარბობდნენ, მეორე ნახევრიდან ამ უკანასკნელთა რიცხვი შემცირდა. ამავდროულად, დაიწყო არაქრისტიან ოსთა შორის ქრისტიანული რწმენის ქადაგებაც და სხვათა შორის, მისიონერებად სწორედ დვალეთელ ოსთაგან გამოსული მღვდლები გაამწესეს.

კავკასიონის გადმოღმა, ჯავის ხეობაში მცხოვრებ ოსებში კი რუსები სრულიად სხვაგვარ პოლიტიკას აწარმოებდნენ — მათ სრულ გაუნათლებლობაში ამყოფებდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ქართველებთან დაეპირისპირებინათ. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ჯავისხეველი ოსები არაერთგზის ითხოვდნენ, ვინაიდან საქართველოში ვცხოვრობთ, ქართული წერა-კითხვა გვასწავლეთო, მაგრამ რუსული კოლონიური ხელისუფლება ამაზე თანახმა არ იყო. ჯავისხეველი ოსებისათვის გახსნილ სკოლებში არათუ ქართული, ოსურიც არ ისწავლებოდა; სხვათა შორის, იმ დროის ქართულ პრესაში ამასთან დაკავშირებით მეტად მწვავე შინაარსის წერილები იბეჭდებოდა; ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები ცარისტული რეჟიმის მესვეურებს მოუწოდებდნენ, რომ ქართლის მთიან ნაწილში ჩამოსახლებულ ოსთათვის აუცილებლად ესწავლებინათ ოსური და ქართული ენები: „რუსული ენის სწავლება ოსებისთვის უფრო გამართლებულია კავკასიონის ქედს გადაღმა, სადაც მოსახლეობა ცხოვრების რუსულ წესს მისდევს და რუსული ენაც სჭირდებათ... ჩვენს ოსებში კი ბევრია ქართულის წერა-კითხვის სწავლის მსურველი... ქართული ენაც იმათ კარგად იციან, მეტადრე მამაკაცებმა,“ — წერდა 1884 წელს გაზეთი „დროება“. აღსანიშნავია, რომ მოყვანილი სტრიქონების ავტორს მხედველობაში ჰყავს სწორედ ჯავისხეველი ოსები, რადგანაც იმხანად ოსი მოსახლეობა კომპაქტურად მხოლოდ იქ სახლობდა; ბარში საცხოვრებლად ოსები უფრო იშვიათად ჩამოდიოდნენ.

ქართველთა და ოსთა შორის ურთიერთობა პირველად 1905-1907 წწ. გამოსვლების დროს დაიძაბა — საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეებთან გამკლავებისა და მათთვის დამატებითი პრობლემების შექმნის მიზნით, რუსებმა ოსებში ანტიქართული პროპაგანდა გააჩაღეს; ამავდროულად კი ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ოსებიც ინგუშების წინააღმდეგ წააქეზეს. უნდა აღინიშნოს ასევე ისიც, რომ ამ პერიოდიდან ცარიზმის მესვეურები დამსჯელ რაზმებს, რომელთაც რევოლუციონერთა წინააღმდეგ ბრძოლა ევალებოდათ, ძირითადად ოსებისგან ადგენდნენ; ცხადია, ეს მხოლოდ იმიტომ კეთდებოდა, რომ საუკუნეების განმავლობაში მეზობლად მცხოვრები კავკასიის ხალხები სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდებოდნენ ერთმანეთს. როგორც ვხედავთ, რუსეთი ამ ჩანაფიქრის ასრულებას დღესაც ცდილობს. ■

პოეზიის გულწრფელი გამოძახილი და სკანდალური იგავი გიორგი კვანტრეს შემოქმედებაში

ახალგაზრდა პოეტის — გიორგი კვანტრეს სურვილია, შემოქმედებითი საღამო საქართველოს ყველა კუთხეში მოაწყოს, ხალხს საკუთარი გრძნობაც გაანდოს, რომელსაც გულში სათუთად ინახავს, უფრთხილდება... ახლახან გიორგი კვანტრემ პირველი კრებული — „მთაწმინდის სიმფონია“ გამოსცა, რომელშიც 16 ლექსი, რამდენიმე ნოველა და იგავ-არაკია შესული.

ეთო ყორღანაშვილი

— „პოეტი მარსიდან“ — საერთოდ, ასე მეძახიან, რადგან „მარსული“ იდეები მქონდა (*იცინის*)... ჩემი ლექსების პირველი კრებულის — „მთაწმინდის სიმფონია“ — პრეზენტაცია კინოთეატრ „რუსთაველში“ შედგა. შემდეგ გადავწყვიტეთ, საღამო მთაწმინდის პარკშიც მოგვეწყო. ვფიქრობ, საღამო წარმატებული გამოვიდა.

— როგორ ფიქრობ, შენმა შემოქმედებამ ასეთი მოწონება რატომ დაიმსახურა?

— ალბათ, პოეზიის იმ გულწრფელი გამოძახილის გამო, რომელიც ბავშვობიდან მქონდა — ყოველთვის ვწერდი. ჩემი პირველი შემოქმედებითი საღამო ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკაში მოეწყო (გივი ავალიანთან ერთად). რაც შეეხება კრებულს, მასზე 6 თვის განმავლობაში ვმუშაობდი. ჩემი ლექსი — „ყრუ ვარ“ ხალხს ძალიან მოეწონა, მაგრამ განსაკუთრებული სიყვარული „მთაწმინდის სიმფონიას“ ხვდა წილად, რასაც ასეთ მცირე დროში ნამდვილად, არ ველოდი. თქვენი ნებართვით, ამ ლექსიდან პატარა ნაწყვეტს წავიკითხავ:

„ჰეი, წმინდა მთავ, შენი ხმით ტკბება
ხვალინდელი დღის მზის სასწაული,
და შემოდგომის ზვირთებში დნება
შენზე ოცნების დღესასწაული...“

ვიდრე ლექსს დავწერ, მანამდე ჩემს ბავშვობაზე, მეგობრებზე ვწერ რაღაცებს, მერე კი მუზაც მოდის და ფიქრები ფურცელზე გადამაქვს. ჩემი „მთავარი“ მუზა — თავისუფლებაა, ბავშვობიდანვე ამისთვის ვიბრძოდი. პოეტებს ვეთანხმები: სიყვარული — მთავარი მამოძრავებელი ძალაა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ სწორედ თავისუფლებას შეუძლია, უზარმაზარი სიყვარული მოგიტანოს... „სამშობლოს ალში“ — ასეთი ლექსი მაქვს. მიმაჩნია, პატრიოტიზმი კონკრეტული „წრის“ სიყვარულში არ გამოიხატება. კოსმოპოლიტი ყველაზე დიდი პატრიოტია, ადამიანის სამშობლო მთელი დედამიწაა და ამის ნათელი მაგალითია ჩემი პატარა ნოველა — „აგვისტოს ფიქრები“. ხშირად პატრიოტიზმი, თავისუფლება, კოსმოპოლიტიზმი ადამიანებს ერთმანეთში ერევათ, მაგრამ მიმაჩნია, რომ საქართველოს ბევრი პატრიოტი ჰყოლია. ნებისმიერი პოეტისათვის დიდი პატივია, რომ თავის შემოქმედებაში ვაჟა-ფშაველას შესახებ რაღაც თქვას. ჩემს ერთ-ერთ ლექსში — „ვაჟას“, ვაჟა-ფშაველას თავდადება, გმირობა, მისი მეფური კოსმოპოლიტიზმი და ის მონატრება ჩანს, რომელიც მე ვიგრძენი. დღეს საქართველოს ვაჟა აკლია...

— თქვენი შემოქმედება განსაკუთრებით, რა ასაკის ადამიანებს მოსწონთ?

— ძირითადად, ახალგაზრდა და საშუალო ასაკის მკითხველებს, მაგრამ საღამოზე ავტოგრაფებს ბავშვებიც მთხოვდნენ... ყველას დიდი მადლობა!

— არავის გაუკრიტიკებიხართ?

— ურთიერთობა ბევრ კრიტიკოსთან მქონია, მაგრამ მათგან ჩემი შემოქმედებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება არ მომისმენია. თუკი სამართლიანად გამაკრიტიკებენ, მივიღებ, წინააღმდეგ შემთხვევაში — ადეკვატურ პასუხს გავცემ. ყველას აქვს უფლება, საკუთარი მოსაზრება გამოთქვას...

— წელან ახსენეთ, — ბავშვობიდანვე თავისუფლებისთვის ვიბრძოდიო. ცოტა რამ თქვენს ბავშვობაზეც გვიამბეთ.

— ჩემი ბავშვობა თბილისში დაკრეფილი ყვავილების დიდი თაიგული მგონია (*იღიმის*)... ყოველთვის ვფიქრობდი, — ჩემი ხალხისთვის, ჩემი ქვეყნისთვის რა გავაკეთო-მეთქი? წერა როდის დავიწყე, არ მახსოვს, მაგრამ ვიცი, რომ პატარა ვიყავი. მაშინ განათლებული ადამიანები ჩემი ლექსების შესახებ ამბობდნენ, დასაბეჭდად მზადაარ... მინდა, XXI საუკუნეში ჭეშმარიტი რითმა, აზრი და იდეა შემოვიტანო. ლექსი — „მეფე და მონა ლიზა“ — ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს, ექსკლუზიურად სიყვარულის თავისუფლებისთვის წავიკითხე. ამ ლექსს საზოგადოებისგან დიდი გამოხმაურება მოჰყვა. სხვათა შორის, ლექსის ერთი ნაწილი ქართულად დავწერე, მეორე — ინგლისურად: ორი ადამიანი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობს და მიუხედავად ამისა, ერთმანეთს ეტრფის. ეს იმას ნიშნავს, რომ სიყვარული „დაუსაზღვრავია“, მას სიშორე ვერაფერს დააკლებს.

— „მეფე და მონა ლიზა“ რეალურ ამბავზეა აგებული?

— საკუთარ თავზე არ დამიწერია, მაგრამ რეალურ ამბავს უკავშირდება.

— როცა შეყვარებული ხართ, ეს თქვენს შემოქმედებაზე აისახება?

— დიახ. შეყვარებული რომ ვიყავი, სწორედ იმ პერიოდში დავწერე ლექსი — „ნუთუ ისა ხარ“... მას ვუთხარი, — გუშინ შენზე ფიქრში ლექსი „შემომეწერა“-მეთქი, შემდეგ კი პოეტური სულისკვეთებით წავუკითხე. ეს იყო დღე, როცა მეორედ შემიყვარდიო, — აღნიშნა (*იღიმის*). ჩემი და გალაკტიონის ფიქრები („რაც უფრო შორს ხარ...“) ერთმანეთს დაემთხვა...

— როგორც მითხარით, თქვენს კრებულში სკანდალური იგავიცაა შესული...

— ეს გახლავთ იგავი — „დრო“. ყველა ფიქრობს, რომ „დრონი მეფობენ და არა — მეფენი“, მე კი სხვა მოსაზრება მაქვს. მაგალითად, XIX საუკუნე ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის გარეშე როგორ წარმოგიდგენიათ? ის პერიოდი ჩვენთვის საინტერესო იმიტომაა, რომ საქართველოს ასეთი ბუმბერაზი ადამიანები ჰყავდა! ასე რომ, მეფენი მეფობენ და არა — დრონი!.. მინდა, მთელი საქართველო შემოვიარო და შემოქმედებითი საღამოები ჩავატარო — ჩემი სიყვარული საზოგადოებამდე მივიტანო, რადგან ხალხისგანაც უზარმაზარ სიყვარულს ვგრძნობ. ამ გრძნობას გულში სათუთად შევინახავ, გავუფრთხილდები. სამომავლოდ მსურს, გამოვცე კრებული, რომელშიც 500 ლექსი შევა. როგორც ჩემი მეგობრები ამბობენ, ისტორიაში უნდა შევიდე, რადგან ასეთი დატვირთული კრებული არც ერთ პოეტს არ ჰქონია (*იღიმის*). ლონდონში სასწავლებლად გამგზავრებას ვაპირებ. ჩემი მთავარი მიზანია, იქაურ მწერლობას გავაგებინო, თუ რა ლამაზია მთაწმინდა, თუ რა არის „მთაწმინდის სიმფონია“...

— დაბოლოს, თქვენი შემოქმედებიდან იქნებ, რომელიმე ლექსი წაგვიკითხოთ.

— ლექსი — „ვედრება“ ლიტერატორებთან, ჟურნალისტებთან რომ წავიკითხე, მითხრეს: ის გრძნობა, რომლის გადმოცემასაც სხვები 10-20 ფურცელს ანდომებენ, შენ ასე მოკლედ გამოხატეო:

„შენი მშვენებით დამონებულმან,
უფლის წინაშე ფეხმოდრეკილმან,
მწუხრის დიდებით შავშემოსილმან,
ცრემლის ნიაღვრით თვალავსებულმან,
შუბლისა ძარღვით გაუწყვეტელმან,
მსურს, შეგავედრო მამული ჩემი“.

■

გზაში საკითხავი კოლაჟი

ძემდგენელი თემურ ივანიძე

1. ლართხი ურემზე დაგებული ფიცარია.

2. ჩეხეთში 415 სახეობის ლუდს ხარშავენ.

3. დედამიწის 5 პროცენტი რკინისგან შედგება.

4. ვეფხვის ტყავი შავ ბაზარზე 20 ათას დოლარამდე ღირს.

5. გოდერძი ჩოხელი გუდამაყრის სოფელ ჩოხში იყო დაბადებული.

6. ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ გამართულ საღამოებს „ლექსო, არ დაიკარგები...“, ტრადიციულად სვანები ხსნიდნენ თავიანთი „ლილეოთი“.

7. „ძველ ბრიტანულ სატკივართა სოციალიზმით მკურნალობა იგივეა, ლეიკემიას წურბლების დახმარებით უწამლო“, — ამბობდა მარგარეტ ტეტჩერი.

8. პირველი რეკლამა ინგლისში 1477 წელს დაიბეჭდა. იგი მომხმარებელს ლოცვების წიგნის შეძენას ურჩევდა.

9. თუ დაჯავშნულ ავტომობილში მჯდარ პირს თავს ესხმიან, მძღოლის უპირველესი ამოცანაა, სწრაფად გაარიდოს მანქანა თავდასხმის ადგილს, რადგან ერთ წერტილში მოხვედრილ 12 ტყვიას ჯავშნის გახვრეტა შეუძლია.

10. სტატისტიკის თანახმად, მსოფლიოს მოსახლეობის 75% ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში წერს მოკლე ტექსტურ შეტყობინებას ან ურეკავს ყოფილ სქესობრივ პარტნიორს.

11. სამეფო კობრა ერთადერთი გველია, რომელიც ბუდეს იკეთებს კვერცხების დასადებად. გამხმარი ფოთლებისგან გაკეთებული ბუდე ერთი მეტრი სიმაღლისაა და მის შიგნით ტემპერატურა სტაბილურად უცვლელია. მსოფლიოში ყველაზე დიდი შხამიანი გველის წიწილები 28 გრადუს ტემპერატურაზე იჩეკებიან.

12. სტალინის ეპოქის მომსწრეთ ემახსოვრებათ ეს საბავშვო ლექსი: „ია სიჟუნა ვიშენკე, ნე მაგუ ნაკუშატსა, დიადია სტალინ გავარიტ, ნადო მამუ სლუშატსა“.

13. „შექსპირმა თავის თხზულებათა ვერცხლის თასში ჩააწყო ოქროს ვაშლები თავისი იდეების. როცა ჩვენ, გერმანელები, ვიკვლევთ მის თხზულებათ, ხელთ ვიგდებთ ხოლმე ვერცხლის თასს, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ ოქროს ვაშლების მაგიერ თასში ჩვენი გერმანული კარტოფილი ჩავაწყოთ“, — ამბობდა გოეთე.

„ლექსუსმა“ წინა აძვრის მქონე კროსოვერი გამოუშვა

კომპანია „ლექსუსმა“ კროსოვერ RX 450h-ის მოდიფიკაციათა გამა მხოლოდ წინა ხიდზე აძვრის ვერსიის ხარჯზე გააფართოვა. იაპონური მარკის წარმომადგენელთა თქმით, ასეთი ვერსია იმის გამო შეიქმნა, რომ ჰიბრიდული აგრეგატის საწვავის ეკონომიურობისა და ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების გამონაბოლქვის შემცირების პოტენციალი მთლიანად გამოიყენოს. სავარაუდოდ, წინა აძვრის მქონე RX 450h-ის საწვავის საშუალო ხარჯი 100 კმ-ზე დაახლოებით 6 ლ იქნება, ხოლო CO2-ის გამონაბოლქვი — 140 გრამი კმ-ზე. შედარებისთვის, სრული აძვრის მქონე RX, შერეული ციკლით მოძრაობისას, 100 კმ მანძილის დასაფარავად 6,3 ლ-ს მოიხმარს, ხოლო CO2-ის გამონაბოლქვი, კმ-ზე 148 გრამს შეადგენს. Lexus RX 450h-ის მონოაძვრის მქონე ვერსიის ჰიბრიდული დანადგარი არ შეიცვლება. იგი კვლავაც ატკინსონის ციკლით მომუშავე, 3,5-ლიტრიან, 249 ცხ. ძალის სიმძლავრის V6 ძრავას, 167 და 68 ცხ. ძალის სიმძლავრის მქონე წინა და უკანა ელექტრომოტორებს, ვარიატორს და ნიკელ-მეტალჰიბრიდულ აკუმულატორებს გააერთიანებს. „ლექსუსის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, წინა აძვრის მქონე კროსოვერი 100 კმ/სთ სიჩქარეს 8,2 წამში ავითარებს (3/10 წამით ნელა სრული აძვრის მქონე ვერსიაზე), ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 180 კმ/სთ-ია (სრული აძვრის მქონე მანქანისა — 200 კმ/სთ). ევროპულ ბაზარზე წინა აძვრის მქონე კროსოვერზე ფასები 55.200 ევროდან დაიწყება. ■

„ფოლკსვაგენი“ ახალ „ლუპოს“ წარმოადგენს

კომპანია „ფოლკსვაგენი“ სახელწოდების, — Lupo, — აღდგენას აპირებს, რომლითაც 2005 წლამდე გერმანული ბრენდის მცირელიტრაჟიანი მანქანები გამოდიოდა. ეს სახელწოდება გამოყენებული იქნება ქალაქის ახალი კომპაქტური ავტომობილისთვის, რომელიც კონცეპტ-ავტოს, VW Up!, — მოტივებზე შეიქმნა. მოგვიანებით, ანალოგიური მანქანის გამოშვება სხვა მარკების ქვეშაც იგეგმება, რომლებიც კონცერნ „ფოლკსვაგენის“ შემადგენლობაში არიან. ესენია „აუდი“, „სეატი“ და „შკოდა“. ასეთი მცირელიტრაჟიანების გამოშვება 2018 წლისთვის, მწარმოებლის მიერ მთელი მსოფლიოს ბაზრებზე ლიდერის პოზიციის შენარჩუნებას ისახავს მიზნად. თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ VW Up!-ის სერიული ვერსიის გამოშვება პროტოტიპს მოტორის უკანა ნაწილში განთავსებისა და წინა აძვრის კომპლექტაციას შეუნარჩუნებდა, თუმცა საინჟინრო პრობლემების გამო, რის წინაშეც შემქნელები მანქანის ტესტირებისას აღმოჩნდნენ, კონცერნში გადაწყვიტეს, ძრავა ავტომობილის წინა სექციაში მოეთავსებინათ. წინასწარი მონაცემებით, სიახლე დაახლოებით 525 მმ-ით მოკლე, 54 მმ-ით ვიწრო და 33 მმ-ით მაღალი იქნება სამკარა „ფოლკსვაგენ პოლოზე“. ამგვარად, ახალი „ლუპოს“ გაბარიტული სიგრძე დაახლოებით 3445 მმ, სიგანე — 1628 მმ, ხოლო სიმაღლე — 1495 მმ-ია. თავდაპირველად ევროპულ ბაზარზე სამკარა Lupo (ავტოს დებიუტი საორიენტაციოდ მომავალი წლის ზაფხულში შედგება) გამოჩნდება. ასეთი მანქანა მხოლოდ 3-ცილინდრიანი, 1.0-ლიტრიანი, 65 ცხ. ძალის სიმძლავრის ბენზინის ძრავათი და 75 ცხ. ძალიანი, 4-ცილინდრიანი, 1,2-ლიტრიანი დიზელით აღიჭურვება. „ლუპოს“ 5-კარიან ვერსიას 2012 წლის გაზაფხულზე წარმოადგენენ. ამავე დროს, მოდელის მოტორთა გამაში ახალი, 1.0-ლიტრიანი, 85 ცხ. ძალის სიმძლავრის მქონე ტურბოაგრეგატი დაემატება. სხვა ძრავათა შორის, რომლებიც შეიძლება „ლუპოზე“ ვიხილოთ, შეიძლება ელექტრომოტორებიც აღმოჩნდეს. ბაზარზე გაყვანის შემდეგ ახალი „ფოლკსვაგენ ლუპო“ კონკურენციას გაუწევს Citroen C1-ს, Peugeot 107-სა და Toyota Aygo-ს. მოსალოდნელია, რომ გერმანული მცირელიტრაჟიანი იმდენივე ეღირება, რაც მისი მთავარი კონკურენტები ღირს, თუმცა „ფოლკსვაგენ პოლოზე“ იაფი იქნება. ■

„მურანოს“ ახალი მოდიფიკაცია

კომპანია „ნისანმა“ კროსოვერ „მურანოს“ ახალი მოდიფიკაციის ფოტოები გაავრცელა. იგი დიზელის ძრავათია აღჭურვილი. იაპონური მწარმოებლის ინჟინრებმა „მძიმე საწვავზე“ მომუშავე ძრავას გასაგრილებელი, დამატებითი საშუალების დამონტაჟების მიზნით, ძარას წინა ნაწილის დიზაინი შეცვალეს. ამასთან დაკავშირებით, მანქანას გაზრდილი ჰაერშემაკავებლის მქონე ახალი წინა ბამპერი და განსხვავებული ნისლის საწინააღმდეგო ფარები, აგრეთვე რადიატორის უფრო აგრესიული ცხაური ექნება. ავტომობილი 2,5-ლიტრიანი, 190 ცხ. ძალის სიმძლავრის მქონე, 4-ცილინდრიანი დიზელის ძრავათი აღიჭურვება, რომელიც სიჩქარის გადაცემათა 6-საფეხურიანი ადაპტური ავტომატური კოლოფით იმუშავებს. შერეულ ციკლში მუშაობისას, „ნისან მურანო“ 100 კმ მანძილის დასაფარავად 8 ლიტრ საწვავს მოიხმარს. ატმოსფეროში მის მიერ გამონაბოლქვი CO2-ის რაოდენობა კი 1 კმ მანძილზე 210 გრამია. ევროპაში სიახლის შეძენა მსურველებს მიმდინარე წლის სექტემბერშივე შეეძლებათ. მანქანის ფასი 42,6 ათასი დოლარია. აღსანიშნავია, რომ ევროპულ ბაზარზე „მურანოს“ გამაში დიზელის ვერსია 249 ცხ. ძალის სიმძლავრის მქონე, 6-ცილინდრიან ბენზინის ძრავას შეუერთდება. კომპანია „ნისანში“ ვარაუდობენ, რომ ევროპაში დიზელის „მურანოს“ სახით,

ამ მოდელის ავტომობილების საერთო რაოდენობის 90% გაიყიდება. ადრე გავრცელებული ცნობის თანახმად, მომავალი წლის დასაწყისში „ნისან მურანოს“ აწყობა იაპონური კომპანიის სანქტ-პეტერბურგში მდებარე ქარხანაშიც დაიწყება. ამჟამად კი ამავე ქარხანაში სედან „ტეანასა“ და კროსოვერ X-Trail-ს უშვებენ. ■

„ფორდის“ ნოვაცია

კომპანია „ფორდი“ მომავალი თაობის მულტიმედიურ სისტემა Sync-ს ხმის ამოცნობის ტექნოლოგიით აღჭურვავს, რომელსაც 10 ათასი პრიმიტიული ბრძანების გარჩევის შესაძლებლობა ექნება. პირველი ავტომობილი, რომელშიც აღნიშნულ სისტემას დაამონტაჟებენ, 2011 სამოდელო წლის Ford Edge იქნება. ამჟამად სისტემა „სინკს“ მხოლოდ 100-ხმოვანი ბრძანების ამოცნობა და შესრულება შეუძლია. გარდა ამისა, მას შედარებით რთული ინტერფეისი აქვს. კერძოდ, იმისათვის, რომ მფლობელმა ვინმეს დაურეკოს, თავდაპირველად ბრძანება „ჰონე“ (ტელეფონი) უნდა წარმოთქვას, მოიცადოს, ვიდრე სატელეფონო წიგნაკი გაიხსნება და მხოლოდ ამის შემდეგ დაასახელოს სასურველი აბონენტი. ახალი „სინკი“ ბრძანების უმალვე გაცემისა და აბონენტის სახელის წარმოთქმის საშუალებას იძლევა (მაგალითად „Coll John Smith“). ამასთან, მასში გაფართოებულია სიტყვების თადარიგი, რაც მძღოლისგან ამა თუ იმ ბრძანების ერთადერთი ვარიანტის დამახსოვრებას აღარ მოითხოვს. მაგალითად, სალონში ტემპერატურის ასაწევად შეიძლება ისეთი სიტყვების გამოთქმა, როგორებიცაა „Warmer“, „Increase temperature“ ან „Temperature up“. კომპანია „ფორდი“ პირველ ავტომწარმოებლად იქცა, რომელმაც მხარი დაუჭირა აშშ-ის სენატორ ჩარლზ შუმერის ინიციატივას, რაც მობილური მოწყობილობების ეკრანებიდან ტექსტის წაკითხვის ან მისი კლავიატურით აკრეფის კანონით აკრძლვაში მდგომარეობდა. ■

გზაში საკითხავი კოლაჟი

ქემდეენელი თემურ ივანიძე

14. მიხაილ ზადორნოვი ჰყვებოდა, ნისლის დროს ერთი მთვრალი ტრუსების ამარა მტვერსასრუტით ხელში გამოვარდა აივანზე, შემწოვი მილი რაც შეეძლო წინ გაიშვირა და გაჰყვიროდა: „ისჩეზნი ტუჩა, მნე ზავტრა ლიოტნაია პაგოდა ნუჟნა“-ო.

15. სექსომნია მთვარეულობის ერთ-ერთი ნაირსახეობაა. ლუნატიზმის ამ ფორმით დაავადებული ადამიანი ღამე იღვიძებს და პარტნიორთან სექსით კავდება ისე, რომ დილით არაფერი ახსოვს. მეორე დღეს კი კმაყოფილი პარტნიორისგან კომპლიმენტებს ისმენს, ღამით ასეთი და ასეთი გმირობა ჩაიდინეო და გული სწყდება, რომ არაფერი ახსოვს.

16. ავადსახსენებელი „შრამი“, რომლის გამოც ალ კაპონეს მეტსახელად ნაიარევი სახე (carface) შეარქვეს, საფეთქელთან იწყებოდა, მარცხენა ლოყას მოჰყვებოდა და ნიკაპამდე აღწევდა. კაპონე ხშირად ჰყვებოდა, როგორ დარჩა ეს ნაიარევი მოწინააღმდეგის შრაპნელისაგან მსოფლიო ომში, სადაც, ვითომდა, ე. წ. „დაკარგული ბატალიონის“ რიგებში იბრძოდა. სინამდვილეში კაპონეს სახე ქალაქში გავლით მყოფმა ერთმა განგსტერმა გაუსერა, რომლის თანმხლები ქალის მისამართითაც მაფიის მომავალმა ბოსმა რამდენიმე უხამსი კომპლიმენტი წარმოთქვა. ადვილი წარმოსადგენია, რა ბედი ეწია მომავალში ამ განგსტერს.

17. მმართველობის ვადის მიწურულს ტონი ბლერი მწვავედ განიცდიდა საკუთარი პოპულარობის ვარდნას. მის შესახებ შექმნილ დოკუმენტურ ფილმში ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი გულდაწყვეტილი იგონებს: ჩემ ირგვლივ უკვე იმდენად ცუდი ატმოსფერო იყო შექმნილი, რომ ნაცნობებს ვაფრთხილებდი, ნუ გაგიკვირდებათ, საკუთარ ოჯახში მიპატიჟების ან ჩემ მიმართ კეთილგანწყობის გამოხატვის გამო ჩემს არაკეთილისმსურველთა კრიტიკის ქარცეცხლში რომ გაეხვიოთ — ეს ჩემ მიმართ განხორციელებული წნეხის ნაწილია-მეთქი.

18. ნოდარ დუმბაძე ჰყვებოდა: „ერთხელ, ბავშვობაში, კოლმეურნეობის ბაღში თხილი მოვიპარე. მეველემ დამინახა და გამომეკიდა, მაგრამ მოხუცი იყო და რას დამეწეოდა?!. მეორე დღეს სახლში მომაკითხეს. სასტიკ უარზე დავდექი: არაფერი მომიპარავს, ეს კაცი მოხუცია და ალბათ მოეჩვენა-მეთქი. მეველე განცვიფრებული მიყურებდა. მოგვიანებით გზაში შემხვდა და მითხრა: შვილო, ნოდარ, ადამიანს შუბლის ძარღვი აქვს, ის რომ გაუწყდება, მერე ძალიან იოლია ცხოვრება. ნუ გაიწყვეტ ამ ძარღვს და ნუ გაიიოლებ ცხოვრებასო. ეს სიტყვები, როგორც სახარების ერთ-ერთი მცნება, ისე დარჩა სამუდამოდ ჩემს ცხოვრებაში“.



16 რჩევა ქალებს

ყოველ მამაკაცს ქალში სხვადასხვა რამ იზიდავს: ზოგს მაღალი ფეხები მოსწონს, ზოგი დიდ მკერდზე კარგავს ჭკუას; ვინ სასურველი არსების უძირო თვალებში იძირება, ვის კი ხავერდოვანი ხმა ნუსხავს... ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველი ქალი თავისებურად მომხიბვლელი და სექსუალურია.

• იყავით ერთადერთი და განუმეორებელი. კარგი მეგობრის შეძენის გარანტია მხოლოდ სილამაზე და ფული არ არის. მთავარია, განავითაროთ თქვენში თავდაჯერებულობა და ქალური ოპტიმიზმი. თავი დაარჯერეთ, რომ იმსახურებთ, გვერდით ღირსეული მამაკაცი გყავდეთ და თამამად მიჰყევით ამ თამაშს.

• პირველი ნუ გამოელაპარაკებით უცნობ მამაკაცს და ნურც საცეკვაოდ გამოიწვევთ.

• ნუ მიაჩერდებით მას დაჟინებით და ბევრს ნუ ილაპარაკებთ. თქვენი სურვილი, გაიცნოთ მამაკაცი, მხოლოდ მომხიბვლელი ღიმილით უნდა შემოიფარგლოს. არ ღირს თვალებში ჩახედვა მაშინაც კი, როცა პირველად შეხვდებით პაემანზე — იგი შეიძლება დაფრთხეს. კარგად და მოთმინებით უსმინეთ და მხოლოდ შემდეგ გამოიტანეთ დასკვნა.

• არასდროს დაურეკოთ პირველმა. ასეთ შემთხვევაში, იფიქრებს, რომ იოლად დაგიპყროთ.

• პაემანზე თქვენ ნუ იზრუნებთ, ისედაც უამრავი საქმე გაქვთ. მას არ უნდა გაუჩნდეს აზრი, რომ დარეკვისთანავე, თანახმა იქნებით შეხვედრაზე.

• არ ინერვიულოთ პაემნის წინ. ამ დღეს, ეცადეთ, შეძლებისდაგვარად დაიტვირთოთ.

• არ განიხილოთ მისი კანდიდატურა დაქალებში. ნაადრევ დასკვნებს ნუ გამოიტანთ.

• არ წაუყენოთ პირობები და არ მისცეთ განკარგულებანი. მამაკაცები მიიჩნევენ, რომ თავისუფალი არსებები არიან. არ მოუშალოთ მათ ეს ილუზია.

• ნუ ეცდებით, „გამოასწოროთ“ იგი. ზრდასრული ადამიანი არ იცვლება — ეს დაიმახსოვრეთ. ამიტომ დაწვრილებით ჩამოთვალეთ მისი ყველა ნაკლი და ჰკითხეთ საკუთარ თავს: შეძლებთ შეეგუოთ მას?

• არ აჩქარდეთ და არ გადაუშალოთ გული. არც ერთ მამაკაცს არ სურს, იტვირთოს ახალგაცნობილი ქალის პრობლემები. ყველაფერს თავისი დრო აქვს.

• იყავით გულახდილი, მაგრამ საიდუმლოდ მომხიბვლელი. მამაკაცები გიყდებიან იდუმალ ქალებზე. არ აჩქარდეთ, აუხსნათ ყველაფერი თავიდან — დაე, თვითონ მისცეს ფანტაზიას გასაქანი.

• ცოლიან მამაკაცთან კავშირი საშიში ავანტიურაა — დიდი ნერვების ფასად დაგიჯდებათ.

• მიიღეთ ყველაფერი ისე, როგორც არის. იმედი არ გქონდეთ, რომ იგი თქვენი თვალებით დაუწყებს სამყაროს ყურებას. იყავით მომთმენი.

• ის არა, მაშინ — სხვა. თუ თქვენი სასიყვარულო ურთიერთობა ვერ აეწყო, გულს ნუ გაიტეხთ! მამაკაცის მეტი რა არის...

• ნუ იეჭვიანებთ. თავიდან მაინც ეგონოს, რომ თქვენს ლექსიკონში ეს სიტყვა საერთოდ არ არსებობს.

• გიყვარდეთ საკუთარი თავი, მაშინ მასაც ეყვარებით.

• დაბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი: შეყვარებულ მამაკაცს თავისი ტრფობის ობიექტში მხოლოდ ღირსებების დანახვა სურს. ყოველთვის გახსოვდეთ ეს — თუკი გსურთ, მისთვის მართლაც ერთადერთ და განუმეორებელ ქალად დარჩეთ! ■

დესერტი შოკოლადის მოყვარულთათვის

აიღეთ 4 კვერცხი, 110 გ შავი შოკოლადი და 1 ფორთოხლის წვენი (ცოტაოდენი გახეხილი კანიც). ათქვეფილ ცილას შეურიეთ ფორთოხლის წვენი და გახეხილი კანი. მეორე ჯამში ცალკე ათქვიფეთ კვერცხის გულები და შეურიეთ ორთქლზე გამდნარი შოკოლადი. ეს ორი, ცალ-ცალკე მომზადებული მასა ერთმანეთში აურიეთ და ჭიქებში გადაანაწილეთ. დესერტი მაცივარში რამდენიმე საათით მაინც (უმჯობესია, მთელი ღამე) გააჩერეთ. ბოლოს ჭიქებშივე დაუმატეთ თქვენთვის სასურველი ხილი (კენკრა) ან ციტრუსი.

თუმცა გემოვნებაზე არ დაობენ და შესაძლებელია, სახლში მომზადებულ ნუგბარს, საკონდიტრო სექციებში მზა, მრავალფეროვანი შოკოლადის ფილების შეძენა გერჩიოთ. მაგრამ იცით კი, რომელი სახეობის შოკოლადი რა და რა პროდუქტებს შეიცავს?

შავ (მუქ) შოკოლადში მინიმუმ 45% კაკაოს პროდუქტები შეადგენს (კაკაოს ფხვნილი და კაკაოს ცხიმი);

„მწარე“ შოკოლადში კაკაოს პროდუქტების შემცველობა 45-დან 87%-მდეა;

ნაღების შოკოლადის შემადგენლობაში 60%-ზე მეტი მშრალი რძე (რძის ფხვნილი) შედის, ხოლო კაკაოს ხვედრითი წილი მასში 35%-ია.

„დესერტის“ შოკოლადი ძალზე ნაზია, ვინაიდან მასში კაკაოს მარცვლები ყველაზე წმინდადაა დაფქული. შესაბამისად, შოკოლადის ეს სახეობა უმაღლესი ხარისხისაა და მის დასამზადებლად, ყველაზე მეტი დრო იხარჯება.

ფორებიანი შოკოლადი შემადგენლობის მიხედვით, აბსოლუტურად იგივეა, რაც მისი შესაბამისი ნაღების (მუქი თუ თეთრი) უფორო სახეობა. მათ შორის მხოლოდ ერთი განსხვავებაა: დამზადების ბოლო ეტაპზე, ფორებიან შოკოლადს დიდი წნევის ქვეშ „ბერავენ“;

თეთრი შოკოლადი კაკაოს ფხვნილს არ შეიცავს. სამაგიეროდ, მასში ბევრია კაკაოს ცხიმი, შაქრის პუდრა, რძე და ვანილი;

თაფლი - ჯადოსნური ელექსირი

თაფლის სასწაულმოქმედი თვისებების შესახებ უძველესი დროიდანაა ცნობილი. მას უამრავ სამკურნალო, გამაჯანსაღებელ, გამაახალგაზრდავებელ თვისებას მიაწერენ. დედოფალი კლეოპატრა თაფლს სილამაზისა და ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად იყენებდა.

ბევრი ადამიანი თაფლის ნამდვილი მოყვარულია, მაგრამ უმრავლესობას ის მხოლოდ ავადმყოფობის დროს ახსენდება. ძველი ბერძნები თაფლს ჯადოსნურ ელექსირს უწოდებდნენ, რომელიც სიცოცხლეს ახანგრძლივებს. თუ ყოველდღიურად სამ კოვზ თაფლს მიირთმევთ, არა მარტო იმუნიტეტს გაიმაგრებთ, არამედ სილამაზესა და ახალგაზრდობას შეინარჩუნებთ და ჭარბი წონისგანაც გათავისუფლდებით.

ჯანმრთელობისთვის

არცთუ დიდი ხნის წინ დიეტოლოგები გახდომის მოსურნეებს თაფლის მიღებას უკრძალავდნენ. დღეს კი პირიქითაა, თაფლის სპეციალურ დიეტებსაც კი ნიშნავენ. ექიმები ამტკიცებენ, რომ თაფლი აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას და ბევრი პროდუქტის შემცვლელიცაა. ის ხომ თავისი შემადგენლობით უზარმაზარი „საწყობია“, სადაც თავმოყრილია ნახშირწყლები, ცილები, ვიტამინები და სხვადასხვა მჟავა. თაფლს ადვილად ითვისებს ორგანიზმი; ის ამშვიდებს ნერვულ სისტემას და დაავადების გამომწვე ბაქტერიებს ანადგურებს.

სილამაზისთვის

თაფლი კვერცხით

ხალხური მედიცინის თანახმად, თუ 1 ჩ/კ თაფლს 1/კ კვერცხთან ერთად ათქვეფთ და ამ ნიღაბს სახეზე წაისვამთ, კანს აუცილებელი მიკროელემენტებით მოამარაგებთ. თაფლი ძლიერ ანტიოქსიდანტებს შეიცავს, რომლებიც უკვე გაჩენილ ნაოჭებს ასწორებს და ახლის წარმოქმნას ხელს უშლის.

ინგლისელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ კანის გასაახალგაზრდავებლად თაფლი 25%-ით უფრო ეფექტიანია, ვიდრე სხვა კოსმეტიკური საშუალებები. მის ბაზაზე დამზადებული ნიღბები კვებავს და ათეთრებს სახის კანს, აქრობს გამონაყარს. ხახვისა და თაფლის ნარევი უძველესი დროიდან თმის ძირების გასამაგრებლად გამოიყენებოდა. თუ მამაკაცი სახის გაპარსვის შემდეგ დისკომფორტს განიცდის, რეკომენდებულია, კანი თაფლით დაიმუშაოს, რადგან ის სისხლდენას აჩერებს, აძლიერებს რეგენერაციის პროცესს და კანს არბილებს.

თაფლის ნიღაბი არაჟნით

1 კვერცხის გული, 1 სუფრის კოვზი არაჟანი, 1 სუფრის კოვზი თაფლი ერთმანეთს შეურიეთ. მასა ბამბის ტამპონით სახეზე და ყელის მიდამოებში წაისვით. როცა პირველი ფენა გაშრება, ზემოდან მეორე ფენა გადაისვით, შემდეგ — მესამე. 20-25 წუთის შემდეგ სველი ტამპონით ჩამოიწმინდეთ. რეკომენდებულია ნორმალური და მშრალი კანისათვის.

თაფლის ნიღაბი ჩაით

2 ს/კ თაფლი 1 ს/კ ჩაის მაგარ ნაყენს შეურიეთ, დაუმატეთ 2 ს/კ შვრია, მცირე რაოდენობით — წყალი და ცოტა ხნით ორთქლის აბაზანაზე გააჩერეთ. მიღებული მასა 20 წუთით სახეზე დაიდეთ, შემდეგ კი ჩამოიბანეთ თბილი წყლით. ნიღაბი სასარგებლოა ნაოჭებიანი კანისთვის. ■

არსებობს აგრეთვე ქიშმიშიანი, ალკოჰოლის შემცველი, ნაღების, თხილის და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი სახეობის შოკოლადი. თითოეულ მათგანზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. ამიტომ მოგახსენებთ სპეციალისტების ზოგად აზრს შოკოლადის ხარისხთან დაკავშირებით: რაც უფრო წვრილადაა დაფქული კაკაოს მარცვლები, მით უფრო მაღალხარისხიანი და გემრიელი შოკოლადი მზადდება მისგან. მაგრამ ნურც იმას დაივიწყებთ, რომ შოკოლადი საკმაოდ მაღალკალორიულია და მისი ჭარბად მიღების შემთხვევაში, შესაძლებელია, წონასთან დაკავშირებული პრობლემები შეგექმნათ. თუმცა ამ ვერსიას მოწინააღმდეგეებიც ჰყავს: ისინი ამბობენ, რომ 100 გ შოკოლადი დაახლოებით 550 კკალ-ს შეიცავს — ანუ იმდენივეს, რამდენსაც ხორცი ან ყველი და ზედმეტი წონის პრობლემა მხოლოდ უმოძრაობითა და არასწორი კვებით აიხსნება. ■

სალათა შებოლილი სულგუნით

მასალად საჭიროა:

300 გ კარტოფილი;
300 გ შებოლილი სულგუნი;
2 კონა მწვანე ხახვი;
100 გ მაიონეზი;
მარილი, შავი პილპილი გემოვნებით.

მოხარშული კარტოფილი დავჭრათ წვრილად, დავამატოთ ასევე წვრილად დაჭრილი სულგუნი, მწვანე ხახვი და შევანელოთ მარილით, პილპილითა და მაიონეზით. ■

მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

რა უნდა იცოდეს ქალმა შარდის შეუკავებლობაზე

ქალებში შარდის შეუკავებლობასთან დაკავშირებული შეკითხვების სიუხვის გამო, გადავწყვიტეთ, ამ თემაზე სასაუბროდ უროლოგიის ეროვნული ცენტრის უროლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ალეკო ხელაია მოგვეწვია.

— ბატონო ალეკო, როგორც ჩანს, სუსტი სქესის წარმომადგენელთა საკმაოდ დიდ ნაწილს აწუხებს შარდის შეუკავებლობის პრობლემა. ეგებ, მცირე ინფორმაცია მოგვაწოდოთ ამ საკითხთან დაკავშირებით.

— მართალს ბრძანებთ, შარდის შეუკავებლობა საკმაოდ გავრცელებულია ქალებში და სხვათა შორის, ამის გამო სუსტი სქესის წარმომადგენლებს უამრავი პრობლემა უჩნდებათ. ხშირად საქმე დეპრესიამდეც კი მიდის.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ შარდის შეუკავებლობის რამდენიმე ფორმა არსებობს:

შარდის დაძაბვითი შეუკავებლობა, რომელიც დახველების, დაცემინების, სიცილის, ფიზიკური დატვირთვის, სირბილის, ხტუნვის, სიარულის, სიმძიმის აწევის, სავარძლიდან ან საწოლიდან წამოდგომისა თუ სქესობრივი აქტის დროს შარდის უნებლიე დაღვრით ვლინდება. ადვილი წარმოსადგენია, როგორ ზღუდავს აღნიშნული მოვლენები ქალის ყოველდღიურ საქმიანობას.

შარდის დაძაბვითი შეუკავებლობა თავისი გავრცელებით არ ჩამოუვარდება ისეთ დაავადებებს, როგორიცაა — შაქრიანი დიაბეტი და არტერიული ჰიპერტენზია. ინფორმაციის სახით გეტყვით, რომ საფრანგეთის ქალთა პოპულაციაში 70 წლის ასაკისთვის, ყოველ მე-10 ქალს შარდის დაძაბვითი შეუკავებლობის გამო ოპერაცია აქვს გაკეთებული.

შარდის დაძაბვით შეუკავებლობას გამოვლინების ორი პიკი აქვს.

პირველი პიკი მშობიარობის შემდგომ პერიოდზე მოდის და ამის მიზეზს მშობიარობის დროს იოგების დაზიანება, კუნთების მოდუნება წარმოადგენს და შედეგად, შარდის დაძაბვითი შეუკავებლობა ვითარდება. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ახალგაზრდა დედები ამას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ, რადგან ბავშვზე გადააქვთ მთელი დრო. თან ჰგონიათ, რომ ეს დროებითია და გაუვლით. თუმცა დროთა განმავლობაში დაავადება კიდევ უფრო პროგრესირებს.

მეორე პიკი ქალის საშუალო ასაკზე მოდის და თან ერთვის მენსტრუალური ციკლის გაქრობის დროს, ორგანიზმში მიმდინარე ჰორმონული ცვლილებები. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ კლიმაქსის შესახებ ყველა ქალს აქვს გაგონილი, მაგრამ ცოტა თუ აცნობიერებს, რა ცვლილებები ხდება კლიმაქტერულ პერიოდში. ეს ცვლილებები საკმაოდ მრავალფეროვანია და მათი სრული სურათის ახსნას მრავალი საათი დასჭირდებოდა. რამდენიმე დაავადებას დაგისახელებთ და თანამედროვე მედიცინაში ამ პრობლემის მასშტაბებს ნათელი მოეფინება. ეს დაავადებებია: შარდის შეუკავებლობა და მისი ფორმები (შარდის დაძაბვითი შეუკავებლობა, ჰიპერაქტიული შარდის ბუშტი), პოსტმენოპაუზალური-კლიმაქტერიული ქრონიკული ცისტიტი და ურეტრიტი, მტკივნეული შარდის ბუშტის სინდრომი. ახლა დავუბრუნდეთ შარდის დაძაბვითი შეუკავებლობის მეორე პიკს. ამ დროს იმ იოგების მოსუსტება ხდება, რომლებიც შარდსადენი მილისა და შარდის ბუშტის ყელის ბოქვენის ძვლებთან ფიქსაციას ახდენენ. ამ იოგოვან-კუნთოვანი სტრუქტურების ტონუსი და შესაბამისად, ადეკვატური ფუნქციონირება მენოპაუზის, ანუ კლიმაქსის დადგომის შემდეგ ირღვევა, როდესაც სისხლში სასქესო ჰორმონის — ესტროგენის რაოდენობა მკვეთრად მცირდება. ხშირ შემთხვევაში, შარდის დაძაბვითი შეუკავებლობის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორებს მძიმე მშობიარობა, მძიმე ფიზიკური შრომა, შაქრიანი დიაბეტი, ბრონქიალური ასთმა, ქრონიკული ბრონქიტი და ყაბზობა მიეკუთვნება. შარდის დაძაბვითი შეუკავებლობის მკურნალობის ორი ძირითადი მეთოდი არსებობს: კონსერვატიული და ოპერაციული. კონსერვატიული მეთოდის არსი ქალის სასქესო ჰორმონის დანიშვნასა და შორისის კუნთების ელექტრომიოსტიმულაციაში მდგომარეობს, რაც ხელს უწყობს შორისის იოგოვან-კუნთოვანი აპარატის აღდგენას; უნებლიეთ დაღვრილი შარდის რაოდენობის შემცირებას. აღნიშნული მიდგომა ამ დაავადების საწყის და საშუალო ფორმების დროსაა ეფექტური. მძიმე ფორმების დროს ოპერაციული მკურნალობაა საჭირო. საბედნიეროდ, დღეს საქართველოში, მინიმალურად ტრავმული ოპერაციების დახმარებით, ზემოთ აღნიშნული იოგების ჩანაცვლება უკვე შესაძლებელია. ოპერაციის ხანგრძლივობა 30 წუთს არ აღემატება. ქალი ეწერება კლინიკიდან მეორე დღესვე და რაც მთავარია, ამგვარი ოპერაციების ეფექტიანობა 90%-ია.

შარდის შეუკავებლობის მეორე ფორმა ჰიპერაქტიული შარდის ბუშტით და მოშარდვის ბრძანებით სურვილს იწვევს. მარტივად რომ ვთქვათ, მოშარდვის სურვილის უეცარი გაჩენა ხდება, რაც ქალს აიძულებს, სასწრაფოდ გაეშუროს საპირფარეშოში. აღნიშნული მოვლენები შეიძლება მოხდეს ნებისმიერ დროს და განმეორდეს ნებისმიერი რაოდენობით. ადვილი წარმოსადგენია, ჰიპერაქტიული შარდის ბუშტით დაავადებული ქალის განრიგი, რომელიც საპირფარეშოზეა მიჯაჭვული — ის იძულებულია, შეიცვალოს სამსახური, შეზღუდოს სითხის მიღება და წინასწარ ეძებოს საპირფარეშო. ეს ყველაფერი მკვეთრად აუარესებს

ქალის ცხოვრების ხარისხს და იწვევს დეპრესიას. ჰიპერაქტიული შარდის ბუშტის პიკი ქალის კლიმაქტერიულ პერიოდს ემთხვევა. ამ დაავადების მკურნალობა სპეციალური მედიკამენტების მეშვეობით ძალზე ეფექტიანია. მკურნალობა მდგომარეობს ანტიქოლინერგიული მედიკამენტების დანიშვნაში, რაც შარდის ბუშტის კუნთოვანი მასის მოდუნებას განაპირობებს. მოშარდვებს შორის ინტერვალები იზრდება და იმპერატიული ანუ ბრძანებითი მოთხოვნები მოშარდვაზე მცირდება.

— ბატონო ალეკო, თქვენ პოსტმენოპაუზალური ქრონიკული ცისტიტი ახსენეთ. ორიოდე სიტყვით ამ პრობლემასაც შეეხეთ.

— კლიმაქტერულ-პოსტმენოპაუზალური ქრონიკული ცისტიტი საშარდე გზების განმეორებითი ინფექციებით ვლინდება. ამის მიზეზი ესტროგენების ნაკლოვანებაა, რაც შარდის ბუშტისა და საშოს ლორწოვანი გარსის ატროფიას, საშოს ნორმალური ფლორის შეცვლას განაპირობებს. ეს ყველაფერი ხელს უწყობს საშოში ნაწლავური ფლორის ჩაბუდებას და მის მიგრაციას, საშოს გავლით, შორისიდან — საშარდე გზებში. შარდის ბუშტის ანთებების ხშირ გამწვავებას და პროცესის ქრონიზაციას შარდის ბუშტის ლორწოვანი გარსის დაზიანებამდე მივყავართ.

— დაზიანებაში რას გულისხმობთ?

— ჩნდება მიკროწყლულები. ასევე, ანთებითი პროცესი უშუალოდ შარდის ბუშტის კუნთოვან შრეზე ვრცელდება. ამ დაავადებას მტკივნეული შარდის ბუშტის სინდრომი ანუ ინტერსტიციული ცისტიტი ეწოდება. დაავადება ვლინდება ტკივილით, შარდის ბუშტში შარდის დაგროვების დროს, რაც აიძულებს ქალს, მოშარდოს. ამის შემდეგ ცოტა ხნით ტკივილი ნელდება, შემდეგ კვლავ იწყება. ასე, ყოველ 15-20 წუთში.

— რა არის ამის მიზეზი?

— შარდში არსებული ნივთიერებების მიერ ნერვული დაბოლოებების ქიმიური გაღიზიანება ხდება.

— რას გამოიწვევს მკურნალობის ჩაუტარებლობა ან არასწორი მკურნალობა?

— საბოლოო ჯამში შარდის ბუშტის შეჭმუხნა, მისი მოცულობის სრული დაკარგვა მოხდება. სამწუხაროდ, ქალები მრავალ წელს კარგავენ ქრონიკული ცისტიტის მკურნალობაზე, რაც ნაკლებად ეფექტიანი ან სრულიად უშედეგოა. მეტიც, შარდის ბუშტში მიმდინარე პათოლოგიური ცვლილებები უფრო ღრმავდება.

— მკურნალობა რაში მდგომარეობს?

— პოსტმენოპაუზალური ქრონიკული ცისტიტის მკურნალობა ხანგრძლივი ანტიბაქტერიული მეთოდით ხდება. ქალს სასქესო ჰორმონს უნიშნავენ და შარდის ბუშტში სპეციალური ნივთიერებები შეჰყავთ, რომლებიც ხელს უწყობს შარდის ბუშტის დაზიანებული ლორწოვანის აღდგენას.

— დაბოლოს, რას ურჩევთ ჩვენი ჟურნალის მკითხველ ქალბატონებს?

— მართალია, შარდის შეუკავებლობა ხშირად ნევროზს და დეპრესიას იწვევს, მაგრამ სავსებით განკურნებადია. მის ასაცილებლად, ახალგაზრდა ასაკში მშობიარობის შემდგომ დროული ღონისძიებები უნდა იქნას მიღებული. ქალბატონებს ვურჩევ, უპასუხონ ქვემოთ მოცემულ კითხვარს, შეაფასონ, რა მდგომარეობა აქვთ შარდის შეუკავებლობის მხრივ და საჭიროებენ თუ არა ექიმის კონსულტაციას.

1. აღნიშნავთ თუ არა შარდის შეუკავებლობას დახველების, დაცემინების ან სიცილის დროს?
კი — 1; არა — 0.
2. აღნიშნავთ თუ არა შარდის შეუკავებლობას სიმძიმის აწევის, სიარულის ან სირბილის დროს?
კი — 1; არა — 0.
3. აღნიშნავთ თუ არა შარდის შეუკავებლობას უეცრად განვითარებული მოშარდვის სურვილის დროს?
კი — 1; არა — 0.
4. იყენებთ თუ არა საფენებს ან სხვა საშუალებებს შარდის შეუკავებლობის გამო?
კი — 1; არა — 0.
5. ახდენს თუ არა შარდის შეუკავებლობა თქვენი ყოველდღიური საქმიანობის შეზღუდვას?
კი — 1; არა — 0.
6. ახდენს თუ არა შარდის შეუკავებლობა თქვენზე უარყოფით ემოციურ გავლენას?
კი — 1; არა — 0.
შეაჯამეთ მიღებული ქულები.

0 ქულა ნიშნავს, რომ ქალს ამ მხრივ არანაირი პრობლემა არა აქვს.

პირველ ორ შეკითხვაზე დადებითი პასუხი მიუთითებს, რომ ადგილი აქვს შარდის დაძაბვით შეუკავებლობას და აუცილებელია ურولოგის კონსულტაცია.

მესამე შეკითხვაზე დადებითი პასუხი ჰიპერაქტიულ შარდის ბუშტზე მიუთითებს და ამ შემთხვევაშიც აუცილებელია ურولოგის ჩარევა.

მეოთხე და მეხუთე შეკითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, პროცესი უფრო შორს წასულია და ექიმთან ვიზიტის გადადებას არ გირჩევთ.

მეექვსე შეკითხვაზე დადებითი პასუხი ნევროზისა და დეპრესიის საშიშროებაზე მეტყველებს.

შეკითხვა ურولოგს

ახმეტიდან დაგვირეკა მკითხველმა, რომლის 3,5 წლის შვილს (ბიჭს) ცოტა ხნის წინ ერთ-ერთი სათესლე ჯირკვალი შეუსივდა. ბავშვი რამდენიმე ურولოგს აჩვენეს და ჰიდროცელე ანუ წყალმანკი დადგინდა. ქალბატონმა გვთხოვა, ამ დაავადებაზე მოკლე ინფორმაცია მიგვეწოდებინა. განსაკუთრებით აინტერესებდა, რა მეთოდით ხდება ამ პათოლოგიის მკურნალობა.

ამ კითხვით ურولოგიის ეროვნული ცენტრის ურولოგს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს, ***ალეკო ხელაიას*** *მივმართეთ.*

— წყალმანკი ნიშნავს სითხის დაგროვებას, სათესლე ჯირკვლის გარსებს შორის. იგი შეიძლება იყოს თანდაყოლილი ან შეძენილი. შეძენილი შეიძლება ანთების, ტრავმის ან სიმსივნეების დროს განვითარდეს. წყალმანკის დროს სათესლე პარკი ზომაში იმატებს, რაც მოძრაობის შეზღუდვას, სიარულისა თუ ჯდომის დროს დისკომფორტს იწვევს. ვინაიდან ჯირკვლის მომატება ზომებში ონკოლოგიურ დაავადებებს (სემინომა, ტერატომა და სხვა) ახასიათებს, საჭიროა ურولოგთან გასინჯვა. ამ საშიში დაავადების გამოსარიცხად შეიძლება საკმარისი იყოს ხელით გასინჯვა, რთულ შემთხვევებში კი ულტრაბგერითი გამოკვლევა ხდება საჭირო.

რაც შეეხება წყალმანკის მკურნალობას, იგი ოპერაციულია. ■

P.S. **პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე:** nino.char@yahoo.com.



ადამიანი

გაყალბებული დასკვნა და პასუხისგებაში მიცემული 10 პირი

თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილისა და კონსტიტუციური დეპარტამენტის თანამშრომლებმა 6 ივლისს ერთობლივი სპეცოპერაცია ჩაატარეს და ცნობილ ბიზნესმენ თამაზ ელიზბარაშვილთან ერთად 9 პირი დააპატიმრეს: ჯანდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე მერაბ ქორჩილავა; ცნობილი ექსპერტ-ფსიქიატრები — გიორგი ნანეიშვილი, თეიმურაზ ხარებავა, ზურაბ ბერია, თეიმურაზ სილაგაძე და თამარ გოჩიტაშვილი; თამაზ ელიზბარაშვილის ბიზნესპარტნიორი თეიმურაზ მაჭავარიანი; რძალი — ადვოკატი სალომე ივანიშვილი და მამამისი — ზურაბ ივანიშვილი. გამოძიების მტკიცებით, გახსნილია 2004-2010 წლებში ჩადენილი დანაშაული. სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე მუხლითაა აღძრული.

თეა ხურცილავა

10 პირის დაკავება მსჯავრდადებულ გურამ ელიზბარაშვილის საქმეს უკავშირდება, რომელიც თავის დროზე რეზონანსული იყო. ფირმა „ელიზის“ პრეზიდენტის ვაჟს თანატოლის, 19 წლის მიხეილ ცილიკიშვილის განზრახ მკვლელობაში ედებოდა ბრალი. დანაშაული 2001 წლის 19 მაისს, თბილისში მოხდა. მაშინ ელიზბარაშვილმა ცილიკიშვილს საკუთარ დაბადების დღეზე, 6 ტყვია ესროლა, რის შედეგადაც მსხვერპლი იქვე წაიქცა. მასთან ერთად მძიმედ დაიჭრა მოკლულის ბიძა, ნუგზარ ცილიკიშვილი, რომელიც ძმისშვილის დახმარებას ცდილობდა. დამნაშავე შემთხვევის ადგილიდან ავტომანქანა „ნივით“ მიიმალა. მკვლელობის მოტივად თავიდანვე, შურისძიებას ასახელებდნენ და ისიც გაირკვა, რომ ეს ყველაფერი თანატოლი გოგონას სატელეფონო ზარს მოჰყვა — იმ დღეს მან გურამ ელიზბარაშვილს დაურეკა და შესჩივლა, რომ მიხეილ ცილიკიშვილმა აწყენინა, რის გამოც გურამმა იუბილარს საბანკეტო დარბაზში მიაკითხა, გარეთ გაიხმო და ესროლა. თვითმხილველები ამბობდნენ, რომ ყველაფერი წამებში მოხდა. ახლობლების თვალწინ ჩადენილ მკვლელობას განსაკუთრებული სისასტიკის კვალიფიკაცია მიენიჭა. მაშინ ძალოვნებმა ეჭვმიტანილის დაკავება ვერ შეძლეს — 19 წლის გურამ ელიზბარაშვილი წელიწად-ნახევარი იძებნებოდა. ის მოგვიანებით, 2002 წლის ნოემბერში დააკავეს და ძებნის მოტივით, შეჩერებული საქმეც განახლდა. ელიზბარაშვილი განზრახ მკვლელობის, სხეულის განზრახ დაზიანებისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება-შენახვის ბრალდებით გაასამართლეს. თბილისის საქალაქო სასამართლომ ის წარდგენილ ბრალდებებში დამნაშავედ ცნო და 21 წლითა და 6 თვით აღუკვეთა თავისუფლება. მოგვიანებით, განსასჯელს ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჩაუტარეს და ის შეურაცხადად გამოაცხადეს. ამ ექსპერტიზის საფუძველზე იგი ციხის რეჟიმის ნაცვლად, ფოთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს. როგორც წესი, პერიოდულად სამედიცინო დასკვნის გადამოწმება ხდება და 2 წლის შემდეგ, 2006 წლის მაისში, როცა მსჯავრდადებულის მდგომარეობა ამჯერად ექსპერტების სხვა შემადგენლობამ შეისწავლა, იგი ჯანმრთელად გამოაცხადეს. ამ დასკვნის შემდეგ გურამ ელიზბარაშვილი ისევ ციხეში შეაბრუნეს. როგორც გამოძიება ირწმუნება, ბიზნესმენმა თამაზ ელიზბარაშვილმა შვილის შეურაცხადობის დასკვნის მისაღებად რძლის, გურამის მეუღლის — სალომე ივანიშვილ-ელიზბარაშვილის და მამამისის, ზურაბ ივანიშვილის მეშვეობით 2010 წლის 3 ივლისს სს „ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტის“ ექსპერტიზის დარგში დირექტორი, თეიმურაზ ხარებავა მოისყიდა — მას 2.000 დოლარი გადასცეს და ამ თანხის საფასურად ყალბი ექსპერტიზის დასკვნა მიიღეს, სადაც აღნიშნული იყო, რომ გურამ ელიზბარაშვილი ქრონიკული ფსიქიატრიული ავადმყოფობით გახლდათ დაავადებული. ამ დასკვნის საფუძველზე კი სასჯელის გადავადება უნდა მომხდარიყო. რადგან მსჯავრდადებულის შერაცხადობაზე სხვა ექსპერტების დასკვნა არსებობდა, ძალოვნებმა ახალი დასკვნის სისწორეში ეჭვი შეიტანეს და მალევე გაირკვა, რომ დასკვნა ყალბი იყო; ისიც დადგინდა, რომ ჯერ კიდევ 2004 წელს გაცემული დასკვნაც ყალბი გახლდათ. გამოძიების მტკიცებით, თამაზ ელიზბარაშვილმა 2004 წელს ექსპერტებს ყალბი დოკუმენტის დამზადების თხოვნით მიმართა. ის ჯანდაცვის მინისტრის მაშინდელ მოადგილეს, მერაბ ქორჩილავასა და სასამართლო ფსიქიატრ-ექსპერტებს — გიორგი ნანეიშვილს, თეიმურაზ ხარებავას, ზურაბ ბერიას, თეიმურაზ სილაგაძეს, თამარ გოჩიტაშვილს დაუკავშირდა და სწორედ მათი დახმარებით, 2004 წელს ყალბი დასკვნა მიიღო. სანაცვლოდ, 2004 წლის აგვისტოში მეგობრის, თეიმურაზ მაჭავარიანისა და მძახლის, ზურაბ ივანიშვილის შუამავლობით, მათ 30 ათასი დოლარი გადაუხადა. ამ ეტაპზე ყველა ბრალდებულმა, გარდა ზურაბ ივანიშვილისა,

დანაშაული აღიარა. ივანიშვილი წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს. 6 ივლისს სასამართლოს წინაშე ათივე ბრალდებული წარდგა. თამაზ ელიზბარაშვილს, თეიმურაზ მაჭავარიანსა და ზურაბ ივანიშვილს ჯანდაცვის იმჟამინდელი მინისტრის მოადგილის, მერაბ ქორჩილავასთვის ქრთამის მიცემა ედებათ ბრალად, ასევე — ჯგუფურად ექსპერტ-ფსიქიატრების მოსყიდვა, მათთვის ფულის გადაცემა და ექსპერტიზის დასკვნის ფალსიფიკაცია, რამაც გურამ ელიზბარაშვილისთვის დანიშნული სასჯელის უკანონოდ გადავადება გამოიწვია...

მეორე ეპიზოდში თამაზ ელიზბარაშვილი, მისი რძალი — სალომე ივანიშვილი და ზურაბ ივანიშვილი ფიგურირებენ. მათ ბრალად ედებათ ჯგუფურად, სპეციალური უფლებამოსილების განმახორციელებელი პირისთვის — ექსპერტ თეიმურაზ ხარებავასთვის ფულის გადაცემა, რათა ამ უკანასკნელს, სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში საექსპერტო კვლევისთვის ყალბი დასკვნა წარედგინა, ამით კი მტკიცებულების ფალსიფიკაცია მოხდებოდა. რაც შეეხება მერაბ ქორჩილავას, მას ბრალად ედება თანამდებობის პერიოდში დიდი ოდენობით თანხის აღება. ბრალში აღნიშნულია, რომ მან თანამდებობრივი ავტორიტეტი გამოიყენა, მსჯავრდადებულ ელიზბარაშვილის სასარგებლოდ არასწორი სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის გაცემას შეუწყო ხელი და აღნიშნული ექსპერტიზის გამცემ პირებს სამსახურებრივი მფარველობა გაუწია; ექსპერტებს კი ბრალად ედებათ მინისტრის მოადგილისთვის ქრთამის მიცემაში დახმარება, ჯგუფურად ფულის მიღება და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება. სასამართლომ დაკავებული ექსპერტები დარბაზიდან გაათავისუფლა და წინასწარი პატიმრობის ნაცვლად, თითოეულს 5.000-ლარიანი გირაო შეუფარდა — თანხის გადახდის შემდეგ ისინი პატიმრობიდან გათავისუფლდნენ. მსჯავრდადებულის მეუღლე, სალომე ივანიშვილიც 5.000-ლარიანი გირაოთი გაათავისუფლეს — ამ მოთხოვნით სასამართლოს თავად პროკურატურამ მიმართა. სალომე ივანიშვილი წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ ცნობს და აღიარებს, რომ მეუღლის დასახმარებლად ყალბი დოკუმენტის მოპოვებას ცდილობდა, თეიმურაზ ხარებავასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა. „ჩემი მამამთილის და ჩემი საუბრის შედეგად შევხვდი ხარებავას. შევუთანხმდი მას თანხის გადაცემაზე, თანხა კი მამამთილს გამოვართვი“, — ამბობს იგი. მართალია, ექსპერტები დაინდვეს, მაგრამ პატიმრობას ვერ გადაურჩნენ თამაზ ელიზბარაშვილი, მისი ბიზნესპარტნიორი თეიმურაზ მაჭავარიანი, ზურაბ ივანიშვილი და მერაბ ქორჩილავა — მათ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა უკვე შეეფარდათ. გამოძიების მტკიცებით, ქორჩილავამ ისინი ექსპერტებთან დააკავშირა, თუმცა ბრალდებული სულ სხვა ჩვენებას იძლევა. ის წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ ცნობს, მაგრამ ამბობს, რომ ეს ფაქტი ერთ-ერთი ექსპერტისგან შეიტყო. „2003 წლის იანვარში ჩემთან მოვიდა ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ფსიქიატრი სილაგაძე და დახმარება მთხოვა. მითხრა, რომ ტარდებოდა ელიზბარაშვილის სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა და ამ უკანასკნელის მამა შეპირებული იყო 40.000 დოლარს, რათა შერაცხადზე შეურაცხადობის დასკვნა დაეწერათ. ამ თანხიდან სილაგაძე 10.000-ს დამპირდა. მას შევპირდი, რომ გართულების შემთხვევაში დავეხმარებოდი“, — აღიარებს ქორჩილავა.

მოკლული ციცოკიშვილის ბებია არ მალავს, რომ წლების მანძილზე ყველა ინსტანციაში დადიოდა და ელიზბარაშვილის ციხეში გადაყვანას ითხოვდა. მოკლულის ოჯახი დასკვნის სიყალბეში დარწმუნებული იყო. „იგი გადაჰყავდათ ხან თბილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, ხან — ფოთის საავადმყოფოში... ყველგან დავდიოდი და ვყვიროდი, რომ მკვლელი თავს იგიჟიანებდა, რომ ეს დასკვნა ყალბი იყო. სამართალს ვერ ვაღწევდით. მადლობა ღმერთს, ახლა ვიღაცას პასუხი მოეთხოვება“, — ამბობს მოკლულის ბებია.

გათავისუფლებული ფსიქიატრები მომხდარზე კომენტარს არ აკეთებენ და არც მათი აღიარებითი ჩვენება გაუვრცელებიათ ძალოვნებს, თუმცა ცნობილია, რომ ისინი წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ ცნობენ. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება. რაც შეეხება მსჯავრდადებულ გურამ ელიზბარაშვილს, ის სასჯელს ქუთაისის ციხეში იხდის. როგორც ირკვევა, მას პატიმრობის პერიოდში სასჯელი დაუმძიმეს, რადგანაც გამოძიების მტკიცებით, მან ბადრაგს წინააღმდეგობა გაუწია. ■

ქართველობის გამო დაწუნებული გოგონას მოსკოვური ამბები

„კონსტანტინე მელაძე რომ არ ჰყავდეთ, არ ვიცი, რა ეშველებოდათ...“

მიუხედავად რუსეთ-საქართველოს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობისა, მოსკოვში მაინც ბევრი ქართველი ცხოვრობს — ზოგი ბიზნესითაა დაკავებული, ზოგი კი იქაური ესტრადის ვარსკვლავად მიიჩნევა. ჩემი რესპონდენტი — მარი კოხრეიძეც მოსკოვში მცხოვრები ემიგრანტია, თუმცა იქ ბიზნესის სამართავად ან სამღერად კი არა, სასწავლებლად წავიდა.

ნათია ჟვანია

რუსებთან ხშირად ვმართავ პოლიტიკურ დებატებს და ვცდილობ, საქართველო დავიცვა

— ქუთაისში დავიბადე, მაგრამ 2 წლისაც არ ვიყავი, როცა მშობლებმა მოსკოვში გამგზავრების გადაწყვეტილება მიიღეს. მაშინ საქართველოში მძიმე სიტუაცია იყო — არც შუქი გვქონდა, არც — გაზი და თურმე რუსეთში მცხოვრები ახლობლები ჩემს მშობლებს უჩიჩინებდნენ, — ჩვენთან ჩამოდითო. მოკლედ, ჩემი ოჯახი მოსკოვში გადაბარგდა. 6 წლის რომ ვიყავი, მშობლებმა რატომღაც, ქუთაისში დამაბრუნეს და სკოლაშიც იქ შემიყვანეს, სადაც მეოთხე კლასამდე ვსწავლობდი, მერე კი ისევ მოსკოვში დავბრუნდი და მას შემდეგ იქ ვცხოვრობ.

— ახალ თანაკლასელებთან შეგუება არ გაგიჭირდა?

— პირველ სექტემბერს სკოლაში მისულმა შევნიშნე, რომ ეზოში რამდენიმეკაციანი ჯგუფი განცალკევებით იდგა და ისინი ქართულად ლაპარაკობდნენ. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ჩემს კლასში 15-მდე ქართველი ბავშვი სწავლობდა და სხვათა შორის, იმ სკოლაში თითქმის ყველა ახალი გადასული იყო. საბედნიეროდ, ძალიან მეგობრული კლასელები მყავდა, ჩემი ქართველობის გამო რუსებთან პრობლემა არ შემქმნია, მათგან ზიზღი არ მიგრძნია...

— სხვა რუსები ქართველების მიმართ ზიზღს გამოხატავენ?

— როგორ არა! ისევე, როგორც საქართველოში, რუსეთშიც არიან „სოფლელები“ და ინტელიგენტები. ვინც საქართველოსა და რუსეთის ისტორია იცის, ის პოლიტიკას ყურადღებას არ აქცევს და ქართველებსაც ისევე ექცევა, როგორც თანამემამულეებს; მეორე კატეგორია კი მხოლოდ ტელევიზიითაა ინფორმირებული და ცხადია, ასეთები ქართველების მიმართ ბილწსიტყვაობასაც არ ერიდებიან.

— თავად გქონია ისეთი შემთხვევა, როცა ვილაცამ უხეშად მოგმართა მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველი ხარ?

— არა, ჩემთვის უხეშად არ მოუმართავთ, თუმცა რუსებთან ხშირად ვმართავ პოლიტიკურ დებატებს და ვცდილობ, საქართველო დავიცვა (*იღიმის*). სხვათა შორის, ომის პერიოდში რუსი მეგობრები ჩემზე ღელავდნენ (მაშინ საქართველოში ვიყავი), ინტერნეტის საშუალებით მიკავშირდებოდნენ, ჩემს ამბავს იგებდნენ, იქ ჩასულს კი გარს შემომეხვივნენ და ამბების მოყოლა მთხოვეს... როგორც სკოლაში, ასევე ინსტიტუტშიც ძალიან გამიმართლა — მართლა კარგი მეგობრები შევიძინე და ჩემთვის მათ ეროვნებას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს.

ხშირად დავდივართ კონცერტებზე, სადაც ქართველი მომღერლებიც მონაწილეობენ

— როგორც ვიცი, ახლა იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობ...

— ბავშვობიდანვე ამ პროფესიაზე ვოცნებობდი. ახლა ყველაზე პრესტიჟულ სასწავლებელში — იურიდიულ აკადემიაში საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტზე ვსწავლობ, უკვე მესამე კურსზე ვარ. ამ ინსტიტუტში სწავლა საკმაოდ რთულია, მაგრამ მისი დასრულების შემდეგ ორ დიპლომს მომცემენ: ვიქნები არა მარტო იურისტი, არამედ ინგლისურენოვანი თარჯიმანი, იურიდიული განხრით.

— როგორც ჩემთვის ცნობილია, ახლა პრაქტიკას გადიხარ. სად გაგანაწილეს?

— 2 კვირის განმავლობაში პრაქტიკა მოსკოვის პროკურატურაში უნდა გამევლო, შემდეგ კი სასამართლოში. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ საქართველოს მოქალაქე ვარ, პროკურატურამ არ მიმიღო.

— მოსკოვში როგორ ცხოვრობ, რითი ერთობი?

— ჩვენ „ლენინგრადკაზე“ ვცხოვრობთ — ეს მოსკოვის ერთ-ერთი ცენტრალური უბანია. თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად კინოთეატრს, კაფეებარსა და სხვადასხვა პარკს ვსტუმრობ. გარდა ამისა, ხშირად დავდივართ კონცერტებზე, სადაც ქართველი მომღერლებიც მონაწილეობენ.

— იქ მოღვაწე ქართველი მომღერლებიდან ყველაზე მეტი პოპულარობით ვინ სარგებლობს?

— რუსეთში კონსტანტინე მელაძე რომ არ მოღვაწეობდეს, არ ვიცი, იქაური ესტრადის მომღერლებს რა ეშველებოდათ. კონსტანტინე ბევრი

რუსული ჰიტის ავტორია და მის სიმღერებს უამრავი მომღერლისთვის მოუტანია წარმატება... ქეთა თოფურიაც ძალიან პოპულარულია.

— იქაურ ქართველებთან მეგობრობ?

— როგორ არა! არის რამდენიმე ქართული ოჯახი, რომელიც იქ გავიცანი და დავმეგობრდით, ერთმანეთთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ საქართველოს სიყვარულმა დაგვაკავშირა! მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვში ბევრი ქართველია, საქართველო და ქართველები მაინც ძალიან მენატრება.

— რუს ბიჭებს ეპრანჭები?

— არა, რუსი ბიჭები არ მომწონს. მიმაჩნია, რომ ქართველები გაცილებით სიმპათიურები არიან. სამწუხაროდ, მოსკოვში კარგი ქართველი ბიჭები არ ცხოვრობენ — მათი უმრავლესობა ან ქურდობს, ან ბაზარში ვაჭრობს, ასეთები კი არ მომწონს. სხვათა შორის, რუსეთში გართულება ძირითადად, ქუთაისელებზე აქვთ, რადგან მიაჩნიათ, რომ ქუთაისი „ქურდების ქალაქია“. ჰოდა, როცა იგებენ, რომ მეც ამ ქალაქიდან ვარ, მეუბნებიან, — შენთან მეგობრობა სახიფათოაო. სამწუხაროდ, ჩვენზე საკმაოდ ცუდი წარმოდგენა აქვთ. კი ვამტკიცებ, რომ ახლა საქართველოში კანონიერი ქურდები აღარ არიან, მაგრამ არავინ მიჯერებს.

— რუსეთში როგორი პოლიტიკური სიტუაციაა? პუტინი მოსწონთ?

— მოსწონთ კი არა, ძალიანაც უყვართ. იქ მედვედევს პრეზიდენტად არც კი მიიჩნევენ, ყველას პუტინი აკერია პირზე.

— საქართველოში ხშირად ჩამოდიხარ?

— სამწუხაროდ, სამშობლოს მხოლოდ ზაფხულობით ვსტუმრობ. მართალია, წელს პრაქტიკა მაქვს და ახლა წესით, მოსკოვში უნდა ვიყო, მაგრამ ჩემს დას შვილი — პატარა ანდრია შეეძინა და რუსეთში რა გამაჩერებდა?! 20 აგვისტოს უკვე მოსკოვში უნდა ვიყო... ■

ჩემს დას შეეძინა — პატარა ანდრია შეეძინა და რუსეთში რა გამაჩერებდა?!

როცა სხვის ჩრდილქვეშ გიწევს ცხოვრება

ჩემთვის ბევრჯერ უთქვამთ: მჯერა, თუ ამ რუბრიკაში წერილს გამომიქვეყნებთ, ჩემს ცხოვრებაში რაღაც მაინც შეიცვლება და თუ ეს „რაღაცა“ მაინც არ მოხდა, ვიცი, თქვენი მკითხველი რჩევას მაინც არ დაიზარებსო. როცა გიჭირს და ვილაც მორალურად გიდგას გვერდით, სირთულეები თითქოს უკან იხევს და აღარაფრის გეშინია... ამ წერილების მიზანიც ესაა — ერთად გავუმკლავდეთ პრობლემებს და ადამიანმა მარტოსულად არ იგრძნოს თავი.

რამდენიმე წლის წინ ქალბატონმა ლილიმ თავის ოჯახზე და მთავარ საწუხარზე მიამბო. საქმე შვილის აყვანას ეხება („ზოგჯერ ღვიძლი შვილიც რას მოიმოქმედებს, არ იცი“ — „კვირის პალიტრა“, 12 ნოემბერი, 2007 წელი).

მარინა ბაბუნაშვილი

ამბავი პირველი
მადლი

ხშირად კამათობენ, უნდა აიყვანოს თუ არა უშვილო ცოლ-ქმარმა ბავშვი, ღირს თუ არა ამ მადლის გაკეთება დიდი რისკის ფასად? თუმცა, ისიც გამიგონია, — ზოგჯერ ღვიძლი შვილი არ გამოგადგება და რა იცი, სხვისი სისხლი და ხორცი რას გიზამსო?!

ლილიმ და ოთარმა ოჯახი სიყვარულით შექმნეს. დრო გავიდა, შვილი კი არა და არ უჩნდებოდათ. ერთხელ სინანულით წამოსცდა დედამთილს, — უშვილო ოჯახი, აბა, რა ოჯახიაო?! ლილის ბევრი აღარ უფიქრია, ჩაალაგა თავისი ბარგი-ბარხანა და ქმრის ოჯახიდან წავიდა. ოთარს ძალიან უყვარდა ცოლი და მეორე დღესვე მიაკითხა ლილის, სთხოვა დაჰბრუნებოდა, — მერე რა, თუ შვილი არ შეგვეძინა? მოდი, პატარა ვიშვილოთ და გავზარდოთ, განა, ის შვილი არ იქნებაო?.. ასეც მოიქცნენ — 6 თვის ბიჭუნა იშვილეს და დათუნა დაარქვეს. ახალი მშობლები პატარას ცივ ნიავს არ აკარებდნენ. ბავშვი საოცრად თბილი, ალერსიანი გახლდათ და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, გარეგნობით შეძენილ მშობლებს დაემსგავსა... წლების შემდეგ, სულ რომ არ ელოდნენ, ლილი დაორსულდა (დათუნა მაშინ 8 წლის იყო). გაჩნდა ვაჟი — გიორგი, რომლისთვისაც დათუნა ყველაფერში მისაბაძი გახლდათ. ვიდრე პატარა იყო, გიორგი ამას ჩვეულებრივ ამბად მიიჩნევდა და ცდილობდა, ძმისთვის მიებაძა, მასავით სანაქებო გამხდარიყო.

დათუნამ სკოლაც და უმაღლესი სასწავლებელიც წარმატებით დაამთავრა და სწავლის გასაგრძელებლად საფრანგეთში გაემგზავრა. მალე იქ ქართველი გოგონა გაიცნო. ახალგაზრდებს ერთმანეთი შეუყვარდათ და დათუნა საქართველოში საგანგებოდ ჩამოვიდა, რათა საცოლის მშობლები გაეცნო, მათთვის ქალიშვილის ხელი ეთხოვა... წყვილმა პარიზში, ერთ პატარა მართლმადიდებლურ ეკლესიაში დაიწერა ჯვარი. ცოტა ხანში დათუნას კარგი სამსახური გამოუჩნდა, შვილიც შეეძინათ და ცოლ-ქმარმა გადაწყვიტა, თბილისში გამომგზავრება რამდენიმე წლით გადაედო...

ამბავი მეორე
შურით გადაგვარებული

რატომ ხდება, რომ ძმას — ძმის, დას კი დის შურს ხოლმე? ალბათ, ეს გრძნობა გაუცნობიერებლად მოდის, როცა ატყობ, რომ ყოველთვის „იმ საუკეთესოს“ გადარჩენენ... ძნელია სხვის „ჩრდილქვეშ“ ცხოვრება, თუნდაც ის სხვა შენთვის ძალიან ახლობელი იყოს... გიორგისაც ასე დაემართა: თუ ადრე უფროსი ძმა მისთვის საფიცარი გახლდათ, მის რჩევებს დაუფიქრებლად ითვალისწინებდა, უკვე მოზარდს დათუნას ხსენებაც კი აღიზიანებდა; როცა ვერც სწავლაში „გაბრწყინდა“ და მშობლებთან ურთიერთობაც გაუჭირდა, მიხვდა, რომ ძმა მასზე ათი თავით მაღლა იდგა, მას ვერასდროს გაუტოლდებოდა. ნერვები ეშლებოდა, როცა მშობლები წარამარა დათუნას უხსენებდნენ: ვერ ხედავ, დათუნამ რამდენ რამეს მიაღწია თავისი ნიჭითა და მონდომებით? შენ რატომ ზარმაცობ, რატომ არ გინდა, რომ მასავით წარმატებული იყო?.. ადრე, ამ უცნაურ გრძნობას სახელს ვერ არქმევდა, მერე კი მიხვდა, რომ ამას შური ერქვა; იცოდა, შურითა და ღვარძლით ცხოვრება კარგს არაფერს მოუტანდა, მაგრამ საკუთარ თავსა და ამ გრძნობას ვერ ერეოდა, ის კი არა, თანდათანობით უფრო აგრესიული

ხდებოდა და ეჩვენებოდა, რომ მშობლებს იგი სძულდათ. ამიტომაც, მათ ყველაფერში ეწინააღმდეგებოდა და თუ ეტყოდნენ, წაღმა წადიო, უკუღმა მიდიოდა. ლილიმ იცოდა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, გიორგის მაინც ჰქონდა ძმის რიდი, მაგრამ უცხოეთში მყოფ შვილს უმცროსი ძმის თავგასულობის შესახებ არაფერს ეუბნებოდა... ერთხელაც, როცა მშობლებმა გიორგის ჯიბეში „თეთრი ფხვნილი“ იპოვეს, მიხვდნენ, რომ განგაშის ზარისთვის უნდა შემოეკრათ. იმ დღეს მამასა და შვილს შორის სერიოზული შელაპარაკება მოხდა:

— ნარკომანობაღა გაკლდა და ეგეც დაიწყე? — მკაცრად ჰკითხა ოთარმა.

— თქვენს ხელში ნარკომანიც გავხდები და რეციდივისტიც! — აგრესიულად მიუგო გიორგიმ. ამის თქმა იყო და, ოთარი პირველად შეეხო შვილს ხელით; ბიჭმა კი ჯერ ყველაფერი დალეწა, მერე — აქ აღარ გავჩერდებიო, — დაიღრიალა და კარი გაიჯახუნა. ლილი ცუდად გახდა, ოთარმა „სასწრაფო დახმარება“ გამოიძახა... მეორე დღეს დედამ გადაწყვიტა, დათუნასთვის დაერეკა და მისთვის ყველაფერი ეთქვა...

დათუნა სასწრაფოდ თბილისში ჩამოვიდა, მაგრამ სწორედ იმ პერიოდში გიორგი ნარკოტიკის მოხმარებისთვის დააპატიმრეს. ისევ ძმამ უშველა — ფული გადაიხადა და უმცროსი ძმა ციხიდან გამოიყვანა.

— რატომ ელაპარაკები მშობლებს აგრესიულად? მათ ჯიბრში რატომ უდგახარ? რა გაკლია ან რას მოითხოვენ შენგან ისეთს, რისი შესრულებაც არ შეგიძლია? — ჰკითხა ძმას, როცა მარტონი დარჩნენ.

— ყოველ ნაბიჯზე მაკონტროლებენ, ჩემი არ სჯერათ, წარამარა შენს თავს მადარებენ, ეს კი ძალიან მაღიზიანებს! ყველას თავისი გზა აქვს, თავისი ცხოვრების წესი... ძალიან მიყვარხარ, მაგრამ არ მინდა, შენს ჩრდილქვეშ ვიყო და მოგბაძო, — ალალად უთხრა გიორგიმ.

— ნუ გეწყინება მშობლების გადამეტებული კონტროლი, მათ ამის უფლება აქვთ... ისე, შენი გაკონტროლება საჭიროც ყოფილა — ბიჭო, ნარკოტიკს როგორ გაეკარე? — ახლა დათუნასაც გაუმკაცრდა ხმა.

— ხომ გითხარი, რომ მათი ლაპარაკი მაღიზიანებდა — ყოველთვის შენ გაქებდნენ, მე კი არაფრად მიმიჩნევდნენ, ჰოდა, სწორედ მშობლების ჯიბრზე გავაკეთე ეს, — გიორგიმ თავი ჩაღუნა.

ძმებმა კიდევ კარგა ხანს ილაპარაკეს. ბოლოს, გიორგი დათუნას დაჰპირდა, — მშობლებთან ურთიერთობის გამოსწორებას შევეცდებიო... დათუნა პარიზში, ცოლ-შვილთან წავიდა, გიორგიმ კი... მან პირობა ვერ შეასრულა. ის დარწმუნებული იყო, რომ მშობლებს დათუნა უფრო უყვარდათ. ერთხელაც, ერთმა შორებელმა გიორგის ოჯახის საიდუმლო გაანდო და უთხრა: შენ ოთარისა და ლილის ნამდვილი შვილი ხარ, დათუნა კი აყვანილიაო. ამ ამბავმა ბიჭი ჯერ გააოგნა, მერე კი უფრო გაცხარდა: მაინც იმ ნაშვილებს აყენებენ ჩემზე წინ და მხოლოდ იმიტომ, რომ დათუნა წარმატებულია, მე კი —

ხელმოცარული; ახლა მაგათ ვუჩვენებ სეირსო!..

შინ მისულმა მშობლებს ულტიმატუმი წაუყენა: მე ვარ თქვენი ნამდვილი შვილი და ბინიდან წილს მოვითხოვ. აღარ მინდა იმ ოჯახში ცხოვრება, სადაც ღვიძლ შვილს აბუჩად იგდებენ, ნაშვილებს კი აღმერთებენო. რა თქმა უნდა, გიორგის ამ წინადადებასაც ჩხუბი მოჰყვა და ბიჭმა კვლავ დატოვა სახლი, საცხოვრებლად ძმაკაცთან გადავიდა; თან, დედ-მამას ბოლო სიტყვად დაუგდო, — აქ აღარც დავბრუნდები, ვიდრე ბინიდან ჩემს წილს არ მომცემთო. ეს არ იკმარა, დათუნას ტელეფონით შეეხმიანა და ყოველგვარი შელამაზების გარეშე პირში მიახალა: — იცოდი, რომ ნაშვილები იყავიო?! დათუნა მიხვდა, რომ გიორგის ამას ისევ და ისევ შური, ღვარძლი ალაპარაკებდა და წლების მანძილზე გასაიდუმლოებული ამბავი მშვიდად მოისმინა, ბოლოს კი ძმას აუღელვებლად უთხრა: არ ვიცოდი, მაგრამ თუნდაც მცოდნოდა, ამით არაფერი შეიცვლებოდა. პირიქით, ახლა მშობლებს უფრო მეტ პატივს ვცემო. გიორგი მისი პასუხით განწირულებულ დარჩა, რადგან ეგონა, ამ ახალი „აღმოჩენით“ ძმას გულს მოუკლავდა...

ამ ამბიდან ორ თვეში გიორგი მეორედ დააპატიმრეს, ისევ ნარკოტიკის მოხმარებისთვის. სხვა გზა არ იყო და მშობლებმა ბინა გაყიდეს... გიორგის ერთი წელი მაინც მიუსაჯეს, ციხიდან გამოსულმა კი ცალკე დაიწყო ცხოვრება. გიორგი არ აღმოჩნდა ისეთი შვილი, როგორიც დათუნა, მაგრამ რა ექნათ, მაინც შვილი იყო, მათი სისხლი და ხორცი, ჰოდა, ხელს ხომ ვერ ჰკრავდნენ? — ხან ფულს აწვდიდნენ, ხან საჭმელ-სასმელს და სთხოვდნენ, დაოჯახებულიყო. ჰპირდებოდნენ, — მხარში ამოგიდგებით, ყველაფერში დაგეხმარებითო, მაგრამ წყლის ნაყვას ჰგავდა მშობლების ლაპარაკი და მუდარა. გიორგიმ თავისი ოროთახიანი ბინა ნარკომანების ბუნაგად გადააქცია. ერთხელაც, მათ თავს სამართალდამცველები დაადგნენ და 7 კაცი ერთად აიყვანეს.

ლილი და ოთარი განადგურებულები იყვნენ, მათ დათუნამ სულზე ჩამოუსწრო. იგი ცოლ-შვილთან ერთად დაბრუნდა, კერძო სახლი შეიძინა და მშობლებიც თავისთან გადაიყვანა. გიორგი ორი წლის შემდეგ გამოიყვანა ციხიდან, ბინა გარემონტებული დაახვედრა და თავის ძველ მეგობარს, რომელიც მარტყოფის მამათა მონასტერში ბერად იყო აღკვეცილი, რამდენიმე ხნით მიუყვანა. გიორგი ეკლესიურ ცხოვრებას შეუდგა და მალე, მისი აგრესია სადღაც გაქრა, გულში სითბო, სიყვარული ჩაეღვარა და როგორც იქნა, საკუთარი შეცდომები გულწრფელად მოინანია. ოთარი და ლილი დღესაც დათუნასთან ცხოვრობენ და ღმერთს მადლობას სწირავენ, რომ ასეთი შვილი ჰყავთ. სწორედ მისი წყალობით შეინარჩუნეს ოჯახიც და გზააბნეული შვილიც.

■

ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 899.27.25.61. ან ელ. ფოსტით: babunamarina@yahoo.com

„განუკურნებელი სენის“ მსხვერპლი მოზარდები და „კარტოჟნიკი“ ქალის აღსარება

„აზარტით შეპყრობილს, კაცის შეცოდების უნარი არა მაქვს“

გზის №28-ში, რუბრიკაში — „თემა“ — გაშუქებულმა პრობლემამ, სადაც ლაპარაკი იყო „მაზავშიკობაზე“ და ტოტალიზატორში თამაშზე, ბევრ მოზარდს აღუძრა სურვილი, ჩვენთან ამ თემაზე ელაპარაკა. ისინი მთელი კვირის განმავლობაში მიკავშირდებოდნენ და მთხოვდნენ, მათთვის მოგესმინა. თურმე, ბევრ მოზარდს აწუხებს საკუთარი აზარტულობა და მიაჩნია, რომ ამან შესაძლოა, დაღუპოს კიდეც. „მე და ჩემი მეგობრები უფსკრულის პირას ვდგავართ და არ ვიცით, როდის გადავიჩეხებით. ამ „მახიდან“ თავის დაღწევას ვერ ვახერხებთ. სამწუხაროდ, არც ის შეგვიძლია, ვინმე რაიმეში დავადანაშაულოთ, რადგან ყველაფერს ჩვენივე სურვილით ვაკეთებთ“, — შემომჩივლა 17 წლის თორნიკემ, რომელმაც თურმე, სახლიდან ოქროს ნივთებიც კი მოიპარა, რათა ის და მისი მეგობრები მევალეებს არ „გაეტისკათ“.

ლიკა ქაჯაია

— დიდი ხანია, რაც ტოტალიზატორში ვთამაშობ. იცი, საოცარი გრძნობა გეუფლება, როცა შენ თვალწინ იგებს ან აგებს ის გუნდი, რომლის მოგება-წაგებაზეც ფული გაქვს დადებული. თავიდან სხვებივით, მხოლოდ ლარს ან 2-ლარიანს ვდებდი, მაგრამ მას მერე, რაც მუშაობა დავიწყე, ტოტალიზატორში სათამაშოდ და საკუთარი აზარტულობის დასაკმაყოფილებლად თანხა არ მენანება.

— საინტერესოა, სად მუშაობ?

— მშენებლობაზე, სადაც უფროსი თაობის წარმომადგენლებთან ერთად ტომრებს ვეზიდები და ცემენტს „ვყლაპავ“, აღებულ თანხას კი ჩემი სურვილის მიხედვით, დაუნანებლად ვხარჯავ.

— თვეში დაახლოებით, რამდენ ლარს შოულობ?

— ზოგჯერ თვე ისე გავა, საქმე არა მაქვს, ზოგჯერ კი 1.000 ლარამდეც ვშოულობ.

— ვთქვათ, თვეში 1.000 ლარი აიღე, ამ თანხიდან ტოტალიზატორში რამდენს ხარჯავ?

— რა ვიცი, ხან როგორ, ხან — როგორ. მაგალითად, ამ მსოფლიოს ჩემპიონატისას სულ 7 ათასი დოლარი წავაგე — ეს მხოლოდ ტოტალიზატორში და ახლა ყელამდე ვალში ვარ... გარდა ამისა, მე და ჩემმა მეგობრებმა „მაზავშიკებთანაც“ დავდეთ „მაზი“ — მაგრამ ჩემმა საყვარელმა გუნდმა გვიმტყუნა და სასწრაფოდ, 10 ათასი დოლარი გაგვიხდა საშოვნი. რა უნდა გვექნა? ამ საქმეში ვერავინ დაგვეხმარებოდა, ყველას თავისი გასაჭირვებია, მშობლებს კი ამის შესახებ ვერ ვეტყოდით და იძულებულები გავხდით, მოგვეპარა — აბა, თავს ხომ არ მოვაკვლევინებდით იმ ნაძირალებს? პირადად მე, სახლიდან ოქროს ნივთები გამოვიტანე, ლომბარდში ჩავაბარე და 4 ათასი დოლარი ავიღე; ბიჭებმაც საკუთარ სახლებში მოიპარეს რაღაც-რაღაცები და როგორც იქნა, „მაზავშიკებისთვის“ მისაცემი ფული შევაგროვეთ.

— საინტერესოა, მათთვის წაგებული თანხა რომ არ მიგეტანათ, რა მოხდებოდა?

— ამ პროფესიის ადამიანები ისეთი ნაძირალები არიან, რომ შეიძლება, ქურდები მოგისიონ ან საქმეს აქამდეც არ მიიყვანენ — ქუჩაში დაგხვდებიან და ყელს დაუფიქრებლად გამოგჭრიან. ზუსტად ვიცი, აწი მათთან საქმეს არ დავიჭერ!.. ჩემებს ოქროს ნივთების დაკარგვა ჯერ არ შეუმჩნევიათ და არ ვიცი, რა მოხდება, როცა მიხვდებიან, რომ საკუთარი სახლი გავქურდე.

— ეჭვს ეგრევე შენზე აიღებენ?

— ეჭვი ჩემს ძმაზეც ექნებათ.

— შენი ძმაც თამაშობს?

— არა, ის აზარტული ნამდვილად არ არის. ჰოდა, ამიტომაც, არ მინდა, ჩემ გამო გაილანძღოს — როცა ოჯახში დანაკარგს აღმოაჩენენ, მათ აუცილებლად ვეტყვი, რომ ეს მე გავაკეთე.

— და ამას გაპატიებენ?

— შეიძლება მეჩხუბონ, მაგრამ სახლიდან გასაგდებადაც ვერ გამიმეტებენ. აბა, კარგი იქნებოდა, ვიღაცებს რომ მოვეკალი?!

— არა, ალბათ, ის უფრო კარგი იქნებოდა, რომ არ გეთამაშა.

— ჰო, მაგრამ აზარტი ისეთი ოხერი რამაა, რომ ყველაფერს გაგაკეთებინებს, ცოლ-შვილსაც კი გაგაყიდვინებს.

— აზარტულობის მოთოკვა შეუძლებელია?

— ალბათ, „მოთამაშეს“ თავს რაღაც უბედურება უნდა გადახდეს, რათა თამაშზე უარი თქვას. თუმცა, სამწუხაროდ, ხშირად ესეც არ ჭრის.

— ეი. ამ სიტუაციიდან გამოსავალი არ არსებობს?

— კი, გამოსავალი ერთია — ტოტალიზატორები თუ დაიხურება, სადღა ვითამაშებთ?..

— ვფიქრობ, გამოსავალს აქაც იპოვით — „ხელზე გამაზავთ“ და შესაძლოა, უფრო სავალალო სიტუაციაშიც აღმოჩნდეთ.

— ესეც უნდა აიკრძალოს! ისეთი რამ უნდა მოიფიქრონ, რომ ხალხს ჩუმად თამაშის შეეშინდეს, ამაზე კი პირველ რიგში, მთავრობამ უნდა იზრუნოს.

სლავა, *18 წლის:*

— მე ტოტალიზატორში ვთამაშობ. პირველად ამ დაწესებულებაში მამამ და ბიძამ წამიყვანეს. თავიდან იქაურობა საშინლად არ მომეწონა — კაცები უშვერი სიტყვებით აგინებდნენ ვიღაცებს, იქ მყოფებს ისეთი სახე ჰქონდათ, მეგონა, ჭკუიდან გადავიდნენ და შეშინებული მამას ავეტმასნე, ახლა კი ალბათ, თავად ვგავარ ჭკუიდან შეშლილს — ფულს რომ დადებ, მთელი მატჩის განმავლობაში ნერვიულობ, მოიგებს თუ არა გუნდი, რომლის წაგებაც თანხას დაგაკარგვინებს. თამაშის დაწყებამდე გგონია, რომ ფულს აუცილებლად მოიგებ, მაგრამ როცა იმედი გიცრუვდება და იმასაც კარგავ, რაც ტოტალიზატორში შესვლამდე გქონდა, გაგიჟდები, აბა, რა მოგივა?!.

— თუ იცი, რომ აუცილებლად წააგებ, ტოტალიზატორში რატომ შედიხარ?

— ხომ გაგიგონია, რომ ამბობენ, — ადამიანი იმედით ცოცხლობსო და მეც სხვებივით, ხავსს ვებღაუჭები...

— რომ არ ითამაშო, რა მოგივა?

— შეიძლება, იმაზე ფიქრში, რომ თანხას თუ დავდებდი, მოგება გარანტირებული

მექნებოდა, მართლა შევიშალო. ამას მირჩევნია, ისიც წავაგო, რაც მაქვს... თავიდან მეგონა, თამაშისადმი ჩემი დაინტერესება დიდხანს არ გასტანდა და ამას თავს მაშინ დავანებებდი, როცა სურვილი გამიჩნდებოდა, მაგრამ ყველაფერი სხვანაირადაა.

— სათამაშოდ ფულს ვინ გაძლევს?

— ხან მამა, ხან — დედა (თუმცა მან არ იცის, ამ თანხას რაში ვხარჯავ). მართალია, მამა თავიდან ძალიან ცოტას მაძლევდა, მაგრამ მერე, როცა ნახა, რომ რამდენჯერმე სოლიდური თანხა მოვიგე, ეგონა, იღბლიანი ვიყავი და არასდროს წავაგებდი, ჰოდა, სწორედ ამ იმედით მაძლევდა ფულს, მე კი მას შემდეგ აღარც მომიგია და შეიძლება ითქვას, რომ მშობელი გავაკოტრე. ახლა ფულის მოცემა აღარ უნდა, მაგრამ იძულებულია, თხოვნა შემისრულოს — წინააღმდეგ შემთხვევაში, დედა გაიგებს, ვინც ჩამითრია ამ ჭაობში (*იცინის*).

— მამას აშანტაჟებ?

— ასე გამოდის და ჯერჯერობით, ეს ხერხი ჭრის.

ლუკა, *20 წლის:*

— აზარტული ვარ, საოცრად აზარტული და ესაა ჩემი უდიდესი ცოდვა. ზუსტად ვიცი, ტოტალიზატორში სიარული და „მაზავშიკებთან“ დადებული „ხელშეკრულებები“ დამღუპავს, მაგრამ ამ საცდურს ვერსად ვემალები... ჩემს გასაჭირს ისიც ემატება, რომ უმუშევარი ვარ და იმისათვის, რომ საკუთარი სურვილი თუ მოთხოვნა დავიკმაყოფილო ანუ ვითამაშო, მოპარვა მიწევს. ადრე ქუჩაში გამვლელებს ვძარცვავდი. არასდროს დამავიწყდება ერთი გოგონას თვალები, რომელსაც მკერდიდან ოქროს ჯვარი ჩამოვგლიჯე. სიმართლე გითხრათ, მაშინ ჩემი მსხვერპლი არ შემცოდებია, მაგრამ როცა თავი სამშვიდობოს დავიგულე, მერე გავაცნობიერე, რომ დიდი ცოდვა ჩავიდინე და ის ჯვარი ეკლესიაში წავიღე.

— იმის გამო, რომ გეთამაშა, ბევრი ადამიანი გაგიძარცვავს?

— კი, ძალიან ბევრი. სამწუხაროდ, აზარტით შეპყრობილს, კაცის შეცოდების უნარი არა მაქვს ხოლმე; როცა ვიცი, რომ თანხა ტოტალიზატორში დასადებად მჭირდება, გონება მებინდება და ამ დროს ყველაფერზე წამსვლელი ვარ, შეიძლება კაცს ყელიც კი გამოვჭრა, მაგრამ როცა თანხას ვაგებ ან ვიგებ, მერე ვაანალიზებ, რომ ძალიან ცუდად მოვიქეცი და ღმერთს პატიებასაც ვთხოვ ჩემი შეცოდებისთვის, თუმცა მეორე დღეს ზუსტად ასეთსავე ცოდვას ჩავდივარ; მოგებულ ფულს ისე ვხარჯავ, რომ გემოს ვერ ვატან — ხომ გაგიგონიათ, ქარის მოტანილს ქარივე წაიღებსო? ჰოდა, ზუსტად ასეა ჩემი საქმეც!.. მახსოვს, ერთხელ 2 გოგონას ავედევნე. ისინი ძალიან ჩქარა მიდიოდნენ, ერთ-ერთს ხელჩანთა ისე ჰქონდა ჩაბღუჯული, რომ ვიფიქრე, — მგონი, ავშენდი-მეთქი. ამ გოგონებს სადარბაზოში შევყევი, დანით დავემუქრე და იმას, რომელსაც ჩანთა ჰქონდა ჩაბღუჯული, ხელებში ვეცი, მეორე ხელჩანთის წამოღებაზე კი არც მიფიქრია. რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი თუ არა, მათ წივილ-კივილი ატეხეს და მეც, სირბილით ავუყევი აღმართს. იმ დღეს დიდი შიში ვჭამე. როცა გული დავიმშვიდე, თავი სამშვიდობოს დავიგულე, ჩანთა ხელის კანკალით გავხსენი და... იქ მხოლოდ ფოტოსურათები, ერთი რვეული და საფულე იდო, რომელშიც გოგონას პირადობის მოწმობა ეგდო და ხურდები ჩხრიალებდა. სასაცილოა, არა?

— არა, მე ნამდვილად არ მეცინება...

— ჰო, ალბათ, სასაცილო ნამდვილად არაა, მაგრამ რა ვქნა? — თუ არ მოვიპარე, ფულს ვერ ვიშოვი, რაც იმას ნიშნავს, რომ მოვკვდები!

— შენი აზრით, ფულის შოვნა პატიოსანი გზით არ შეიძლება?

— ადამიანს პატიოსნად ცხოვრება რომ გინდოდეს, ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ამას ვერ შეძლებ. თუ ვიღაცას რაღაცას არ მოჰპარავ, ისე ცხოვრების მოწყობა გაგიჭირდება — ეს ხომ ყველამ იცის, ახალი რა ვთქვი?!

— რომ არ ითამაშო, რა მოხდება?

— ეს ბევრჯერ ვცადე, მაგრამ არაფერი გამომივდა. ბედს მაინც ამ დაწესებულებისკენ მივყავარ!

— შეყვარებული გყავს?

— არა, ქალებისთვის სად მცალია?

— არავის ხვდები?

— არა, 14 წლიდან პაემანი მხოლოდ ტოტალიზატორთან მაქვს — გინდ დაიჯერე, გინდა — არა. პრინციპში, ჩემნაირს ვინ გამოეკიდება?.. რა ვიცი, შესაძლოა, მომავალში ყველაფერი შეიცვალოს და ოჯახის შექმნაზეც ვიფიქრო, მაგრამ ჯერჯერობით, ასეთ სარისკო ნაბიჯს ვერ გადავდგამ.

— სარისკოს — რატომ?

— საკუთარ თავსაც ვერ ვირჩენ და ცოლ-შვილი როგორ უნდა ვარჩინო? ნუთუ, მათაც მოპარული ფულით შეძენილი საჭმელი უნდა ვაჭამო? — ვიცი, არ შეერგებათ! არ მინდა, ჩემ გამო სხვებიც დაიტანჯონ.

— მაგრამ შენ გამო ვიღაცეები ხომ ისედაც იტანჯებიან? — იმ ადამიანებს ვგულისხმობ, რომლებიც გაძარცვე ან მომავალში გაძარცვავ.

— ჰო, მაგრამ ისინი ხომ ჩემი შვილები არ არიან? მერწმუნეთ, ძალიან მინდა, იმ დაავადებისგან განვიკურნო, რომელსაც აზარტი ჰქვია, მაგრამ ეს ჩემს ძალებს აღემატება და ალბათ, ამაში პროფესიონალი ფსიქოლოგიც ვეღარ დამეხმარება... მე მხოლოდ უფლის და მისი მოწყალების იმედიღა მაქვს...

ამ თემაზე მუშაობისას ჩემი ყოფილი რესპონდენტი, 45 წლის ქალბატონი ნანა გამახსენდა, რომელმაც აღიარა, რომ საოცრად აზარტულია და პირადი ცხოვრება ამიტომაც ვერ მოიწყო.

— თავის დროზე, იცით, რას ვთამაშობდი? — ბანქოს და მაგარ „კარტოჟნიკად“ მიცნობდნენ. ერთი პერიოდი, საკუთარი ბიზნესიც კი მქონდა — „კარტოჟნიკებს“ ვამზადებდი, არალეგალური სასწავლებელი გავხსენი და სხვათა შორის, ბევრი მოწაფე მყავდა.

— ეს საქმე თავად ვინ გასწავლათ?

— ბიძამ, რომელიც კანონიერი ქურდი გახლდათ და თავად იშვიათად თამაშობდა... პირველად ქორწილში ვეთამაშე კაცებს და ისინი საფუძვლიანად „გავატყავე“, მერე ჩემი „ზუბი“ ჰქონდათ და სათამაშოდ თავად მიწვევდნენ. ბანქო ვისაც არ უნდა მოეტანა, რაღაცებს მაინც ვახერხებდი და ყველას „ვფცქვნიდი“. ერთხელ, ვიღაც სერიოზული „კარტოჟნიკი“ მომიყვანეს. გარეგნულად კარგი გოგო ვიყავი, ჰოდა, იმ აბდალმა გადაწყვიტა, ჩემი სხეულის სილამაზით დამტკბარიყო. თქვა, — ამ „კრასოტკას“ როგორ ვეთამაშო? ამას ვერ გავაკეთებ, მეცოდებაო. ვუთხარი, — საკუთარი თავი შეიცოდეთ. დარწმუნებული ვარ, თქვენც „ჩახდილს“ გაგიშვებთ-მეთქი. მან შემომთავაზა: შენთან მხოლოდ ერთი პირობით ვითამაშებ. შენი ფული არაფერში მჭირდება, ტანსაცმლის გახდაზე გეთამაშებიო. დავთანხმდი. ბოლოს, როცა ნიფხვის ამარა დარჩა, თამაშის მიტოვება განიზრახა, მაგრამ ამის უფლება არ მივეცი და ბოლოს, როცა გავაშიშვლე, ვაცეკვე კიდეც, მაგრამ თავად ამისთვის არ მიყურებია, ამ სანახობით მხოლოდ კაცებმა იხალისეს.

— თავად არაფრის გახდა არ დაგჭირვებიათ?

— მხოლოდ მაისური გავიხადე...

— ახლაც თამაშობთ?

— ახლა „კარტის“ თამაში მოდაში არაა და ამიტომაც, ფულის საშოვნელად „პოკერებში“ დავდივარ. მოკლედ, „კარტოჟნიკობით“ დავიწყე და „პოკერომანიით“ დავამთავრებ ცხოვრებას.

— ახლა არ მითხრათ, სათამაშო აპარატებსაც ვუგებო.

— თქვენ წარმოიდგინეთ, ფულს აპატარატებსაც ხშირად ვუგებ. ეს ამბავი ყველას აოცებს. ალბათ, იღბლიანი ვარ. მე არასდროს მიმუშავია, თავს ყოველთვის თამაშით ვირჩენდი და დღესაც ასე ვარ.

— ოჯახი არ შეგიქმნიათ?

— იმ კაცს, რომელიც გავაშიშვლე და მერე ვაცეკვე, ცოლად გავყევი, მაგრამ მასთან დიდხანს ვერ გავძელი და მეორედ გავთხოვდი — არც მეორე ქორწინება აღმოჩნდა იღბლიანი. ამის შემდეგ გადავწყვიტე, აღარ გავთხოვილიყავი. ახლა ძალიან განვიცდი იმ ამბავს, რომ შვილი არ მყავს და მარტოობაში ამომხდება სული, მაგრამ

ალბათ, ასე იყო საჭირო. უფალმა იცის, ვის რა უნდა მისცეს და რა — არა. ალბათ, ოჯახი რომ მქონოდა და შვილები მყოლოდა ანუ პირადი ცხოვრება ამეწყო, თამაშში აღარ გამიმართლებდა.

— მერე, თამაშს ის არ სჯობდა, ქმარ-შვილი გყოლოდათ?

— როგორ არ სჯობდა! სხვა თუ არაფერი, სიბერეში წყალს მაინც მომაწოდებდა ვინმე. არა, არ ვწუწუნებ, მე ჩემი ცხოვრებით კმაყოფილი ვარ და უფალს ყველაფრისთვის მადლობას ვუხდი.

— თქვენ ამ ინტერვიუთი გსურთ, თინეიჯერებს „კარტოფუნიკობისა“ ან „პოკერომანიისკენ“ მოუწოდოთ?

— არა, ღმერთმა დამიფაროს, ასეთი აზროვნებისგან. პირიქით, იმიტომ დაგიკავშირდით, რომ მათ ვუთხრა: თუ იღბალი არ გაქვთ, თამაშს შეეშვით, თორემ ერთხელაც, „ბომჟებივით“, ქუჩაში მოგიწევთ ცხოვრება. აი, თუ ყველაფერში გიმარჯლებთ, მაშინ ბედს მიანდვეთ. ბავშვებო, სხვების აყოლა არაფერს გარგებთ. დაფიქრდით, გინდათ კი ისეთი ცხოვრება, როცა თქვენს სიხარულს არავინ გაიზიარებს და ჩემსავით, მარტოობაში აღმოგხდებათ სული?! მოკლედ, სანამ რაიმეს გადაწყვეტთ, კარგად დაფიქრდით. მერწმუნეთ და დაიმახსოვრეთ, მოთამაშეს პირად ცხოვრებაში არასდროს უმართლებს და საბოლოოდ, რამდენიც უნდა მოიგოს, მაინც უბედურია!!!

■

რა არის რომანტიკა



ზოგი ფიქრობს, რომ რომანტიკა მხოლოდ სანთლების შუქია, ზოგი კი შეყვარებულთან ერთად პლაჟზე ხეტიალს მიიჩნევს რომანტიკულ სიტუაციაში ყოფნად, ვიღაც შამპანურით სავსე აუზში ნებივრობაზე ოცნებობს და იმასაც აღნიშნავს, რომ საოცრად ეგოისტს, ასეთი რომანტიკული სიტუაციის სხვისთვის, თუნდაც საყვარელი ადამიანისთვის „გაყოფაც“ კი არ სურს. სასაცილოა, არა?

LALOXSEVER:

„ჩემთვის რომანტიკა ისაა, რომ მასთან ერთად ვიყო, ეგზოტიკურ ადგილას, ზღვის მახლობლად. იქ, სადაც ტალღებისა და მუსიკის ხმა ერთმანეთში ირევა. მინდა, „მუსიკასავით მთვრალები“ ვიყოთ, ვცეკვავდეთ ისე, რომ ვერავის ვამჩნევდეთ... ყვავილი თმაში, ჭიქის ლაწანი და დიიიდიიი კოცნა“.

GHRESHNIK:

„საღამო, მზე ჩასასვლელად ემზადება... ცა წითლადაა შეღებილი. მზე უკანასკნელ მეწამულ სხივებს იკრეფს და ნელ-ნელა ზღვაში ჩასასვენებლად ემზადება... პირველი ვარსკვლავი უკვე ციმციმებს ცაზე.

სანაპიროზე, მოკრძალებულ ბუნგალოში მხოლოდ ორი ადამიანი ზის: ღია ვარდისფერ კაბაში გამოწყობილი მანდილოსანი და შავ შარვალსა და თეთრ პერანგში გამოწყობილი მამაკაცი... შამპანურს ნაზად წრუპავენ და ერთმანეთს თვალებში შესცქერიან... ხმას არც ერთი არ იღებს. ბუნგალოს მაგიდის ნათურის ნაზი შუქი ანათებს... მათ მყუდროებას მხოლოდ ტალღების შრიალი და ნაზი, კლასიკური მუსიკა არღვევს... ცოტა არ იყოს, „სასმელმოკიდებულები“ არიან უკვე... ვაჟი წამოდგება და მანდილოსანს უხმოდ გაუწვდის ხელს. გოგონა მის გამოწვდილ მარჯვენას თავის ნაზ ხელს შეაგებებს და ასევე უხმოდ, მაცდური ღიმილით დასთანხმდება ცეკვაზე... ისინი არიან ორნი, მხოლოდ ორნი და ზღვა. გარშემო მათთვის სულიერი აღარ არსებობს. ისინი გატაცებულები არიან ამ ცეკვით და ირგვლივ მთელი სამყარო მუსიკის ნაზ ხმას გამოსცემს... ცა უკვე ვარსკვლავებით მოიჭედა და მთვარეც ამოცურდა ლაღად ცაზე, ისინი კი თავბრუდამხვევად ცეკვავენ. ვაჟმა მაგიდიდან ერთი ყვავილი აიღო. გოგონას თმა ხელით ნაზად გადაუწია და ლამაზი, მუსიკასავით ნაზი ყვავილი ჩაურჭო... და კვლავ ცეკვა განაგრძეს. ვაჟმა გოგონა მკლავზე გადაიწვინა და თვითონაც ოდნავ მოიხარა წელში. გოგონა ვაჟის ძლიერ მკლავს მიენდო და თვალებდახუჭულმა შეასრულა ეს მოძრაობა. ვაჟმა ნელა, ნაზად აკოცა გოგონას ვარდისფრად მოელვარე ტუჩებს და ნელ-ნელა გასწორდნენ წელში... ეს კოცნა გოგოსთვის მოულოდნელი იყო, მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწევია. მათი ტუჩები მეორედაც შეეხნენ ერთმანეთს და ტანში მხურვალე, ახალდაღვინებული ბადაგივით მათრობელა ჟრუანტელმა დაუარა ორივეს... პირველი ნაწილის დასასრული.

ნაწილი მეორე:

მათი მყუდროება მიმტანის ხმამ დაარღვია.

— ბარი იკეტება. აი, თქვენი ანგარიში, — თქვა მიმტანმა, მაგიდაზე მუყაოსყდიანი, ორად მოკეცილი მენიუ დადო და უკან გაბრუნდა... ჰო, ვიცი, რომ დამპალი ვარ, მაგრამ მეორე ნაწილს ყურადღებას ნუ მიაქცევთ :))“.

CHERVA:

„დაახლოებით თვე-ნახევრის წინ ერთ ქალს შევხვდი და სად წავიდეთ-მეთქი? — ვკითხე. — არ ვიცი, შენ აირჩიეო და იმ CERVAS გაუსკდეს მიწა და შიგ ჩაენარცხოს, თუ „ნაბერეჟზე“, „პივნოიში“ არ წამეყვანოს... აგია სიმონ რომანტიკა, ჩახუტება, მეობა და ამბაააავი“.

HONEY:

„ღამეა. თოვს. ქუჩები განათებულია. მივდივართ მარტონი და ვუახლოვდებით ქალაქის ცენტში აღმართულ უშველებელ ნაძვისხეს (დაახლოებით, 12 იანვარია) და მეხუტება, ყურში ჩამჩურჩულებს: ყოველთვის მინდოდა შენთან ერთად მეცეკვა ნაძვისხის წინ, როცა თოვს.

და... ის ხელს მკიდებს და ჩვენ ვიწყებთ ცეკვას, მუსიკის გარეშე... კარგი იყო... ეს გახლდათ ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე რომანტიკული ღამე... მაგრამ მან მალევე ჩაალაგა თავისი ჩანთა და გაფრინდა აშშ-ში და ვინ იცის, როდის ჩამოვა ან ჩამოვა კი საერთოდ?..“

GIMME:

„რა მინდა ჩემს საყვარელ ადამიანთან ერთად?

ზამთარში — დიიიდი თოვლი, თბილი სახლი, ბუხარი, სიწყნარე.

ზაფხულში — ზღვის პირას მარტონი რომ ვიყოთ და მზის ჩასვლის ვყუროთ.

გაზაფხულზე — შხაპუნა წვიმაში ხეტიალი.

შემოდგომაზე — შემოდგომაზე კაი ქორწილი“.

AN1:

„ჩემთვის რომანტიკა მარტო ყოფნაა, სხვის გვერდით თავს რომანტიკულად ვერ ვგრძნობ. ეს უფრო კრეტინობაა, მე თუ მკითხავ და ამიტომაც მაღიზიანებს. მირჩევნია, მარტო ვუყურო ვარსკვლავებს და ვიფიქრო საკუთარ თავზე. უჰ, რა ეგოისტი ვარ!“

ნინო877:

„ბევრი ვარიანტი მაქვს:

1. მზიანი დღე, ის და მე — მანქანაში... მძღოლი მე ვარ, ის ისვენებს... მინდორი, ცოტა ხეები... ვშლი სუფრას, სადაც ვდებ 2 ბოთლ წითელ ღვინოს — მისი საკუთარი ვენახიდან, პატარა ბუტერბროდებს და სხვა წვრილმან რაღაცებს... ვეფიცხები მზეს და კარგად შემთვრალს მეძინება... მეღვიძება და ბეჭებში ტკივილს ვგრძნობ. ის ტელეფონში „სნეიკს“ თამაშობს, სუფრაზე კი ჭიანჭველები დაბოდიალობენ... ვგრძნობ, რომ აშკარად, რომელიღაც მწერებს ვყავარ დაკბენილი, სახეც მეწვის — ეტყობა მზის სხივებმა დამწვა... ჰოდა, ამაზე მეტი რომანტიკა რა გინდა?!. ო, არა ვარ, რა, ეს რომანტიკოსი და ვინმე თუ მომიწყობს რომანტიკულ სიტუაციას, კარგი იქნება“.

მალი-მალი:

„ზამთარია. გარეთ თოვს, ბარდნის და ყველაფერი გადათეთრებულია. ხის პატარა სახლში ბუხარი ანთია და თბილა. ბუხრის წინ დათვის ტყავია გაშლილი და მასზე ორნი ვზივართ... და მხოლოდ ანთებული ბუხრიდან გამომავალი მკრთალი შუქი ანათებს ოთახს...“

■

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

ხიდისთავს შევჯრათ პირობა

ხიდისთავს შევჯრათ პირობა, ჩვენ გავხდეთ ღვიძლი ძმანიო;
ჩავუხდეთ მუხრან-ბატონსა, თავს დავანგრიოთ ბანიო;
რაც რომა ჰქონდეს, წავართოთ თვალ-მარგალიტი, ლალიო;
შავიდეთ, გამოვიყვანოთ, თვალჟეჟენ თეთრი ქალიო;
ქალი, რა ქალი, ქალიო, ჯოჭამდის სცემდეს თმანიო;
თმანი, რა თმანი, თმანიო, შვიდჯეცი, შვიდი მხარიო;
ესხას ოქროს საყურენი, უჭრიალებდეს ქარიო;
ამას ამბობდნენ: „ნეტავი, არ მამაშორა თვალნიო".
არაბულ ცხენზე შემოვსვათ, წელს შემოვარტყათ ხმალიო;
საჩიხის ქუდი დავხუროთ, შიგ ჩავუჯეცოთ თმანიო;
სამი ისეთი ვაჯოცოთ, ლოყას ავაძროთ ტყვაიო,
საგარეჯოში ჩავიდეთ, იქ დავიწეროთ ჯვარიო;
შვიდი დღე და შვიდი ღამე იქ მოვალხინოთ ჯარიო.

ხალხური

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

ვ

დასაწყისი იხ. „გზა", №2-28

დარჯაკი — ლითონის ჩამოსასხმელი ყალიბი.

დასტა სპ. — 1. კონა, შეკვრა; 2. აღმოსავლური მუსიკალური საკრავების დამკვრელთა მცირე დასი, ანსამბლი; 3. დასი, ჯგუფი, გუნდი, რაზმი.

დასტამბო სპ. — ნესვის სახესხვაობა; ნაყოფი ჩვეულებრივ პატარაა, მრგვალი ზოლიანი, მეტად სურნელოვანი, მაგრამ ნაკლებად ტკბილი (სინონიმი პუმპულა).

დასტაქარი სპ. (ძვ. და წიგნ.) — იგივეა, რაც ქირურგი.

დასტური (ძვ.) — ფშავ-ხევსურეთში — ხატის მსახური, რომელსაც ლუდის ხარშვა ევალებოდა სალოცავში. იგი დეკანოზს ეხმარებოდა აგრეთვე საკლავის დაკვლასა და ხორცის განაწილებაში.

დაფალნული — რასაც ძველი რამ აფარია.

დაფარნა (ეკლ.) — ბარძიმ-ფეშხუმის დასაფარებელი ქსოვილი (ზოგჯერ ნაქარგი).

დაფიონი (წიგნ.) — ცის კიდურის ალისფრად შეღებვა მზის ამოსვლის წინ; განთიადი.

დაქიმითებული (საუბ.) — ძალიან დამშეული ან მოწყურებული; სასმელს ან საჭმელს დახარბებული.

დაყაჭავს (საუბ.) — 1. ფულს ამოიღებს, ფულს ჩამოვა (სურვილის წინააღმდეგ); 2. გადატ. ყველაფერს იტყვის, გაამჟღავნებს.

დაშაშრული — დასერილი; დახეთქილი.

დაშნა — მოკლე სწორი ხმალი.

დახლაბურთი — ერთგვარი საბავშვო ბურთის თამაში.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გრიგოლ რობაქიძე

„ჩემი ნატვრაა: როცა მე ამსოფლად აღარ ვიქნები, მოდიოდეს ვინმე ქართველი დედა ყოველ წელს, მცხეთას, წიფობის, ჩემი დაბადების თვეში, სანთელს აანთებდეს და პაწა სალოცავის წინ და ლოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს, მეტს არასა ვთხოვ საქართველოს“.

ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ქართული და გერმანული ფსიქოლოგიური რომანის ერთ-ერთი ფუძემდებელი. დაიბადა 1882 წლის 28 ოქტომბერს, სოფელ სვირში, მაშინდელ ქუთაისის გუბერნიაში. ქუთაისის გიმნაზიის დასრულების შემდეგ, ჯერ ტარტუს უნივერსიტეტში (ესტონეთი) სწავლობდა, შემდეგ კი ლაიფციგის უნივერსიტეტი ფილოსოფიის დოქტორის ხარისხით დაასრულა. გრიგოლი საქართველოში 1908 წელს დაბრუნდა და ქართველ სიმბოლისტთა ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი და 1915 წელს „ცისფერყანწელების“ ერთ-ერთი დამფუძნებელიც გახდა... 1917 წელს კი რობაქიძის აქტიური მონაწილეობით საქართველოს მწერალთა კავშირი დაარსდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში (1918-1921) იგი აქტიურად მონაწილეობდა დამოუკიდებელი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ ცხოვრებაში... ბოლშევიკური

რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის შემდეგ (1921 წლის თებერვალ-მარტი) გრიგოლ რობაქიძე აქტიურად ჩაება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რისთვისაც ბოლშევიკურ-კომუნისტური იდეოლოგიის წარმომადგენელთა მხრიდან მუდმივად დევნას განიცდიდა. 1931 წლიდან გარდაცვალებამდე პოლიტიკური ემიგრანტი გახლდათ: 1946 წლამდე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გერმანიაში, ხოლო 1946 წლიდან — შვეიცარიაში. იგი ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მოღვაწე გახლდათ. 1942 წელს მისი უშუალო მოღვაწეობით, ემიგრაციაში ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი დაარსდა. რობაქიძე ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი იყო... მწერლის პროზაზე უდიდესი გავლენა იქონია ფრიდრიხ ნიცშეს ნაშრომებმა. მის შემოქმედებას სხვადასხვა დროს უმაღლესი შეფასებები მისცეს: შტეფან ცვაიგმა, რომენ როლანმა და მსოფლიო ლიტერატურის სხვა გამოჩენილმა წარმომადგენლებმა. საერთაშორისო აღიარება მოიპოვა მისმა რომანებმა: „გველის პერანგი“, „დემონი და მითოსი“, „ჩაკლული სული“, „გრაალის მცველნი“... ასევე დიდი პოპულარობა მოიპოვა გერმანულ და სხვა ენებზე რამდენჯერმე გამოცემულმა მისმა კრებულმა — „კავკასიური ნოველები“. რობაქიძე არჩეული იყო ევროპის რამდენიმე ლიტერატურული საზოგადოების წევრად... 1960-იანი წლების დამდეგს გადაწყვეტილი იყო მისი წარდგენა, ლიტერატურის დარგში, ნობელის პრემიაზე, რასაც ხელი შეუშალა მწერლის გარდაცვალებამ. გრიგოლ რობაქიძე 1962 წლის 19 ნოემბერს ქალაქ ჟენევაში გარდაიცვალა და იქვე დაიკრძალა. ხოლო 1976 წელს ქართველი ემიგრანტების — ნინო და კალისტრატე სალიების თაოსნობით, საფრანგეთში, ლევილის სასაფლაოზე გადაასვენეს. მისი ბინა პოლიციამ დალუქა, არქივი კი ლიკვიდაციას შვეიცარიელი მეგობრების ძალისხმევით გადაურჩა. ■

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“ №24

რუსუდან ბერიძე

— კარგი... დავუშვათ, მათემატიკა, ფიზიკა და ქიმია ზუსტი მეცნიერებებია და გარკვეულ ცოდნას მოითხოვს, მაგრამ ავიღოთ, ხატვა, ნუთუ აქაც გამორჩეული იყო?

— თქვენ წარმოიდგინეთ, კი, ვახტანგი ხატვითაც შესანიშნავად ხატავდა. მისი ნახატები არაერთ სასკოლო გამოფენაზე მინახავს და მართალი გითხრათ, ყოველთვის გაოგნებული ვრჩებოდი. ის კი არა და, ამ საკითხზე ხატვის მასწავლებელსაც კი ველაპარაკე და იცით, რა მითხრა?

— ???

— ვახტანგმა ნებისმიერი ხილული გამოსახულების მქონე საგნის ქაღალდზე გადატანის საკუთარი მათემატიკური მოდელი შეიმუშავაო.

— აი, ეს მესმის! — ლაშამ გაოცება ვეღარ დამალა. — რისი მოწმე აღარ გავმხდარვარ, მაგრამ ვინმეს რომ მათემატიკის დახმარებით ეხატა, ნამდვილად პირველად მესმის. და თუ მართლა ასე იყო, არეშიძე საერთოდაც ხატვას რატომ არ გაჰყვა?

— სხვათა შორის, მას ეს კითხვა ხატვის მასწავლებელმაც დაუსვა და იცით, რა უპასუხა?

— ???

— ამის გაკეთებას ხომ ნებისმიერი სულელი შეძლებსო.

— დაუჯერებელია.

— მესმის თქვენი, მაგრამ ყველაფერი ზუსტად ასე იყო.

— ის რატომღა მითხარით, რომ არეშიძე მარტო მოსწავლეებს კი არა, მასწავლებლებსაც არ უყვარდათო? ვახტანგი ხომ კარგად სწავლობდა, რასაც მასწავლებლები მხოლოდ უნდა მისალმებოდნენ. თუ მათაც ეუხეშებოდა?

— არა, აქამდე საქმე ნამდვილად არ მიდიოდა.

— მაშ, რა იყო მიზეზი?

— თავად კი ვერ ხვდებით? — მასწავლებელმა ლაშას თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა.

— ვერა.

— არადა, აქ ყველაფერი ბევრად უფრო მარტივად ასახსნელია: ის თითოეულ ჩვენგანზე უფრო ჭკვიანი იყო, რასაც ყველანი შესანიშნავად ვხვდებოდით. არეშიძეს ისეთი ფორმულების მათემატიკური გამოანგარიშებების, ანდა, თეორემების ისეთი მტკიცებულებების შექმნა შეეძლო, რომელთა მსგავსის პოვნაც მხოლოდ სამეცნიერო გამოცემებში, ანდა უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებში თუ შეიძლებოდა. და ჩვენი მასწავლებლების უმეტესობამ მათი არსებობის შესახებ საერთოდაც არაფერი იცოდა. ასეთი რამ უბრალოდ არ იყო სასკოლო პროგრამაში. თავიდან ზოგიერთი მასწავლებელი არეშიძის „მიგნებებს“ კრიტიკულად ხვდებოდა და მასთან კამათსაც ცდილობდა. მაგრამ ვახტანგი ინფორმაციის ისეთი ნაკადით პასუხობდა, ისეთ სამეცნიერო სტატიებსა და გამოცემებს იშველიებდა და, თან, ისე დეტალურად უთითებდა, თუ ვინ, სად და როდის გამოაქვეყნა ესა თუ ის ინფორმაცია, რომ საბოლოოდ ყველა იბნეოდა და ხელებს გაოცებით შლიდა.

— მოკლედ, ერთგვარ ბოროტ გენიოსთან გქონიათ საქმე...

— დიახ, მართლაც ასე იყო. მის გამო ბევრმა მასწავლებელმა სკოლაც კი დატოვა.

— ისე, ამ ადამიანმა, მეც მაგარი თავსატეხი გამიჩინა... — თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა შეფიქრიანებულმა ლაშამ.

— არ ვიცი, ვახტანგზე რას დაწერთ, მაგრამ ძალიან გთხოვთ, მე არ მახსენოთ. — თითქმის შეევედრა მასწავლებელი.

ლაფაურმა მასწავლებელს თხოვნის შესრულების მტკიცე პირობა მისცა, სასწრაფოდ გამოემშვიდობა და მიღებული ინფორმაციის გადასახარშად შინისკენ გასწია.

ბინის კარი შეაღო თუ არა, ტელეფონიც მაშინვე აწკრიალდა.

— სად დაიკარგეთ? — გაისმა ყურმილში ისიდორეს უკმაყოფილო ხმა. — მთელი დღე ვერაფრით მოგიხელთეთ.

— არ დავკარგულვარ. უბრალოდ, თქვენს დავალებას ვასრულებდი.

— რომელ დავალებას?

— ისიც კი აღარ გახსოვთ, რა დამავალეთ? არეშიძეს ვეძებდი.

— სად, თბილისში?

— აბა, რას მიბრძანებთ, იქნებ, დასავლეთ ციმბირში გავემგზავრო მის საძებნელად?

— მე ეგ არ მითქვამს, მაგრამ არა მგონია, ის კაცი მთლად ასე ყურისძირში იყოს.

— არც მე მგონია, მაგრამ სამაგიეროდ, სწორედ თბილისშია თითქმის ყველა ის ადამიანი, ვისაც ჩემი არეშიძის კვალზე დაყენება შეუძლია.

— კარგი, როგორც გინდათ, ისე მოიქეცით, მაგრამ უთუოდ ყველაფრის კურსში უნდა ჩამაყენოთ.

— როგორც მიბრძანებთ... — ხმაში ირონია გამოურია ისიდორეს დამოძღვრით გაღიზიანებულმა ლაშამ.

— ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა, რისთვისაც დაგირეკეთ.

— არა მგონია, ასე მარტივად რამე გავიწყდებოდეთ. — „კბენას“ განაგრძობდა ლაშა.

— გირაოსთან დაკავშირებული დოკუმენტები უკვე გაფორმებულია, — მაინც არაფერი შეიმჩნია ისიდორემ, — ასე რომ, გირჩევთ, კარგად დაიმახსოვროთ ხელშეკრულების ის პუნქტი, სადაც სრულიად გარკვევით წერია — თუ რა გელით ჩვენი დავალების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

— ისედაც შესანიშნავად მახსოვს. — ყურმილი გამეტებით დახეთქა უსახლკარობის პერსპექტივის შეხსენებით წონასწორობიდან საბოლოოდ გამოსულმა ლაშამ.

სამი დღის შემდეგ ტატას ზარიც გაისმა.

— ყველაფერი კარგადაა, ლაშიკო. შესანიშნავად მოვეწყეთ. ჩემი ბიჭი თელავივში, კლინიკაში დააწვინეს და ახლა ოპერაციისთვის ამზადებენ. ამას, ალბათ, ორი-სამი კვირა მაინც დასჭირდება, — მხიარულად ჟღურტულებდა ქალი.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ ორივეს!

ლაშა ტატას კმაყოფილი დაემშვიდობა. მართალია, ეს ქალი არ ეპიტნავებოდა, მაგრამ მოხარული იყო, რომ მისი შვილის დახმარება შეძლო.

დადებითი ინფორმაციით წახალისებული ლაფაური რის ვაი-ვაგლახით მოპოვებულ, ვახტანგ არეშიძის თანაკლასელების, თანაკურსელებისა და ყოფილი კოლეგების სიას ჩაუჯდა. ამ სიაში მყოფთა დიდი ნაწილი უკვე სხვა-

დასხვა ქალაქსა თუ სოფელში იყო მიმოფანტული, თუმცა რამდენიმე კაცი თბილისშიც აღმოჩნდა. მათგან ლაშამ, პირველ რიგში, არეშიძის თანაკლასელ კოტე კოტრიკაძეზე შეაჩერა არჩევანი. გათვლა მარტივი იყო: კოტრიკაძე არეშიძეებთან ყველაზე ახლოს ცხოვრობდა.

— ესე იგი, ჟურნალისტი ხართ, ხომ? — მაღალი, ხმელ-ხმელი მამაკაცი კარგა ხანს ჩაჰკირკიტებდა ლაშას ჟურნალისტის მოწმობას. — ჩემგან რაღა გინდათ?

— ვახტანგ არეშიძეზე ვაგროვებ ინფორმაციას და ვიფიქრე, დამეხმარებოდით. იმედია, ეს ადამიანი კარგად გახსოვთ...

— არეშიძე? — კეფა მოიფხანა შეფიქრიანებულმა კოტემ. — როგორ არ მახსოვს. ალბათ, უკვე ძალიან დიდი კაცია, სახელგანთქმული მეცნიერი. თუმცა კარგა ხანია, მასზე საერთოდ აღარაფერი მსმენია.

— მე თქვენი სკოლის წლები მაინტერესებს.

— ჰოოო... ბედნიერი წლები იყო... ყველანი ძალიან ახალგაზრდები ვიყავით, 16-17 წლისანი... თუმცა ვახო ჯერ ცამეტისაც კი არ იყო...

— და ეს სულ არ გეჩოთირებოდათ?

— მაინც, რა?

— არეშიძე თქვენზე ამდენით უმცროსი რომ იყო და თქვენს დონეზე კი სწავლობდა.

— ჩვენს დონეზეო? — გაეღიმა კოტეს. — ვახოს უკვე მაშინ შეეძლო, ყველა ერთად ჩავესვით ჯიბეში. ვუნდერკინდს ეძახდნენ. ჩვენ კიდევ რა, თქვენ მასწავლებლები უნდა გენახათ, მისი როგორ ეშინოდათ.

— ეშინოდათ?

— აბა, რა... კაცმა არ იცოდა, როდის რას „მოჩორტავდა“.

— მაინც, რას?

— ერთხელ, მაგალითად, მათემატიკის მასწავლებელმა დაფასთან რომელიღაც თეორემის დასამტკიცებლად გაიძახა. ჰოდა, ვახოც ადგა და დაუმტკიცა.

— მერედა, ამაში გასაკვირი რა რის?

— ის, რომ ეს მტკიცებულება მსოფლიოს არც ერთ მათემატიკის სახელმძღვანელოში არ აღმოჩნდა. არადა, ყველაფერი სწორად გააკეთა და მასწავლებელიც ვერაფერზე მიედავა. უბრალოდ, გაკვეთილების შემდეგ სკოლის ბიბლიოთეკაში გაქანდა და მსგავსი მტკიცებულების ამაო ძებნაში კინაღამ თავზე დაათენდა.

— საბოლოოდ, რით დამთავრდა ეს ისტორია?

— მათემატიკის მასწავლებელმა მტკიცებულება მეცნიერებათა აკადემიას გადაუგზავნა, საიდანაც სამსახურში ოფიციალური მიწვევა მოუვიდა. აკადემიის ოფიციალურ წერილში შავით თეთრზე ეწერა, რომ მოცემული თეორემის ასეთი ამოხსნა მათემატიკის სფეროში თითქმის მსოფლიო დონის აღმოჩენას უტოლდებაო.

— ამის შემდეგ რაღა ქნა თქვენმა მათემატიკის მასწავლებელმა?

— განცხადება დაწერა და სკოლიდან წავიდა. იქ, სადაც მოსწავლეები მასწავლებლებს ასწავლიან, არაფერი მესაქმებაო.

— მდაა, მართლა მაგარი ვინმე უნდა იყოს ეს თქვენი ვახო თუ ვახუნა. ისე კლასში ვინმეს ემეგობრებოდა, ანდა, უბრალოდ ენდობოდა, მაინც?

— არა. ყოველთვის მარტო იყო. ბიჭები რომ ფეხბურთს ვთამაშობდით ან კინოში მივდიოდით, ის სახლში რჩებოდა და წიგნებს ჩაჰკირკიტებდა.

— რა წიგნებს?

— სამეცნიერო წიგნებს.

— უცნაურია...

— სულაც, არა. უბრალოდ ბიჭს მეცნიერებაზე ტვინი ეღრძო. ეს იყო და ეს.

— სკოლის შემდეგ აღარ შეხვედრიხართ?

— არა. თუმცა მგონი, ერთხელ კი მოვკარი თვალი.

— მგონი თუ მართლა?

— თავს ვერ დავდებ. ეს ამბავი სკოლის დამთავრებიდან კარგა ხნის შემდეგ მოხდა და ალბათ, ყველანი ძალიან შევიცვალეთ...

— და მაინც...

— ერთხელაც, მანქანით თავისუფლების მოედნისკენ მივდიოდი და ვხედავ, მეტროს შესასვლელთან დგას ადამიანი, რომელიც ვახტანგს ძალიან ჰგავდა. მანქანა გავაჩერე და დავუძახე, მაგრამ მამაკაცი მაშინვე მეტროს ვესტიბიულში გაუჩინარდა. მართალი გითხრათ, ძალიან გამიკვირდა, მაგრამ არ კი გამოვდევნებივარ. ვიფიქრე, უბრალოდ მივამსგავსე-მეთქი.

— შეიძლება, მართლაც ასე იყო. შემთხვევით მისი ფოტო ხომ არ შემოგრჩათ?

— კი, როგორ არა, მაგრამ მე და ჩემმა ცოლმა ძველი ნივთები, მათ შორის ფოტოებიც, აგარაკზე წავიღეთ. კვირის ბოლოს თუ შემოივლით, ვეცდები, მოგიძებნოთ.

— მოვილაპარაკეთ.

ლაშას სტუმრობიდან რამდენიმე დღის შემდეგ, არეშიძეების ბინის კარზე ზარი ისევ დარეკეს.

— ეს კიდევ ვინ უნდა იყოს? — უკმაყოფილო ხმით წამოიძახა მარომ, რომელიც მოულოდნელმა ზარმა საყვარელი მექსიკური სერიალის ყურებას მოსწყვიტა.

— ვახტანგ არეშიძე აქ ცხოვრობს? — მოისმა კარს იქით მამაკაცის სასიამოვნო ხმა.

— ცხოვრობს, მაგრამ ახლა აქ არ არის, — უპასუხა მარომ, თან, კარი ოდნავ გამოაღო და წარმოსადეგი ახალგაზრდა მამაკაცი დაინახა.

— მაშ, ვის შეიძლება, მის შესახებ დაველაპარაკო? — თავაზიანად ჰკითხა მამაკაცმა და, თან, ისე თვალისმომჭრელად გაიღიმა, რომ მაროს გული უმალ მოულბო.

— ალბათ, შენც გაზეთიდან ხარ, ხომ?

— გაზეთიდან?.. ა, დიახ, ჟურნალ — „მეცნიერება და ბიზნესიდან“. ჩემამდე აქ უკვე იყო ვინმე?

— იყო რომელია? ტვინი კი არ გამომიღო... რა აღარ მკითხა... — უმალ ყოვლისმცოდნის მანტია მოირგო მარომ და, თან, სტუმარი შინ შეიპატიჟა.

— ა, თურმე რა ყოფილა, — შეფიქრიანდა მამაკაცი, — თუმცა, პრინციპში, გასაგებია. დღეს ხომ მეცნიერების მიმართ საზოგადოების ინტერესი განუხრელად იზრდება. მაინც რა აინტერესებდა იმ ადამიანს? რას გეკითხებოდათ არეშიძეებზე?

— ყველაფერი აინტერესებდა: როგორ ცხოვრობენ, ვისთან ამხანაგობენ, რას ჭამენ და სვამენ...

— მეც იგივე მაინტერესებს. ძალიან დამავალებთ, თუ დაწვრილებით მიამბობთ ყველაფერს.

კოტე კოტრიკაძის შემდეგ ჯერი არეშიძის ყოფილ კოლეგა ამირან ხერხეულიძეზე მიდგა.

— არეშიძე? როგორ არ მახსოვს. მე და ვახტანგი ხომ მთელი ორი წელი გვერდიგვერდ ვმუშაობდით. ასპირანტურაშიც ერთად ვსწავლობდით. ოღონდ, მერე მე აქ, კათედრაზე დავრჩი, ვახტანგი კი რუსეთში გადაბარგდა. არც გაემტყუნებოდა: აქ მის იდეებს ნამდვილად არ ექნებოდა გასაქანი... ისე, მაინც რაშია საქმე, არეშიძით ასე ყველა ერთად რატომ დაინტერესდით? —

დაეჭვებით მიაშტერდა ლაშას მკაცრ შავ კოსტიუმში გამოწყობილი საშუალო ასაკის თმაშევერცხლილი მამაკაცი.

— როგორ? — გაუკვირდა ლაშას. — არეშიძით სხვებიც დაინტერესდნენ?

— კი. და, თანაც, სულ რაღაც გუშინწინ.

— მართლა?.. მაინც რისი გაგება უნდოდათ?

— ყველაფრის. რას აკეთებდა, ვისთან მეგობრობდა, რა ფერის ჰალსტუხს ატარებდა, ვისთან ეძინა... რაღაც ძალიან უცნაურია ეს ყველაფერი.

— ის ადამიანი როგორ გაგეცნოთ?

— მითხრა, ჟურნალ „მეცნიერება და ბიზნესიდან“ ვარო.

— პირადობის დამადასტურებელი რაიმე საბუთი თუ გაჩვენათ?

— არა. თუმცა, მართალი გითხრათ, არც მე მომითხოვია... ისე, მოყოლითაც ბევრი არაფერი მომიყოლია. მე და ვახტანგს მხოლოდ სამუშაო გვქონდა საერთო. განსაკუთრებული მეგობრობა კი ნამდვილად არ გვაკავშირებდა.

— ბოლოს როდის ნახეთ?

— ასე, ორი წლის წინ. დიახ, ეს ნამდვილად ორი წლის წინ იყო. მე მაშინ სტოკჰოლმიდან ვბრუნდებოდი და ერთმანეთს აეროპორტში შევხვდით. ისე, რაღაც უცნაურად კი იქცეოდა. თავიდან ვითომ ვერ მიცნო, მაგრამ როცა დავუძახე, — ძალიან მეჩქარებაო, — ჩაიბურტყუნა და ზურგი შემაქცია. აღარც მე მივძალებივარ. როგორც უკვე გითხარით, მე და ვახტანგს დიდი სიახლოვე ნამდვილად არ გვაკავშირებდა.

— მართლა საერთოდ არ ჰყავდა მეგობრები?

— შეიძლება, ჰყავდა კიდეც, მაგრამ მე მათ შესახებ არაფერი მსმენია.

— დავიჯერო, ქალებშიც კი არ დადიოდა?

— ბევრ გოგონას მოსწონდა, მაგრამ რამდენადაც ვიცი, ყველა მათი მცდელობა სრული კრახით მთავრდებოდა. თუმცა...

— რა თუმცა?

— იყო ერთი გოგონა, ლალი პეტრიაშვილი, მაშინ ჯერ კიდევ სტუდენტი. მას ვახტანგი მართლაც თავდავიწყებით უყვარდა.

— ხვდებოდნენ ერთმანეთს?

— ერთი ორჯერ ერთად კი დავინახე, მაგრამ ერთმანეთს ხვდებოდნენ-მეთქი, მაინც ვერ ვიტყვი. ისე, შეგიძლიათ, ეს თავად ლალის ჰკითხოთ. ის ახლა ტექნიკურ უნივერსიტეტში ასწავლის და ხანდახან ჩვენთანაც შემოირბენს ხოლმე.

ლაშამ ბლოკნოტში ლალი პეტრიაშვილის კოორდინატები ჩაინიშნა.

— კონკრეტულად მაინც რაზე მუშაობდა არეშიძე?

— გამუდმებით რაკეტები აბოდებდა. უნივერსალური რეაქტიული ძრავას შექმნაზე ოცნებობდა. პირობები რომ ჰქონოდა, შექმნიდა კიდეც, იმიტომ, რომ თავი კი არა, მხრებზე ნამდვილი კომპიუტერი ედგა. განსაკუთრებულ ნიჭთან ერთად, უნივერსალური მახსოვრობაც ჰქონდა. მის თავში თავმოყრილ ინფორმაციას მგონი, ერთი დიდი ბიბლიოთეკაც კი ვერ დაიტევდა.

— კოლეგებთან როგორი ურთიერთობა ჰქონდა?

— ძალიან რთული. არეშიძე ნებისმიერ ჩვენგანზე უფრო ჭკვიანი და ნიჭიერი იყო და ამის ხაზგასმას არასდროს ერიდებოდა. დიდი თავაზიანობით ნამდვილად არ გამოირჩეოდა და კოლეგებს ნებისმიერი, თვით უმნიშვნელო შეცდომისთვისაც კი მკაცრად აკრიტიკებდა. მაგრამ, იმათ, ვინც მის ინტელექტუალურ დონეს ოდნავ მაინც უახლოვდებოდა, მეტ-ნაკლებად რბილად ექცეოდა.

— ის თუ გსმენიათ, ახლა სად არის?

ასპირანტურის შემდეგ ჩვენი გზები გაიყო და არანაირი ურთიერთობა აღარ გვქონია, თუმცა ხმებს თუ დავუჯერებთ, როგორც მეცნიერი, ძალიან წინ წავიდა, რაც მე პირადად სულაც არ მიკვირს. ისე, სხვებიც ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, თუმცა მის მიმართ თბილი გრძნობები ნაკლებად ჰქონდათ.

— თქვენ?

— მე არეშიძის საწინააღმდეგო ნამდვილად არაფერი მქონდა, მაგრამ ცოტა უცნაური კი მეჩვენებოდა.

— და რაში გამოიხატებოდა მისი უცნაურობა?

— როგორ გითხრათ... თუნდაც იმაში, რომ საკუთარ სამეცნიერო აღმოჩენებს საერთოდ არ აფასებდა და არც უფრთხილდებოდა. ვახტანგი მათ თითქოს ისე, სხვათა შორის აკეთებდა. თავში ათეულობით ახალი სამეცნიერო იდეა მოსდიოდა, რომელიც უამრავი კვალიფიციური დისერტაციის დასაწერად იკმარებდა. მეტიც, მის თითოეულ იდეაზე, ცხადია, სამეცნიერო დამუშავების შემდეგ, სერიოზული სამეცნიერო კარიერის გაკეთებაც კი სულ თავისუფლად შეიძლებოდა. მაგრამ ვახტანგს თავისი იდეები საერთოდ არ აინტერესებდა და აქეთ-იქით დაუდევრად არიგებდა. ბევრმა ჩემმა კოლეგამ სწორედ მისი იდეების წყალობით მოიხვეჭა სახელი.

— იქნებ, უბრალოდ, ალტრუისტი იყო?

— შეიძლება. თუმცა პირადად მე მეჩვენებოდა, რომ არეშიძე საკუთარ თავს იმდენად დიდ და გლობალურ ამოცანებს უყენებდა, რომლებთან შედარებითაც მის „გვერდით“ სამეცნიერო აღმოჩენებს მნიშვნელობა საერთოდ არ ჰქონდა.

— ძალიან დიდი მადლობა ესოდენ ამომწურავი ინფორმაციისთვის. — ხელი ჩამოართვა ლაშამ ამირან ხერხეულიძეს.

— მიხარია, რომ დაგეხმარეთ, — გაუღიმა ამირანმა, — ისე, თავიდანვე გიცანით, თუმცა წვერმა საკმაოდ შეგცვალათ...

ლალი პეტრიაშვილს ლაშა უნივერსიტეტის შესასვლელთან შეხვდა.

— ნეტავ, ვახო რამ გაგახსენათ? უკვე იმდენი წელია გასული. — ჟურნალისტის წინ სიმსუქნეშეპარული, ლამაზი ნაკვთებიანი, სასიამოვნო ხმის მქონე შავგვრემანი ქალი იდგა.

სასაუბროდ იქვე მდებარე სკვერში გადაინაცვლეს.

— ეს უკეთესიც კია, რომ დიდი დრო გავიდა, — გაუღიმა ლაშამ ქალს. — ტყუილად როდი ამბობენ, დრო ყველაფერს თავის ადგილს უჩენსო.

— მართალი ხართ. ახლა ვხვდები, რა სულელი ვიყავი, არეშიძეს რომ კუდში დავდევდი. ის კი ბერლინის კედელივით მიუდგომელი იყო.

— მაგრამ ბერლინის კედელი, ბოლოს და ბოლოს, ხომ მაინც დაანგრიეს, — იხუმრა ლაშამ.

— მეც თითქოს კედელს ვანგრევდი, როგორმე მისი იოტისოდენა ყურადღება მაინც რომ დამემსახურებინა.

— დაიმსახურეთ?

— არა. უბრალოდ დრო დავკარე. მას, მეცნიერების გარდა, საერთოდ, არავინ და არაფერი აინტერესებდა.

— თუმცა ერთად მაინც გხედავდნენ...

— რა სისულელეა... ეს მხოლოდ ერთხელ იყო, როცა ვუთხარი, რომ სახლში ინგლისურიდან ნათარგმნი ის სამეცნიერო სტატია მაქვს, შენ რომ ასე გჭირდება-მეთქი. ამ გზით მისი სახლში შეტყუება მინდოდა.

— მოახერხეთ?

ქალს სიმწრით გაეღიმა:

— მოხერხებით კი მოვახერხე, მაგრამ როგორც კი სტატია ხელში ჩაიგდო, არც კი დამშვიდობებია, გარეთ ისე გავარდა. მას შემდეგ ერთმანეთი აღარ გვინახავს.

— თანაგიგრძნობთ.

— არ ღირს... ამ გადასახედიდან კიდეც მიხარია, რომ ყველაფერი ასე დასრულდა. ვახოს ხელში ჩაგდება მაინც რომ მომეხერხებინა, ჩემი ცხოვრება ნამდვილ ჯოჯოხეთად გადაიქცეოდა: მეცნიერებაზე შეშლილის ცოლობა მხოლოდ ასეთსავე შეშლილს თუ შეუძლია.

შინ დაბრუნებულმა ლაშამ სწრაფად წაიხემსა, შემდეგ სავარძელში მოხერხებულად მოეწყო და დიქტოფონი ჩართო. „ადამიანის საქციელს რომ რამე გაუგო, სულ მცირე, მისი ფსქოლოგიური პორტრეტი მაინც უნდა გქონდეს“, — მიაჩნდა ლაფაურს და ასეთი ზოგადი პორტრეტი თითქმის უკვე ხელთაც ჰქონდა. მართალია, ამ პორტრეტის შექმნაში ძირითადად ის ადამიანები დაეხმარნენ, რომლებიც არეშიძეს მრავალი წლის წინ იცნობდნენ, მაგრამ ლაშას მაინც იმედი ჰქონდა, რომ მას შემდეგ მეცნიერის ხასიათი დიდად არ შეიცვლებოდა. ჩანაწერის კიდევ ერთხელ მოსმენის შემდეგ, ლაფაურმა ბლოკნოტში არეშიძეზე შემდეგი რამ ჩაწერა:

„ზედმიწევნით ჭკვიანი, განათლებული, მიზანსწრაფული, პატივმოყვარე, მარტოსული და გულჩახვეულია. სრულიად გულგრილია ჭამა-სმის, ქალების, ჩაცმა-დახურვისა და სხვა მიწიერი სიამოვნებებისადმი. დიდი სიყვარული თვით უახლოეს ნათესავებთანაც კი არ აკავშირებს. მისი ერთადერთი ჭეშმარიტი „ტრფობის“ ობიექტი მეცნიერებაა. ბოლო დრომდე განსაკუთრებით სარაკეტო დანადგარებით, უფრო ზუსტად კი

მათი რეაქტიული ძრავებით იყო გატაცებული“.

— მოგესალმებით, ქალბატონო, კოტეს ნახვა მინდოდა.

— კოტე აღარ არის...

— ბატონო?

— კოტე გარდაიცვალა. მისი ცოლი, უფრო სწორად კი უკვე ქვრივი ვარ...

ლაშა შავებში ჩაცმულ სანდომიან ქალს გაოგნებული მიაშტერდა:

— ძალიან ვწუხვარ და თანაგრძნობთ... მაგრამ ჩვენ ხომ სულ რამდენიმე დღის წინ ვნახეთ ერთმანეთი... — მაინც რა მოხდა?

— მანქანით მოდიოდა და უცბად გულმა დაარტყა. გუშინ დავასაფლავეთ. თქვენ ალბათ, მისი მეგობარი ხართ?

— არა, უბრალოდ შეხვედრა გვქონდა დათქმული. თავისი სკოლის დროინდელი ფოტოები უნდა ეჩვენებინა. მითხრა, აგარაკზე მაქვსო...

— აგარაკიც აღარ გვაქვს, — მწარედ გაეღიმა ქალს, — დაიწვა. ხომ გაგიგონიათ, ჭირმა ჭირი იცისო...

ლაშა ქუჩაში დათრგუნვილი გავიდა: სულ რამდენიმე დღის წინ სრულიად საღ-სალამათ ადამიანს ელაპარაკებოდა და ახლა...

ლაფაურმა გაიხსენა, რომ არეშიძეები მივლინებიდან უკვე უნდა დაბრუნებულიყვნენ და სასწრაფოდ მათი სახლისკენ გასწია: მშობლებზე უკეთ (თუნდაც ისინი დედობილ-მამობილი ყოფილიყვნენ) ხომ ვახტანგს ვერავინ გააცნობდა და დაუხასიათებდა. ლაშა ნაცნობ კიბეს კიდევ ერთხელ აუყვა და მალე არეშიძეების კარზეც დარეკა. საკეტმა სწრაფად გაიჩხაკუნა და ზღურბლზე მოხუცი მელოტი მამაკაცი გამოჩნდა, რომელსაც სახლის ჩუსტები და ხალათი ეცვა.

— ვინ გნებავთ, ახალგაზრდავ? — პირქუშად ჰკითხა მან დაუპატიჟებელ სტუმარს.

— თქვენ ალბათ, ბატონი ლევანი ბრძანდებით... — ლაშამ ჟურნალისტის მოწმობა ამოიღო. — ჩემი გვარია ლაფაური, ალბათ, გსმენიათ?

— შეიძლება, მსმენია კიდეც. — კვლავ უნდოდ მიუგო მამაკაცმა. — მაინც რა გნებავთ?

— თქვენს შვილზე, ვახტანგზე მინდოდა დალაპარაკება.

— ეს რა არაჯანსაღი ინტერესია. რა ყველას ერთად გაგახსენდით?! ამდენი ჟურნალისტი ჩემს სახლში ცხოვრებაში არ მინახავს, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა მამაკაცმა.

— ესე იგი, ჩემამდე ვიღაც უკვე იყო თქვენთან?

— იყო. მაგრამ არც მისთვის და არც თქვენთვის სათქმელი არაფერი მაქვს.

— ეგ როგორ? საკუთარ შვილზე მოსაყოლი არაფერი გაქვთ?

— დიახ, არაფრის მოყოლას არ ვაპირებ. და საერთოდ, არ მიყვარს, როცა ვიღაც-ვიღაცები ადამიანებს სულში უცერემონიოდ უძვრებიან და თვით მათ ბინძურ თეთრეულში ქექვასაც კი არ თაკილობენ, ოღონდ საკუთარ პოპულარობას რაღაც შემატონ. საერთოდ ვერ ვიტან ჟურნალისტებს.

— სულ ტყუილად, ბატონო ლევან. თქვენს შვილზე წიგნის დაწერას ვაპირებთ და ვფიქრობ, თქვენ ამაში პირველი უნდა გვეხმარებოდეთ. ის მაინც მითხარით, მისი ნახვა სად შეიძლება. ინტერვიუს თავად მისგან ავიღებ.

— მართლა გინდათ მისი ნახვა? — თვალები უცნაურად მოჭუტა ლევან არეშიძემ.

— რა თქმა უნდა.

— კარგი...

ლაშამ მისამართის ჩასაწერად ბლოკნოტი მოიმარჯვა.

— ჩაწერა არ დაგჭირდებათ. ის ადგილი უამისოდაც კარგად უნდა იცოდეთ, — პროფესორი გაფაციცებულ ჟურნალისტს უკვე ერთგვარი ზიზღითაც კი შესცქეროდა.

— კარგი, მითხარით, დავიმახსოვრებ.

— უბრალო მისამართია: მუხათგვერდის სასაფლაო.

— რაო?... — ლაშას გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა. — კი, მაგრამ როგორ?.. როდის?.. არ მესმის, ეს როგორ უნდა მომხდარიყო...

— მე კი ის არ მესმის, რა არის აქ გაუგებარი? ვახტანგი აღარ არის. უკვე ერთი წელია, რაც ქუთაისთან ახლოს, ავიაკატასტროფაში დაიღუპა. ამაზე თითქმის ყველა გაზეთი წერდა და ჟურნალისტს არაფერი გსმენიათ?

— მაგ კატასტროფის შესახებ როგორ არ მსმენია, მაგრამ... მაგრამ ეს მაინც შეუძლებელია, — სათქმელს თავს ვეღარაფრით უყრიდა ლაშა.

— სავსებით შესაძლებელია. — უფროსი არეშიძე მცირე ხნით ოთახში შებრუნდა და უკან რაღაც ფურცლით დაბრუნდა.

— აი, ინებეთ და თავად დარწმუნდით. მეცნიერმა ლაშას ორად მოკეცილი ფურცელი გაუწოდა.

— ეს რა არის? — ჰკითხა ლაშამ, რომელიც ფურცლის გაშლას არ ჩქარობდა.

— ჩემი შვილის გარდაცვალების ცნობა.

ლაშამ ფურცელი გაშალა და ნაწერს თვალით სწრაფად გადაურბინა.

— მაგრამ აქ არეშიძე კი არა, არაბიძე წერია.

— ეს უბრალოდ შეცდომაა. როცა კატასტროფის ადგილზე ვახტანგის პასპორტი იპოვეს, ის იმდენად იყო დაზიანებული, რომ გვარი კარგად ვერ ამოიკითხეს. თუმცა სხვა მონაცემები შედარებით ადვილად გაარჩიეს და ჩვენც ასე მოგვაგნეს.

— და ის ნამდვილად მუხათგვერდშია დასაფლავებული? — საქმის ასეთ მოულოდნელ შემობრუნებას მაინც ვერაფრით შეჰგუებოდა ლაფაური.

— ნამდვილად. შეგიძლიათ, საფლავიც საკუთარი თვალით ნახოთ. კიდევ



გაინტერესებთ რამე?

— არა, გმადლობთ, ჩემთვის ყველაფერი გასაგებია. — ფურცელი ისევ მეცნიერს დაუბრუნა ლაშამ. — მაგრამ იქნებ, თქვენი მეუღლე...

— ელენე თავს კარგად ვერ გრძნობდა და სამკურნალოდ საზღვარგარეთ დარჩა.

ამის შემდეგ ლაშას კარი ცხვირწინ მოუხურეს.

არეშიძეებისგან წამოსული ლაშა მათი სახლის წინ, პატარა სკვერში იჯდა და ფიქრს მისცემოდა. მას ვერაფრით აეხსნა, რატომ არაფერი იცოდა არეშიძის სიკვდილის შესახებ ფირმამ, რომელმაც მეცნიერის მოსაძებნად დაიქირავა. შეიძლება, ყველაფერი მის გვართან დაკავშირებული შეცდომის ბრალი ყოფილიყო, მაგრამ განა, „ომეგას“ ამ საკითხის ბოლომდე გარკვევა გაუჭირდებოდა? ლაშა ქვეცნობიერად გრძნობდა, რომ მთელ ამ უცნაურ ამბავში რაღაც უცნაური ხრიკიც იყო და სიტუაციის ახსნას ყველა ფაქტისა და გარემოების საფუძვლიანი ანალიზით ცდილობდა: „ის, რომ არეშიძე დოკუმენტების მიხედვით მკვდარია, „ომეგას“ წარმომადგენლებს უთუოდ უნდა სცოდნოდათ, — დაასკვნა მან, — მაგრამ მაშინ რატომღა დამავალეს მისი მოძებნა? გამოდის, რომ ისინი, სიკვდილის ცნობის მიუხედავად, მაინც დარწმუნებულნი არიან, რომ არეშიძე ცოცხალია და ამიტომაც აგრძელებენ მის ძებნას. მაგრამ არეშიძის მამა რატომღა ირწმუნება, შვილი მომიკვდაო? აქ ნამდვილად რაღაც საიდუმლო იმალება. ამიტომაც, პირველ რიგში, „ომეგას“ წარმომადგენელს უნდა დაველაპარაკო. თუმცა, მანამდე სასაფლაოზე უნდა წავიდე და საკუთარი თვალით ვნახო, ვახტანგ არეშიძის საფლავი იქ ნამდვილად არის თუ — არა“.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„სტერვა“, რომელმაც სხვის ბედნიერებაზე იზრუნა

მარი ჯაფარიძე

დასასვენებლად ზღვაზე იყო წასული. პლაჟზე იწვა, ტალღებს უყურებდა. თურქები ტუჩებს ილოკავდნენ და თითებით ყურებს ისრესდნენ. ირმას მამაკაცების ყურადღება შეუმჩნეველი არ რჩებოდა; ხვდებოდა, რომ მოსწონდათ, მაგრამ ისინი მისთვის მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლები იყვნენ და მეტი არაფერი. უკვე 4 წელი იყო, რაც ერთადერთ მამაკაცად და მომავალი შვილების მამად მერაბი მიაჩნდა. ის ირმაზე 7 წლით უფროსი იყო — თავდაჯერებული, „საშინლად“ სერიოზული, მზრუნველი და მოსიყვარულე.

მერაბი მეგობრის ქმრის დაბადების დღეზე გაიცნო. მას არ უთქვამს ჩვეულებრივი ფრაზები — „მოდი, შეეხვდეთ“; „შაბათს გცალია?“ უბრალოდ, მათ შორის ნაპერწკალი გაკრთა... შემდეგ იყო გრძელი და ლამაზი საღამო და ბედნიერების 4 წელი.

მერე ყველა მასზე ლაპარაკობდა — ისინიც კი, ვინც ირმას მეგობრად მიაჩნდა: „ბედი გაეხსნა... სოფლელი გოგოსგან დედოფლად გადაიქცა... გაუმართლა, ტალახიდან სასახლეში ამოყო თავი“...

არადა, მერაბთან შეხვედრამდეც არ ყოფილა ტალახში. თავისი ცხოვრების გზას მშვიდად მიუყვებოდა და ყოველთვის იცოდა, რა უნდოდა.

მართალია, მერაბმა გაცნობიდან 1 თვის შემდეგ მანქანა აჩუქა; მართალია, როდესაც ავარია მოახდინა და ახალთახალი ავტო დალეწა, მერაბმა ისევ აჩუქა კიდევ ერთი, მაგრამ ეს 35-ათასიანი ჯიპი რომ არა, განა მაინც მერაბის გვერდით არ იქნებოდა? გრძნობას ფული ვერ შეედრება.

ირმამ ზუსტად იცოდა, რომ მერაბი სანტექნიკოსიც რომ ყოფილიყო, ასევე ეყვარებოდა.

გამოიძახებდა, „ონკანი გამიფუჭდა“, — ეტყოდა.

ის მოვიდოდა, ირმა თვალებში ჩახედავდა და ქალი მათში ჩაიძირებოდა. მაგრამ მერაბი სანტექნიკოსი არ იყო — მას სერიოზული ბიზნესი ჰქონდა.

აი, ის კიევში გაფრინდა, ირმა კი ხმელთაშუა ზღვაზე წავიდა. პლაჟზე იწვა და თურქების მზერას იგერიებდა, როდესაც ტელეფონმა დარეკა. ინგა იყო. დის პირველივე სიტყვებიდან მიხვდა, რომ რაღაც მოხდა.

— ირმა, კარგად ისვენებ?

— კი, აქ ძალიან კარგია.

— ჰოდა, შენ ისვენებ, აქ კი... მოკლედ, მერაბს საყვარელი ჰყავს... ქალი გაიჩინა. გაიგე?

ვერ გაიგო... დის სიტყვებმა სამყარო თავზე დაამხო. ცივი წყალივით გადაესხა თავზე.

— შენ რა იცი? — ირმა თავის ხელში აყვანას ცდილობდა.

— ვიცი! იდიოტია ეგ შენი მერაბი! როდის ჩამოდიხარ?

— ხვალ... დღეს...

ირმა სასტუმროში გავარდა. შეჩერდა. სიგარეტს მოუკიდა. დაურეკოს მერაბს? რა უთხრას? ჰკითხოს, როგორაა? თუ უბრალოდ, ბარგი ჩაალაგოს და გაემგზავროს? აზრები გაურბოდა, ეფანტებოდა, შემდეგ ჭიაყელებივით ისევ თავში უძვრებოდა და გონებას უბინდავდა. ამ მდგომარეობიდან ტელეფონის ხმამ გამოიყვანა. მერაბი რეკავდა.

— გამარჯობა, — რაც შეიძლებოდა, მშვიდად უპასუხა.

— რამდენის უფლებას აძლევს თავს შენი და?! — მამაკაცი ძალიან გაბრაზებული ჩანდა.

— რა მოხდა?

— დამირეკა და ცოტა უცნაური ტონით მელაპარაკა. თავს ამდენის უფლებას არ უნდა აძლევდეს! ხომ არ იცი, ეს რას ნიშნავს?

— მისთვის უნდა გეკითხა.

წამიერი დუმილი:

— ირმა, რა მოხდა?

— არაფერი მომხდარა. შენკენ ყველაფერი კარგადაა?

— არაა კარგად, რადგან შენი და არანორმალურად მელაპარაკა. მოკლედ, თუ რამე გაქვს სათქმელი, მითხარი. არაფერი გაქვს სათქმელი? მაშინ კარგად იყავი. მაპატიე, რომ შეგაწუხე.

— კარგად.

ირმამ ტელეფონი გათიშა.

იმ დღესვე ვერ გაფრინდა, მაგრამ მეორე დღეს, 12 საათზე უკვე ტაქსიში იჯდა და აეროპორტიდან თბილისისკენ მიიჩქაროდა.

დიდხანს იფიქრა და გადაწყვიტა, არც სკანდალი აეტეხა და არც საქმის გარჩევა დაეწყო. ახლა დას შეხვდება და გაარკვევს, რა მოხდა. შემდეგ კი ვითარების მიხედვით იმოქმედებს. თუ მერაბმა მართლაც, რამე დააშავა, მასთან აღარ იცხოვრებს. ირმას მისი სჯეროდა. ახლაც სჯერა.

ინგა ძალიან ნერვიულობდა.

— სიგარეტი მომეცი, — გაუწოდა ხელი. მოუკიდა, ჩააქრო, ნერვიულად ჩასრისა საფერფლეში.

— ეს დამთხვევა არ არის, ასეთი დამთხვევები არ არსებობს!

ინგა ირმას უმცროსი დაა. მათ შორის 10 წელია სხვაობა. მხიარული გოგოა, უამრავი მეგობარი ჰყავს. ერთ საღამოს მეგობრებთან ერთად ბარში იჯდა. მათ კომპანიას ახალგაზრდა, უცნობი გოგონა შეუერთდა — ქრისტინე. ინგა მას პირველად ხედავდა. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი მეგობრის თანაკლასელი ყოფილა.

— ჩვენ კარის მეზობლებიც ვართ, — წარუდგინა ქრისტინე დანარჩენებს.

ქრისტინე კარგად გამოიყურებოდა, გამომწვევად ეცვა. მაგარი მანიკიური, გადასარევი მაკიაჟი... ბოკალს 2 თითით იღებდა და ვნებიანი ტუჩებით ოდნავ ეხებოდა. მოკლედ, ეფექტური ქალი იყო. როგორ ჩანს, ქრისტინე რომანტიკულ განწყობილებაზე იყო და გოგონებთან გულის გადაშლა გადაწყვიტა.

— იცით, შესაძლოა, ბედნიერება შორიახლოს, აქვეა და ვერც კი ვამჩნევთ.

— აბა, სად? — დემონსტრაციულად მიმოიხედა ერთ-ერთმა გოგონამ. — რაღაც, ვერ ვხედავ.

— აქვე, ახლოს. მთავარია, დაინახო. ან შენ უნდა დაინახო, ან სხვამ უნდა დაგინახოს, — ქრისტინემ მომხიბლავად გაიღიმა.

— მოჰყევი, ვინ დაგინახა.

— მოგიყვებით. ჩვენ უკვე 2 კვირაა, ერთად ვართ. ის მდიდარი და ლამაზია და ჩემზე ჭკუას კარგავს. მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ვერ შევემჩნიე?! გვერდით ჩაევლო — თვითონაც და ბედნიერებასაც...

ქრისტინემ მხრები ისე შეარხია, ყველამ ნათლად წარმოიდგინა, როგორ ეხვეოდა ეს მდიდარი და ლამაზი მამაკაცი; რა ბედნიერად გრძნობს თავს და როგორი რომანტიკული ურთიერთობა აქვს მასთან.

— სად გაიცანი?

— სად და — ოფისში.

— შენი უფროსია? — ჩაუსტვინა ერთ-ერთმა გოგონამ.

— არა, ჩემი უფროსის მეგობარია. ჩვენთან ხშირად მოდის და ერთხელაც — ბუჰ! და — მორჩა: დამინახა და შევუყვარდი! მანამდეც ყოველ მეორე დღეს მხედავდა, მაგრამ ყურადღებას არ მაქცევდა. ერთხელ კი... მოჯადოებულივით შედგა... თვალებდაჭყეტილი მიყურებდა... „გამარჯობა, რა ლამაზი ხარ!“ — და ა.შ. შესაძლოა, ცუდად მოვიქეცი, მაგრამ პირველი სექსი იმ საღამოსვე გვქონდა.

— ალბათ პირდაპირ ოფისში, არა? — ირონიულად ჩაიცინა ქრისტინეს პირდაპირ მჯდომმა გოგონამ.

— არა, ოფისში არა. თუმცა ის ამის წინააღმდეგი სულაც არ იქნებოდა, — გადაიხარხარა ქრისტინემ, — არ გაგეცინოთ — მის მანქანაში...

— რომანტიკულია, — სკეპტიკურად შენიშნა ინგამ.

ის უკვე წასვლას აპირებდა, მაგრამ ქრისტინეს მომდევნო ფრაზამ შეაჩერა:

— იცით, რამხელა მანქანა ჰყავს?! უზარმაზარი! სასტუმრო ოთახივითაა... და ნომერი?! ისეთი მაგარი ნომერი აქვს!..

— რა ჰქვია?

— მერაბი.

ინგამ ნერწყვი ხმაურით გადაყლაპა.

— ერთმანეთს სად ხვდებით? მასთან სახლში?

— არა, ჩემს სახლში ან სასტუმროში.

ქრისტინე კიდევ დიდხანს ლაპარა-

კობდა იმის შესახებ, თუ როგორ უყვარს მერაბს, როგორ ატარებს ხელისგულზე, რა საალერსო სიტყვებს ეუბნება...

ინგა მხოლოდ ერთ მამაკაცს იცნობდა, ვის მანქანასაც ის ნომერი ჰქონდა, რომელიც ქრისტინემ დაასახელა. მანქანა რომ ნამდვილად მერაბისი იყო, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ იქნებ ძმაკაცს ათხოვა?.. მაგრამ იმ ძმაკაცსაც მერაბი ჰქვია?.. და მაინც, იქნებ ეს მხოლოდ დამთხვევაა? არა, ასეთი დამთხვევა არ არსებობს! გამორიცხულია!

ამის შემდეგ მერაბს დაურეკა.

— როგორ ხარ? ირმას გარეშე ხომ არ მოიწყინე? გრიალებ, არა?

— შენ რა, მთვრალი ხარ? — მშვიდად ჰკითხა მამაკაცმა.

— არა, ფხიზელი ვარ. შენ?

კიდევ ბევრი რამე უთხრა და ბევრის თქმასაც აპირებდა, მაგრამ მერაბმა აღარ მოუსმინა და ტელეფონი გათიშა.

ირმა სამზარეულოში იჯდა და ლამის მეასე ღერს ეწეოდა.

— უნდა დაველაპარაკო.

— უნდა დაელაპარაკო, აუცილებლად უნდა დაელაპარაკო! — ინგას თვალებზე ცრემლი ჰქონდა მომდგარი.

საუბარი შედგა. ირმა სულ დაიბნა. თუ მანამდე შეგუებული იყო მომხდარს და მზად იყო, მერაბისთვის ეთქვა — „მშვიდობით“, ხანმოკლე საუბრის შემდეგ სულ დაეფანტა აზრები.

— ირმა, წარმოდგენა არა მაქვს, რაზე მელაპარაკები.

მამაკაცი თვალებში უყურებდა, მზერას უსწორებდა და ირმას ვერ გაეგო, როგორ შეიძლებოდა, ამ ადამიანს ტყუილი ეთქვა.

— ინგა ამის გამო მირეკავდა? — საოცარი სიმშვიდით ჰკითხა. — ეს მან გითხრა? ტელეფონი რატომ გამორთე? ირმა, შენ გელაპარაკები!

— მერაბ, თუ შენ ახლა მატყუებ, მაშინ ვიფიქრებ, რომ არ გიცნობ და არც გიცნობდი. ახლა რატომღაც შენი მჯერა. რა უნდა ვქნათ?

— შენს დასთან წავიდეთ, — მშვიდი ხმით თქვა და დაამატა: — შენ ჩემთვის ძვირფასი ხარ. მართლა ძალიან მიყვარხარ. წინააღმდეგ შემთხვევაში გეტყოდი, რომ სულელი ხარ, რადგან ეს სიგიჟე დაიჯერე, და სამუდამოდ დაგშორდებოდი.

— წავიდეთ.

როგორც კი ინგამ მერაბს ქრისტინეს გარეგნობა აღუწერა, მამაკაცი მაშინვე მიხვდა, ვისზე იყო ლაპარაკი. ინგა ქრისტინეზე ლაპარაკობდა და მერაბს თვალებით ბურღავდა. მერაბისთვის კი სულერთი იყო. გულიანად გაიცინა.

— ფუ, შენი! — ჩაილაპარაკა შემდეგ. — წავიდეთ, ირმა, ახლა უკვე ვიცი, ვისზეა ლაპარაკი.

— ახლა წავიდეთ და ვკითხოთ იმ ქრისტინეს, საიდან მოიგონა ეს ზღაპრები, — უთხრა მამაკაცმა, როდესაც მანქანაში ჩასხდნენ.

— შენ წადი, მე კი შინ მიმიყვანე, დავიღალე. ხომ არ დაგავიწყდა, ნამგზავრი რომ ვარ? თანაც, ქალური გარჩევები არ არის საჭირო. არც შენ გიყვარს ასეთი რაღაცები. ასე არაა?

— მართალია, არ მიყვარს, ქალები მამაკაცის გამო საქმეებს რომ არჩევენ, მაგრამ მე გთხოვ, ჩემთან ერთად წამოხვიდე. მანქანაში დამელოდე.

როდესაც მერაბი მეგობრის ოფისის კარს მიღმა გაუჩინარდა, ირმას ეჭვმა დარია ხელი. სურვილი გაუჩნდა, ყველაფერში თავად დარწმუნებულიყო. მანქანიდან უყოყმანოდ გადმოვიდა და შენობისკენ გაეშურა. თუმცა ფეხები უკან რჩებოდა და სინდისის ქენჯნა აწუხებდა.

ქრისტინემ მხრები ისე შეარხია, ყველამ ნათლად წარმოიდგინა, როგორ ეხვეოდა ეს მდიდარი და ლამაზი მამაკაცი; რა ბედნიერად გრძნობს თავს და როგორი რომანტიკული ურთიერთობა აქვს მასთან.

„ამ ერთხელ შევამოწმებ, დავრწმუნდები, რომ არ მატყუებს და მერე მასში ეჭვი არასოდეს შემეპარება. ვიცი, რომ არასწორი იქნება, მაგრამ ამას ჩემი სიმშვიდისთვის ვაკეთებ“, — ფიქრობდა და თან კიბეზე ფეხაკრეფით ადიოდა.

— გამარჯობა, ბატონო მერაბ, — ოფისის მისაღებში მჯდარი ქრისტინე ღიმილით შეეგება მამაკაცს, — რაღაც, დიდი ხანია, არ გამოჩენილხართ.

შესასვლელთან, კედელზე აკრულ ირმას ყველაფერი მკაფიოდ ესმოდა.

მერაბმა გოგონას ყურადღებით ახედ-დახედა.

— გამარჯობა. ერთი კითხვა მაქვს: ხომ ვერ მეტყვი, მე და შენ მანქანაში სექსი ხშირად გვაქვს?

— ბა-ტო-ნო?! — ქრისტინეს თვალები ლამის ბუდიდან გადმოუცვივდა.

— ძალიან სასაცილოდ გამოიყურები ახლა, — გაიცინა მერაბმა, — მითხარი, რაში გჭირდება ასეთი ტყუილის მოგონება?

— მე... მე...

— კარგი, ახლა მიპატიებია, სხვა დროს კი ასეთ საშინელ ამბებს სხვებს ნუ მოუყვები, კარგი? თუ არ დამიჯერებ, ძალიან გავბრაზდები. ისე განვრისხდები, რომ შესაძლოა, სამსახურიც კი დაგაკარგვინო. გამიგე, ქრისტინე?

— დიახ, — გოგონა ერთიანად კანკალებდა.

— შეფს უთხარი, რომ შენთან შემოვიარე... ჰმ... პირად საკითხზე, — მერაბმა ხმამაღლა გაიცინა.

ამ სიტყვების გაგონებისთანავე ირმა კიბეზე დაეშვა. მერაბის დაბრუნებამდე მანქანაში ჩაჯდომაც მოასწრო. საკუთარი საქციელის შერცხვა — ახლა სინდისი ქენჯნიდა, მაგრამ სამაგიეროდ, ეჭვი აღარ ღრღნიდა და თავს გაცილებით უკეთ გრძნობდა.

როგორც კი მერაბი გავიდა, ქრისტინე ტუალეტში გავარდა, კარი შეიკეტა და ტირილი აუვარდა. თვითონაც არ იცოდა, რატომ მოიგონა ასეთი ტყუილი. იქნებ სურდა, მეგობრები შურით გამსკდარიყვნენ?.. ან იქნებ მართლაც წარმოიდგინა თავი მერაბის საყვარლად?.. ახლა უკვე ყველაფერი სულერთი იყო. ის ტუალეტში იჯდა და გათხაპნილ მაკიაჟს არარად დაგიდევდათ. კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. ქრისტინემ გაიცინა. ისტერიკა ეწყებოდა.

— ირმა, ახლა ამის დრო არა მაქვს. არ მცალია, გესმის? — მამაკაცი ცდილობდა, ქალისთვის აეხსნა, რომ მისი დრო განაწილებული იყო და მისი სამსახურში მიუსვლელობა არ შეიძლებოდა.

— უცნაურად მეჩვენება ამ სიტყვების გაგონება იმ ადამიანისგან, ვინც თვითმფრინავში ზის და საქორწინო მოგზაურობაში ლონდონში მიემგზავრება. ეს ყველაფერი მანამდე უნდა გეთქვა, სანამ დაქორწინებას შემომთავაზებდი ან უკიდურეს შემთხვევაში — სანამ თვითმფრინავი აფრინდებოდა. თანაც, არ დაგავიწყდეს, რომ რაღაც მიზეზების გამო შვებულებით ბოლომდე ვერ ვისარგებლე, ხმელთაშუა ზღვის სანაპირო მივატოვე და „ადუღებულ“ თბილისში დაბრუნდი. თუმცა ამ „რაღაც მიზეზების“ მადლიერი ვარ იმისთვის, რომ, როგორც იქნა, მე და შენ ცოლ-ქმარი გავხდით.

— ეს „რაღაც მიზეზი“ ქრისტინე კი არა, ის პატარა არსებაა, რომელიც აი, აქ ზის და ჩვენთან ერთად ლონდონში მოფრინავს, — მამაკაცმა ხელი მუცელზე დააადო და საყვარელ ქალს გაუღიმა.

ილუმინატორში პატარა სახლები და ოთხკუთხედად დაყოფილი მიწის ნაკვეთები გამოჩნდა...

■

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“, №14-28

სალომე დაზაფრული შეჰყურებდა მის წინ მდგომ ხელებგამოშვერილ მამაკაცს... მაგრამ მისი შიში არ გამართლდა. ვაკომ, იმის მაგივრად, რომ ყელში სწვდომოდა, გოგონას ხელები თავზე შემოაჭდო, ძლიერად მოუჭირა და აიძულა, მისთვის თვალებში შეეხედა.

— შენ იცი, რომ ჯოჯოხეთში მოხვდები? — გველის სისინივით გაისმა მისი ხმა.

— რა თავაზიანობაა შენი მხრიდან, — სიმწრით გაეღიმა სალის, — დიდი მადლობა ასეთი „კეთილი სურვილისთვის“, მაგრამ რატომღაც, მგონია, ჩვენ ორიდან, იქ პირველი შენ აღმოჩნდები, — დინჯად, ყოველგვარი აღელვების გარეშე ჩაილაპარაკა და თავადაც გაუკვირდა, საიდან იპოვა ძალა, წონასწორობა არ დაეკარგა.

ვაკომ ხელები შეუშვა, ორი ნაბიჯით უკან დაიხია და ისე ხმამაღლა ამოისუნთქა, თითქოს ამდენ ხანს სუნთქვა ჰქონოდა შეკავებული.

„ამას ჰქვია, ბოლი ამოუშვა“, — გაიფიქრა გოგონამ, — „ალბათ რა ძალიან უნდოდა ახლა ამის გაკეთება“.

— რაც გინდა, ის თქვი, მაგრამ ერთი რამ კარგად დაიმახსოვრე! ასე ადვილად აქედან ვერ წახვალ! ამის უფლებას არ მოგცემ. ჩვენ სერიოზული სალაპარაკო გვაქვს, რაღაც შეთანხმებამდე აუცილებლად უნდა მივიდეთ.

— შეთანხმებამდე? ჰაჰ! — გაცინების იმიტაცია გამოუვიდა სალის. — ნუთუ ეს შესაძლებელია? — ცინიკურად იკითხა და თითები თავზე მოისვა, სწორედ იმ ადგილას, სადაც მამაკაცმა წაუჭირა.

— ბავშვზე უნდა დავფიქრდეთ, — ცივად წარმოთქვა ვაკომ და „მოსისხლე მტერს“ მრავლისმთქმელი მზერა მიაპყრო.

სალომემ წარბები შეყარა და გაოცებისგან ენაჩავარდნილი დაელოდა, კიდევ რას იტყოდა მამაკაცი. იგი აქამდე იმდენად გაუცნობიერებლად იქცეოდა, ვერ მიხვდებოდი, მეორე წუთში რას მოიმოქმედებდა. ახლა კი, ბევრად მშვიდად გამოიყურებოდა. ვერც კი წარმოედგინა, ისეთი რა უნდა შეეთავაზებინა მამაკაცს, რომ სიტუაცია განემუხტა და მისთვის ესოდენ მძიმე პრობლემა მსუბუქად მოეგვარებინა. განა, რა უნდა უთხრას ისეთი, რომ ორივესთვის მისაღები იყოს? აქ დარჩი, ბავშვი გააჩინე და დაგეხმარებიო? არამც და არამც! მისთვის შეიძლება, ასე სჯობია, მაგრამ — არა სალისთვის! თუკი იგი თბილისში დარჩება, დარწმუნებულია, რომ ვაკო სისხლს გაუშრობს, ცხოვრებას ჯოჯოხეთად უქცევს.

ვაკომ ხელები ზურგზე შემოიწყო, თავი დახარა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. ბოლო რამდენიმე წუთის განმავლობაში თითქოს ათი წლით დაბერდა... სალომე დამცინავი მზერით თვალს აყოლებდა აქეთ-იქით მოარულ თავის „ოცნების პრინცს“, მაგრამ სიბრალული არ განუცდია.

და აი, თითქოს გადამწყვეტი მომენტი დადგა! გოგონა მიხვდა, რომ ვაკომ გადაწყვეტილება მიიღო. იგი მოულოდნელად შეჩერდა, მხრებში გაიმართა და მოიხედა. მისი ანთებული თვალები გოგონას მკაცრად მიაჩერდა.

— მე მინდა, ცოლად გამომყვე! —

მაღალჭერიან სივრცეში ეს სიტყვები მეხის გავარდნასავით გაისმა. სალომეს ჯერ სუნქვა შეეკრა, მერე კი ნერწყვი სასულეში გადასცდა და ხველა აუტყდა. იგრძნო, ცივმა ოფლმა როგორ დაუცვარა შუბლი, მკერდის ღარი, ხელისგულები... მუხლებში სისუსტე მოეძალა... რეტდასხმულს მხოლოდ გონება უმუშავებდა, ცივად და მოუსვენრად. თვალებში შეშფოთება მკვეთრად შეეტყო. სიტუაციის ასეთ შემოტრიალებას არ ელოდა. რა ჩაიფიქრა? იქნებ ისიც კი თქვას, გრძნობამ კვლავ გაილვიძა ჩემშიო? ეს ხომ აბსურდია! ანა, შეიძლება, ბავშვი იმ ატმოსფეროში გაიზარდოს, სადაც ცოლი და ქმარი ერთმანეთს იქნებიან გადამტერებულნი? შეუძლებელია! ახლა რომ სიყვარულის ახსნა დაუწყოს... ჰმ... რამდენს დასცინებს, ნეტავ, იცოდეს! არა, არა, ეს კაცი, როგორც ჩანს, მთლად საღ გონებაზე ვერ უნდა იყოს!

სანამ ამ ყველაფერს გაიაზრებდა, გული გამალებით უცემდა. რამდენიმე წამის შემდეგ, როგორც იქნა, ამოისუნთქა და ნერწყვი ფრთხილად გადაყლაპა.

— გაიგე, რაც გითხარი? მისმენდი? — მკვეთრად გაისმა ვაკოს ხმა.

— ჰო, — ძლივს გასაგონი ჩურჩულით უპასუხა.

— მე სასწრაფოდ დავიწყებ მზადებას... ხვალვე.

— მოიცა! — ოდნავ აუწია ხმას გოგონამ.

— რა? რამე გინდოდა გეთქვა? — ვაკომ ირიბად გამოხედა.

— მე ამის გაკეთება არ შემიძლია.

— რას ნიშნავს, არ შეგიძლია? — მოიქუფრა მამაკაცი. — ეს ერთადერთი გამოსავალია. თუ ვერ აცნობიერებ ამას, მე ვაცნობიერებ... და, სხვათა შორის, ერთადერთი მიზეზი, რის გამოც დაორსულდი, — ბოღმანარევი ტონით დაამატა.

— იდიოტი ხარ, ნამდვილი იდიოტი! — სიძულვილი გაურია სალომემ ხმაში. — რატომ, რატომ მოტრიალდა ყველაფერი ასე უკუღმართად? რა გინდა ჩემგან, ვიტირო? ვიჯავრო? ვიგვემო? ძალიან ცდები ჩემში, საზიზღარო! მწარედ ცდები! მსგავსი არაფერი გამივლია გულში. დაიმახსოვრე: არასდროს გავხდები შენი ცოლი, არასდროს! სულ რომ ქვეყანა დაიქცეს, შენკენ არ გამოვიხედავ, იცოდე! მთლად რომ გაწყდეს კაცის ჭაჭანება დედამიწაზე!

ვაკომ თვალები მოჭუტა. სალის ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ესმოდა, როგორ ხმამაღლა მუშაობდა მამაკაცის გონება.

— მაშინ ერთადერთი გამოსავალი რჩება, — ნიშნის მოგებით, წყნარად გაისმა მისი ხმა, — როგორც კი ბავშვი დაიბადება, მე უნდა მომცე.

გოგონას მოეჩვენა, თითქოს მისმა სულმა სხეული დატოვა. უსიცოცხლოდ ჩამოეკიდა მკლავები და ერთბაშად

დაბუჟდა. ძალაგამოცლილმა წინ წაიწია, სკამს მიაწვდინა ხელი და უსუსურად დაეყრდნო მის საზურგეს, რომ არ წაქცეულიყო. მამაკაცს მისი მოძრაობა შეუმჩნეველი არ დარჩენია, ორიოდე ნახტომით მასთან გაჩნდა და ხელი შეაშველა. ამან სულ მოუღო ბოლო.

— გესმის მაინც, რას მეუბნები? წარმოგიდგენია, რას მთავაზობ? სრულ ჭკუაზე ხარ? — ისე ლუღლუღებდა, თავის ნათქვამს თავადაც ვერ არჩევდა.

— ეს ჩემი შვილია! — ვაკოს ტონი არ შეუცვლია.

— და ჩემიც! — ახლა უკვე მტკიცედ წარმოთქვა. — და რამდენადაც ჩვენ მისი ორ ნაწილად გაყოფა არ შეგვიძლია, დაგარწმუნებ, რომ კანონი ჩემს მხარეზეა. მას ვერავინ წამართმევს, შენ — მით უმეტეს, მიუხედავად იმისა, რომ მამა ხარ!

დაამთავრა თუ არა სათქმელი, უეცრად კანკალმა აიტანა. რატომ შესცივდა ასე? ამ გაგანია ზაფხულში, თანაც ვაკოს გვერდით, რომელიც ასე ახლოს დგას მასთან! მისი სხეულიდან მომდინარე სითბო ხომ ყოველთვის ათბობდა მას? ახლა რა ემართება? ნუთუ ავად გახდა? თითქოს ორგანიზმი გამოეფიტა, სიცხიანივით გაბრუებულად გრძნობს თავს.

— ცუდად ვარ... — გაფითრებულმა ჩაიჩურჩულა. — სახლში მინდა... ძალიან, ძალიან მინდა სახლში... უნდა დავწვე... — თავისთვის ბუტბუტებდა ღონემიხდილი.

— თუ ეს ხელს არ გაძლევს, მაშინ, კეთილი ინებე და ცოლად გამომყევი. მოგიწევს ამის გაკეთება, — დაიღრინა მამაკაცმა, — არც მე დავიხევ უკან და ბოლომდე ვიბრძოლებ ჩემი სისხლისა და ხორცის შესანარჩუნებლად. მეც მაქვს ჩემი უფლებები და მასზე უარის თქმას არ ვაპირებ!

იცოდა სალომემ, რომ ვაკოზე დაქორწინება მას მსოფლიოში ყველაზე ბედნიერ ქალს გახდიდა, მაგრამ არა ამ მდგომარეობაში. წარმოუდგენია, რა დღეში ჩააგდებს მომავალი მეუღლე, ცოლად რომ გაჰყვეს. მოსვენებას არ მისცემს, ერთი დღეც არ გაახარებს. ძაღლივით მოექცევა. იცის ეს სალომემ, ძალიან კარგად იცის. რანაირი ერთობლივი ცხოვრება უნდა ააწყონ? ის ოჯახი რა ოჯახი იქნება?! უბედური, უბედური და უიმედო, არამყარი და მყიფე, როგორც მინა. ის იძულებული გახდება, შეებას უღელში, რომელიც სიყვარულზე არ იქნება აგებული. ვაკოს მთელი ყურადღება ბავშვზე გადავა, ის კი დამცირებისა და აბუჩად აგდების ობიექტი გახდება. რა აზრი ექნება ასეთ ცხოვრებას? არავითარი!

— მე არ შემიძლია, შენი ცოლობა, — გაიმეორა მშვიდად და მტკიცედ.

— ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვი ჩემია, — გამოუცხადა ვაკომ, — კამათის გაგრძელებას აზრი არა აქვს, ჩემი შვილი ჩემს მფლობელობაში გადმოვა.

— რას ნიშნავს შენს მფლობელობაში? რა, უძრავი ქონებაა? სახლია? აგარაკი? ავტომობილია? საიდან მოგაქვს ასეთი სიტყვები? — სალომემ წყნარად, ხმის აუმაღლებლად დააყარა კითხვები.

— მას მე გავზრდი... უშენოდ. ახლა გასაგებად ვთქვი? უ-შე-ნოდ! ამაზე ლაპარაკი დამთავრებულია!

მცირე პაუზის შემდეგ, რომლის განმავლობაში სალომემაც დუმილი არჩია, ვაკომ დაამატა.

— ახლა კი შინ წაგიყვან. მე ყველაფერი გითხარი და დავამთავრე.

სალი ხვდებოდა, რომ ეს ჯერ კიდევ არ იყო დასასრული, მას შეეძლო, ბოლო სიტყვა ეთქვა, თავიც დაეცვა და ჯერარდაბადებული შვილიც, მაგრამ იმდენად დაიღალა, კამათის გაგრძელების ძალა მეტად აღარ შესწევდა. დროებით შეეგუა მდგომარეობას. ის კი არა, მამაკაცს უფლება მისცა, მანქანამდე მის ხელზე დარყდნობილი მისულიყო, რადგან დამოუკიდებლად ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამდა.

მთელი გზა ისე გალიეს, არც ერთს ხმა არ ამოუღია. გოგონას თვალები დაეხუჭა და ისე უსიცოცხლოდ გამოიყურებოდა, თითქოს გარდაცვლილი ესვენა სავარძელზე. ვერაფერს გრძნობდა. ისე იყო გამშრალი და ემოციებისგან დაცლილი, დანა რომ დაერტყა ვინმეს, წვეთი სისხლი არ გამოუვიდოდა.

არც გაუგია, როგორ გააჩერა ვაკომ მანქანა და მოვედითო, უთხრა. როცა

მამაკაცმა კარი გააღო, მხოლოდ მაშინ გამოერკვა. გადმოსვლისას იძულებული გახდა, კვლავ მის ხელს დაჰყრდნობოდა, რადგან ისე იყო გაცამტვერებული, ძლივს აითრია სხეული.

მის დანახვაზე მარინას ფერი წაუვიდა. მიხვდა, რომ რაღაც საშინელება მოხდა, მაგრამ არაფერი უკითხავს. სალომემ მამიდას გვერდი აუარა და თავისი საძინებლისკენ უსიტყვოდ წალასლასდა. ფეხსაცმელი ხელების დაუხმარებლად გაიხადა, იქვე, იატაკზე მიაგდო და მოკუნტული მიწვა ლოგინზე. თვალებდახუჭულს შემოსასვლელიდან კარგა ხანს ესმოდა იქ მყოფთა დახშული ხმით ლაპარაკი.

იცის სალომემ, რომ მამიდა მას შტერ გოგოდ მიიჩნევს, მაგრამ ვაკო? რატომ ეგონა, რომ ცოლობაზე დათანხმდებოდა, როცა მასზე ასეთი წარმოდგენა აქვს? განა არ იცის, მის ხელში რაც მოელის? თვითონაც ხომ ხვდება ამას? ძალიან კარგადაც მოიქცა, უარით რომ გაისტუმრა. მაგრამ ბავშვს არაფრის დიდებით არ დაუთმობს. ეს არასდროს მოხდება! მას საკმარისი დრო აქვს, გამოსავალი იპოვოს და გადაწყვეტილება მიიღოს. ის ყველაზე მისაღებ გზას აირჩევს. აი, ნახოს!

დრო ჯერ თავზე საყრელად აქვს. აქედან წავა და ისეთ ადგილას დაიდებს ბინას, ვაკო რომ ვერასდროს მიაგნებს. ახლა კი, უნდა დამშვიდდეს და აუჩქარებლად გააანალიზოს სიტუაცია.

მალევე ჩაეძინა. არც მანქანის ძრავას ხმა გაუგონია, არც ოთახში ფეხის წვერებზე შემოსული მამიდა დაუნახავს, რომელმაც მძინარეს პლედი ფრთხილად გადააფარა.

სიზმრების სამყაროში ჩაიკარგა. ჯერ ესიზმრა, თითქოს ის და ვაკო ბედნიერი ცოლ-ქმარი იყვნენ და ბევრი შვილი ჰყავდათ. „მეორე“ სიზმარში გაქცეულ გოგონას მამაკაცი ტყეში მისდევდა, რათა ბავშვი წაერთმია, რომელიც ხელში ჰყავდა ატატებული. მოულოდნელად თავად ვაკო გადაიქცა ჩვილად და ღნავილი მორთო.

ოფლში ერთიანად გაწურულს გამოეღვიძა. სწრაფად წამოჯდა საწოლზე, მაგრამ იმწამსვე თავბრუ დაეხვა. რამდენიმე წუთი დასჭირდა, რომ ფეხზე დამდგარიყო და საბაზანომდე მიეღწია...

სწორედ იქ იპოვა მარინამ... იატაკზე გონწასული ეგდო. მისი ლოგინამდე მიყვანა ძლივს მოახერხა და მაშინვე „სასწრაფო დახმარება“ გამოიძახა.

როცა მორიგე ექიმმა გაიგო, გოგონა ორსულად იყო, მკაცრად დატუქსა,

რატომ დროზე არ მიაკითხეთ ქალთა კონსულტაციას და გამოკვლევები არ ჩაიტარეთო.

— ცუდადაა ჩემი საქმე? — აკრუსუნდა სალომე.

— დამშვიდდით, საშიში არაფერია. უბრალოდ, გინეკოლოგთან ვიზიტი და ანალიზების გაკეთება აუცილებლად გჭირდებათ. პირველი სამი თვე მეტი ყურადღება გმართებთ, სანამ ტოქსიკოზი გაგივლით, ეგ არის და ეგ. გამუდმებით ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოთ, რომ მდგომარეობა არ გართულდეს.

„სასწრაფო“ გაისტუმრეს თუ არა, ჭიშკარს ვაკოს „მერსედესი“ მოადგა. მამაკაცი ოთახში ქარივით შემოიჭრა, ერთობ შეშფოთებული ჩანდა. სალიმ ჩუმად ამოიოხრა, როგორც ჩანს, მამიდამ მასთან დარეკვა მოასწრო და ისიც მაშინვე მოვიდა.

— რა მოხდა? ბავშვი როგორ არის? — ზღურბლზე გადმოაბიჯა თუ არა, შეკითხვები დააყარა გოგონას.

ბავშვი! მისი ამბავი აწუხებს, სალომესი კი არა. ოდნავადაც არ აინტერესებს, თავს როგორ გრძნობს — კვდება თუ რჩება! ლამის ატირდა, თუმცა მოწოლილი ცრემლები უკან ჩააბრუნა და თვალები მილულა, რომ წყენა დაემალა.

ვაკო ისე გამოიყურებოდა, თითქოს ეს-ესაა, საწოლიდან წამოხტაო — პერანგი ამოჩაჩოდა, თმა ყალყზე ედგა.

— გეკითხები, ბავშვი როგორ არისმეთქი! — გაუმეორა.

— ყველაფერი კარგადაა, — როგორც იქნა, პასუხის ღირსად გახადა, — მამიდამ ტყუილად ატეხა პანიკა. შეგიძლია, არ ინერვიულო.

— მე არ ვნერვიულობ. მითხარი, თავს როგორ გრძნობ?

როგორც იქნა! ისიც გაახსენდა ბოლოს და ბოლოს! თავიდანვე ამ კითხვით უნდა დაეწყო.

— ბრწყინვალედ!

— იქნებ რამით შემიძლია, დაგეხმარო? რა გავაკეთო შენთვის? წამლები ხომ არ გჭირდება?

სალიმ ირიბად ჩაიღიმა.

— არაფერი მჭირდება, გმადლობ.

— მადლობა მერე მითხარი, ჯერ იმაში გამარკვიე, რით გიშველო. იქნებ ჯობია, საავადმყოფოში წავიდეთ? დაწვები და გამოკვლევებს ჩაიტარებ.

— არ ჯობია! ეს, უბრალოდ, ბანალური გულის წასვლა იყო და მეტი არაფერი, — მას უკვე აღიზიანებდა მამაკაცის მზრუნველობა, — თავბრუ დამეხვა და იატაკზე დავჯექი. ალბათ ცუდად მეძინა ღამე და იმის ბრალია.

— რას ნიშნავს ბანალური გულის წასვლა? რა მხატვრული ენით მელაპარაკები!

სალიმ არ უპასუხა.

— შენ დასვენება გჭირდება, თანაც ცოტა კი არა, ბევრი.

— შეიძლება, — იქედნურად დაუდასტურა, — დიდი მადლობა, რომ მოხვედი, მაგრამ ახლა უმჯობესია, წახვიდე. მე ხომ დასვენება მჭირდება. ეჭვიც არ მეპარება, რომ მამიდა ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რეგულარულად მოგაწოდებს ინფორმაციას, — მორიელივით იკბინებოდა გოგონა.

მაგრამ ვაკო წასვლას სულაც არ ჩქარობდა. იგი საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, მის ფეხებთან.

— ჩემ გამო მოხდა ასე? — ხმა დაურბილდა მამაკაცს და მოიღუშა, — ვიცი, რომ არცთუ თავაზიანად მოგექეცი საღამოს.

სალომემ უარის ნიშნად თავი გააქნია და მაშინვე ინანა, რადგან მაშინვე თავბრუსხვევა დაეწყო.

— შენთან ამას არავითარი შეხება არა აქვს. რაღაც კოშმარები მესიზმრა, რომ გამომეღვიძა, ოფლისგან მთლად სველი ვიყავი. ვიფიქრე, წყალს გადავივლებ-მეთქი... ვფიქრობ, მომიხდება.

— მოდი, დაგეხმარები, კარგი?

ამის გაგონებაზე გოგონამ სიცილი ვერ შეიკავა, თუმცა ეს ხმა სიცილს არ ჰგავდა... უფრო ხაოდა, ვიდრე იცინოდა.

— ალბათ ხუმრობ...

ვაკომ ხელზე წაავლო ხელი.

— გამომყევი ცოლად, სალი... მომეცი უფლება, ვიზრუნო შენზე.

— თავი დამანებე! — შეუღრინა მამაკაცს, თუმც კი მშვენივრად ხედავდა, როგორ გულწრფელად განიცდიდა „საქმრო“ მის ცუდად გახდომას.

მერე რა, მას ხომ ეხერხება თამაში! ესეც მისი თამაშის ნაწილია! მას მხოლოდ ბავშვი აინტერესებს და ეს მაშინვე გამოჩნდა, როგორც კი შემოვიდა.

— სალომე! — გაისმა ამ დროს ოთახში შემოსული მარინას საყვედურნარევი ხმა. — როგორ ელაპარაკები ადამიანს, არ გრცხვენია?!

— მგონი, ჩემი წასვლის დროა, — ვაკო გოგონას შემდეგ სიტყვებს აღარ დაელოდა და წამოდგა, — ხვალ დავრეკავ.

— ნუ შეწუხდები, ჩემ გამო არ ღირს, — სალიმ დაუდევრად უპასუხა.

მარინამ ერთი ამოიოხრა და თვალები ჭერს აღაპყრო. მამაკაცმა კი მხოლოდ თავი გადააქნია. მერე ორივემ უთქმელად დატოვა საძინებელი და კარი გაიხურა.

სალომე საწოლიდან გადმოძვრა და სააბაზანოს მიაშურა, რომ ებანავა და ვაკოსთან დაკავშირებული უსიამოვნო მოგონებები წყლისთვის გაეტანებინა.

ონკანი მოუშვა და წყლის თბილ ჭავლს შიშველი მხრები შეუშვირა... როგორც ჩანს, მისმა ოცნების მამაკაცმა გადაწყვიტა, რაც შეიძლება, მეტად მოაბეზროს თავი, — ფიქრობდა გოგონა, თან გამალებით ისაპნებოდა. სადამდე ითმინოს ეს ყველაფერი? თუკი ის ყოველ მოსვლაზე ხელის თხოვნას აპირებს, აჯობებს, ხვალვე გაეცალოს აქაურობას. ბოლოს და ბოლოს, დროებით დედინაცვალთან გადასახლდება. საწყალ ქალს გაუხარდება კიდეც, ისედაც გამოყრუებულია მარტოობით, მაგრამ ეს ხომ დროებითი თავშესაფარი იქნება? ანდა ეს გამოსავალია? არადა, არც ის იცის, სად არის გამოსავალი! არც ძალა აქვს საიმისოდ და აღარც ენერგია შემორჩა, ცხოვრება თავიდან დაიწყოს, დამოუკიდებლდ, ამასაც არ არის მიჩვეული, მით უმეტეს — ახლა, ამ მდგომარეობაში. როგორ უნდა იცხოვროს მარტო? ისიც — სადღაც სხვაგან, მისთვის უცხო ადგილას! რითი იარსებოს? დავუშვათ, სამსახურშიც მოეწყო, მერე? როცა მუცელი ცხვირამდე წამოეზრდება და მუშაობას ვერ შეძლებს, რა მოელის? მიუხედავად იმისა, რომ მამიდასთან თავს დაცულად გრძნობდა, თან ფულიც ნაკლები ეხარჯებოდა, თავისი დანაზოგი თითქმის „ფსკერამდე“ დაიყვანა. ადვილი წარმოსადგენია, რა მოელის, როცა ცალკე გადავა. მართალია, მამიდა არაფერს დააკლებს, მაგრამ მთელი სიცოცხლე მის ხარჯზე ხომ არ იქნება? იქნებ მუცელი მოიშალოს? ეს შურისძიების საუკეთესო საშუალება იქნება. თვითონაც დაიტანჯება, მაგრამ იმასაც მოუკლავს გულს. ცოტა ხნის წინ ამაზე ფიქრიც კი ზარავდა, მაგრამ ახლა...

როცა ვაკომ გაიგო, სალომე ორსულად არისო, საშინელი სტრესი განიცადა. მისთვის ეს იმდენად თავზარდამცემი ამბავი იყო, საკუთარ თავის კონტროლი დაკარგა. როგორ შეიძლებოდა, ასე მომხდარიყო? ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ ერთხელ იწვნენ ერთად. რა უაზრობაა, რა სისულელე! რაც თავი ახსოვს, ქალთან ურთიერთობაში ყოველთვის იჩენდა სიფრთხილეს, განსაკუთრებით — ლოგინში. ისიც უაზრობა იყო, ხელმეორედ რომ სთხოვა ცოლობა. არადა, რის ფასად დაუჯდა ამ გადაწყვეტილების მიღება?! ყველაფერს ერთად გადააბიჯა — თავმოყვარეობას, სიამაყეს, პრინციპს, პატივმოყვარეობას...

ამ მომენტში სხვანაირად არ შეეძლო... მოიქცა ისე, როგორც კეთილსინდისიერ ადამიანს ეკადრებოდა. მან კი კვლავ ხელი ჰკრა!

რა მტრულად არის სალი მის მიმართ განწყობილი! წამითაც არ დაუხრია თავი! მიუხედავად იმისა, რომ მისგან შვილს ელოდება, მაინც არ ისურვა მასთან თანაცხოვრება! ამას ჰქვია ამპარტავნობა! მართალია, ვაკო უხეშად მოექცა, მაგრამ ბავშვის დაბადება ხომ ყველაფერს ცვლის! ხომ უნდა შეეგნო ეს, პატარა გოგო აღარ არის უკვე, ზრდასრული ქალია!

მისგან საბოლოო პასუხი მაინც ვერ გაიგო... ვერ მიხვდა, თანახმა იყო თუ არა, ბავშვი მისთვის დაეთმო. ბოლოს წინააღმდეგობა არ გაუწევია. რას ნიშნავდა ეს — ჰოს თუ არას? ახლაღა ახსენდება, რომ გამოკვეთილი თანხმობა არ მოუცია. ის კი არა, ხმაც არ ამოუღია, დუმილით შეხვდა მის „ულტიმატუმს“. უცნაურია... აჯობებს, უფრო

ყურადღებით მიადევნოს თვალი, უფრო ხშირად მივიდეს მის სანახავად, თორემ თუ მოსკოვში გაქცევა მოახერხა, მერე მშვიდობით — ღვიძლ შვილს ვეღარასდროს ნახავს.

რატომ უთხრა უარი? დამცირებულად გრძნობს თავს? იქნებ ქონებით დააინტერესოს? მდიდრული ცხოვრება რომ შესთავაზოს? სალომესთვის ხომ ძალზე მნიშვნელოვანია ასეთი მდგომარეობა? ვაკოს შეუძლია, ხელისგულზე ატაროს იგი... რა თქმა უნდა, მხოლოდ ბავშვის გამო, თორემ... არა, ტყუილად იმართლებს თავს. გარდა შვილისა, სალიც აინტერესებს. ის ლამაზია, ჭკვიანი და სექსუალურიც... როგორ გაანერვიულა, მუცელი კინაღამ მოეშალა. კარგია, რომ გადარჩა... შეიძლებოდა, უარესი მომხდარიყო, თუმცა ვაკოს უკეთესის მოლოდინი ჰქონდა. რაც მთავარია, მას სჭირდება ეს ბავშვი, ის მისი შვილია!

არაფრით დაანებებს თავს. ხვდება, რომ სალისთან მუშაობა მოუწევს, რთული და დაძაბული მუშაობა... ძლიერი ქალია, ქედს ადვილად ვერ მოახრევინებს. როგორმე უნდა მიუდგეს, რაც შეიძლება, რბილად შეეცადოს, დაარწმუნოს, რომ ვაკო შეიცვალა და „კეთილი ზრახვებით“ სურს მასთან დაქორწინება. მამაკაცი თავის თავს არ უტყდებოდა, თუმცა გულის სიღრმეში თავადაც გრძნობდა, რომ მართლაც ასე იყო, მართლაც კეთილი სურვილები ამოძრავებდა გოგონას მიმართ. გაცნობის დღიდან ასე იყო და ასე იქნება! თუმცა, ამაზე ფიქრსაც გაურბის და ლაპარაკსაც. რა ქნას, ისე შეტრიალდა სიტუაცია, უჭირს სიმართლის აღიარება, არ შეუძლია, საკუთარ თავმოყვარეობას გადააბიჯოს, თორემ პატიებას წინ რა უდგას?

საღამოს, როცა საქმეებს მორჩა და სამსახურიდან წამოვიდა, პირდაპირ მარინას სახლისკენ გაეშურა სალომეს მოსანახულებლად. მიუხედავად იმისა, რომ რთული დღე ჰქონდა — დატვირთული საქმიანი შეხვედრებითა და მოლაპარაკებებით. სალი კვლავ მტრულად შეხვდა. თავი ძველებურად ამაყად ეჭირა. ვაკო მიხვდა, რომ მის დასათანხმებლად, უდიდესი ძალისხმევის გამოჩენა დასჭირდებოდა. მაინც დაითანხმებს, ამის ღრმად სწამს. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი ქალია, მაინც ქალია... აქედან გამომდინარე, როცა საქმე გრძნობას ეხება, ყველა ქალი სუსტია... სალის კი უყვარს ვაკო. ამას შინაგანად გრძნობს... და, ცოტა არ იყოს, ამით ამაყობს კიდეც. მართალია, გოგონა ამ სიყვარულის დამალვას ყველანაირად ცდილობს, თუმცა ერთობ უნიჭოდ... სწორედ ამიტომაც არის სუსტი...

მამიდა და ძმისშვილი ვერანდაზე ისხდნენ და ჩაის და ბლითებს შეექცეოდნენ. მარინას მისი დანახვა ძალიან გაუხარდა, სწრაფად წამოდგა და თავისი ადგილი მამაკაცს დაუთმო, თავად კი სამზარეულოში გავარდა, რომ ახალგაზრდები მარტო დაეტოვებინა. როცა სალის გვერდით მოკალათდა, გოგონა აიმრიზა და ტუჩაბზუებულმა გვერდზე გაიწია. ვაკომ ისეთი სახე მიიღო, თითქოს მისი ჟესტი ვერ შეამჩნია.

— როგორ ხარ?

— გმადლობ, ბევრად უკეთ.

— თავბრუ აღარ გეხვევა?

— არა.

— კარგია... დღეს გაისეირნე თუ მთელი დღე შინ იყავი გამოკეტილი?

— სახლიდან არ გავსულვარ, — მოკლედ და გულგრილად პასუხობდა გოგონა.

ვაკო თავს ძლივს იკავებდა, კვლავ არ გამოეჩინა უხეშობა. უკვე აღიზიანებდა სალის საქციელი.

— ამის მეტი არაფერი გაქვს ჩემთვის სათქმელი? — მაინც ვერ მოითმინა ბოლოს.

სალომე მისკენ შეტრიალდა და თვალები დააკვესა.

— სულაც არ მსიამოვნებს შენ გვერდით ყოფნა. რას მოითხოვ ჩემგან, რა გინდა, რომ გითხრა?! რისთვის მოდიხარ აქ, დაგპატიჟე?— ხაზგასმულად უკმეხობდა.

— სამწუხაროა, — შეძლებისდაგვარად მშვიდად წარმოთქვა მამაკაცმა, რადგან იმავე ტონით რომ აღაპარაკებულიყო, კვლავ ჩხუბში გადაიზრდებოდა მათი საუბარი, — აქ კი იმიტომ მოვდივარ, რომ მსიამოვნებს ამ სახლში ყოფნა. შენ მუცლით ჩემს შვილს ატარებ.

— ამაზე ადრე უნდა გეფიქრა, მეორე შანსს არასდროს მოგცემ!

ერთი შეხედეთ, როგორი განაწყენებულია... მერედა, ვინ არის დამნაშავე, თუ არა თვითონ? კიდევ კარგი, დროზე გაიგო ყველაფერი. კიდევ კარგი, იმ პატარა გოგომ ადრევე ახადა ფარდა სიმართლეს, თორემ ვინ იცის, რა მოელოდა... ღალატი და იმედგაცრუება. მთელი სიცოცხლე ტყუილში ცხოვრება... მაგრამ ახლა? რა შეიცვალა? რატომ სურს, კვლავ დაიბრუნოს იგი? მატყუარა და ფარისეველი ქალი, რომელიც ნაცადი მზაკვრული ხერხებით ცდილობდა, მისთვის თავი შეეყვარებინა?

ბევრი რამ შეიცვალა... პირველ რიგში ის, რომ მალე მამა გახდება და რადაც უნდა დაუჯდეს, ბავშვი მის ხელში უნდა გაიზარდოს. ამისთვის მზადაა, დათმობაზე წავიდეს და სალომე ცოლად შეირთოს. ვაკოს ყოველთვის უნდოდა, შვილები ჰყოლოდა. ახლა კი, როცა იცის, რომ მალე პირმშო ეყოლება და მასზე ზრუნვა მოუწევს, ამ სიამოვნებას ვერაფრით მოიკლებს.

— პატიება რომ გთხოვო, ეს რამეს შეცვლის? — ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდ თავისი გაეტანა.

— პატიება? რისთვის? — მრისხანე მზერით გაზომა ქალმა. — რისთვის უნდა მთხოვო პატიება? იმისთვის, რომ მე არ დამიჯერე და იმ ქარაფშუტა ნინის სიტყვებს ენდე? იმისთვის, რომ დამაორსულე? იმისთვის, რომ მეძავი მიწოდე?

ბავშვის წართმევით რომ დამემუქრე? თუ ყველაფრისთვის ერთად? დაიღლები ამდენი პატიების თხოვნით... წადი, ვაკო, წადი, და აქ აღარ მოხვიდე. არ მაქვს შენი ნახვის სურვილი.

სალომე როცა ბრაზობდა, შეუვალი იყო. მამაკაცმა ხელები მომუშტა და კბილი კბილს დააჭირა, რომ არ ეყვირა. საკმარისია, ვერ მოზომოს და სამუდამოდ დაკარგავს მასთან ურთიერთობის გაგრძელების შანსს.

— მომისმინე, სალი, — კვლავ წამოიწყო, — ვიცი, რომ ტკივილი მოგაყენე, მაგრამ არც შენ დაგიკლია ჩემთვის. ამიტომ არ სჯობია, შევრიგდეთ?

— ჩვენ ერთხელ უკვე ვცადეთ ეგ, მამიდას ხათრით, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. არც ახლა გამოვა. სიმართლე გითხრა, ორივემ ძალიან შორს შევტოპეთ, რის გამოც გამორიცხულია იმის დაბრუნება, რაც ადრე იყო.

— არ გეთანხმები. გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს, ადამიანმა ყოველთვის შეიძლება, გამოსავალი იპოვოს, თუ საღი გონებით მიუდგება საქმეს. ყოველი შემთხვევისთვის, ოქროს შუალედის პოვნა მაინც შეიძლება.

— შესაძლოა, შენ გგონია ასე, მაგრამ მე არ მგონია. უკვე მივიღე გადაწყვეტილება და მას ვერავინ შემაცვლევინებს. ამჯერად მართლა დიდ ტკივილს მოგაყენებ, თუმცა შენზე მეტად შეიძლება, ჩემს თავს ვატკინო.

— რას გულისხმობ? — ვაკო დაიძაბა, გულმა უგრძნო, რომ სალომე რაღაც საშინელებას უმზადებდა.

— ხვალ აბორტი უნდა გავიკეთო!

დასასრული შემდეგ ნომერში

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა და კიდევ ერთხელ გამარჯობა ყველა მკითხველს. როგორ ისვენებთ? იმედია, არ გცხელათ და თავს კარგად გრძნობთ. მე კი ბევრი მგზავნელი მომენატრა... ჩამოვთვალო? მე მგონი, ავჯობებს, თვითონ მიხვდნენ... ნუ გაზარმაცდით, მომწერეთ — ძველებო, გამოჩნდით! ახლებო, გაბედულად! აბა, ვის უყვარს „გზავნილები", ახლა გამოჩნდება. ვნახოთ თქვენი მესიჯები, მაინც ტყუილად ვლაპარაკობ, მარტო ლაპარაკით ხართ მაგრები, საქმე საქმეზე რომ მიდგება, — ხელს ჩაიქნევთ და სხვის იმედად რჩებით — იმან მისწეროს, მე კი წავიკითხავო. ჰოდა, წაიკითხეთ!

კარიბჭის ხატი

„IV საუკუნეში, ქალაქ ნიკეასთან ახლოს, ერთი ღრმად მორწმუნე ქვრივი დედაკაცის ოჯახში ინახებოდა ივერიის ღვთისმშობლის ხატი და დიდი პატივიც მიეგებოდა. იმ პერიოდში ხატთან მებრძოლი იმპერატორის ბრძანებით, ყველგან ნადგურდებოდა წმინდა ხატები. ამ ხატსაც მიაგნეს... ერთმა უგუნურმა მხედარმა ხმალი აძგერა კიდეც და ნაიარევიდან სისხლმა გადმოჩქეფა (ეს სისხლიანი ნაკვალევი დღესაც ამჩნევია ხატს). ხატი სანთელ-საკმევლით,

თალლითი გიდებისა და ქმრის ღალატით „გამდიდრებული" ქალის ამბავი

ლოცვითა და ამბორით ჩააბრძანა დედაკაცმა ნავში და მიანდო ზღვას, სხვათა შემწე თავსაც შეეწევაო... ათონის წმინდა მთის მონასტერთან შეჩერდა ხატი... ბერები რამდენიმე დღე ხედავდნენ ციდან დაშვებულ სვეტს ნათლისას... ნათლის სვეტი ღვთისმშობლის ხატს ადგა თავს... მიეახლენ, გაეცალათ ხატი. რამდენჯერაც სცადეს, იმდენჯერმე განერიდათ... არა და არ ინება გამობრძანება, ვიდრე თავად არ ამცნო, ბერი გაბრიელი (ქართველი) მომეახლოსო... აღარ განეშორა ღთისმშობელი საყვარელ მოღვაწეს და გამოაბრძანა ბერმა ზღვით მიწაზე და პატივით დაასვენა ივერიელთა მონასტერში. დილით ხატი ეკლესიის კარის თავზე დახვდათ... პარაკლისით ჩამოაბრძანეს, კვლავ ამაღლდა... ასე გაგრძელდა, ვიდრე იმავე გაბრიელ ბერს არ ამცნო „აქ მნებავს ყოფნა, მე ვიქნები თქვენი მცველი, კარის ღვთისმშობელიო“... და იწოდა ხატი პორტაიტისად, კარიბჭის ხატად და ამ დღიდან მოყოლებული, სასწაულს სასწაულზე ახდენდა ეს ხატი და მისი ასლებიც. ერთ-ერთი ასლი, რომელიც უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის თხოვნითა და ლოცვა-კურთხევით ათონელმა ბერებმა შექმნეს, ორმოცი დღის განმავლობაში დასვენებული ჰქონდათ დედახატთან, რომელიც უხილავად გადასცემდა მათ ლოცვა-კურთხევას, თავისი წილხვედრი ქვეყნისთვის. წმინდა მთიდან ივერიის უძველეს მიწაზე ჩვენთვის მლოცველი სასწაულმოქმედი ხატის ეს პირი 1988 წელს ჩამოაბრძანეს და თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში დააბრძანეს. იმავე წინასწარმეტყველებით, დედახატი ათონის მთიდან ივერიაში (საქართველოში) დაიდებს სავანეს და ამ დღიდან დაიწყება ჩვენი ქვეყნის გაბრწყინებაც... ისმინოს უფალმა, ინებოს დედაღვთისმშობელმა... ამას იმიტომ ვწერ, რომ მინდა, ილოცოს ქართველმა ერმა და ამ ლოცვითვე შეგვეწევა უფალი... ლაკვასტი“.

საფეხბურთო დღეები

„ჩემპიონატი დამთავრდა და მეც დავისვენე. რატომ? აღარ შემაწუხებს მამაჩემი აქეთ-იქით რეკვით, გავიგოთ, ვინ ვის „ბალელშიკობსო“. აღარ წავალ ყოველ საღამოს ლუდზე. აღარავინ გამაღვიძებს შუაღამეს კითხვით, რა ანგარიშით დამთავრდა თამაშიო. აღარ დავცინებ მეგობრებს, ამა თუ იმ გავარდნილი ქვეყნის გამო. მეც ხომ გამოვცადე იტალიის მარცხი. არა, ფეხბურთი ისე მიყვარს, ვგიჟდები, მაგრამ დამარცხებას ვერ ვეგუები. ჰოდა, მორიგ შეკვეთას ვასრულებდი მამაჩემისგან — ჩემს ძმას ვწერდი, მოეწოდებინა ინფორმაცია, თუ ვის „ბალელშიკობდა“. საღამოს 11 საათი იყო. არ მომწერა ჩემმა ძმამ პასუხი. სამაგიეროდ, მეორე დღეს ზუსტად 12 საათზე მოგვწერა, თამაშს ვუყურეთ და გერმანიას „ვბალელშიკობდიო“. არადა, სულ არ თამაშობდა იმ დღეს გერმანია. ასე მხიარულად გავატარე საფეხბურთო დღეები, მაგრამ კიდევ მინდა. სოფი20“.

„ჟიდკოსტი“

„90-იან წლებში, როცა ქვეყანა აირია და ფაბრიკა-ქარხნები გაჩერდა, მეც დავტოვე ქუთაისი და ხან სად ვმუშაობდი და ხან — სად. მხოლოდ ახლა, 15 წლის შემდეგ დავბრუნდი ქუთაისში, ჩემს მშობლიურ ავტოქარხანას მივაშურე და დავიწყე მუშაობა. ძალიან დამამშვიდა და გამახარა ნაცნობმა გარემომ, ნაცნობმა სახეებმა. ერთ დროს ბობოქარ ქარხანაში კანტიკუნტად მუშაობს ხალხი. აგერ, ერთი ძველი მეგობარი მომიჯდა გვერდით, მოვიკითხეთ ერთმანეთი. ცუდად ვიყავიო, მითხრა. რა გჭირდა-მეთქი? რა და, შემეშალა, წყლის მაგიერ „ჟიდკოსტის“ ბოთლი მოვიყუდე და დავლიეო. — მერე? — ვკითხე გაკვირვებულმა. — მერე საშინელ დღეში ვიყავი, კუჭი მეწვოდა, თირკმელები მტკიოდა. დიდხანს მსინჯავდა ექიმი და ბოლოს მითხრა, ადექი ახლა, წადი ზემოთ, საფიჩხიაზე, დაეშვი იქიდან სირბილით და მოედანზე დაამუხრუჭე. თუ გაასხა „ჟიდკოსტმა“, გეშველება, თუ არა და, წასულია შენი საქმეო. დიდხანს ვიცინეთ ამ ამბავზე. არაბებითა და ჩინელებით გაივსო ქარხანა. ისინი უფრო მეტნი არიან ჩვენზეო, სინანულით მეუბნება მეგობარი. ვხედავ, მოდის ჩინელი. მოგვიახლოვდა, მოგვესალმა და დამტვრეული ქართულით გვითხრა: რავა თხლაშავთ თვალებს? — გაიცინა და წავიდა. ამასობაში პირველი სამუშაო დღეც მიიღია. ქარხნიდან გასვლისას „ვახტაზე“ მყოფმა დაცვის მუშაკმა, ულამაზესმა და უბერებელმა ქალბატონმა მედიკომ მკითხა, რა ჰქენი, ოლეგ, შეეჩვიე? — კი-მეთქი, ვუთხარი, თუმცა გული მტკიოდა — ერთ დროს ჩვენს საამაყო ქარხანას, ახლა დანგრეულს და გაპარტახებულს არაბი და ჩინელი დაჰპატრონებია. ოლეგარიო“.

მატყუარა

„გუშინ ბანკში ვიყავი. ჩემ წინ კაცი იდგა. ოპერატორს 50-ლარიანი მიაწოდა, ტელეფონის 15-ლარიან დავალიანებას იხდიდა. გულში გავიფიქრე, 35 ლარს დაუბრუნებს-მეთქი. ოპერატორი ასეც მოიქცა. კაცმა იუარა, რას ამბობთ, 100-ლარიანი მოგეციათო. რას ბრძანებთ, აი, თქვენი მოცემული ფულიო და დაკუჭული 50-ლარიანი დაანახვა. კაცი გაჯიუტდა. არადა, უბედურება ის იყო, რომ ვიცოდი, კაცი იტყუებოდა და აუტკივარ თავს არ ვიტკივებდი. მოლარემ მუშაობა შეწყვიტა, მთელი დღის თანხა დაიანგარიშა და კლიენტს კუთვნილი 35 ლარი მისცა. მატყუარამ ჩუმად დატოვა ბანკი. აი ასეთია ბევრი ქართველი. ჭრიჭინა“.

ტაძრის კურიოზები

„მოგეხსენებათ, ეკლესიაში ათასნაირი ჯურისა და ჯიშის ადამიანი დადის. 5 წელია, ტაძარში ვგალობ, რეგენტი (გუნდის ხელმძღვანელი) გახლავართ და შესაბამისად, უამრავ უცნაურ სიტუაციას შევსწრებივარ. ერთ ქალბატონზე მინდა გიამბოთ. კვირას დილით ჩვეულებრივად, ვდგავარ წირვაზე და ვგალობ. მოვიდა ერთი ასაკოვანი ქალი, შედარებით ახალი მრევლია და ასეთი დიალოგი გამიმართა:

— სოფო, შემოგევლე, ეგ თავსაფარი რომ გაფარია, შენია?

— დიახ, — მივუგე გაკვირვებულმა.

— ანუ სახლის არის, ხომ? ნატურალური.

— დიახ, — გაოცებისგან აღარ ვიცი, რა ვთქვა.

— ჰოდა, სოფო, შენი ჭირიმე, მამაოს რაღაც მინდა ვკითხო და აქ ეკლესიაში აღებული თავსაფრით მერიდება და იქნებ ცოტა ხნით ეგ შენი სახლის თავსაფარი მათხოვო?

გაოგნებულმა მოვიხსენი და მივეცი. ჩემს მგალობლებს სიცილისგან უკვე ხმა უკანკალებთ და ძლივს გალობენ. მე ვაჟკაცურად ვდგავარ და ვცდილობ, არ გამეცინოს... ასეთები იმდენი ვიცი! ტაძრის ეზოში ვისხედით მე და მამაო, ვსაუბრობდით. მამაოს ჩვეულებრივად, ანაფორა ეცვა და წვერი ჰქონდა. ამ დროს ერთი ჯინსისშარვლიანი ქალი მოგვიახლოვდა და პირდაპირ მამაოს ეკითხება მორიდებით:

— უკაცრავად, მამაო არ არის?

მე ხარხარი რომ არ ამეტეხა, თავი მივატრიალე. მამაო სიბრაზისგან წამოწითლდა და არაო, უთხრა. აი, ასეთი ხალხიც არსებობს. ერთსაც გიამბობთ... მამაოები სატრაპეზოდ იყვნენ ჩასულები ტაძრის ქვემოთ გაწთავსებულ ოთახში. ამ დროს ერთი ქალბატონი ჩავიდა და ტაძრის წინამძღვარს ეუბნება:

— მამაო, დიდხანს გელოდეთ ზემოთ და რომ აღარ ამოხვედით, მე თვითონ შევედი თქვენს ოთახში და მიგილაგეთ იქაურობაო.

მამაო გაოცდა, ვერ მიხვდა, რა ოთახზე ეუბნებოდა. მაშინვე ტაძარში ამოვიდა და რას ხედავს? ეს „ჭკვიანი“ ქალბატონი საკურთხეველში შესულა (ანუ „მამაოს ოთახში“), სადაც ქალს ფეხის შედგმა ეკრძალება, კანდელები და სანთლები საკურთხევლის მაგიდიდან აუღია და ზედ მაგიდაზე დაუწყვია საკურთხი (ანუ პურმარილი). იქ ამბავი ატყდაა! მამაო მოსასულიერებელი გაგვიხდა. მოკლედ, ჩვენს ტაძარში ვერ მოიწყენთ. ბამბუჩა“.

სარგებელი ღალატისგან

„ერთ დღეს შევიტყვე, რომ ქმარი მღალატობდა. სიმართლის დასამტკიცებლად დასთან წასვლა მოვიმიზეზე, მაგრამ იქვე, მეზობელთან დავიმალე. ბინის კარი, თან — რკინის, უხმაუროდ ვერ გაიღება. როცა ჩემი კარის ხმა გავიგონე, გარკვეული პერიოდის შემდეგ მივადექი და პირდაპირ საძინებელში შევედი. უეცრად, მელოტი პიროვნება დამეჯახა, ხელში ტანსაცმელი ეჭირა და გარეთ გავარდა, ჩემი ქმარი — აივნისკენ. მე კი გარინდული ვიდექი და ვფიქრობდი, ნუთუ კაცთან ჰქონდა ჩემს ქმარს საქმე? მაგრამ რას ვხედავ? ქერა, გრძელთმიანი პარიკი ვიპოვე და გადავმალე. შემოდის ჩემი მეუღლე და მთხოვს პატიებას. იმ დღესვე პარიკი სალონში 120 ლარად გავყიდე. ფულითაც კმაყოფილი დავრჩი და სიმართლე გითხრათ, გამიხარდა, ჩემს ქმარს კაცთან რომ არ წავასწარი. როცა ჩემს ქმარს ეს ამბავი მოვუყევი, ორივემ დიდხანს ვიცინეთ. აბა ჰე, ჩემო კარგებო. გემშვიდობებით. ათენიდან, დილის ნამი“.

მგზავნელები ისევ ერთად არიან

„ბათუმურ-„ზაგრიანი“ სალამი, შენ ჩემო უმარიამულესო. როგორ ხარ, მარ? შვებულება როდის გაქვს? მე, ალბათ მიხვდი, რომ ბათუმში მგზავნელთ შეფეთების ამბების მოსაყოლად გწერ (სხვა მხრივ დიიიდზე დიდი ზარმაცი ვარ). მოკლედ, ერთ მშვენიერ საღამოს, ბულვარში მოიყარეს თავი ყველასათვის კარგად ნაცნობმა და აღმატებით ხარისხში ტკბილმა SWEET GIRL-მა, ყვეეელაზე გიჟმა, ენერგიულმა, მხიარულმა და რაც მთავარია, ხელოვნების მოყვარულმა სუპერსთარმა, უარაჩვეულებრივესად თბილმა კოზანოსტრამ, კუტრინამ, რომელიც იმ დღეს გავიცანი და მე — ჩუპიმ, ჩემი ამალით. ამალით იმიტომ, რომ ბათუმშიც ვახერხებ დაკარგვას. როგორც ყოველთვის, მგზავნელების შეხვედრამ სიცილის თანხლებით ჩაიარა და ტკბილ მოგონებად იქცა. ბულვარში ბორიალით და ენის გატყავებამდე ლაპარაკით რომ დავიღალეთ, ცარიელი სკამის ძებნა დავიწყეთ. სიმართლე რომ ვთქვათ, ტურისტებით და დამსვენებლებით სავსე ბათუმში ეს არც ისე ადვილი საქმეა. რამდენჯერმე დაგვასწრეს კიდეც სკამამდე მისვლა... ბოლოს კი ერთი „გაბუტული“ სკამი ვნახეთ, რომელიც სხვებისგან განსხვავებით, უკუღმა იდგა. ჩვენც მეტი რა გვინდოდა? განსხვავებულ სკამს ვეცით და ის იყო, ჩამოვსხედით, რომ... გაგვადეპორტეს, სკამიანად ანუ სკამი ჩვეულ ადგილზე, ჩვეულ სახით დაგვადგმევინეს და ახლა იქ ვეჯიბრებოდით ერთმანეთს მჭევრმეტყველებაში. მონატრებული მგზავნელების ნახვით და მათთან საუბრით მე არასოდეს ვიღლები. ის დღე იმით დასრულდა, რომ სუპერსთარის დაიკო გავიცანი. მეორე შეხვედრა იმავე ადგილზე, იმავე დროს დავთქვით, მააგრამ... ისეთი საოცარი პუნქტუალობა გამოიჩინეს მგზავნელებმა, რომ ნახევარი დამსვენებლებისთვის თვალის გაყოლება და უმრავლესობაზე აზრის დაფიქსირებაც კი მოვასწარი. ჯერ ტკბილჩიკი მოვიდა, მერე სუპერსთარი. ჰოოდა, ახლა ამ სამეულმა დავიწყეთ ბულვარის დალაშქვრა და ერთმანეთით ტკბობა. მერე, სანაპირზე ვისხედით და არარსებული მზის (იმ დღეს მზეს ცხვირი არ გამოუყვია ღრუბლებიდან) ჩასვლას ვუყურებდით... ზღვას და ცას ვაკვირდებოდით (ჩვენ დიდი ვარსკვლავთმრიცხველები ვართ) და თან სუპერსთარის შემოქმედებას ვისმენდით და ვაფასებდით. ჰოდა, ის იყო, პოეზიაში თავით გადავეშვით, რომ გაწვიმდა და მერე როგორ?! მაგრამ წვიმა შეგვაშინებდა? ხეებს შევეფარეთ. მე, სუპერსთარი და ჩემი დეიდაშვილი (ჩემი ამალის წევრი) კი ვიდექით ხის ქვეშ და მოთმინებით ველოდით წვიმის გადაღებას, მარა SWEET-ი ვერ ჩერდებოდა. ხან წვიმაში გავარდებოდა, უნდა დავსველდეო, ხან ბაყაყს გაეკიდა, უნდა ვაკოცო, იქნებ პრინცად გადაიქცესო. სამწუხაროდ, ბაყაყი (პოტენციური პრინცი) გაგვექცა. ცოტა ხანში მაესტროსთან მისვლა გადავწყვიტეთ. SWEET-მა დაურეკა, მოდი, ბულვარში ვართ მგზავნელებიო. სავარაუდოდ, მაესტრომ უპასუხა, რომ წვიმს და ვერ გამოვალო, მაგრამ ჩვენს თათულიუსს ეს არგუმენტი რას შეაჩერებდა? სამაგიეროდ აქ ისეთი მზეა, მე და ჩუპი აგერ „ზაგარს“ ვიღებთ და შენ გამოდი ჩვენთანო... ეს მაესტროს დაბოლების მცდელობა ალბათ წარმატებით ჩაივლიდა, ბოლოს SWEET-ს რომ არ წამოსცდენოდა, დროზე, თორემ მეხი დამეცაო. ამის შემდეგ ჩვენ თვითონ გადავწყვიტეთ მაესტროსთან მისვლა და ფეხით გავუყევით წვიმიან ქუჩებს. უკვე კარგად გალუმპულებს, რაღაც, საეჭვოდ შემოგვცინა შადრევანმა და მე და SWEET-ი რისი გადარეულები ვიქნებოდით, მაშინვე შადრევნისკენ რომ არ გადაგვეხვია?.. მოკლედ, ჩვენს ემოციებს წვიმა არ ეყო დასასველებლად და შადრევანში ვაბანავეთ ერთმანეთი. ამჯერად ბატონმა (რომ ჰკითხო — გადარეულმა) სუპერსთარმა დასველებაზე უარი განაცხადა (ნუ, ისეთი მშრალი იყოოო) და მარტო ჩვენთვის ფოტოების გადაღებით შემოიფარგლა. სამაგიეროდ, მე, SWEET-მა და ჩემმა დეიდაშვილმა ვიწუწავეთ გულიანად და ასე გალუმპულები მივადექით მაესტროს. უი, ჰო! გზაში ჩვენს SWEET-ს უპატრონო კატა და ძაღლი არ დაუტოვებია, მოფერება რომ არ ეცადა. იცით, მე ამ ორ დღეში მივხვდი, რომ დასათრობად ალკოჰოლი სულაც არაა საჭირო! ცოტაოდენი ბედნიერება, შენთვის საყვარელი ადამიანები და ბათუმისნაირი ლამაზი ქალაქი სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ბედნიერებით იყო მთვრალი! ბავშვებო, რა ვქნათ, პახმელიიდან არ გამოვიდეთ? ჩუპი“. :)

კახური იუმორი

„მარიმ რომ არ იფიქროს, რაღა სვანებს გადაგვეკიდა ეს ლიმონაო, აჰა, კახელებზეც მოვყვები, ჩემი საგარეჯოელი თანამშრომლის, ზურას (კახურად ზუროს) „პრიკოლებს“ გავიხსენებ: ერთხელ უთხრეს, საგარეჯო გარე კახეთია და შენ რა კახელი ხარო, ამან კიდე, ییი, ვირი გინდა შიგნით დააბი, გინდა გარეთა, ვირი — ვირიაო. ვინმე „გემრიელ“ ქალს რომ დაინახავს, — აბა, უყურეე, ჯოოუ, სულ საჭმელი ხორცები აქო. ჩემთან მოვა ხოლმე სამსახურში, მხარზე ხელს დამიტყაპუნებს (სწორი და ჯანიანი მხრები მაქვს) და — აბა, დახე, რა სააპარატე ბეჭები აქვსო, იტყვის. სიდედრზე ვეუბნები, რა კარგი ქალია-მეთქი და — ییი, შენ გახდილი არ გინახიაო. თავის მელოტ სიძეზე იძახის, — აییი, ჩემ დას სულ იმ გამხმარ ტრ...ზე უნდა მათრახი, ამ „მიგალკათავიანს“ რო გაყვაო. მაგის დაბადების დღეზე ვიყავით, საგარეჯოში. ფერდები გვტკიოდა სიცილისგან და ცრემლები გვცვიოდა, ისეთი „სასტავი“ იყო. მერე იქაური მამაო მოვიდა, ახალგაზრდა, კახელი კაცი. სუფრასთან რომ დაჯდა, ყველა გაისუსა, ქალებმა სიგარეტები ჩააქრეს. უყურა, უყურა ამ კაცმა, მერე საზურგეს მიეყუდა და შემოგვძახა: რა არი, ხალხოუ, ჰა? რა იყო, რაااა, მაჯლაჯუნა კი არა ვარო. მამამისი იჯდა ბუხართან, მწვადებს გვიწვავდა. ამ დროს ზურო იძახის — ვაა, კოხტამ დამირეკა ახლა, აქ მოდისო. მამამისმა: ჰმ... ეგ თუ კოხტაა, მაშ მე პრინცესა ვყოფილვარო. ცოტა ხანში დაბალი, ძალიან შავი და ოქროსკბილიანი კოხტა შამოიდა. ავყირავდით სიცილით. ის კიდე გაოცებული გვიყურებდა, რა არი, ხალხო, აგრე გაგიხარდათ, რო მოვედიო? ქეიფის შემდეგ მასთან დავრჩით. ზოგი დასაძინებლად ავიდა, ზოგი ბუხართან დავრჩით. მოგვიჯდა. მეუბნება — კაცი რა უყავ, ბაბო? ვეუბნები, დასაძინებლად ავიდა-მეთქი. ადე, წამო, აგაცილო, ვინმემ კბილი არ გაგკრასო. ავედით ზემოთ და იმისი ხვრინვა უკვე კიბეზე ისმოდა. შემომხედა და — აბა, ამაი ეხლა შენთან ჯაჯგური თავი აქ? წამო, წამო, დაბლა ჩამო, ისევ ბუხარ მივუჯდეთო. ლიმონა“.

შიშველი სასიძო

„რამდენიმე წლის წინ დედაჩემის დაბადების დღეზე ნათესავები შევიკრიბეთ. ერთ-ერთ სტუმარს ერთი ბიჭი, გოგიტა მოჰყვა, რომელსაც თურმე დეიდაჩემი მოსწონდა და მისი გაცნობის მიზნით იყო მოსული. გვიანობამდე ვიქეიფეთ, კაცებმა რამდენიმე სასმელი აურიეს და მაგრად დათვრნენ. ყველა სტუმარი ჩვენთან დარჩა. ზოგი სად დაწვა, ზოგი — სად. ღამის 2 საათზე, ჩვენი დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, გოგიტა წავიდა. გათენებისას კი გამოგვეცხადა მაისურით, ტრუსით, „ნასკებითა“ და ფეხსაცმლით. ვერ გაეგო, რა ხდებოდა. სიცილისგან ვინ სად გორავდა, ვერ გაიგებდით. ამ დროს მოვიდა ჩემი მეზობელი, გოგიტას შარვლით და თქვა: ჩემი სახლი პოდიუმი გეგონათო? თურმე მეზობლის მეორე სართულზე (საკუჭნაოში) ეძინა (კერძო სახლში). თავისი სახლი ეგონა. P.S. ახლა ის ბიძაჩემია. იმ ზაფხულს დაქორწინდნენ დეიდაჩემი და გოგიტა. კაეშანი18“.

ღობისა და მიწის ამბავი

„სოფლის ორღობეში ორი მთვრალი ძმაკაცი მობანცალებდა. გივია ძირს მიფორთხავდა, ხოლო თენგიზა გაჭირვებით ღობეს ებღაუჭებოდა და ისე იკავებდა თავს. თენგიზამ დამცინავად ჩასძახა: რა იყო, ჯო, თუ დალევა არ შეგეძლო, რაღას სვამდი, ახლა იფოფხე მასეო. გივიამ ამოხედა და ჩვეული იუმორით უპასუხა: მოსახვევში დამთავრდება მაი ღობე და მერე სად უნდა წახვიდე, მაგასაც ვნახავო. ასე დაემართა აჭარის ერთ-ერთ სოფელში მცხოვრებ, 2 მოქეიფე ძმაკაცს. კოზანოსტრა (ბისკვიტი)“.

დაკარგულები

„შარშან ზაფხულში თავს გადახდენილ ამბავს მოგიყვებით. მოვდივართ ბათუმიდან დამწუხრებული ოჯახი (მხოლოდ იმიტომ, რომ ზღვა არ გვეთმობოდა) და ოჯახის მეგობრები — მეორე მანქანით: წინ მამა და შვილი იჯდა, უკან ცოლი და ნათესავი გოგო. ხაშურში რესტორნის ასარჩევად გადავიდნენ. ამ დროს მამაჩემმა დაურეკა, სურამში ვართ კარგ ადგილზე, აქ მოდითო. მძღოლმაც უთხრა ქალებს, დასხედითო (მანქანა იგულისხ-

მა). ამათ კი ჩათვალეს, რესტორანშიო, შევიდნენ და დასხდნენ. გავიდა 15-20 წუთი და დაურეკა ქალმა ქმარს, სად დაიკარგეო? უნდოდა ეთქვა და... მოხდა საოცრება. მოიხედა ქმარმა სალონში, რომ ეთქვა ცოლისთვის, რატომ მირეკავო და სადაა ცოლი? სურამში 1 საათის დაგვიანებით მოვიდნენ. ეს ამბავი მთელი წელი გვეყო სასაცილოდ და დღემდე ვიხსენებთ. სიცხისგან და გამოცდებისგან გადაღლილი დუდე“.

შერიგება

„ეს ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა. ირმამ და დათომ სიყვარულით შექმნეს ოჯახი. ბედნიერების ორივეს სწამდა, მაგრამ იმედი ისე მალე გაუცრუვდათ, განსაკუთრებით — ირმას, რომ ერთად ყოფნით გამოწვეული ბედნიერებით ტკბობაც კი ვერ მოასწრეს. წყვილის ურთიერთობაში დედამთილი ჩაერია, რძალს ცუდი თვალით შეხედა და ცოლ-ქმარი ერთმანეთს დააშორა. ირმა თავისი დატანჯული ცხოვრებით ცხოვრობდა, მაგრამ მისი მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, როცა აღმოაჩინა, რომ ფეხმძიმედ იყო. დათო უიღბლობას არ შეეგუა და ასე თუ ისე, ცხოვრების თავიდან დაწყება შეძლო. ირმას გოგონა შეეძინა. როცა ანა წამოიზარდა, დედამთილმა ისევ ყველაფერი არია და რძალს შვილიც წაართვა. ბავშვს დედაზე ათას საზიზღრობას ეუბნებოდა. ანა უკვე დიდი გოგო იყო, ირმა სამუშაოდ უცხოეთში რომ წავიდა. ძალიან უნდოდა, შვილს დამშვიდობებოდა, მაგრამ მიხვდა, რომ შეუძლებელი იყო. დაღონებულმა დატოვა საქართველო და თავისი გოგონა. ანას გულის სიღრმეში ძალიან უყვარდა და ენატრებოდა დედა, ჩუმად ტიროდა და დარდობდა თავის საქციელს. ანა მალევე გათხოვდა, მართლა გულიანი ქმარი შეხვდა (ის კაცი ჩემი ნათესავია). ისეთი კარგი ადამიანია, რომ ანა დაარწმუნა, დედას შერიგებოდა. დადგა ნანატრი დღე, ანამ გაბედა და დედას დაურეკა: — დედა, შენ ხარ? — სევდიანად ჩასძახა ტელეფონში. ირმამ სიტყვის თქმა ვერ მოახერხა, სიხარულით ცუდად გახდა და მეტყველების უნარი დაკარგა. გონს მოსულმა ირმამ ხელის კანკალით დაურეკა შვილს. ის დღე ორივესთვის სასიხარულო იყო. მას შემდეგ დედა-შვილს ერთმანეთი აღარ დაუკარგავთ, არავის და არაფრის გამო. ირმა ყველანაირად ეხმარება შვილს, მისთვის არაფერს იშურებს. ანას მხოლოდ იმაზე სწყდება გული, რომ გულქვა ბებიას დაუჯერა და დედას გული ატკინა. თუმცა, ახლა უკვე ყველაფერი კარგადაა და წარსულის გახსენებაც აღარაა საჭირო. ლუნა“.

თაღლითი გიდები

„ჩემი გზავნილი „გზაში“ რომ წავიკითხე, ისეთი წივილ-კივილი ავტეხე სიხარულისგან, ვერ გაიგეთ? ჩემი ნიკი მინდა გაგიშიფროთ: ლაკვასტი ძველად ლაგოდეხს ერქვა. ვინაიდან და რადგანაც, ლაგოდეხის რაიონში ვარ დაბადებულ-გაზრდილი, შესანიშნავად ვიცი ამ ქალაქის ისტორია. ზაფხულის ერთ დღეს ვეღარ გავუძელი ქალაქის სიცხეს და მეგობართან ერთად სოფელში გამგზავრება გადავწყვიტე. „მარშრუტკაში“ ერთი ქალბატონი ამოვიდა და ასე, 10 წლის გოგო-ბიჭებით გაავსო იქაურობა. საუბრიდან დავადგინე, რომ ლაგოდეხის ნაკრძალი უნდა ეჩვენებინა პატარებისთვის. იქ ბინას იქირავებდნენ და 2-3 დღით დარჩებოდნენ. ერთ-ერთმა გოგონამ ჰკითხა: ბებო, ლაგოდეხს ადრე რა ერქვაო? რადგან ბებომ პასუხი ვერ გასცა, მე სიამოვნებით ვუამბე ჩემი რაიონის ისტორია. რომ დავიქოქე, მთელი გზა ლაგოდეხზე ვესაუბრე, ჩამოვუთვალე ღირსშესანიშნავი ადგილები და მათი ისტორია, გავაცანი კახური კულტურა. მოკლედ, ისე ვიმგზავრე, არ გამიგია. „ექსკურსანტები“ რომ ჩადიოდნენ, ჩემმა დაქალმა უთხრა: ქალბატონო, თქვენზე 20 ლარიაო. ქალმა გაკვირვებით შემოგვხედა. მეგობარმა განაგრძო — ჰო, ჰო, ჩვენ გიდები გახლავართ, სამარშრუტო ტაქსებში გაგვანაწილესო (მე ჩუმად იდაყვი მივარტყი მეგობარს, მაგრამ არაფერი გამომივიდა). ქალმა გაკვირვებით ამოიღო 20 ლარი და გამოგვიწოდა. შემდეგ თქვა: შვილო, შენ იმდენი რამ გცოდნია ამ კუთხეზე, 20 ლარი ცოტაა, თან მთელი გზა გიწევს ლაპარაკი, ცოდო ხარ, ცოტა მეტი მოითხოვეო. :) მარ, დამიბეჭდე, გთხოვ და მინდა, იმ ქალბატონს მოვუბოდიშო. ისე, რა ჩემი ბრალია? ლაკვასტი“.

მხიარული გაკვეთილი

„ამ ზამთარს ფრანგულის მასწავლებელმა მეცადინეობა 12 საათზე გადამიტანა, გზაში რომ არ დამღამებოდა. კვირა დღე იყო, სკოლაც არ მქონდა და ერთი კარგი ძილი გამოვაცხვე. 12-სკენ კი გამეღვიძა, მაგრამ წასვლას ვერ მოვასწრებდი. ბოლოს გავიფიქრე, ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს-მეთქი და დავადექი მასწავლებლისკენ მიმავალ გზას. გზად კლასელი შემეფეთა, რომელთანაც ერთად უნდა წავსულიყავი სამეცადინოდ, ის კი უკვე მოდიოდა. შე მძინარა, შენაო, — მომაძახა ირონიულად და სიცილით გამშორდა. მეც გავუღიმე, თუმცა არა, დაჯღანვას უფრო ჰგავდა, მე მგონი. დავუწკარუნე ზარი. გამომხედა მასწავლებელმა გაოცებული და დაბნეული სახით — მესმის, 10 ან 20 წუთით დააგვიანო, მაგრამ 2 საათითო?! თან სახლის საქმეს მოვკიდე უკვე ხელიო. ვუთხარი, ნატო მაასწ, წავალ ახლა მე და ხვალისთვის მოვალ-მეთქი, მაგრამ იუარა, ამხელა გზა გამოიარე და უკან ხომ არ გაგიშვებ, შემოდი, შემოდიო. მეც ფეთიანივით, მასწავლებელზე წინ შევვარდი ოთახში. უცებ ფეხი ამისრიალდა და ტყლაააპ! ჭუჭყიანი წყლით სავსე ტაშტში მოვადინე ზღართანი, რომელშიც ჩემი მასწი სარეცხს რეცხავდა. თავიდან ბოლომდე გაწუწული ვიყავი, ქათამივით. მეცადინეობის ნაცვლად, ხან ჩემს ტანსაცმელს ვაშრობდით, ხან მე ვშრებოდი. სიმართლე გითხრათ, ასეთი მხიარული მასწავლებელი არასოდეს მინახავს. P.S. ამ კვირას სხვაგან უნდა წავიდე, მაასწ და ცოტა დამაგვიანდება, სუულ ცოტა, რაა, მაასწ. თქვენი ხიფათიანი ხატია ანუ ტერეზა“.

მოგზაურობა არსაით

„ახლა ძველ „გზავნილებს“ ვათვალიერებდი და სვიტის მესიჯმა ჩემი თბილისი-ფრანკფურტის რეისი გამახსენა. ფრაიბურგში მივდიოდი. მარ, ფრაიბურგი იცი, როგორი ქალაქია? როგორც ჩვენთან — თელავი. :) მაგრამ ქალაქში აეროპორტის არარსებობის გამო ჯერ ფრანკფურტში უნდა ჩავფრენილიყავი და მერე მატარებლით წავსულიყავი ფრაიბურგში. ფრენის საშინლად მეშინია. ვინაიდან სავარძელზე ჩაბღაუჭებულ-თვალდახუჭული ფრენის პერსპექტივა დიდად არ მხიბლავდა და თან მორიგი პახმელიის გადატანაც ჩემს ძალებს აღემატებოდა (ერთხელ დაძაბულობის მოსახსნელად მაგრად გამოვიბრუჟე და 3 დღე პახმელიიდან გამოვდიოდი), აეროპორტში მისვლისთანავე, კაი დიდი დოზა დამამშვიდებელ-დამაშტერებელ-გამთიშავი წამალი გადავყლურწე. რეგისტრაციის გავლისას კი, „აჩკარიკმა“ მოხელემ ნაძალადევი სინანულით მაცნობა, თქვენი რეისი 2 საათით გადაიდოო. ერთი კი დავიჭყანე, ამდენ ხანს აქ რა გავაკეთო-მეთქი? თან მთელი სამეზობლო, სომხური დიასპორა მიმაგრებდა ზურგს — „ამ ქვეყანას ვერაფერი გამოასწორებს“ — ძახილით. ერთი დავაბრიალე თვალები, მე სომხეთზე მასეთებს ვლაპარაკობ-მეთქი? და ჩავაჩუმე. მერე კი, არც ერთი მაღაზია არ დამიტოვებია დაუთვალიერებელი. ვაიმეეე, აეროპორტში ისეთი ცეცხლი უკიდია ყველაფერს, ჩვენმა მთავრობამ თურმე წვიმის დროს შენობას სახურავი „ნა ზლო“ ახადა, დაესხმება წყალი და პაწა ეშველება აქოურობასო. ისეთ დღეში ჩავვარდი უსაქმურობისგან, მახათი სანატრელი გამიხდა. ბოლოს, ენა რომ გადმომვარდა მეტლახზე სრიალით, დავჯექი სკამზე და ე, მანდ დამერხა! წამალმა ერთბაშად გამთიშა და აღარაფერი მახსოვს. რომ ჩამეძინა, მეზობლებს უფიქრიათ, იძინოს, ცოდოაო, მაგრამ ჩასხდომა რომ დაიწყო და — „ადე, ჰა, „ჰამაც“, გავიდა“-ს ძახილმაც ვერ გამომაფხიზლა. მაშინ კი დაფეთდნენ... 4 საათის შემდეგ რომ გამომეღვიძა, უკვე ფრანკფურტში ვიყავი და „ლამაზცურიანი“ სტიუარდესა ტრაპისკენ მექაჩებოდა. :) როგორც მერე მითხრეს, თურმე აეროპორტის დაცვას შევუყვანივარ სალონში მძინარე. ჰო, მართლა, იმ მატარებელმა, რომელსაც ფრაიბურგში უნდა გავყოლოდი, რა თქმა უნდა, არ დამიცადა 2 საათი და კივილით გამასწრო, მაგრამ ამაზე შემდეგში მოგიყვებით. ჩიხტიკოპიანი დილეტანტი“.

■

თქვენთვის საინტერესო თემაზე ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე:
marorita77@yahoo.com

„მამაშენის ადგილას ლანძღვა-გინებას არ გაკმარებდი“

„მშობლებმა შვილების გადაწყვეტილებას პატივი უნდა სცენ“

„გზის“ №29-ში დაიბეჭდა 17 წლის ემიგრანტის, ლუკას მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ 3 წელია, რაც საბერძნეთში წავიდა და ოჯახთან ერთად იქ ცხოვრობს. „ამ 5 დღის წინ კაფეში ვიჯექი, მეგობართან ერთად. უცებ, ჩვენს მაგიდასთან ერთი ბერძენი ქალი მოვიდა და მთხოვა, — თუ შეიძლება, სურათებს გადაგიღებო. მან საკუთარი თავი წარმოგვიდგინა, რეჟისორი ვარო, — გვითხრა და ამის დამადასტურებელი საბუთიც გვიჩვენა, მერე კი დასძინა: საოცრად გავხარ მსახიობ მაიკლ სკოფილდს, ცნობილი სერიალიდან — „გაქცევაო“.

ლუკას ასეთი შედარება არ გაჰკვირვებია, რადგან თურმე, ამას სხვებიც ეუბნებოდნენ. „უბრალოდ, გამეცინა და სურათების გადაღება-ზე დავთანხმდი. მან წასვლისას ჩემი ტელეფონის ნომერი ჩაიწერა და დაგვემშვიდობა“. რეჟისორმა ლუკას სამი დღის შემდეგ დაურეკა და სტუდიაში დაიბარა, სადაც მოზარდი დედასთან ერთად მივიდა. „თბილად შემხვდნენ, 50 ფოტო მაინც გადამიღეს და პატარა როლზე დამამტკიცეს კიდეც; 2 კვირაში კონტრაქტზე ხელის მოსაწერად უნდა მივსულიყავი, მაგრამ მოხდა ის, რასაც არ ველოდი — როცა დედამ ეს ყველაფერი მეუღლეს უთხრა, მამამ გამომლანძღა, სულ „გოგოსავით პრანჭია“ მეძახა, მაგინა, ტელეფონი დამიმტვრია და გარეთ გასვლაც კი ამიკრძალა... წესით, გადაღება 10 დღეში უნდა დაიწყოს. ხომ არ ჯობია, სახლიდან წავიდე და ცხოვრება დამოუკიდებლად დავიწყო?..“

ლიკა ქაჯაია

ლიკა:

„თუ დარწმუნებული ხარ, რომ დამოუკიდებლად ცხოვრებას შეძლებ, მაშინ ჯობია, მარტომ იცხოვრო და გადაწყვეტილებებიც დამოუკიდებლად მიიღო. ნუ იქნები „მამიკოს ბიჭი“. ის ალბათ მალე მიხვდება, რომ შეცდა“.

ლომუა:

„რაც შენ მოგვწერე, ავადმყოფის ერთ დიდ ნაბოდვარს უფრო ჰგავს, ვიდრე ჯანსაღი ადამიანის მონათხრობს. შენ თუ მაიკლ სკოფილდი ხარ, სერიალიდან — „გაქცევა“, მე მაშინ პუტინი ვარ, კრემლიდან. მამაშენის ადგილას ლანძღვა-გინებას არ გაკმარებდი და ერთს კარგად გგლიჯავდი მაგ სიმპათიურ სიფათში. P.S. მარ, დამიბეჭდე, რა (საყვარელო, ამ რუბრიკას არა მარი, არამედ სხვა ავტორი ჰყავს. თუ გინდა, მარის დაუკავშირდე, „გზავნილები“ ყურადღებით წაიკითხე და აღნიშნული რუბრიკის ბოლოს ჯაფარიძის ტელეფონის ნომერს აუცილებლად იპოვი. — ავტ.)“.

შავი მარგალიტი:

„თუ ყველაფრისთვის მზად ხარ და იმ როლის შესრულებაც გინდა, მიზნის მისაღწევად იბრძოლე. რაც შეეხება მამაშენს, თუკი უყვარხარ, დროთა განმავლობაში აუცილებლად გაგიგებს. აბა, შენ იცი, წარმატებები!“

ნინი 77:

„სიხარულო, ძალიან მეამაყება და მიხარია, ქართველებს ასეთი ახალგაზრდობა რომ გვყავს. დიდ მომავალს და ბედნიერებას გისურვებ! მამას ალბათ, საქართველოს ნოსტალგია აქვს და ფიქრობს, თუ უცხოელებს აჰყვები, ქართველობა დაგეკარგება. მას დედასთან ერთად დაელაპარაკე და უთხარი, რომ ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი ხარ, ჰოდა, თუ წარმატებულიც იქნები, ამით არაფერი დაშავდება. აბა, წარმატებებს გისურვებ, უფალი გფარავდეს!“

ლუნა:

„შენი ცხოვრება შენსავე ხელშია. დამიჯერე, ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება, თუ იმ ქალის წინადადებას დათანხმდები და კონტრაქტს ხელს მოაწერ. დიდი მომავალი გელის და მამაშენის ხუშტურების გამო ყველაფერს ნუ გააფუჭებ, ცხოვრებას ნუ დაინგრევ. იქნებ, დახმარება რომელიმე ნათესავს სთხოვო და საცხოვრებლად მასთან გადახვიდე? წარმატებებს გისურვებ! ჩემო კარგო, დაიმახსოვრე, მიზნის მისაღწევად ბრძოლა არ შეწყვიტო!“

დუდეეე:

„ალბათ, ყველაფერს ის აჯობებს, მამას კაცურად დაელაპარაკო, ყველაფერი აუხსნა. მე გოგო ვარ, მაგრამ ოჯახში ჩემს აზრს ითვალისწინებენ, პატივს სცემენ. აღარც ძალიან პატარა ხარ საიმისოდ, რომ შენი ვერ გაიტანო. თუ არაფერი გამოგივა, მერე შეგიძლია, ისე მოიქცე, თითქოს მამის ნება-სურვილს დაემორჩილე, მაგრამ ჩუმ-ჩუმად გადაღებაზეც იარე. ალბათ სულელური რჩევაა, მაგრამ ეს ჩემი აზრია და შენს ადგილას ასე მოვიქცეოდი“.

უცნობი:

„ჩემი აზრით, სჯობს, მამას ყველაფერში დაეთანხმო და ის გააკეთო, რასაც გეტყვის — ასეთი საქციელით შესაძლოა, ამ 10 დღის მანძილზე მისი გული მოინადირო კიდეც. თუ ამან არ გაჭრა, სახლიდან წადი და დამოუკიდებლად იცხოვრე. ერთი როლი უკვე შემოგთავაზეს, თანაც, როგორც ამბობ, მაიკლს ძალიან ჰგავხარ და იმედია, სხვა როლებსაც შემოგთავაზებენ, წარმატებას მიაღწევ... მერე ოჯახს შექმნი და ბედნიერი იქნები“.

ევტიპიდა:

„ლუკა, შენ არ გითქვამს, რამდენი წლის ხარ. ჩემი აზრით, მამის გარეშე, თავადვე უნდა გადაწყვიტო საკუთარი მომავალი. თუ კარგი გარეგნობა გაქვს და მსახიობური ნიჭიც, ბედი აუცილებლად სცადე. წარმატებებს გისურვებ, ჩემო კარგო!“

რუისპირი:

„ყველანაირად შეეცადე, მამა შენი გადაწყვეტილების სისწორეში დაარწმუნო. სახლიდან წასვლა გამოსავალი არაა. როგორც იტყვიან, — ტუზი ზედ თავზე დაგეცა და ნუ „მოჯოკრავ“. ისე, ვარსკვლავური მონაცემები კი გაქვს. სიმპათიური დავიბადეო, — ეს სიტყვები რაღაცნაირად, ვარსკვლავურად ჟღერს :)). მამის წინააღმდეგ წასვლა, ამ შემთხვევაში, ცოდვა კი არა, წარმატებისკენ გადადგმული ნაბიჯია. P.S. მერე, როცა ცნობილი მსახიობი გახდები, ვიტყვი, — ამას რჩევა მე მივეცი, მე „გავქაჩე“-მეთქი :))“.

ნ.ლ:

„შენი ბრალი მართლა არაა, სიმპათიური თუ ხარ. უფალმა შანსი მოგცა

და უნდა გამოიყენო. ალბათ, სახლიდან წასვლა და სხვაგან ცხოვრება ჯობია, მაგრამ იქნებ, მამაშენმაც შეიცვალოს აზრი?! ღმერთი შენკენ“.

DANCER:

„გირჩევ, მშობელს დაელაპარაკო, ყველაფერი აუხსნა. ხშირად არის ისეთი მომენტი, როდესაც მამას შვილის არ ესმის. დამიჯერე, მას გაბრაზება გადაუვლის. ლუკა, იმედი მაქვს, კონტრაქტს ხელს მოაწერ. რაც შეეხება სახლიდან წასვლას, ამას არ გირჩევ — ჯერ 17 წლის ხარ და დამოუკიდებლად ცხოვრება გაგიჭირდება. ბედნიერად!“

უცნობი:

„მეც დაახლოებით, შენნაირ მდგომარეობაში ვიყავი და ასე თუ ისე, შენი მესმის. სჯობს, მამას დაელაპარაკო. მას სთხოვე, გაგიგოს, მაგრამ თუ ისევ უარს გეტყვის, ალბათ, სახლიდან წასვლაზე და დამოუკიდებლად ცხოვრებაზე მოგიწევს ფიქრი. რაც მთავარია, „ცხელ გულზე“ ნურაფერს გადაწყვეტ“.

გრუზინკა:

„ლუკა, თავიდანვე ყველაფერი მშობლებთან უნდა შეგეთანხმებინა და ის რეჟისორი შინ მიგეწვია, რათა მამაშენს თავად დალაპარაკებოდა. რადგანაც მამა შენი მსახიობური კარიერის წინააღმდეგია, მას უნდა დაუჯერო. დღეს ადამიანს საკუთარ ქვეყანაში უჭირს დამოუკიდებლად ცხოვრება და საზღვარგარეთ მყოფს მით უფრო, გაუჭირდება“.

ნატალი 37:

„რომელი საუკუნეა? რატომ უნდა გეჩხუბოს მამა? იქნებ, ფილმში გადაღებამ დიდი წარმატება მოგიტანოს?.. გირჩევ, თუ ეგ საქმე მოგწონს, შენსას ბოლომდე მიაწვე. P.S. ყველა ქართველი სიმპათიურია და თითოეული მათგანი ძალიან მიყვარს“.

უცნობი:

„პირველ რიგში, მამას უნდა ჰკითხო, რამ გააღიზიანა? როცა ამ კითხვაზე პასუხს მიიღებ, მერე აუხსენი, რომ პასუხისმგებლობის გრძნობა გაქვს და არ გინდა, შენ გამო გადაღება თუნდაც ერთი დღით გადაიდოს. უთხარი, რომ ეს შენი სურვილია და ძალიან გაგახარებს, თუ ფილმში მონაწილეობის ნებას დაგრთავს, რომ ამ ნაბიჯს სანანებელს არ გაუხდი. მერწმუნე, თუ ამ ყველაფერს სთხოვ (და არ მოსთხოვ), აუცილებლად გაგიგებს“.

დიკი ანგელ:

„იქნებ მამას კაცურად დაელაპარაკო?! ის ნერვიულობს, რადგანაც ჰგონია, რომ გატყუებენ... ჰო, ლამაზი რომ ხარ, ეს ძალიან კარგია!“

მისი:

„ჩემი აზრით, სახლიდან არ უნდა წახვიდე, ეს საუკეთესო გამოსავალი ნამდვილად არაა და არ უნდა ამას ბევრი ლაი-ლაი. იცოდე, პრობლემებს არასდროს გაექცე. რაც შეეხება მამაშენს, მას უნდა გაუგო. აბა, ყველა კი არ ჰგავს სკოფილდს“.

სვანის ასული:

„თუ მართლა სკოფილდს ჰგავხარ, პირველ რიგში, მინდა, კომპლიმენტი გითხრა, სიმპათიური ბიჭი ყოფილხარ... მამაშენი მაინც, ძველი ყაიდის კაცია და ეცადე, გაუგო. ადროვე, დაწყნარდეს, კარგად დაფიქრდეს და ვინ იცის, შესაძლოა, მერე ფილმში მონაწილეობის ნებაც დაგრთოს. გადაწყვეტილებას „ცხელ გულზე“ ნუ მიიღებ. მართალია, ადვილად მისაღწევი პოპულარობის დაკარგვა არ გინდა, მაგრამ იქნებ, მომავალში უკეთესი პერსპექტივა და სხვანაირი კარიერა გელის? ბოლოს და ბოლოს, გარეგნობა კი გიწყობს ხელს და შეუმჩნეველი არ დარჩები, ეს ბევრ რამეში დაგეხმარება... ალბათ, ცალმხრივადაც ბევრს შეუყვარდები, მაგრამ მეგობრულად გთხოვ, სხვის გრძნობებზე არ ითამაშო“.

ნემო:

„სახლიდან წასვლით პრობლემებს ვერ მოაგვარებ, პირიქით, ამით სიტუაციას უფრო გაართულებ. დედას აცადე, იქნებ, პირობა შეასრულოს და საქმე მოგიგვაროს. იცოდე, სილამაზე წარმავალია და ამიტომაც, ეს შანსი აუცილებლად უნდა გამოიყენო. წარმატებებს გისურვებ!“

მარიკო:

„სილამაზე დანაშაული კი არა, წყალობაა, რომელსაც უფალი ყველას არ აძლევს. ადამიანმა თავისი შესაძლებლობები მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს და ცხოვრებისგან რაც შეიძლება მეტი სიამოვნება მიიღოს. ყველას შენსავით როდი უმართლებს. არაფრის გამო ასეთ შანსს ნუ დაკარგავ. შენი გულშემატკივარი“.

მაქსი:

„ლუკა, ცუდი რამ დაგმართნია. ეცადე, მამას დაელაპარაკო და აუხსნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია შენთვის ეს გადაღება, ხოლო რაც შეეხება გაპარვას, თუ საკუთარი თავის იმედი არა გაქვს და თავის გატანს დამოუკიდებლად ვერ შეძლებ, სახლიდან წასვლას არ გირჩევ. P.S. თუ მამაშენმა არ გადაიფიქრა, მაშინ ფილმის გადაღების წინა დღეს გაიპარე“.

კლეოპატრა:

„ცხოვრებამ შანსი მოგცა და უნდა გამოიყენო, ყველას შენსავით კი არ უმართლებს. მამას დაუმტკიცე, რომ სილამაზის გარდა, ნიჭიც გაქვს. ის ოდესმე იამაყებს შენით, დამიჯერე. P.S. მშობლები რატომ ვერ ხვდებიან, რომ შვილებს თავიანთი არჩევანი აქვთ და რომ მათ გადაწყვეტილებას (რა თქმა უნდა, ზომიერების ფარგლებში) პატივი უნდა სცენ? თავიანთი განუხორციელებელი ოცნება შვილებმა რატომ უნდა განახორციელონ? ბოლოს და ბოლოს, ყველა ადამიანს თავისი პატარა სამყარო აქვს“.

სარა:

„ვერ ვხვდები, რატომ არ უნდა მამაშენს, რომ წარმატებას მიაღწიო? მე შენს მოსაზრებას ვეთანხმები. გირჩევ, სახლიდან წახვიდე და დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო. იქნებ წინ მართლაც, დიდი მომავალი გელის და მამაშენის გამო ეს შანსი რატომ უნდა დაკარგო? დაბრკოლებებს არ შეუშინდე, მიზნის მისაღწევად და საკუთარი ბედნიერებისთვის იბრძოლე. წარმატებებს გისურვებ!“

ნია:

„საყვარელო, არ გინდა, საბერძნეთში მეც რომ წამიყვანო და შენთან ერთად მაცხოვრო? თუ მართლა მაიკლს ჰგავხარ, ერთმანეთს ძალიან მოვუხდებით. ამ მსახიობზე ვგიჟდები და იქნებ, შენ გამიწიო მისი მაგივრობა? გაგიჟდება, რა, კაცი — მეც სახლიდან გაქცევაზე ვოცნებობ, რადგან მამაჩემმა წელს ზუსტად, სამსახიობო ფაკულტეტზე ჩაბარება ამიკრძალა“. ■

„ვიდრე ჩემს ცოლად შერთვას განიზრახავდა, ბედნიერი ვიყავი...“

თეგუნა, *18 წლის:*

„არ ვიცი, ამ მესიჯს დამიბეჭდავთ თუ არა, მაგრამ მე თქვენი ერთგული მკითხველი ვარ და მაინც გწერთ იმ იმედით, რომ დამეხმარებით. ცხოვრებაში პირველად არ ვიცი, როგორ მოვიქცე: შეყვარებული მყავს. უკვე 8 თვეა, ერთად ვართ და უზომოდ ბედნიერებიც ვიყავით მანამ, ვიდრე ჩემს ცოლად შერთვას განიზრახავდა. ის ამის სათქმელად 2 კვირის წინ, სახლში მესტუმრა და ჩემი ოჯახის წევრებს გაეცნო, მათ ჩემი ხელი სთხოვა. ვინაიდან მას ბინა არა აქვს და არც მუშაობს, ჩემებმა დაიწუნეს და ახლა მეუბნებიან, — უნდა დაშორდეო, მაგრამ ის ისე ტიროდა, რომ ვერ დავთმე. მერე რა, რომ უფულოა? მერე რა, რომ იმას ვერ მომცემს, რასაც ჩემი ოჯახი მაძლევს? — მე ის მჭირდება! ისეთი ლამაზი წყვილი ვართ, რომ ქუჩაში ყველა თვალს გვაყოლებს. მის ოჯახს და სანათესაოს მოვწონვარ. მე ქუთაისელი ვარ, ის გორში ცხოვრობს და ერთმანეთს თვეში ერთხელ ვნახულობთ ხოლმე. დედა დამემუქრა: თუ ცოლად გაყვები, ჩემგან ერთ თეთრსაც ველარ ელირსებიო! დამეხმარეთ და მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?“

P.S. ***მაშ ასე, თუ თეგუნას წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.*** ■

MK

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. „გზა“ №27, მე-19 მესიჯის ავტორი კარგი იქნება, თუ შემეხმიანება საღამოს. გმადლობ, ნინო.

2. ვარ 32 წლის, განქორწინებული. მინდა გავიცნო 45 წლამდე ასაკის, დასაქმებული მამაკაცი, ქვრივი ან განქორწინებული. სასურველია, იყოთ ქუთაისელი. აია.

3. ოჯახის შექმნის მიზნით დამირეკოს თბილისში მცხოვრებმა, ინტელიგენტმა, დასაქმებულმა მამაკაცმა, 35 წლის ზემოთ. ვარ მაღალი, ექიმი, ცოტა წუნია.

4. დაოჯახების მიზნით გავიცნობ 35-45 წლამდე ასაკის, სერიოზულ, დასაქმებულ მამაკაცს. ვარ 35 წლის, სასიამოვნო გარეგნობის, სუფთა წარსულის მქონე ქალბატონი. გასართობად არ დამიკავშირდეთ.

5. ვარ 24/155, თბილი, წესიერი, უბრალო სულის გოგო. სხვებს არ ვგავარ. მინდა ვიპოვო კარგი ადამიანი. ზრდილობიანი, კეთილი და ჭკვიანი, ვისაც ნამდვილი სიყვარული შეუძლია.

6. ვარ 32 წლის. გასათხოვარი. სუფთა წარსულის. შემეხმიანოს 37 წლამდე ასაკის, თბილისში მცხოვრები, დასაქმებული მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით.

7. ვარ ძალიან კარგი ქალი, მსურს გავიცნო 37-დან 50 წლამდე ასაკის, მარტო მყოფი, მატერიალურად ძლიერი, კულტურული მამაკაცი, ვისაც ჩემსავით აკლია სითბო და სიყვარული.

8. გავიცნობ სერიოზულ ბიჭს, სერიოზული ურთიერთობისთვის, ვისაც ნამდვილი ოჯახის შექმნა სურს. მხოლოდ ერთს, ვისაც ერთი შეცდომის პატიება შეუძლია. მხოლოდ თბილისელს.

9. „გზა“ №25, მე-11 მესიჯის ავტორის ნომერი მინდა.

10. გავიცნობ არაეჭვიან, არანარკომან, არალოთ, სრულიად ჯანმრთელ მამაკაცს, 35 წლამდე. შემეხმიანეთ საღამოს 8 საათიდან. ნატა, 28 წლის. სამეგრელო.

11. გამარჯობა, მე ვარ ია, ქუთაისიდან, 25 წლის. გავიცნობდი კეთილ და კარგი ხასიათის მქონე მამაკაცს. ცოლიანებმა თავი შეიკავეთ. თუ დაოჯახება გსურთ, დამიკავშირდით.

12. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სანდომიან მამაკაცს. ვსაუბრობ მშვიდად, ვამზადებ გემრიელ კერძებს, ღამ-ღამობით თავი არ მტკივა.

13. ვარ 19/180/75, მსურს გავიცნო მანქანიანი და ფულიანი მამაკაცი. ვარ მხიარული. სოფო.

კაცები

14. მინდა პიროვნებას გაცნობა, რომელსაც ჰქვია მაიკო. დამაკავშირეთ, გთხოვთ.

15. გთხოვთ, მომცეთ 28-ე ნომრის, მე-7 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

16. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35-წლამდე ასაკის, განათხოვარ ქალბატონს. სასურველია ჰყავდეს 5 წლამდე პატარა. დამიმესიჯეთ საღამოს საათებში. დანარჩენი — პირადად.

17. დაოჯახების მიზნით გავიცნობ თბილისელ, პატიოსანი სულის გოგოს, მატერიალურად ძლიერ და ტრადიციულ ოჯახში გაზრდილს, 35 წლამდე. ვარ მთიული, 35 წლის, მაღალი, სიმპათიური მამაკაცი.

18. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ, მორწმუნე, სუფთა წარსულის მქონე ქალბატონს, 32-37 წლამდე. ვარ ძალიან კარგი ხასიათის, მეოჯახე ადამიანი. დასაქმებული. ლერი.

19. „გზა“ 28, მეორე მესიჯის ავტორს. ვარ ბათუმელი, სამსახურით უზრუნველყოფილი, 25 წლის, საკმაოდ სიმპათიური, უცოლო ახალგაზრდა. შემეხმიანე ნებისმიერ დროს.

სხვადასხვა

• რუისპირ, მადლობა მოკითხვისთვის, გენაცვალე. შენ როგორ ხარ, ჩასაყლაპო? :) მის რეალ, ლიმონა, პარიჟანკა, რაფერ ხართ, ტკბილებო? გაიხარეთ, ბავშვებო. ძაან მიყვარხართ! ტერეზა.

• ქ-ნო ნანი დუმბაძე, უზომოდ თბილი და კეთილი ადამიანი ბრძანდებით. უღრმესი მადლობა, „გზის“ ფურცლებს რომ ავსებთ უსაზღვრო სიყვარულით. მიყვარხართ. უფალი გფარავდეთ. ტერეზა.

• ღმერთო ჩემო! რა მოდაში შემოვიდა თავის მოკვლა, თანაც, მდინარეში ხიდიდან გადახტომით. ჩემს სოფელშიც ასე 80 წლის ქალმა მოიკლა თავი. ხიდიდან გადახტა ისიც. კატასტროფაა. :(არ გაინტერესებთ ზოგიერთის რეაქცია? ეტყობა სალტოებს ამუღამებდა და ნამეტანი მოუვიდაო... რა გულგრილობა, არა? აბა, ესაა ცხოვრება? ტერეზა.

• სალამი ყველას. ძალიან მაგრები ხართ. მე ახალი ვარ და იმედია, მიმიღებთ. მურანო.

• ძალიან მიყვარს „გზა“, მთელი თავისი „შიგთავსით“. მავანთა სიბრიყვემ (ბოდიშს ვიხდი) გადამაწყვეტინა მოწერა. ეს ირაკ-

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

ლი ლომაია თაღლითი რომ იყო, ნუთუ თავიდან არ იცოდნენ?

• მირუჩა, მომენატრე. ვერ მივაღწიე ნახვის უფლებას. უშენოდ არაფერს არა აქვს ელფერი. იკა 13 ივლისს „ზბორებზე“ მიდის ქობულეთში. თავს გაუფრთხილდი, მე შენს მეტი არავინ მყავს. გაკოცე.

• მირუჩა, მენატრები. ძალიან მიჭირს უშენოდ. სულ ვტირი და არავის ნახვა არ მინდა, ხმა მაინც გამაგონე შენი. ტონიას, იკასა და სოფოს ენატრები. მიყვარხარ ძალიან.

• ფუყი, ჩემო სიყვარულო, უსაშველოდ მენატრები. ყოველღამე სიზმარში გეფერები. უნდა გავუძლო დროებით უშენობას. მალე გნახავ ალბათ. შენი ფუყი.

• მარი, გენაცალე, მაგრად გამიხარდა, როცა ჩემი „სმს“ ვნახე „გზაში“. მგზავნელებო, ყველანი მიყვარხართ (გამონაკლისებიც არიან). რუისპირ, ძაან მაგარი ხარ. ლიზა.

• თელოოო, ლევან თელია, თხოვნა შესრულებულია, უბრალოდ, ვეღარ გპოულობ. P.S. სუპერსთარს, სესისა და კიდევ ჩემს ოთხ ბატ აბიტურიენტს წარმატებებიიი... დამავიო.

• ქ-ნ ნანის: კეთილშობილო, მარად ახალგაზრდა და სპეტაკი სულის ქალბატონო! თუმცა „გზიდან“ წავედი, თქვენდამი პატივისცემა უფლებას არ მაძლევს, რომ არ გამოგეხმაუროთ. სულით ბრმა უნდა იყოს ადამიანი, ვინც ვერ დაინახა, რომ ბერბიჭა ნიჭიერთა შორის უნიჭიერესი იყო აზროვნებით, იუმორით, ლექსებით და ადამიანობითაც. მართლაც კელაპტარივით ანათებდა და გვახალისებდა. მის წინააღმდეგ აზვავებულმა შურმა და ღვარძლმა გული დამწყვიტა და დამარწმუნა, რომ აქ ჩემი ადგილი არ არის. ბერბიჭას გარდა მხოლოდ მემე და თქვენ გამოხატეთ ჩემდამი სიმპათია, რისთვისაც გულწრფელ მადლობას გიხდით. ღირსეული პიროვნებისგან უბრალოდ ხსენებაც კი დიდი პატივია. ფარისევლების ყალბი პაჩები კი მათივე მსგავსთ სჭირდებათ და არა სულით მდიდარ ადამიანებს. გაიხარეთ და იდღეგრძელეთ! პატივისცემით, ემიგრანტი.

• ვიცი, ოდესმე წაიკითხავ შენ ამ სტრიქონებს, ჩაგწვდება გულში შეგრძნებები ჩემი ლექსისა, მე მართლა ვგრძნობ, დამიჯერე, კი არ ვიგონებ, მართლა იქეცი წყაროდ ჩემი შთაგონებისა. სინანულით გაიღიმებ, მოგაგონდება, სევდიანი გამოხედვით ჩემი თვალები, მე მინატრებ, მაგრამ უკვე აღარ იქნება, ისევ ისე აღარასდროს შემიყვარდები. ვიცი, ოდესმე წაიკითხავ შენ ამ სტრიქონებს, შეიძლება ცრემლიც მოგგვაროს ჩემმა ლექსებმა, იქ სიმართლეა, არაფერი გამოვიგონე, მივდივარ, მაგრამ უშენობა გამიძნელდება. ბეღურას. P.S. ეს 16 ივლისს დავწერე, ერთ-ერთ უსაშინელეს დღეს, ჩემს ცხოვრებაში. :(კლეოპატრა.

• ერთ ჩვეულებრივ დღეს სკოლაში მივდიოდი. გზაზე ყურადღება გამეფანტა. ამ დროს კი ბიჭმა ხელი მკრა და ტრაილერის დაჯახებას გადამარჩინა. უცებ ისე დავიბენი, რომ მადლობის თქმაც ვერ მოვასწარი. ჰოდა, ამ გვერდის საშუალებით მინდა დიდი მადლობა გადავუხადო. დედის გვეღაძუა. ძაან მაგრები ხართ, მგზავნელებო. მიყვარხართ.

• მაააარ, იცი რა მაინტერესებს? ხანდახან იმას რატომ ფიქრობენ ადამიანები ჩვენზე, რაც არ უნდა იფიქრონ? რატომ იგებენ ყველა სიტყვას სხვანაირად? რატომ ანუხებთ ჩვენზე ის აზრები, რაც გულშიც არ გაგვივლია? რატომ ვართულებთ ყოველთვის ყველაფერს? ჰაა? მითხარი, რააა... ეჰ, ცუდად ვარ, ცუდააად. :(ტერეზა.

• მაარ, ახლა 00:37 წუთია და რაზე ვფიქრობ, იცი? რა შემძინა მგზავნელობამ... მგონი გავაფრინე მე უკვე. :-) რუისპირი.

• ხვდები. ჩერდება. რაც უნდა გეთქვა, დღესაც ვერ ეტყვი, მშვენივრად იცი. რა გინდა, ბიჭო? გიცქერის ერთხანს გამომწვევად და დაგაყრის სიცილს. თავგზააბნეულს დაგტოვებს მარტო, ბოღმით იხრჩობი, ღამის გათავდე, მერე ფიქრები — როდის და რატომ არ გასვენებენ განთიადამდე. კვლავ მარტოობა გათოვს და გაწვიმს და სინანულის ცრემლი გატირებს, დალახვროს ღმერთმა, შენა ხარ კაცი? ბავშვის გული ვერ მოინადირე... მზე ეფერება დალალებს გაშლილს, მიჰქრის მსუბუქი, თითქოს ქარია. :) სტყუი, ის უკვე არ არის ბავშვი, ყველაფერს ხვდება, დიდი ხანია. შენს მზერას გრძნობს და ამაყად დადის, თან მეგობრებში საუბრობს შენზე, მის გულში ვიღაც იკავებს ადგილს, ბავშვის ღამაზი ზღაპრების შემდეგ და მერე შიში — არ დარჩეს კენტად, აუბორგდება ქალური სისხლი, დატოვებს ერთხელ სახლსა და დედას, რომ მალე დედად გადიქცეს ისიც. ჩამოგეხსნება მკერდიდან ლოდი და აიხსნება მრავალი კითხვა. მერე? ვიღაცა დაგიწყებს ლოდინს, რომლის ლოდინსაც ელოდი დიდხანს. 9717.

• იმას რა ვუთხრა, სიყვარული ვისაც არ ესმის? ბოროტიაო, ვერაგიო და ცარიელი, არ მიუგვრია ამურს მისთვის ტრფობა ძლიერი, სხვა რა სასჯელი უნდა შეხვდეს მას უარესი? მაგრამ თუ იცი, სიყვარულის გემო ალერსის, მას ვერასოდეს დაივიწყებ, ხარ მადლიერი, ცილისწამების გადაიტანს ის ბევრ იერიშს, ღმერთებისა და მოკვდავების რისხვის ხმა მესმის. თუ კი ავი ხარ, სიყვარულო მოდი იავე, მომკალ მარტო მე, მოაშორე ჩემი თავი ტანს, მოეშვი ყველას, ნალოთავებს და ნაქურდალებს, მე შენს სიყვარულს არასოდეს გავანიავებ. შენს სიავეს კი ჭირთა თმენით კვლავაც ავიტან და მას ამქვეყნად არაფერზე დავახურდავებ... 9717.

• უნდა დავთვრე! ასეთია ჩემი წესი. წუთისოფელს ვერ გავუგე, ვერა. კაცი, რომელიც ჭიქა ღვინოს ეტრფის, ლოთიაო, ასე ამბობს ყველა. მარ, ამ ლექსს მამაჩემის ხსოვნას ვუძღვნი. ახლა გორიდან გწერ. წეღან ჩემს დაქალს შენზე ვესაუბრე. ძალიან კარგი ადამიანი ხარ და მაგრად უყვარხარ ყველას. ნანა.

• „ღმერთის მიმართ მაქვს დიდი სათხოვარი, არ გამხადოს სიყვარულის მათხოვარი“. ეე, რა სიაფანდი სიტყვებია ამ ლექსში. ყველა სევდაფართ ხალხს ვუძღვნი. მგზავნელებო, ცუდად არ გამიგოთ, რაა, „პროსტა“, მე სხვანაირი აზროვნება მაქვს. ყველას ბედნიერებას და იმას გისურვებთ, რაც თქვენს გულებს გაეხარდება. მარ, მაგრად გაფასებ. ნანა.

• რა ღამაზია იცი, სიცოცხლე? როცა გვერდით გყავს შენი სიცოცხლე, რა ღამაზია იცი, სიცოცხლე? როცა ბევრისთვის შენ ხარ სიცოცხლე, რა ღამაზია იცი, სიცოცხლე? როცა თვითონ ხარ შენ ეს სიცოცხლე, რა ღამაზია იცი, სიცოცხლე? როცა გეტყვიან — დიდხანს იცოცხლე, რა ღამაზია იცი, სიცოცხლე? როცა გეტყვიან, ჩემო სიცოცხლევ! აფროდიტა.

• დილა გათენდა წუხანდელი უძილობისა, ისევ და ისევ, უსასრულოდ შენზე ფიქრები, გადავიწყება შენი მართლა აღარ მეღირსა, ამაში აღარ მეხმარება შენი სიტყვებიც.

• „ფეხები მიადგი ღამაზო ერთმანეთს, კაბის ქვეშ გიყურებს მთელი დედამიწა, გვირილა კანჭებზე გაკოცებს ღმერთმანი, შეგრცხვება იცოდე და მე ვერ დაგიცავ. გულთან შეიბნიე გახსნილი ღილები, ვერ ხედავ, მთელი ცა მკერდში რომ ჩაგცქერის? მზე სხივებს წაგატანს თუ გაგეღიმება და გვიან მიხვდები ძვირფასო, რაც გელის. თმას ასე თამამად ნურასდროს გაიშლი, ნიავი აგირევს, ფიქრს აგიცანცარებს, რა ვნებიანია თან ქარი მაისში, არ იცი? მაგრამ მე ხომ ვიცი, რაც არის. ეგ ყელი მაღალი როგორმე დაფარე, იწვიმებს იცოდე და მაინც მოგიწვევს, თუ არ დამიჯერებ, წვეთს შემოგაპარებს, მუცლამდე ჩაგიღვრის და გვერდში მოგიწვენს. ვერავინ დაიცავს შენს უმანკოებას, ცოტა მოერიდე ხალხსა და სამყაროს, თორემ ჭორაობა დაიწყეს რტოებმა, რა უბიწოებით გარყვნილი რამ ხარო“. :-) ზანგურის ამ ლექსში თურმე ნუ იტყვით და ბევრი უზრდელობაა ჩაქსოვილი. რამ გადაგრიათ ხალხო, დაუკვირდით, რამხელა მხატვრული ხასიათია ჩადებული. უმაგრეეეს! :) არა, ტოროლა-ქალო? :) 9717.

• ქ-ნ ნანის: დიდებულო ქალბატონო, მხიბლავს თქვენი სიტყვის ძალი, ახალგაზრდებს არ აწყენდათ, რომ აებათ თქვენთვის მხარი, მოესმინათ ყურადღებით და გაეღოთ გულის კარი, „გზავნილეთშიც“ მშვიდობა და იქნებოდა მუდამ დარი, მსურს ჩაგიკრათ გულში, როგორც შვილმა დედა ამაგდარი და ვუსურვო სმენადახშულთ, ესმათ თქვენი ნაუბარი. ნეტავ ბევრი ამშვენებდეს ამ ქვეყანას თქვენი დარი, წრფელი გულით თქვენთვის ვრითმე ეს მცირედი საჩუქარი. ემიგრანტი.

• გამარჯობა მარი. სიტყვები არ მყოფნის, ტკივილი როგორ გადმოგცე. იქნებ უფრო ჰუმანური საქმე ითავო, გაჭირვებულთ დასახმარებლად თანხა თქვენს სახელზე გადმოვგზავნო. მწამს, შეძლებთ. 30 ივლისს ხელფასს ვიღებ. მინდა, აგვისტოს ომის I ჯგუფის ინვალიდს დარდი შევუმსუბუქო. ძმაო, რადგან „გზას“ მიმართე, შენთან მიგულე. ორი ბიჭი მყავს ამ ომში მონაწილე, მესამე შენ იქნები. არ გაბედო თვითმკვლელობა! მტერი არ გააცინო, ბიჭო! თამრო.

• მატიტელა, აქ შემეხმიანე: 8.249.2.58.41... 9717

• მხიარული ვარ? არავინ იცის, ამ ტანჯულ გულში თუ რა ტრიალებს, ამდენი დარდი, ჩემი ტკივილი, ვიცი, სიცოცხლეს გამიტიალებს. დატანჯული ვარ? ეს სიყვარული ასე გვამცირებს ადამიანებს. მუდამ ცალმხრივი გრძნობა ნამდვილი, ყველაზე ცელქსაც ადარდიანებს. მუდამ ვიგლოვო? არ დამაფასებს, იგი ყალბ გრძნობებს ამარიაჟებს, მუდამ განვიცდი, რომ სიყვარული, ასე გვაგიჟებს, ადამიანებს. რუისპირი.

• მე ვადღეგრძელებ, პირველ სიყვარულს, წმინდას, ანკარას... გულმა ყოველთვის, ყველგან ჩუმად, თან რომ ატარა, მე ვადღეგრძელებ პირველ „ჰოს“ თქმას, მორცხვი სიწითლით, იმ ტანჯულ განცდას, შეხვედრის დროს ჩუმად რომ ითვლის. მე ვადღეგრძელებ, პირველ კოცნას, სიწმინდეს მისას, სიტყვებს: „სულ მუდამ მეყვარები, შენს თვალებს ვფიცავ“. მე ვადღეგრძელებ, პირველ სიყვარულს, გიჟურს, ვნებიანს, იმ ღამაზ თვალებს,

სიყვარულით რომ იბნევიან. რუისპირი.

• ძნელია, როცა ტირილი გინდა, ძნელია, როცა ტირილს ვერ ბედავ, ძნელია, როცა სიცილი გინდა და ამ სიცილის მიზეზს ვერ ხედავ, ძნელია, როცა შენ გული გტკივა, რომ ვეღარა გრძნობ ვერავის სითბოს, ძნელია, როცა ხელებზე გცივა/ და ამ ცივ ხელებს ვერავინ გითბობს,/ ძნელია, როცა თვალები სველია,/ არ გიძინია, გინდება გლოვა,/ ძნელია, როცა ვიღაცას ელი/ და თან იცი, რომ ის აღარ მოვა,/ მე აღარავის, არაფერს ვგავარ,/ შენ ხომ მაჩუქე დარდი და ტანჯვა,/ შენ ჩემ წინაშე არა გაქვს ვალი,/ თუ არ გიყვარვარ, ნუ მოხვალ, წადი./ ჩემი სანთლები, შენთვის ანთებული,/ ჩემი იმედივით თანდათან ქრება/ და ნამწვი სანთლების, შანდალში ჩარჩენილი,/ ჩემი ოცნებების დამწვარი ფერფლია. რუისპირი.

• როცა ერთი გაქვს დღეცა და ღამეც და თვალებს დაღლა არ ეკარება, როცა გაშფოთებს, რაღაც გაწვალებს, როცა რაღაცის გამხელა გიჭირს და გული რაღაც იმედით ცოცხლობს, როცა ყველასთან ხარ აბეზარი, მაგრამ ერთთან კი ბავშვივით მორცხვობ. ფიფქია.

• ომის მონაწილის „სმს“-მა შემძრა. მან სამშობლოსთვის გაწირა თავი, სამშობლო კი მას წირავს. რა უსამართლობაა. უფალი გფარავდეთ, ჩვენს დასაცავად მებრძოლნო! კლეოპატრა.

• ვიღაცას სტუმარი ესტუმრა,/ ვიღაცა გზას იკვლევს ჩქარა,/ ვიღაცა რაღაცას ამბობს და.../ ვიღაცა უსმენს, ან — არა./ ვიღაცა ლოდინად ქცეულა,/ ვიღაცა დაღალა ფიქრმა,/ ვიღაცა რაღაცას ეძებს და.../ ვიღაცა გატანჯა შურმა,/ ვიღაცას არ სჯერა, ჰგონია მითი,/ ვიღაცას სჯერა და არც უნდა ფიცი,/ ვიღაცა დუმს და ვიღაცა გაჰკივის,/ ვიღაცას გადასდეს ამაღამ „შიდსი“.../ ვიღაცა აბარებს წაგებულ თავანს,/ ვიღაცა უჩივის იმ ვიღაც, მავანს,/ ვიღაცა უარყოფს სხვის ნათქვამ სიმართლეს,/ ვიღაცა ივიწყებს მართალს,/ ვიღაცა რაღაცას ბოდავს და.../ ვიღაცას იმ ბოდვის სჯერა,/ ვიღაცა ქარივით ქრება და.../ ვიღაცა ტიპი ერთ „ნაშას“ კერავს.../ ვიღაცა გალოთდა, სმას მიჰყო ხელი,/ ვიღაცა იწეწავს აწეწილ თმას,/ ვიღაცამ სხვის ჯიბეს გამოჰკრა ხელი,/ ვიღაცას სჯერა, რომ გადადგამს მთას,/ ვიღაცა აზროვნებს სრულიად სხვაგვარად,/ ვიღაცა სულდგმულობს ლექსით,/ ვიღაცამ ცხოვრებას გაუსწრო ტემპით,/ ვიღაცა ერთობა უბრალოდ, სექსით,/ ვიღაცა გალმიდან მოდის,/ ვიღაცა ამჩნევს, რომ ქალია,/ ვიღაცა ბარბაცით მიჰყვება გზას და.../ ვიღაცა კვლავ ისევ მთვრალია,/ ვიღაცას ვნება სწვავს,/ ვიღაცას ტრფობა,/ ვიღაცა ივიწყებს წარსულს და.../ ვიღაცას ყველა დღე ჰგონია შობა,/ ვიღაცა ალბათ ამ ლექსაც კითხულობს,/ ვიღაცა დამავიწყებს ტკივილს,/ ვიღაცა გამიგებს კიდეც და.../ ვიღაცა მაჩუქებს ღიმილს... გაცოცხლებული თოჯინა.

• რა ძნელი ყოფილა 10 მგზავნელის გამორჩევა მრავალი ღირსეულიდან. მაინც ვეცდები, ჩემთვის დაუვიწყარი მგზავნელები დავასახელო, რომლებმაც „გზავნილების“ ოქროს ხანა შექმნეს და მუდამ დარჩებიან ჭეშმარიტ მგზავნელთა ეტალონებად. მაშ ასე: 1. ილინი. 2. კანიბალკა. 3. ფინტიკოზა. 4. შეწირული. 5. ლიმონა. 6. კამელია. 7. მაესტრო. 8. ენიგმა. 9. ნიკოლი. 10. პარიჟანკა. ვიცი, ბევრი არასწორად გამიგებს საკუთარი თავის ასე წარმოდგენას, მაგრამ მე ვამაყობ, რომ იმ თაობას ვეკუთვნი, ვინც ეს რუბრიკა სიყვარულისა და მეგობრობის სინონიმად აქცია. მიმაჩნია, რომ რა დროც არ უნდა გავიდეს, ეს 10 მგზავნელი ემახსოვრება მკითხველს! მაპატიეთ, ვინც იმსახურებთ, მაგრამ ვერ გახსენეთ. პარიჟანკა.

• მოკლედ, ჩემთან წყვეტაა ხუთშაბათობით, თუ რომელმა უნდა წაიკითხოს პირველად „გზა“. ბებიაჩემი გაზეთებს ყიდის და ბაბუას მოაქვს ხოლმე პრესა დილით. ჰოდა, როგორც კი ბაბუს ჯოხის ხმას გავიგებ კარზე, რომელსაც პაროლად სიმღერა მოჰყვება: ხახუ, ხახუ, მე ვარ ბაბუ, ჟურნალ „გზაი“ მოგიბრძანეთო და ჯერ კიდევ ძილში მყოფი გავრბივარ, — პირველი მე ვკითხულობ-ს ძახილით... მერე გამარჯვებული სახით შევდივარ ჩემს ოთახში და მშვიდად ვკითხულობ „გზავნილებს“. მარა ღამე მაინცდამაინც ჩემს ოთახში შემოდის დედაჩემი და „გზას“ კითხულობს. მე კიდევ, ვერ ვიძინებ შუქანთებულში და ვარ ასე. ასე მიხდიან სამაგიეროს... ეჰ, დედაა, დამაძინე რა. დიანა.

• 14 თებერვალი ჩემთვის ყველაზე ბედნიერი დღე იყო წელს. ამ დღეს გავიცანი ჩემი მტანჯველი. თავი სიზმარში მეგონა, ამ სიზმრიდან დაქალმა გამომიყვანა. ერთი მესიჯი მეხივით გავარდა ჩემს ტელეფონში. „გიგა ცოლიანია“. ასე დამთავრდა ჩემი ბედნიერება. სამწუხაროდ, ახლაც მიყვარს, მაგრამ რატომ, ვერ გამიგია. გურული ბუტია.

• წუხელ ციოდა, მარტოობამ დაისადგურა, ჩუმად გეძებდი, ვერ გიპოვე, დავაგვიანე, ამ მოლოდინმა ნაზი გრძნობები გამინადგურა, ვიცი გიყვარვარ, მაგრამ რატომღაც არ აღიარებ. ვიცი შენს გულსაც ეს სიმარტოვე გამოუცდია, ალბათ ფიქრობ, რომ განმეორდება ისევ წარსული, სიყვარულს თითქოს მუქი ლაბადა წამოუცვია, ჩუმად მშორდება და ისიც უკვე, მართლა არ ტყუის. ბეღურას. კლეოპატრა.

• გამარჯობა, ჩემო საყვარლებო! მართალია, დიდი ხანია არ გამოვჩენილვარ, მაგრამ არ დამვიწყნიხართ! მიყვარხარ, მარ და გამძლეობას, ახალ იდეებს და გაასმაგებულ მკითხველს გისურვებ! მოსაყოლი არაფერი მაქვს, არც ჩემი გულგატეხილობით მინდა შეგაწყინოთ თავი. უბრალოდ, მინდა მეგობრულად მოვუწოდო ყველას: ერთმანეთის გრძნობებს გავუფრთხილდეთ და ნუ ვტკენთ გულს, უმიზეზოდ! ახალი ნიკით დავბრუნდი. გკოცნით, თქვენი ოპტიმისტი.

• შენ მონატრება ტკივილამდე, გამოგიცდია? მე აღარ მართობს დამიჯერე, მოგონებები, ჩვენ შორის უკვე უთვალავი წლების ხიდია, ნეტავ იქნება ის დრო, როდესაც მოგეფერები? ნეტავ ოდესმე კოკისპირულად თუ გიტირა, თუ გიფიქრია, რა ძვირფასია ხან ეს სამყარო, დღეები გადის ისევ ისე, რა არ მიცდია, რომ მეფიქრა ისევ შენზე, რომ არ დაგკარგო. უკიდეგანო მონატრებამ გამანადგურა, დამიჯერე, უშენობა ჩემთვის ძნელია და თუ ცხოვრებამ უშენობის წამი მარგუნა, ამასაც შევძლებ, მე სხვა გზა არ დამრჩენია. P.S. ჩიკი-ჩიკი ტკივილამდე მენატრები. ნეტავ იცოდე, როგორ მჭირდები ახლა, მაგრამ... ვკვდები. კლეოპატრა.

• მარ, ერთმა ადამიანმა უსაშინლესად მომატყუა. მგონი არ ვიმსახურებდი ამას. საშინლად მეტკინა გული. ვინერვიულე და თურმე ტყუილი ყოფილა. ცუდად ვარ. მარ, მიყვარხარ. კლეოპატრა.

• ჩვენს ოჯახს ახალი წევრი, ალეხანდრო შემოემატა. ნამდვილი ქართველი, კაცური კაცი. არა, კი არ ვაფერისტობ, მართლა. ალეხანდრო ჩემი ძმის ძმაა ანუ ჩემი ძმაა! კეთილი იყოს, შენი ფეხი ჩვენს დიდ ოჯახში, ძამი. რუისპირი.

• მაარ, 2008 წლის „გზას“ ვკითხულობ. კახელი სალომე წერს, მგზავნელთა ჰიმნი შევქმნათო. ისე მომეწონა ეს აზრი. არ გინდათ ბავშვებო, ვიფიქროთ? ფიფქია.

• კუტრინ, „გზის“ ყველა ნორმალური წმკითხველი და გამგები დამეთანხმება, რომ შენთან მიმართებაში მხოლოდ და მხოლოდ შეურაცხყოფა იყო გამოხატული, „გზის“ №24-ში, მაგრამ იმასაც დავძენ, რომ ეგ შეურაცხყოფა არ იყო შენ მიმართ გამიზნული, რაც „გზის“ №25-ში დავდასტურე და ამ დადასტურებაში მარიმაც შეიტანა მცირეოდენი წვლილი. მიუხედავად ყველაფრისა, საუბრების დაძაბვის ინიციატორი რატომ ხარ, ვერ ვხვდები. მისტერ.

• აი, მოვიდა გაზაფხული კართან და მღერის, მხიარულ ქარებს მოაქვთ პირველიების ფერი. გათბა ჰაერი და ტყეებში აყვავდა ნუში, მაგრამ ვერაფრით ვერ გავადნე ყინვა ჩემს გულში. თითქოს ჩემთან ხარ, მაინც ჩემთან არა ხარ თითქოს, მე კი, მე შენგან ბრმა სიყვარულს და რწმენას ვითხოვ. ალბათ ამიტომ არ მასვენებს დროდადრო ეჭვი, მერე რატომღაც ეჭვისთვის სინდისი მქენჯნის. ხან მსურს გეფერო, ვით ძვირფას და უმწეო ყვავილს, ხან მინდა მოგკლა და მერე მეც მოვიკლა თავი. ქარონის ნავით გადავცურო რომ შენთან ლეთა. ო, მტერო და თან მეგობარო, უტკბილეს დღეთა. როცა მიცინი ერთგულების უსაზღვროდ მჯერა, როცა მიწყრები, მენისლება რისხვისგან მზერა. ეჭვი ჩამქრალი ვულკანივით იღვიძებს მყისვე და ღამღამობით მახვილი ძევს ჩვენს შორის ისევ. მაინც მიყვარხარ და ველური თაფლივით მათრობ, შენამდე თითქოს უდაბნოში ვცხოვრობდი მარტო, თან მეშინია უშენობის, თან ჩუმად გლოცავ, თან ვწყევლი იმ დღეს, შემოხვედი ჩემს გულში როცა და მიხმობს, მიხმობს გაზაფხული მომდგარი კარზე და გაკრული ვარ სიყვარულის გაბზარულ ჯვარზე. ენვერ ნიჟარაძე. ეს ლექსი ერთ ღამეს, ათრთოლებული ხმით ძალიან კარგმა ადამიანმა წამიკითხა, რადგან მასში თავისი სულის გამოძახილი იპოვა. ახლა მინდა, ამ ულამაზესმა სიტყვებმა ის „მობილი-ზაცია“ დაამშვენოს, რომელიც ლანძღვამ წალეკა. მოვიკითხავ ვეროსნას. „ოდნოში“ რატომ გაქრი? სვანის ასული.

• დღეები მიქრიან, პროფილებს იცვლიან. მარიაამ გვიყვარხარ, შენსას და სხვისიანს, ამ გზაზე სევდაა, იმ გზაზე ნისლია, შენ მაინც სავალი არ გამოგიცვლია. რა წუწუნს გაუძელ, სხვებმა რა იციან, აბა წუწუნი რა საკადრისია?! მგზავნელთა სითბო ხომ ყანწებით გისვია, სულ გვერდში უდგახარ შენსას და სხვისიანს. შენშიც და სხვისშიაც შავ-თეთრი გიცვნია, მაინც მოგიხდია შენივე მისია. მიქრიან წლები და პროფილებს იცვლიან. ასე რომ გვიყვარხარ, სხვებმა თუ იციან? გაკოცე. ტერეზა.

• ადამიანის სული ბევრად უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული. იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია. ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული. თქვენ ჩემი, მე — სხვისი, სხვამ — სხვისი და ასე, დაუსაბამოდ, რამე თუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე. ფიფქია.

• გამარჯობა მარი, როგორ ხარ? ძალიან მიყვარხართ და გაფასებთ (მართლა). მე პირველად გწერთ იმის მიუხედავად, რომ სულ ვკითხულობ თქვენს რუბრიკას... ახალი ვარ, მიმიღებთ? დიანა.

• მინდა, ეს „სმს“-ი ძველმა მგზავნელმა, ლეო91-მა წაიკითხოს. მაინტერესებს, რატომ აღარ წერს „გზავნილებში“. სად წავიდა? თუ ნიკი შეიცვალა? სამწუხაროდ, ის ნომრები გამოვტოვე და არ ვიცი... მართალია, „გზავნილებში“ ყველა კარგი ხართ, ძველიც და ახალიც, მაგრამ ლეო91...

• მოკლედ, ეს მარიამი მართლა ვერაფრით დავაინტერესე. ალბათ იმიტომ, რომ სხვებივით სიყვარულს არ ვეფიცები. რა ვქნა, თუ ჩემში პატივმოყვარისა და ზედმეტად ამბიციური ადამიანის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს, ვიდრე საყვარელის? იმედია, არ მიწყენს. მოყვარეს პირში უძრახე და მტერს პირს უკანო, ხომ გაგიგონიათ? მასე ვარ მეც. :-) თუ ასეთი ზედმეტი ვარ, მე მაპატიეთ. „გზავნილები“ ერთი დიდი კლანია და ეტყობა, ვერ ვარ მათი დონის. აბა მიდით, ამ მესიჯზე წამოვიდა საყვედურები, წამოვიდაააა! ბამბუჩა.

• შენ თუ ხარ ლექსი, მე ვარ მოთხრობა, ცაში ღმერთობა ვინღა მოგთხოვა? მიწის შვილი ვარ, ვარსკვლავთა დედა, აწმყოს გავყრივარ, წარსული შედგა. სიჩუმე ცეკვავს, ტანგო იწყება, კაცუნას ვძერწავ, ქალი ირთვება. მიწას სტუმრობენ ნაზი ლანდები, ზღვის სილურჯეში გავფერმკრთალდები. გავიარტისტებ, მერე დაგცინებ და კარებამდეც არ მიგაცილებ... ტერეზა.

• გაოგნებული ვარ. დღეს სამსახურში ახლობელმა რაღაც ნივთი მომპარა. დავინახე, იპარავდა, მაგრამ შემრცხვა და ვერაფერი ვუთხარი. ახლა მაინტერესებს, პატიოსანი ადამიანი ვარ თუ შტერი? მეტყვით, შტერი ხარ, აბა რა, თუ ხედავდი გპარავდა და არაფერი უთხარიო, მაგრამ რა ვიცი, სათქმელს ვერ მოვაბი თავი. მატიტელა.

• ჩემს სოფელში ეკლესია შენდება. უფრო სწორად, ეკლესიის გალავანი. მამამ სასულიეროდან სტუდენტები ჩამოიყვანა და მათი დახმარებითა და ღვთის შეწევნით ყველაფერი კარგად მიმდინარეობს. დღესაც რომ დავინახეთ, როგორ ენერგიულად მუშაობდნენ ბიჭები, გული დამწყდა, მათ გვერდით რომ არ ვიდექი და გოგონებს შევთავაზე, რამდენიმე ქვა ჩვენც დავდოთ ერომანვითზე და რაღაც წვლილი გვექნება შეტანილი-მეთქი. ყველას მოეწონა ეს იდეა და მაშინვე შევთავაზეთ ჩვენი დახმარება, მაგრამ ამაოდ. ბიჭებმა სასტიკი უარი გვითხრეს... ჩემი დაქალი ძალიან განაწყენდა და გაბრაზებულმა დაუყვირა, გოგოები რომ ვართ, მაგიტომ არ გვიხმართ, თორემ აბა ბიჭები ვიყოთ, ყოველდღე აქ გეყოლებოდითო. :-) მამაოს ჩუმად ჩაცინებას ხალხის გულიანი სიცილი მოჰყვა. ნუ, მოკლედ, რას გვიშვრება ეს სააკაშვილი კი არა და ქართული ენა? დამავოი.

• სიცხე წნორში რომ ვიგრძენი, ეგეთი — არსად. აკადემიაში ვიყავი, პატრულთა გადამზადების კურსები გავიარე და დასვენების დღეებში მეუღლის ოჯახში გავეშურე, თბილისიდან წნორში. სიცხე და ხვატი როგორ არ მინახავს, მაგრამ მსგავსი არაფერი და არსად. დღისა და ღამის სამ საათზე ერთნაირად ცხელოდა. ჰო, აკადემიაში სწავლისას, იქვე, მისივე სასტუმროში ვცხოვრობდი. ჰოდა, ერთ შუადღით ავირბინე ლექციებს შორის შესვენებაზე და სააბაზანოში შევიარე. ვიღაც უცნობი გოგონა სარეცხს რეცხავდა, თან მაკვირდებოდა. გამოსვლისას კი მითხრა: ერთი წუთით, თქვენ ელისო ხართო? კი-მეთქი და რომ დავაკვირდი, იმფერმა ლამაზმა, ცისფერმა თვალებმა შემომანათა, უცებ მიცნო, „ოდნოეებიდან“ მეცნო, ფოტოებიდან. ეს ხომ ლეგენდარული და ამჟამად „გზავნილებიდან“ ჩემსავით დაკარგული კანიბალკა იყო. კი, ასეა და გამიმხილა, ფეხის ზომაზეც გაკვირდებოდი, რომ დავრწმუნებულიყავი, ნამდვილად შენ იყავი თუ არაო. მერე კი იცოცხლე, ვნახულობდით ერთმანეთს, მაგრამ მაინც ბევრი დაგვრჩა სათქმელი. ელისო.

• თურმე ჩვენ შორის სასაფლაოზე, მთელი საღამო ისმოდა გლოვა, მკვდრები შეწუხდნენ რომ მათ სიმშვიდეს, აკრთობდა ბინდში მწუხარე ლოცვა. ზოგის გულებშიც უსულოდ შორის სიყვარულს გაჰყვა და ისიც მოკვდა, ოჰ! რა ძნელია იმის გაგება, რომ ეს სიცოცხლე, უბრალოდ მოკვდა! რუისპირი.

• რატომღაც მარტო დავრჩი, სულ მარტო, ჩემს ფიქრებთან და ოცნებებთან ერთად. ვფიქრობ ყველაფერზე, ყველაზე, ადამიანებზე, სიცოცხლეზე და ცხოვრების აზრზე... ხშირად წარმოვიდგენ ჩემი სიცოცხლის დასასრულს, ბოლო ამოსუნთქვას და უკანასკნელი გულის ფეთქვას... რატომღაც მგონია, რომ მალე მოვკვდები. შეიძლება ეს შიშია, სიკვდილის შიში კი არა, შიში იმისა, რომ საყვარელი ადამიანების გარეშე ყოფნას ვერ შევძლებ... როცა მარტო ვარ, პესიმისტი ვხდები. არ მაქვს ძალა და სურვილი იმისა, დაბრკოლებები გადავლახო. როცა მოვკვდები, მიტირებთ (თუ დავიმსახურე) და დამმარხავთ, მშიერ მიწაში, უხვად დააყრით ჩემს კუბოს ესოდენ მძიმე მიწის ბელტებს და დამტოვებთ... მერე წყდიადის შემეშინდება და ხელმეორედ მოვკვდები... ძალიან მეშინია... მეშინია უსასრულობის... ლაკვასტი.

• შევსვათ სასმისი, მდუმარებით შეავსეთ თასი! წითელი ღვინო აშხაპუნდეს მყისვე სასმისში, დაე, შეინდოს უფალმა ღმერთმა მათი სულები, ვინც საქართველოს სიყვარულში დაიხარჯება. ვინც სიკვდილის წინ „ვაი ნანას“ გაიძახოდა, ვინაც ინატრა სამშობლოს მთა უკიდეგანო, ვინაც ატირა ქართლის დედა მწარე გოდებით, ვინაც ცხრა ძმასა შეაშველა მკლავი დროშებით, ვინაც აღმართა საუკუნედ ხმალი თამარის, შევსვათ სასმისი, დავიჩოქოთ აწ და მარადის! ლაკვასტი.

• თენდება, ღამდება, ნათდება, ბინდდება, რაღაცა მთავრდება, რაღაცა იწყება, ვგიჟდები, ვმშვიდდები, ვიბნევი ფერებად, ჩემი სული კი კვლავ მოგეფერება. იღვიძებს, იძინებს ცხოვრება გრძელდება, ვიღაცას ნატრობ და რაღაცა გბეზრდება, წარსული ჩერდება, ცხოვრება გრძელდება, შენზე ფიქრი კი მაინც არ მეშვება. მიდიან დღეები და ღამეც იცვლება... საოცარ შეგრძნებად ეს გული იქცევა, დაგკარგე, გიპოვი, სული კი მშვიდდება, უშენოდ ვერ გავძლებ, მე გამიჭირდება. ბელურას. კლეოპატრა.

• გამარჯობა, მარი და მგზავნელებო! როგორ ხართ? ყველას მოვიკითხავ განურჩევლად. ძალიან მინდა თქვენთან ვიმეგობრო. კარგები ხართ. SWEET, „ოდნოს“ ვაუქმებდი და მომიწია წამეშალე. თუმცა შემდეგ გადავიფიქრე და აღვადგინე. იმედია, არ მიწყენ. ხშირად არ ვარ საიტზე და აუცილებლად გამოგიგზავნი დამატებას, როგორც კი შევალ. მინდა, ჩემი უსაზღვრო სიმპათიები გამოვხატო ქალბატონი ნანი დუმბაძის მიმართ! მართლაც არაჩვეულებრივად თბილი ქალბატონი ბრძანდებით. ამას წინათ, კუტრინა იყო შემოსული ჩემს „ოდნოში“. მომერიდა მიწერა. თუმცა დიდი სურვილი მაქვს, გავიცნო. ასევე რუისპირიც. მართლაც კარგი ბავშვები ჩანხართ და მინდა, თქვენთან ვიყო. ადუ, კლეოპატრა, ლიმონ, თქვენით იწყება ყოველი ხუთშაბთი. გიჟპოეტა.

• დავწერე ლექსი, გულზე მომეშვა, მე ხომ წლეებია, ლექსით ვსულდგმულობ, დამიწერია თითქმის პოემაც, როცა გულს მიკლავს, ვიღაც უგულო. ამდენად ფიქრობს ჩემი გონება, კიდევ რამდენ ხანს უნდა ვუყურო, როცა სატანჯველს მივლენს ცხოვრება, გამოვიფიტე, როგორც ფულურო. და ეს სიცოცხლეც როგორც ნოველა, მოკლეა... მწარეც, ცოტა უგულოც, მე კი დავდივარ გამოფიტული, დაცლილი გრძნობით, როგორც უსულო. გიჟპოეტა.

• „გზის“ №26-ში დაბეჭდილ ნანიკოს წერილს მინდა გამოვეხმაურო. შვილო, ნანიკო, მე ისეთ რამეს გაგიმხელ, თვალები შუბლზე აგივა და დედას შეეწინააღმდეგები კი არა და, მადლობას ეტყვი, რომ დაგაფასა და გკითხა, გათხოვების შესახებ და იამაყებ კიდეც, ასეთი სუფთა დედა რომ გყავს. მე 6 წელია, საბერძნეთში ვარ და ქართველი ქალების საქციელით გაოგნებული ვარ. მაპატიოს ყველამ, მაგრამ ფულის გამო ყველაფერს რომ კადრულობენ, არც ქურდობაზე იხევენ უკან და არც ბოზობაზე. არ დაგავიწყდეს და ოჯახის ჩუმადაც, მაგარი კაცები რომ ჰყავთ დატოვებული საქართველოში, ისინიც კი უკანონო ქორწინებაში იმყოფებიან. შენ კიდევ, დედაშენზე ბრაზობ? რომელსაც აბსოლუტური უფლება აქვს, იქორწინოს. მე მრცხვენია, ამას რომ ვწერ და ჩემს თავსაც დიდ შეურაცხყოფას ვაყენებ, მაგრამ ეს რეალობაა. აი, ასეთი საამაყო ქალები დაუბრუნდება საქართველოს. რა თქმა უნდა, უკან დაბრუნების სურვილი მაინც თუ დარჩებათ, მაგრამ არა მგონია. ლინჩის წესით გასამართლება არ ამცდება. ამასაც გავუძლებ, ოღონდ ქართველმა ქართველობა არასოდეს დავკარგოთ და ბოლომდე ვზიდოთ ის ჭაპანი, რასაც ქართული მანდილი ჰქვია. ნუთუ ფული ამაზე ძლიერი და ძვირფასია?

• გზა, გზა მიეცით ნიაღვარად გადმოსულ რითმებს, რომ სტრიქონებად დაალაგოს ის, რაც წალეკა. არა აქვს აზრი, ახლა ოქროდ ჩამოსხმულ სიტყვებს, ერთმა შეცდომამ შემეცნების ზარი დარეკა. ო, გზა მიეცით მეწყერივით მოვარდნილ მუზას, რომ პატრონივით გიჟის მცნებით აღარ გარეკოს, ვამჩნევ, ლექსების ზღვაში უღვთოდ ჩაჟანგულ ღუზას, მოვარდნილ ღვარცოფს ლექსიანად უნდა წამლეკოს... ტერეზა.

• გამარჯობა მარი. როგორ ხარ? პირველად ვამესიჯებ, იმედია დამიბეჭდავ. მინდა ვუთხრა გიორგი ბუდედაშვილს, რომ ძალიან მიყვარს და უზომოდ მენატრება. გკოცნი და გეფერები შორიდან. შენი თეო.

• მყავს ფხაკაძე ბებია და მეტსახელად ფხაკუნიას ვეძახით. აუ, ასეთი სასაცილო წყევლა თუ ვინმემ იცის, არა მგონია. ჩემი დეიდაშვილი სიგარეტს ეწევა და ბებია ვერ იტანს სუნს. როცა ეწეოდა, მიაწყევლა — შენ აგიმყრალდა ხორცი ბებია, რას ეწევი ასეთსო. ერთხელ კიდევ, გაზქურა დასვარა, სულ გააშავა და ეს რომ ჩვენმა ფხაკუნიამ ნახა, გაგიჟდა და მიაწყევლა — შენ გაგიშავდეს ბებია, სახე და გულ-ბოყვი, ამის

გაშავებისთვისო. რომ გავაბრაზებთ ხოლმე, მოგვაძახებს, რატომ გაგაჩინეთ ბებია, ერთი კეკალიო. P.S. ჩვენი ფხაკუნია ისე იწყევლება, გაბრაზებულზე, თორემ, გულიდან ამოსული სიტყვები არ არის, ყველა შვილიშვილზე გიყდება. მიყვარხარ, ბეე. წიწაკა.

•ეს იმ სიყვარულს გაუმარჯოს, წყაროს წყალივით სუფთა რომაა და ზეცასავით მოკამკამე. ეს იმ სიყვარულს გაუმარჯოს, ქარის ყოველ დაქროლვაზე რომ არ თრთის და არ კანკალებს. მე ვადღეგრძელებ წრფელ სიყვარულს, ყალბს კი არასდროს, გული კაცისა ჭეშმარიტი გრძნობით ღამაზობს, ღმერთო, ისმინე ვედრება ჩვენი გულისა: მოგვმადლე ნიჭი, მართლაც წრფელი სიყვარულისა. ფარვანა.

•მარორიტაა, მარგალიტა

ნანა ლილუაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 18 ივლისს. ნანუჩი, ბედნიერებას და ოცნებების ასრულებას გისურვებ. ვოვა ხიჯაკაძე.

• ჩემს პუტკუნა და „ბულკივით“ მეუღლეს, გიორგი ბიძინაშვილს მინდა მივულოცო დაბადების დღე, 24 ივლისი და ვუსურვო ჯანმრთელობა, თავის ოჯახთან ერთად. სიყვარულით, თ.ც.

• ჩემს საყვარელ და უზომოდ მონატრებულ შვილიკოს, სოფო კირთაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. დედი, უფალი გფარავდეს, შენს საყვარელ მეუღლესთან და პატარა გიორგისთან ერთად. მიყვარხართ. დედიკო.

• ზესტაფონში დაბადების დღეს, 16 ივლისს ვულოცავ ფატი ჩუბინიძეს. ვუსურვებ კარგად ყოფნას, ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს. ცინარა დეიდა.

• საბერძნეთში დროებით მცხოვრებ ემიგრანტს, ცირა გოგალაძეს დაბადების დღეს ულოცავს მისი მეგობარი, ნინო ებელაშვილი. მრავალი 15 ივლისი გაგთენებოდეს, ჯანმრთელად და ლამაზად, შენს საყვარელ ოჯახთან ერთად. გკოცნი და გისურვებ სიძლიერეს.

• ათენში დროებით მცხოვრებ მაია ციბაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ყველაფერ კარგს. ძალიან მიყვარხარ. შენი შვილობილი, თეო.

• ლიკა გელაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. მიყვარხარ ძალიან. შენი მული, თეო.

• დაბადების დღეს ვულოცავ რიმა ჩაბრაშვილს. ღმერთი გფარავდეთ, შვილო, შენ და შენს ოჯახს, თქვენს ანანოსთან ერთად. მიყვარხართ და ძალიან მენატრებით. დედა.

• 20 ივლისს დაბადების დღეს ვულოცავ თათია ლაფაჩს. ჩემო პატარავ, გაიზარდე დიდი გოგო, იყავი ჯანმრთელი, უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს, მრავალ დაბადების დღეს დაგასწროს ღმერთმა, შენს საყვარელ ხალხთან ერთად. გკოცნი, გეფერები და მენატრები. ინგა.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ფოტო, რომელმაც ნარნარა დაკარგა

• „არაფერს დაგიშავებ, შეეხე-დავ და დაგაფარებ ისევ“.

• „გაკვირვებით შესცქერის და შემოდგომას ელოდება“...

• „უნახავმა რა ნახა?“

• „ეგ ფოთოლი მაიხსენ, ბიჭო. ერთხელ მაინც დამანახვე ეგ საოხრე“.

• „მოიძრე ცუნცულ ეგ ფოთოლი, თორემ შევჭამე ბოლომდე ეს რაღაცაა“.

• „იფ, იფ, იფ, ასო კი არა, მთელი წინადადება ყოფილა“. BEAUTIFUL-LIAR.

• „ეს მრავალძარღვას ფოთოლი რომ არ მიეკრათ, აქ აღარ დამჭირდებოდა დახრა, შორიდანაც კარგად დავინახავდი“. ავოიე.

• „შინაბერა: ნეტავ ფოთლის ქვეშ რა უნდა იყოს?!“

• „ნუთუ თვალს დამაკლდა?“ ლუნა.

• „კაცო, ეგ ლეღვის ფოთოლი რომ მიგიფარებია, დავივიჯერო, არა გსუსხამს?“ ქეთმანა.

• „ცნობისმოყვარე „სლადკოეჟკა“.

• „შენს ჭკუაზე დადის მთელი ქვეყანა, შენ კი ფოთლის ქვეშ იმალები?“

• „ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი, დაურჩი დედაშენსაო“.

• „კი გამოვაქანდაკე, მაგრამ მგონი რაღაც ვერ არის ადგილზე, უფრო უნდა დამეხვეწა“.

• „ეეე, მე რო არა მააქ ესეთი?!“ „ბარსას“ ფანი.

• „ნეტავ მალე დადგეს შემოდგომა“...

• „ნაყინივით გემრიელო, ნაყინივით ცივო კაცო, აქეთ ჩამო, რომ გაგალღვო, „ჯოკერივით“ გადაგსანსლო“.

• „ჯერ ნაყინზე ივარჯიშე“.

• „შენ აქ საიდან გაჩნდი, შე მადლიანო, ჰაااა?“

• „ეს ნაყინის მღლოღვნელი რა უნახავი ყოფილაა?!“ მისტერ.

• „პროფილში უფრო კარგად ჩანს“. კოვბოი.

• „ეს ის არ არის, რაც შენ გგონია“. კლეოპატრა.

• „ნუ მიყურებ, გოგოო“. კლეოპატრა.

• „ისა, შენა და ამ საღამოს რას აკეთებ?“ კლეოპატრა.



• „ნუთუ ეს შენ ხარ, ჟორჟიკ?“ კლეოპატრა.

• „ოცნებას კაცი (ქალი) არ მოუკლავს“.

• „გაწიე მაი ფოთოლი, ვერ ხედავ, დევიტანჯე, მომეღრიცა კისერი, ჩამადნა „მაროჟნი“ ხელებში!“ პრინცი23.

• „გუბისწყალზე წამოხვალ?“

• „ამ სიცხეში შენც გაშიშვლდი, ვერ გწყვეტ რა ვქნა, თვალებსაო, ნაყინსა ვჭამ, გულს ვიგრილებ, შეშურდებათ ქალებსაო“. :) მის რეალი.

• „მე ეს პატიოსანი კაცი მეგონა და ეს კიდევ აქ სად გამოკიდებულა“.

• „კაცო, სახლში საქმე არა გაქვს? უსაქმურად რათა დგახარ?“

• „რად უნდოდა ლეღვის ფოთოლი, გეგონება, რამე ჰქონდეს დასამალი, ამას ქინძის ფოთოლიც ეყოფოდა“.

• „ბალღები მარტო დატოვე?“

• „შენ მარუსას დათო არა ხარ? მაგითვინ გამოგიშვეს ქალაქში?“

• „ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ „მას“ თუ ეგრე სახალხოდა ვნახავდი, ამას წარმოვიდგენდი?“

„შემოდგომა დადგა, ცივა, შენ ფოთოლი რად არ გცვივა?“ ■

ტაიმ-აუტი

სისხლის ჯგუფი და პროფესია



არც ერთ სხვა ქვეყანაში ისეთ ყურადღებას არ აქცევენ სისხლის ჯგუფს, როგორც იაპონიაში. თუ ვაკანტური ადგილის დასაკავებლად ყველგან რეკომენდაციას, გამოცდილებასა და დიპლომს გთხოვენ, ამომავალი მზის ქვეყანაში სისხლის ჯგუფს გკითხავენ. თუ „არასამუშაო“ სისხლის ჯგუფი გაქვთ, შეიძლება, სამსახურში არ მიგიღონ. იაპონელების აზრით, სისხლის ჯგუფი ადამიანის შრომისუნარიანობასა და სიყვარულს განსაზღვრავს. ზოგიერთი იაპონელი ვაჟი გოგონას ჯერ სისხლის ჯგუფს ეკითხება და შემდეგ პაემანს უნიშნავს.

იაპონელების აზრით, პირველი ჯგუფის სისხლი (0) თავდაჯერებულ, მებრძოლ ადამიანებს აქვთ, რომლებიც დასახული მიზნისთვის იბრძვიან; მეორე (II) ჯგუფის სისხლს საიმედო და ერთგული ადამიანი ატარებს. მეგობრისთვის მსხვერპლის გაღებაც კი შეუძლია, მაგრამ გულჩათხრობილი და ჩაკეტილია. ჭკვიან და საკუთარ თავზე შეყვარებულ ადამიანს მესამე (B) ჯგუფის სისხლი აქვს. სისხლის მეოთხე ჯგუფის (AB) გამო ადამიანი აუღელვებელი და გაწონასწორებულია. გრძნობებს იშვიათად ემონება, ყოველთვის „ცივი გონებით“ მოქმედებს. ■

ულამაზესი და საინტერესო შადრევნები

* რომში რამდენიმე შადრევანია, მაგრამ ყველაზე პოპულარულია „ტრევი“. ოფიციალური აკრძალვის მიუხედავად, ტურისტები შადრევანში ყოველდღიურად 2 ათას ევროს ყრიან. საბედნიეროდ, თანხა ქველმოქმედებას ხმარდება.

ტივოლი იტალიის უძველესი ქალაქია. იგი განთქმულია ულამაზესი სკვერებითა და შადრევნებით, მაგრამ უნიკალურია „ურჩხულის შადრევანი“, რომელიც 1572 წელს ააგეს.

* ბარსელონის შადრევნები მაყურებელთა თვალს 1929 წლიდან ახარებს.

* კატალონიაში მოხვედრილ ტურისტებს „მოცეკვავე“ და „მომღერალი“ შადრევნების ნახვას ურჩევენ.

* ჟენევის 140-მეტრიანი შადრევანი წყალს 200 კმ/სთ-ში ამოისვრის. ადრე იგი მდინარე რონზე მდებარეობდა. მოგვიანებით, შადრევანი ჟენევის ცენტრში გადაიტანეს და იგი ქალაქის სავიზიტო ბარათად იქცა.

* სანქტ-პეტერბურგის შადრევნებზე საუბარი შორს წაგვიყვანს. მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება, თითოეული მათგანი ხელოვნების ნიმუშია.

* მილიონობით დოლარი დაიხარჯა დუბაის 12 შადრევნისგან შემდგარ წყალვარდნაზე.

* ამერიკის ყველაზე ცნობილი შადრევანი ლას-ვეგასში მდებარეობს. მის შექმნაზე 40 მლნ დოლარი დაიხარჯა. 4500 ნათურით განათებული წყლის 1175 ჭავლი 80 მეტრ სიმაღლეზე ამოდის. შადრევანი საოპერო არიებისა და ცნობილი მომღერლების მელოდიებზე „ცეკვავს“.

* აბუ-დაბიში ძალიან ცხელა. ამიტომ, ქალაქის მოსახლეობა შადრევნებთან გრილდება. ის ყველაზე პოპულარული „ვულკანია“. ყოველ საღამოს მის წინ დისკოთეკა იმართება. შადრევანი მოსახლეობას ფერადი წყლითა და მელოდიებით ეგებება. ■

მოამზადა **რუსუდან გელაშვილმა**

„ჯორჯიან ფეშენ ვიკის“ ორგანიზატორის დებიუტი ჟურნალისტიკაში

ჟურნალი „ბომონდი“ აგვისტოდან მკითხველს ახალ რუბრიკას — „სახელებს მიღმა ადამიანები“ შესთავაზებს, რომელსაც ზურა მგალობლიშვილი წაუძღვება. „ავთანდილის სახლის“ მენეჯერს მიაჩნია, რომ „საკუთარ ჭრილში“ დანახული ცნობილი სახეები საზოგადოებისთვის საინტერესო იქნება. „არაოფიციალური“ ინტერვიუები შინაურულ გარემოში წარმართეა და როგორც ზურა გვპირდება, ცნობილ ადამიანებზე იმაზე მეტ ინფორმაციას მიაწვდის ადამიანებს, ვიდრე ახლა იციან.

ეთო ყორღანაშვილი

— აგვისტოდან ჟურნალი „ბომონდი“ ახალ რუბრიკას იწყებს. პროექტს „სახელებს მიღმა ადამიანები“ ჰქვია. მისი საშუალებით ვეცდებით, რომ ცნობილი სახეები საზოგადოებას უკეთესად გავაცნოთ, წინა პლანზე მათი ადამიანური თვისებები წამოვწიოთ და არა — ოფიციალური სტატუსები.

— იდეა როგორ გაჩნდა?

— ბევრ ცნობილ ადამიანს ვიცნობ. მათთან ინტერვიუებს რომ ვკითხულობ, ყოველთვის უკმარისობის შეგრძნება მეუფლება... იდეა მე და „ბომონდის“ რედაქტორს — თეა აგლაძეს რამდენიმე თვის წინ გაგვიჩნდა. პირველი ინტერვიუ ჩავწერეთ. მას „ბომონდის“ მკითხველი აგვისტოს ნომერში იხილავს.

— თქვენს რუბრიკაში ცნობილ ადამიანებს რა ამპლუაში ვიხილავთ?

— როგორც ჩაფიქრებული გვაქვს, რესპონდენტს ან შინ ვესტუმრები, ან ჩემთან, სახლში მოვლენ სტუმრად და დიალოგები შინაურულ გარემოში წარიმართება.

— რუბრიკის პირველი სტუმარი ვინ იქნება?

— „ჯორჯიან ფეშენ ვიკის“ ორგანიზატორი — მაკა მეტრეველი. ის ბევრისთვის მხოლოდ დავით ბაქრაძის მეუღლე გახლავთ. ხალხმა არ იცის, მაკა მეტრეველმა „ფეშენ ვიკის“ ჩასატარებლად როგორი შრომა გასწია.

— რედაქტორთან შემოქმედებითი კამათი თუ მოგდით?

— როცა ვურეკავ და რჩევას ვეკითხები, მეუბნება, რომ ბოლომდე მენდობა. მან აბსოლუტური ნდობა გამომიცხადა, რაც ჩემთვის სასიხარულოა. პირველი ჩაწერა საკმაოდ წარმატებული იყო. არა მგონია, ჩემთან შენიშვნები ჰქონოდათ. ვფიქრობ, რუბრიკაში ინტერვიუსაც და ფოტომასალასაც ხალხს საინტერესოდ მივაწვდით.

— ჟურნალისტად მუშაობის გამოცდილება თუ გაქვთ?

— არა, ამ სფეროში არასოდეს მიმუშავია.

— „ბომონდში“ მუშაობის დაწყებამდე, ჟურნალისტებთან კონსულტაციები თუ გაიარეთ?

— ჩაწერას ჟურნალისტი ესწრებოდა, რომელიც გვეხმარებოდა.

— ღელავდით?

— არა. ჩაწერაც და გადაღებაც ჩემს სახლში მოხდა. მაკა ჩემი მეგობარია. უბრალოდ, ვისაუბრეთ — ამას სტანდარტული ინტერვიუს სახე არ ჰქონია. ძალიან რთულია, ადამიანი საზოგადოებას ბოლომდე რომ გააცნო. ალბათ, რესპონდენტს ყოველთვის სურს (და მართალიცაა), რომ თავისი შინაგანი სამყარო სახალხოდ ბოლომდე არ გამოიტანოს. მინდოდა, ჩემი მეგობარი საზოგადოებისთვის „ჩემი ჭრილით“ მეჩვენებინა. მომავალშიც ვეცდები, ჩემი სტუმარი მკითხველს სხვა კუთხით წარვუდგინო.

— „თქვენი ჭრილით“ დანახული ცნობილი ადამიანები საზოგადოებისთვის საინტერესო იქნება? რუბრიკა გაამართლებს?

— მგონი — კი. მაგალითად, ინტერვიუში მაკა მეტრეველის ცხოვრებიდან ბევრი ისეთი ეპიზოდი გახდება ცნობილი, რომელსაც მასზე საუბრისას დიდი მნიშვნელობა აქვს.

— მკითხველისთვის იმ ცნობილი ადამიანების უკეთ გაცნობასაც მოახერხებთ, რომლებსაც თქვენ არ იცნობთ, მათთან არ მეგობრობთ?

— ბევრთან ვმეგობრობ — საკმაოდ დიდი სიაა (*იცინის*)... როგორც აღვნიშნე, ადამიანს გარკვეული ემოციები, აზრები თავისთვის აქვს დატოვებული, ბოლომდე არ „იხსნება“. უბრალოდ, შევეცადე, საზოგადოებისთვის იმაზე მეტი ინფორმაცია მიმეწოდებინა, ვიდრე იციან. საერთოდ, ადამიანის ბოლომდე შეცნობას ვერ შეძლებ.

— კიდევ რას საქმიანობთ?

— დაახლოებით, 5 წელია, რაც მოდის სფეროში აღმოვჩნდი. მანამდე ბანკში ვმუშაობდი — ფინანსისტი ვარ. ამჟამად „ავთანდილის სახლში“ მენეჯერად ვმუშაობ. მე და ავთო ერთ დღეს, ერთ სამშობიაროში დავიბადეთ. ბავშვობიდან მოყოლებული, ახლო მეგობრები ვართ.

— როგორი თანამშრომლები ხართ?

— ალბათ, მეგობრობაც განაპირობებს იმას, რომ თანამშრომლობა არ გვიჭირს, თუმცა ისედაც არ მიმაჩნია, რომ ავთოსთან, როგორც ხელმძღვანელთან ურთიერთობა რთულია. ჩვენი თანამშრომლობა მეგობრობითაა გამყარებული.

— „ჯორჯიან ფეშენ ვიკის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი იყავით. „მოდის კვირეულს“ როგორ აფასებთ?

— ბევრი დამწყები დიზაინერით სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი. ისეთ დიზაინერებზე აღარ ვისაუბრებ, როგორებიც არიან ავთანდილი, თამუნა ინგოროყვა... „საქართველოს მოდის კვირეულს“ მაღალ შეფასებას ვაძლევ. შეიძლება, მილანს ვერ შევედაროთ, მაგრამ თბილისში ნამდვილად კარგ დონეზე ჩატარდა. ახლა ახალი „ფეშენ ვიკის“ მოწყობაზე ვმუშაობთ. ბევრი მიზანი, გეგმა გვაქვს. „საქართველოს მოდის კვირეული“ ოქტომბრის ბოლოსთვის ჩატარდება. მაღალი დონის ძალიან ბევრ უცხოელ სტუმარს ველოდებით.

— როგორც ვიცი, „ფეშენ ვიკზე“ ქართველმა დიზაინერებმა უცხოეთიდან საინტერესო შეთავაზებები მიიღეს. უცხოელები ქართველი მოდელებითაც ხომ არ დაინტერესდნენ?

— მსოფლიო ტენდენციების გათვალისწინებით, ფრანგებს სლავური გარეგნობის მოდელებზე ჰქონდათ ყურადღება გამახვილებული. ამის გამო, 12 უკრაინელი მოდელი ჩამოვიყვანეთ. მაგრამ როგორც კასტინგზე აღმოჩნდა, „ფეშენ ვიკზე“ ქართველი გოგონები უფრო გამოიყენეს, ვიდრე — უკრაინელები. სხვათა შორის, ერთ-ერთი ქართველი მოდელი ამჟამად საფრანგეთში მოღვაწეობს. ის ფრანგებმა სწორედ „ფეშენ ვიკზე“ გაიცნეს. ■

ბექსი და მაკლარენი კაპელოს გამოექომაგნენ

ინგლისის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა — დევიდ ბექჰემმა, რომელმაც ტრავმის გამო გამოტოვა სამხრეთ აფრიკაში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატი, მხარი დაუჭირა თავისი გუნდის მთავარ მწვრთნელს — ფაბიო კაპელოს.

„მთავარმა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო. მან სწორად მოამზადა გუნდი, ყველაფრის ორგანიზება მოახერხა, მაგრამ მათ მაღალ დონეზე ვერ ითამაშეს. ნებისმიერ ფეხბურთელს თავად ესმის, თუ როდის გამოვიდა თავის რეალურ შესაძლებლობებზე დაბალ დონეზე. მწვრთნელს ბევრის გაკეთება შეუძლია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი მაინც ფეხბურთელებზეა დამოკიდებული. ისინი მინდორზე გამოდიან და იციან, რომ თუ მაქსიმალურად არ დაიხარჯებიან, მატჩსაც ვერ მოიგებენ. ცალკეულ პიროვნებებზე საუბარი საჭირო არ არის, რადგან საქმე ეხება მთელი გუნდის თამაშს. შეიძლება, ეს ბანალურადაც ჟღერს, მაგრამ ფეხბურთში გუნდები იგებენ და აგებენ“, — დასძენს ბექსი.

ფაბიო კაპელოს გმოექომაგა „ვოლფსბურგის“ მთავარი მწვრთნელი — სტივ მაკლარენიც. მისი მოსაზრებით, ნაკრების წარუმატებლობაში მხოლოდ მთავარი მწვრთნელის დადანაშაულება, — როგორც ამას ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინგლისში აკეთებენ, — არასწორია. „საზოგადოებამ ჩემსა და ერიქსონზე, თავის დროზე განცდილი წარუმატებლობების შემდეგ დიდი იერიში მოიტანა. კარგი რეპუტაცია მქონდა, მაგრამ სამწუხაროდ, ეს იმის მაგალითი გახდა, თუ როგორ შეიძლება, ერთ ღამეში ყველაფრის განადგურება. ადრე ასევე მოექცნენ კიგანს, ჰოდლსა და ტეილორს. ვფიქრობ, უკვე დროა, ჩავარდნების მიზეზები გამოვააშკარაოთ და მხოლოდ მწვრთნელები არ დავადანაშაულოთ. ჰოლანდიასა და გერმანიაში მუშაობით მიღებული გამოცდილებით — განსხვავებას ვხედავ. ეს ქვეყნები პრობლემების გადაწყვეტას უმდაბლესი საფეხურიდან იწყებენ და მთავარი მწვრთნელისგან განტევების ვაცს არ ქმნიან. აუცილებელია, ყველაფერს სხვაგვარად შევხედოთ. რატომ არ უნდა შეგვეძლოს, ახალგაზრდა მოთამაშეების ისე აღზრდა, როგორც ამას ჰოლანდიაში, გერმანიაში ან ესპანეთში აკეთებენ?“ — აცხადებს მაკლარენი. ■

ესპანეთის მეფემ გამარჯვებულებს უმასპინძლა

ესპანეთის მეფემ — დონ ხუან კარლოსმა მსოფლიოს ჩემპიონატის ტრიუმფატორები საზეიმოდ მიიღო. ღონისძიებას დედოფალი დონია სოფია და სამეფო ოჯახის სხვა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ხუან კარლოსმა გუნდის სამწვრთნელო შტაბსა და მოთამაშეებს დიდი გამარჯვება მიულოცა და მთელი ქვეყნის სახელით მადლობა გადაუხადა:

— ყველა ესპანელი ააფორიაქეთ და ჩვენს ოცნებას ფრთები შეასხით, ესპანეთს მთელ მსოფლიოში გაუთქვით სახელი. თქვენ ჭეშმარიტი სპორტული სულის, კეთილშობილების, კარგი თამაშისა და გუნდური მუშაობის საუკეთესო მაგალითი ხართ. განსაკუთრებულად მინდა მივესალმო გუნდის მთავარ მწვრთნელ ვისენტე დელ ბოსკეს, რომელსაც აქ მოსვლა არ უყვარს, თუმცა ჩემი პატივისცემით ყოველთვის ისარგებლებს.

შეხვედრის ბოლოს ესპანეთის ნაკრების კაპიტანმა, იკერ კასილასმა მეფეს ეროვნული გუნდის მაისური უსახსოვრა.

დი სტეფანო დონ დიეგოს აკრიტიკებს

მადრიდის „რეალის“ საპატიო პრეზიდენტმა, ალფრედო დი სტეფანომ განვლილ მუნდიალზე არგენტინის ნაკრების გამოსვლის შესახებ საკუთარი მოსაზრება გამოთქვა. მსოფლიოს ფეხბურთის ლეგენდას უყურადღებოდ არც დიეგო მარადონას ფაქტორი დაუტოვებია. „რა თქმა უნდა, მარადონა ფენომენური ფეხბურთელი იყო. თუმცა მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას მისი ეგოცენტრიკული განცხადებები არავის მოსწონდა. რაც შეეხება ნაკრების მიერ ნაჩვენებ თამაშს, ფეხბურთელები ბურთს ცუდად არ ფლობდნენ, მაგრამ გუნდური მოქმედება არ გვინახავს. გუნდს პლეიმეიკერი და არც ის ფეხბურთელები არ ჰყავდა, რომლებსაც მოედნის შუაგულში მეტოქის მოქმედებებისათვის ხელის შეშლა შეუძლიათ. გამონაკლისი მხოლოდ ხავიერ მასკერანო იყო. მესი თანაგუნდელებ-

ისგან მხარდაჭერას ვერ გრძნობდა და მეტოქის მხრიდან პრესინგის პირობებში იღებდა ბურთს. სინამდვილეში მე არც კი ვიცი, რომელ პოზიციაზე თამაშობდა მესი და როგორ დავალებებს იღებდა მარადონასაგან“, — ამბობს დი სტეფანო, რომელიც წარმოშობით სწორედ არგენტინიდანაა. ■

ვესლი სნეიდერი დაოჯახდა

მსოფლიოს პირველობის ვერცხლის პრიზიორმა, ჰოლანდიის ნაკრების წარმომადგენელმა ვესლი სნეიდერმა ცოლად მოდელი და სერიალების მსახიობი, იოლანტე კაბაუ ვან კასპერგენი მოიყვანა. შეყვარებულებს ადრევე სურდათ დაქორწინება, მაგრამ ფეხბურთელი ისე იყო გადატვირთული, რომ საამისოდ დროს ვერ პოულობდა. მუნდიალის დასრულების შემდეგ კი სნეიდერმა და მისმა რჩეულმა თავიანთი ურთიერთობისთვის ოფიციალური სახის მიცემა გადაწყვიტეს. ქორწინების ცერემონია კლიმენტის ტაძარში შედგა და მას მილანის „ინტერიდან“ უესლის პარტნიორები, — სალი მუნტარი, ივან კორდობა და კრისტიან კივუ, — აგრეთვე ჰოლანდიის ნაკრების წევრი, რაფაელ ვან დერ ვარტი ესწრებოდნენ. სულ ქორწილში 250 კაცი იყო დაპატიჟებული. თითოეულმა მათგანმა წყვილს გაბედნიერება სულითა და გულით მიუღოცა. ცერემონიალის გაფორმებით კი, ასევე ნარინჯისფერმაისურიანთა ყოფილი ფორვარდის — პატრიკ კლუივერტის ცოლი იყო დაკავებული. ■

პარეირა მარადონასა და დუნგას შესახებ

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა — კარლოს ალბერტო პარეირამ ინტერვიუ მისცა არგენტინულ გაზეთ Ole-ს და რა თქმა უნდა, განვლილ მსოფლიოს პირველობაზე ისაუბრა. კერძოდ, 1994 წლის მუნდიალის ტრიუმფატორთა თავკაცმა კორესპონდენტს საკუთარი შეხედულება დიეგო მარადონაზეც გაუზიარა:

— მარადონა — მწვრთნელი ჩემთვის კვლავ გამოცანად რჩება. შესარჩევი ტურნირის მსვლელობისას ბევრი რამის გაგება შეგიძლია, რასაც შემდეგ ტურნირის ფინალურ სტადიაზე განახორციელებ. როგორც ჩანს, მარადონამ ეს არ გააკეთა, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ დიეგო გუნდში — ყოველთვის უპირატესობაა მეტოქეებთან შედარებით. ამაზე არასოდეს ვიკამათებ. ძნელი სათქმელია, უნდა გააგრძელოს თუ არა მან მუშაობა ნაკრებში. თუ შესაბამისი სამწვრთნელო შტაბი ეყოლება, რომელიც გარკვეულ საკითხებში დახმარებას გაუწევს, მარადონა სამუშაოს გაგრძელებას შეძლებს. მაგრამ თუ სიმართლე გსურთ, არგენტინელთა რეაქციით მუნდიალის შემდეგ ცოტა არ იყოს გაკვირვებული ვარ: ისინი ერთხმად სთხოვდნენ მარადონას გუნდში დარჩენას.

დიეგო მარადონას ექიმმა — ალფრედო კაემ განაცხადა, რომ მისი კლიენტი კვლავაც იტყვის თავის სიტყვას სამწვრთნელო საქმიანობაში:

— რა თქმა უნდა, დიეგო ძალიან გაღიზიანებულია, მაგრამ არ დათრგუნვილა და დეპრესიას არ მისცემია. იგი ნორმალურ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშია, თუმცა მომხდარის გაანალიზების უნარი არ დაუკარგავს. ამიტომ, გავრცელებულ მითქმა-მოთქმას სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს. მარადონა მწვრთნელის რანგში თავის სიტყვას კიდევ იტყვის და სიხარულს მოგვანიჭებს.

პარეირამ კი ყურადღება გაამახვილა ბრაზილიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ დუნგაზეც, რომელიც 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალური ეტაპიდან გუნდის გამოთიშვის შემდეგ მძაფრი კრიტიკის ობიექტი გახდა (თუმცა, მას კრიტიკა ქომაგებისგან, ჟურნალისტებისა და მიმომხილველებისგან არც მანამდე აკლდა).

— ხედავთ, დუნგა ყოველთვის განტევების ვაცის როლში იყო, როდესაც ჩვენმა ნაკრებმა 1990 წლის მსოფლიოს პირველობაზე წააგო, მაშინაც მთავარ დამნაშავედ იგი მიიჩნიეს, მიუხედავად იმისა, რომ დუნგა გუნდის მხოლოდ ერთ-ერთი მოთამაშე იყო. როდესაც ნაკრები ჩავიბარე, მას ნდობით მივუდექი და ამან გამიმართლა კიდეც. თუმცა ბრაზილიაში ის არასოდეს უყვარდათ. ■

სარკოზი ისევ ცხარობს

გასაკვირი არ უნდა იყოს ის, რომ მუნდიალზე განცდილი მარცხის შემდეგ, საფრანგეთის ნაკრები მძაფრი კრიტიკის ობიექტი გახდა. საერთო საფეხბურთო ეროვნულ ვნებათაღელვას გულგრილი არც საფრანგეთის პრეზიდენტი — ნიკოლა სარკოზი დაუტოვებია, რომელმაც ერთ-ერთი გამოსვლისას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ფრანგთა სამარცხვინო გამოსვლას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოედნებზე. „მუნდიალზე საფრანგეთის ნაკრების იმიჯი? ეს ხომ კატასტროფა იყო, კვლავაც გავიმეორებ, რომ გუნდის ასეთ ჩავარდნაზე პასუხისმგებელი პირები პოსტებიდან უნდა გადადგნენ. ხოლო ფეხბურთელებმა არავითარი პრემიები არ უნდა მიიღონ“, — აღნიშნა სარკოზიმ. ■



ნიკო ლომოური — იაკობ გოგებაშვილის მოსწავლე და დავით კლდიაშვილის „მასწავლებელი“

„ბედნიერია, ჭეშმარიტად ბედნიერია ის მოღვაწე, რომელიც თავის სიცოცხლით შვება-ლხენასა ჰფენს ტანჯულ, დავრდომილ ხალხსა, ხოლო თავის სიკვდილით მდუღარე ცრემლს აფრქვევინებს მას“ — ნიკო ლომოური, „პაწია მეგობრები“.

„ქართული პროზის საგანძური“ მომავალ ხუთშაბათს ჟურნალ „გზასთან“ ერთად, 22-ე ტომად, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ნამოღვაწარი მწერლის, საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგის, ნიკო ლომოურის მოთხრობებს შემოგთავაზებთ.

ირმა ხარშილაძე



გამხდარი და ფერმკრთალი ყოფილა, ცოცხალი, მკვირცხლი თვალებითა და ტკბილად მოღიმარი სახით, ჭაღარა თმითა და თხელი წვერ-ულვაშით. გასაოცარი და მომხიბლავი ხმის ტემბრით თურმე ყველას ატყვევებდა. თითოეული სიტყვა აწონილი, თითოეული ფრაზა — გააზრებული და დახვეწილი ჰქონია. დაბადებულა დიდი და პატარა ლიახვის შუა მდებარე, ქართლის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ არბოში, ღარიბი მღვდლის ოჯახში. წინაპრები ლომიძეები ყოფილან და მოგვიანებით, ლომოურით შეუცვლიათ გვარი. თვითონ მწერალი საკუთარი გვარის წარმოშობას საქართველოში არსებული „ლომის მთის“ სახელს უკავშირებდა. წერა-კითხვა მისთვის სოფლის დიაკვანს უსწავლებია. 8 წლისა გორის სასულიერო სასწავლებელში შეუყვანიათ, მეორე კლასიდან კი თბილისის სასულიერო სასწავლებელში გადასულა. მეოთხე კლასში გეოგრაფიას თურმე იაკობ გოგებაშვილი ასწავლიდა. „პირველად ქართულად აგვიხსნიდა, მერე რუსულად და გაკვეთილს იქვე კლასში ვსწავლობდით. ესეთი გაკვეთილი პირველი და უცნაური ხილი იყო ჩვენთვის. კაჭკაჭურ ზეპირობას, ტევასა და ცემა-ტყეპას დაჩვეულნი, მოხსენებულ გაკვეთილებს სარწმუნოებრივის თაყვანისცემით შევცქეროდით“, — იხსენებდა მწერალი. სასულიერო სასწავლებლის დასრულების შემდეგ ნიკო ლომოურს თბილისის სასულიერო სემინარიაში გაუგრძელებია სწავლა. სემინარიას ისტორიული, საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური წიგნებით მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონია და მოსწავლეებიც არალეგალურად კითხულობდნენ ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, პისარევის თხზულებებს, ჟურნალ „სოვრემენიკს“, „ქართლის ცხოვრებას“, „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეს“. ნიკო ლომოურის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში ილია ჭავჭავაძის თხზულებებსაც შეუტანია დიდი წვლილი.

სემინარიელებს ჩამოუყალიბებიათ წრე, დაუარსებიათ საიდუმლო ბიბლიოთეკა და გამოსცემდნენ ხელნაწერ ჟურნალს — „შრომას“, რომლისთვისაც ნიკო ლომოურს ბაირონის „შილონის პატიმარი“ უთარგმნია. მწერალი სემინარიელ ახალგაზრდებთან ერთად მუშაობდა „მნათობის“ რედაქციაში, სადაც თვითონვე იყვნენ ასოთამწყობები, კორექტორები, მთარგმნელები, მწერლები და ექსპედიტორები.

მისთვის პირველი ლექსი — „სიონს“ 1869 წელს სერგეი მესხს გამოუქვეყნებია „დროების“ 47-ე ნომერში... ნიკო ლომოური თბილისის სასულიერო სემინარიის დასრულების შემდეგ სასწავლებლად, კიევს გაემგზავრა და სასულიერო აკადემიის ისტორიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. სწავლასთან ერთად იქაც ბევრს მუშაობდა: წერდა ლექსებს, კორესპონდენციებს, რუსული ენიდან თარგმნიდა ორიგინალურ ნაწარმოებებსაც და ევროპული მწერლობის შედევრებსაც, რომლებსაც „დროებასა“ და „ივერიაში“ აქვეყნებდა. ამ პერიოდში კიევის სამხედრო გიმნაზიაში სწავლობდა დავით კლდიაშვილი, რომელსაც ძალზე დაახლოებია ნიკო ლომოური. მისი დახმარებით, დავით კლდიაშვილს, რომელსაც ქართული ენა სრულიად დავიწყებოდა, ქართულად კითხვა და საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესწავლა დაუწყია. დავითისათვის ნიკო მასწავლებელზე მეტს ნიშნავდა და სწორედ მისი გავლენითა და შთაგონებით დაუწყია მწერლობაც...

ნიკო ლომოური კიევიდან საქართველოში საღვთისმეტყველო მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით დაბრუნებულა და მუშაობა ახალგახსნილი სათავადაზნაურო სკოლის გამგედ დაუწყია. მაგრამ მწერალი თბილისში დიდხანს არ დარჩენილა — სასწავლებლის სწავლა-აღზრდის სისტემას ვერ შეჰგუებია, თავისებური, თავისუფალი აღზრდის მეთოდი შემოუღია და, ბუნებრივია, ამის გამო ადმინისტრაციასთან უთანხმოებაც მოსვლია. ამიტომ სამუშაოდ გორში გადასულა...

კიევიდან ახალდაბრუნებულ ნიკო ლომოურს ხალხისთვის, მშრომელთა შვილების აღზრდა-განათლებისთვის ზრუნვა და სწავლების დემოკრატიული პრინციპების დანერგვა ჰქონდა გამიზნული, მაგრამ ბევრი დაბრკოლება შეხვედრია, ამიტომ იძულებული გამხდარა, ღია ნაბიჯები ფარულით შეეცვალა და ადმინისტრაციისგან შეუმჩნევლად ემოქმედა... რაც შეეხება პირად ცხოვრებას: საქართველოში დაბრუნების შემდეგ, მალევე დაოჯახებულა. მას და მის მეუღლეს, გორელ სოფიო ხუდადოვს 6 შვილი შესძენიათ — 2 ქალი და 4 ვაჟი, — მაგრამ 3 ვაჟი ადრევე დაღუპვიათ, დანარჩენებისთვის კი კარგი განათლება მიუციათ.

ნიკო ლომოური 1915 წლის 17 აპრილს გარდაცვლილა. ის ჯერ გორის წმინდა სამების ეკლესიის ეზოში დაუკრძალავთ, მოგვიანებით კი, 1935 წელს ქალაქის ბაღში გადაუსვენებიათ.

ნიკო ლომოურის პირველი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია მოთხრობა „ალი“, რომელიც 1879 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „ივერიაში“. მისი მოთხრობების მთავარ თემას ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ სავაჭრო ბურჟუაზიის აღმავლობისა და სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარების ხანის ქართული სოფლის ყოფა წარმოადგენდა. ნიკო ლომოურიც, „ხალხოსანთა“ მსგავსად, გლეხობის მძიმე ხვედრს აღწერდა, ოღონდ მათგან განსხვავებით, თემურ წყობილებას იდეალად არ სახავდა. ხალხის ცხოვრების გარდაქმნის მთავარ ფაქტორად მწერალს სწავლა-განათლება მიაჩნდა, რადგან გლეხთა გაუნათლებლობა, ცრუმორწმუნეობა და მავნე ჩვეულებები ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ყველა ჯურის ექსპლუატატორს... 1941 წელს ნიკო ლომოურის მოთხრობის — „ქაჯანას“ მიხედვით, რეჟისორმა კონსტანტინე პიპინაშვილმა გადაიღო საბავშვო ფილმი, სადაც ცელქი კატოს როლს XX საუკუნის 1960-იანი წლების ქართული და საბჭოთა კინოს ვარსკვლავი ლეილა აბაშიძე ასრულებს. სხვათა შორის, ამ უძველესმა ფილმმა შემოგვინახა ფრაზა, რომელსაც დღემდე „ვიმეტებთ“ სტუმრად მყოფი მომაბეზრებელი ახლობლებისთვის, შინ წასვლა რომ „დავიწყნიათ“: „ქაჯანა“ არ გინახავთ? — წაადით, წაადით!“ და ვიდრე ჟურნალ „გზის“ ერთგული მკითხველი მეც „ქაჯანას“ შემახსენებს, საკუთარი ნებით, მომავალ ხუთშაბათამდე დაგემშვიდობებით... ■

როგორ „იწრთობოდა“ ქართული „პოლიტიკა“

ემა ტუხიაშვილი

1992 წლის 22 დეკემბერს თბილისში, ორ დაპირისპირებულ პოლიტიკურ მხარეს შორის, ტყვია გავარდა... ვინ ისროლა პირველად? — ეს კითხვა დღემდე საკამათოა... სამწუხაროდ, კარგად არის ცნობილი, რომ ამ შეიარაღებული დაპირისპირების დროს ქართველი ქართველს ესროდა, ამიტომაც იყო სისხლის ღვრა ძმათამკვლელი.

22-დან 28 დეკემბრამდე საბრძოლო მოქმედებები ძირითადად, მთავრობის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობდა; შემდეგ, პრეზიდენტ გამსახურდიას არცთუ მცირერიცხოვანმა მომხრეებმა ამბოხებულებზე მძლავრი იერიში მიიტანეს და მათგან თითქმის მთლიანად გაათავისუფლეს რუსთაველის გამზირი. კიტოვანის გვარდიელებმა „იმელის“ შენობამდე დაიხიეს. თუმცა მალე კონტრიერიშზე გადავიდნენ და 29-30 დეკემბერს, რუსთაველზე T-72 ტიპის ტანკები და განსაკუთრებული, მოკლელულიანი ქვემეხები გამოჩნდა...

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების წარმომადგენლები მთავრობის სასახლის ბუნკერს აფარებდნენ თავს, მისი შეიარაღებული ოპონენტები კი გარეთ იკრებდნენ ძალებს.

იმავდროულად, ხელისუფლების მომხრეები საპროტესტო გამოსვლებს მართავდნენ. თბილისის ცენტრში ომი მიმდინარეობდა, ნამდვილი ომი; ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი კი ჩვეულებრივად ცხოვრებას განაგრძობდა. ფუნქციონირებდა მეტროპოლიტენი („თავისუფლების მოედნის“ სადგურის გარდა), საქალაქო ტრანსპორტი, ბაზრები, მაღაზიები...

ფოტოზე ასახული წამი 1992 წლის 2 იანვარს „შეჩერდა“, როცა ოპოზიციის მომხრეებად წოდებულმა შეიარაღებულმა პირებმა, მაშინდელი ხელისუფლების მომხრეების მიტინგი იარაღის გამოყენებით დაარბიეს. სროლის შედეგად, მიტინგის რამდენიმე მონაწილე ადგილზევე გარდაიცვალა, იყვნენ დაჭრილებიც. „მეამბოხეებმა სამარშრუტო ტაქსიში გამსახურდიას მომხრე, ნაცემი მამაკაცი მოიმწყვდიეს და დატენილი პისტოლეტი ჩაუდეს პირში“, — ასეთი წარწერა აქვს ფოტოს, რომელიც უცხოელ ფოტოკორესპონდენტს ეკუთვნის. თუმცა როგორც ცნობილია, 1992 წლის 2 იანვარს, დიდუბეში გამსახურდიას მომხრეების მიტინგის დარბევას ცოტა სხვაგვარი გაგრძელება მოჰყვა. მას შემდეგ, რაც შეიარაღებულმა პირებმა მიტინგის მონაწილეებს ცეცხლი გაუხსნეს, მსხვერპლის მიუხედავად, მომიტინგეები მათ არ შეეპუვნენ და იქაურობის დატოვება აიძულეს. გაალმასებულ ხალხს ერთ-ერთი შეიარაღებული პირი შეპყრობილიც ჰყავდა, მაგრამ ბოლოს მაინც გაუშვეს... ვინ იცის, ფოტო ზუსტად რომელ მომენტს ასახავს?.. სამწუხაროდ, უცნობია, თუ რა ბედი ეწია ამ ფოტოს გმირს, თუმცა ფოტოზე აღბეჭდილი წამი მაშინდელი რეალობის ამსახველი, კიდევ ერთი დოკუმენტია. შესაძლოა, ამ ფოტოს გმირები ჩვენი ჟურნალის მკითხველებმა ამოიცნონ და მასთან დაკავშირებული ახალი გარემოებებიც შევიტყოთ...

■

„აკრძალული ლიტერატურის შენახვა ბომბის შენახვის ტოლფასი იყო“

„იმ დროში გავიზარდე, როცა გარკვეული შინაარსის მქონე ლიტერატურის კითხვა და სიმღერების მოსმენა აკრძალული იყო, დღეს ამას ჩემს შვილს რომ ვეუბნები, უკვირს“, — ამბობს მსახიობი თემიკო ჭიჭინაძე. მას ყველაზე მეტად კლასიკური ლიტერატურა იზიდავს. ხშირად ეცნობა ისტორიულ რომანებსა და პოეზიის ნიმუშებს. ბევრი საყვარელი ავტორი ჰყავს. იმას, თუ რა წაიკითხოს, ყოველთვის შინაგანი მდგომარეობა უკარნახებს.

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგივრ

— თემიკო, ლექსის დაწერა არასდროს გიცდია?

— ყმაწვილკაცობაში რამდენჯერმე ვცადე, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო. ბევრი საყვარელი პოეტის დასახელება შემიძლია. ჩამონათვალი შორს წაგვიყვანს. ლექსი თუ ძალიან მომეწონა, გულზე მომხვდა და ჩამაფიქრა, თავისთავად დამამახსოვრდება.

— აკრძალული ლიტერატურა ახსენე. თქვენი ოჯახის ბიბლიოთეკაში ასეთი წიგნები ინახებოდა?

— მცირე რაოდენობით. სოლჟენიცინის წიგნების, ბროცკის ლექსების, დისიდენტების წერილების, გაზეთების, ჟურნალების შინ შენახვა ბომბის შენახვის ტოლფასი იყო. მახსოვს, რომ „ნათლია“ თაბახის ფურცლებზე დაბეჭდილი წავიკითხე. კითხვა მშობლებმა შემაყვარეს... მაშინ სირცხვილიც იყო, „სამი მუშკეტერი“ რომ არ გქონოდა წაკითხული და მხოლოდ მისი კინოვერსია გცოდნოდა. თანატოლები სტენდალის რომანზეც — „წითელი და შავი“ ხშირად ვლაპარაკობდით, განვიხილავდით.

— გოგონებთან წიგნიერებით თავი მოგიწონებია?

— (*იცინის*) ალბათ იყო ასეთი შემთხვევებიც. წიგნების შეძენა მიყვარდა, ახლაც ასეა, მაღაზიებთან ან ბუკინისტებთან გულგრილად ჩავლა არ შემიძლია.

— როგორ ფიქრობ, კარგი მეხსიერება გაქვს?

— აქ ამის შესამოწმებლად არ მოხვედი? დავიწყოთ.

— რომელ მცენარეს უწოდა ეკატერინე II-მ ასკილი მაღალი საზოგადოებიდან?

— სხვას რას უწოდებდა თუ არა ვარდს?

— ცნობილმა სატირიკოსმა ევგენი პეტროსიანმა ერთხელ თქვა: „მოგიწოდებთ, შეიყვაროთ ერთმანეთი ერთი ნახვით, ამით თქვენ მოახდენთ ...“ დაასრულე სატირიკოსის გამონათქვამი.

— ვერ დავასრულებ.

— ორი სიტყვა აკლია, აქედან ერთ-ერთია — „ეკონომია“.

— (*ფიქრობს*) მგონი, მივხვდი: „... ამით თქვენ მოახდენთ დროის ეკონომიას“.

— რა ერქვა ალექსანდრე მაკედონელის დედას?

— ვიცოდი და ვეღარ ვიხსენებ.

— ოლიმპიადა. დაასახელე ერთადერთი ძუძუმწოვარი, რომელიც დაფრინავს.

— ძუძუმწოვარი დაფრინავს?

— დიახ. კითხვა სწორად დავსვი, არ შემშლია.

— ვერ გიპასუხებ.

— მიგანიშნებ. მას აკაკი წერეთელმა ლექსიც უძღვნა...

— ის ლექსი გახსოვს?

— „ერთმა უგნურმა თაგუნამ/ იუკადრისა თაგვობა,/ დასწყევლა თვისი გაჩენა,/ ბუნებას უწყო მან გმობა:/ „იმ უსამართლო ბუნებამ/ თაგვად რად გამაჩინაო?/ მე სხვაგან ყოფნა მინდოდა,/ მან ჭერქვეშ მომცა ბინაო!..

— ვერ ვხვდები...

— ღამურა.

— ვაიმე! როგორ გავითიშე, ისე ცხელა, კიდევ კარგად ვაზროვნებ.

— „დათვი ხეზე როგორ გავა, იავ-ნანინაო...“ — რომელი ლიტერატურული პერსონაჟის სახლის ფანჯარაზე ეწერა ეს სიტყვები?

— ავტორს არ მეტყვი?

— ეს პერსონაჟი კახეთის ერთ პატარა სოფელში ცხოვრობდა, ქვიტკირის ორსართულიანი სახლი ჰქონდა: „ამავე ნაწარმოებში ავტორი ამბობს: „ეს მოთხრობა სარკე იყოს და მე — თუ გინდა — მთქმელი ვიქნები. დააკვირდი, იქნება გენიშნოს რამე...“

— (*მაწყვეტინებს*) როგორც იქნა, მივხვდი — ილია ჭავჭავაძის ლუარსაბ თათქარიძეზეა ლაპარაკი.

— ეს მდინარე თითქმის მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში მიედინება. 300 შენაკადი აქვს. მას ევროპის დედამდინარესაც უწოდებენ. ძველმა ბერძნებმა „ოკეანის ძმა“ შეარქვეს. დაასახელე ეს მდინარე.

— დუნაი. ეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გრძელი მდინარეა.

— დიახ, 2859 კილომეტრია და ევროპის მდინა-

რეებიდან მხოლოდ ვოლგას ჩამორჩება. როგორი გეომეტრიული ფორმის მოედანზე თამაშობენ ბეისბოლს?

— აი, ასეთზე (*ფურცელზე რომბს ხაზავს*).

— **ბეისბოლს თავად თუ თამაშობ?**

— რამდენჯერმე ვცადე, წესები შემესწავლა, დილეტანტის დონეზე ვთამაშობ. ყველაზე მეტად ფეხბურთი მიყვარს. წლების მანძილზე დავდიოდი ამ სპორტზე, მაგრამ ახლა რაღას ვითამაშებ, ხვალ-ზეგ 70 წლის გავხდები (*იცინის*)...

— **რომელ ოკეანეშია სეიშელის კუნძულები?**

— ინდოეთის ოკეანეშია, არა?

— **დიახ, ნამყოფი ხარ?**

— არა, იმედია, სეიშელის კუნძულებზე დასვენების ბედნიერება წინ მაქვს.

— **რომელი ზღვების აუზებს განეკუთვნება საქართველოს მდინარეები?**

— შავი და კასპიის ზღვების აუზებს.

— **რომელი მოციქული მოკლეს ლოცვის დროს ისრის სროლით?**

— თომა.

— **რომელი ქვეყნის საპორტო ქალაქია ბილბაო?**

— ესპანეთის.

— **ვინ გასცა 1832 წლის შეთქმულება?**

— არც ეს მახსოვს.

— **იასე ფალავანდიშვილმა. რა ჰქვია კოშკს, საიდანაც მუსლიმანებს სალოცავად მოუხმობენ?**

— მეჩეთი.

— **სწორი პასუხია — მინარეთი. ამ ქვეყნის ფართობი 850 ათასი კვადრატული კილომეტრია. მოსახლეობა — 163 მილიონი კაცი, ოფიციალური ენა — პორტუგალიური, რელიგია — კათოლიკობა, ფულის ერთეული — რეალი, ქვეყანა 26 შტატად და დედაქალაქის ფედერალურ ოლქად იყოფა. დამოუკიდებლობის დღეს 7 სექტემბერს აღნიშნავენ. დაასახელე ეს ქვეყანა.**

— იმდენად ბევრი რამ მითხარი, ადვილად გამოვიცანი. ეს ქვეყანა ბრაზილიაა.

— **რა ჰქვია ბრაზილიის დედაქალაქს?**

— (*იცინის*) ბრაზილია.

— **ამ ქვეყნის დროშა შავი, ყვითელი და წითელი ვერტიკალური ზოლებისგან შედგება.**

— ევროპული ქვეყანაა?

— **დიახ.**

— (*ფიქრობს*) ბელგია, გამოვიცანი?

— **დიახ. რამდენ მეტრს უდრის 1 მილი?**

— თუ არ ვცდები 1,6 მეტრს.

— **დიახ. კანზასი, კოლორადო, ოკლაჰომა, პენსილვანია, ჯორჯია. რა ჩამოვთვალე ახლა?**

— ამერიკის შეერთებული შტატები.

— **რომელი მეტია 20-ის 25% თუ 25-ის 20%?**

— (*ანგარიშობს*) 25-ის 20% არის 5. 20-ის 25%-იც 5-ია. ე.ი. ტოლია. მათემატიკა ვიცი.

— **მათემატიკის ცოდნა კიდევ ერთი კითხვით გადავამოწმოთ. ოჯახში ცხოვრობენ 1 პაპა, 2 მამა, 1 ბებია, 2 დედა, 3 შვილიშვილი, 1 ძმა, 2 და, 1 დედამთილი, 1 მამამთილი და 1 რძალი. სულ რამდენი სული ცხოვრობს მათ ოჯახში?**

— (*ფურცელს და კალამს იმარჯვებს და მთხოვს, კითხვა გავუმეორო, პაუზის შემდეგ მპასუხობს*) ოჯახი 9 წევრისგან შედგება.

— **ცდები, ამ ოჯახში 7 სულია. სარდინია, სიცილია, კორსიკა — ხმელთაშუა ზღვის ამ კუნძულებიდან რომელია ყველაზე პატარა?**

— ეს კუნძულები კარგად მახსოვს, ყველაზე პატარა კორსიკაა.

— **მსოფლიოს რომელ ქრისტიანულ ტაძარშია შემონახული შოთა რუსთაველის ფრესკა?**

— იერუსალიმის ჯვრის მონასტერში.

— **რომელმა ცნობილმა მხატვარმა გამოსახა ჯოკონდა ულვაშებით?**

— მგონი, სალვადორ დალიმ.

— **დიახ. რა დრო სჭირდება დედამიწას მზის გარშემო ერთი სრული ბრუნის გასაკეთებლად?**

— 1 წელი.

— **დიახ. 365 დღე და 6 საათი. რა არის ის, რაც ყველას და ყველაფერს აქვს?**

— (*ფიქრობს*) არ ვიცი.

— **სახელი. „არის რაღაც საერთო ღვინის სმასა და კითხვას შორის, მე მგონი ის, რომ ორივეს ეგრედ წოდებული, პიროვნების თავისუფლებასთან მივყავართ, ოღონდ ერთი — მიშვებული, აგდებული და ულამაზო თავისუფლებაა, უპასუხისმგებლობით გამოწვეული, მეორე კი — შემართებული, გამოცდილი და ყოვლისშემძლე, ამაღლებული...“ — გურამ დოჩანაშვილის რომელ ნაწარმოებში ვკითხულობთ ამ სიტყვებს?**

— „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.

— **თავად რა საერთოს ნახულობ ღვინის სმასა და წიგნის კითხვას შორის?**

— ამაზე კარგად რა უნდა ვთქვა, რაც დოჩანაშვილმა უკვე დაწერა. მხოლოდ იმას დავამატებ, რომ ბევრი ღვინის სმა ადამიანისთვის მავნებელია, ბევრი წიგნის კითხვა — არა.

— **ერთ-ერთი ბრძენის აზრით, რომელმა ქალმა იცის ყოველთვის, თუ სად იმყოფება მისი ქმარი?**

— ქვრივმა.

— **რა თანამდებობა ჰქონდათ ძველ შეიარაღებულ ძალებში ადამიანებს, რომლებსაც მკერდზე ტატუირებული ჰქონდათ თუთიყუში?**

— არც ეს ვიცი.

— **თარჯიმნები იყვნენ. რა ერქვა მდინარეს კანადაში, სადაც პირველად ოქრო იპოვეს?**

— კლონდაიკი.

— **ვისი აფორიზმია — „გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი“?**

— შოთა რუსთაველის.

— **კანადის ეს კუნძული ჩრდილოეთ ამერიკის დასავლეთ ნაპირებთან მდებარეობს და მისი აღმომჩენის (1792 წ.) ინგლისელი მეზღვაურის სახელს ატარებს. რა ჰქვია ამ კუნძულს?**

— არ ვიცი.

— **ვანკუვერი. ამერიკის ეს პრეზიდენტი ახალგაზრდობაში მოჯამაგირედ, მიწისმზომელად, ტყისმჭრელად და ფოსტის მოხელედაც კი მუშაობდა. დაასახელე იგი.**

— ლინკოლნი.

— **ეს პოეტი 5 წლის იყო, როცა დედა გარდაეცვალა. მამა ხიდან ჩამოვარდა და დაკოჭლდა. ახალგაზრდა პოეტი ბედის საძიებლად დედაქალაქში ჩამოვიდა. 1924 წელს მწერალთა კავშირის განკარგულებით, რამდენიმე ხნით სასტუმრო „გლეხთა სახლში“ ცხოვრობდა. 1928 წელს რამდენიმე თვით, გაზეთების მკეცავადაც მუშაობდა. ეს ფაქტი მის დღიურებშიც არის დადასტურებული. — დაასახელე ეს პოეტი.**

— სამეგრელოდან იყო?

— **დიახ.**

— ტერენტი გრანელი.

— **დაბოლოს, დაასრულე კონფუცის ცნობილი გამონათქვამი: —„შეგნებული გქონდეს მოვალეობა და არ შეასრულო, ეს ...“**

— ეს გამონათქვამი ზეპირად არ მახსოვს.

— **„... ეს ლაჩრობაა“.** ■

ანეკდოტები

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. დაასახელეთ ადამიანი, რომელსაც ჰარვარდის უნივერსიტეტში სწავლისას თანაკურსელები შეშლილ სიეტლელს ეძახდნენ.
2. ვის ეკუთვნის სიტყვები: „ულირსთა შორის არ მსურს დიდება“?
3. ვინ ასწავლა ილია ჭავჭავაძეს ქართული წერა-კითხვა?
4. დაასახელეთ ყველაზე დიდი ცხოველი კატისებრთა ოჯახიდან.
5. დაასახელეთ ქართველი პოეტი, რომელიც ერთხანს სოფელ ორთაშენში თავად ამილახვართან შინამასწავლებლად მსახურობდა.
6. ვინ იყვნენ კლაისტი, გოტი და გუდერიანი?
7. „ეს ხომ დაუმთავრებელი ნახატებია!.. საღებავთა ფაფა!.. ეს ხომ ფერწერის მასხრად აგდებაა!“ რომელი მიმდინარეობის მხატვრებს კიცხავდნენ ამგვარად კრიტიკოსები?
8. დაასახელეთ ევროპის ქვეყანა, რომელშიც 3 მილიონი მუსლიმანი ცხოვრობს.
9. რა არის ცანგალა?
10. რა ასაკში გარდაიცვალა მოცარტი?
11. ოსკარ უაილდის ნაწარმოების ერთ-ერთი გმირი ამბობს: „სულ მალე ინგლისელებსა და ამერიკელებს მხოლოდ ერთი განმასხვავებელი ნიშანი გვექნება!“ დაასახელეთ ეს ნიშანი.
12. გეოგრაფიულ აღმოჩენებში საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვის სახელგანთქმულ მეკობრეს ფრენსის დრეიკს. რა მხრივ?
13. რომელი რუსი მხატვრის მოწაფე იყო მოსე თოიძე?
14. დაასახელეთ ფრანგი მომღერალი, რომლის დედა მევიოლინე იყო, მამა კი — რეჟისორ ალფრედ ჰიჩკოკის ასისტენტი.

* * *

ექიმი:
— თქვენი ავადმყოფობის ისტორია დავკარგე, ამიტომ უმჯობესია, ყველაფერი თავიდან მიამბოთ.
პაციენტი:
— რა თქმა უნდა. მაშ ასე, თავდაპირველად შევქმენი ცა და დედამიწა...

* * *

ექიმი ავადმყოფს სინჯავს:
— თავის ტკივილები როდის დაგეწყოთ?
— დაბადებიდან მტკივა, ექიმო.
— მანამდე არ შეგიმჩნევიათ?

* * *

გურიაში სტუმრად ჩასული ქალი ეკითხება დიასახლისს:
— უკაცრავად, ესენი ტყუპები არიან?
— არა, გენაცვალე, ერთი ბავშვია, უბრალოდ ძალიან ცელქია.

* * *

წარწერა კედელზე: „ონანიზმი აჩერებს ზრდას“. გვერდით კი ორი მეტრის სიმაღლეზე წერია: „ტყუილია!“

* * *

— რა დრო დადგა! ყველას წვერი აქვს მოშვებული, ვერ გაიგებ, ქალია თუ კაცი.

* * *

სვანი შედის მაღაზიაში:
— შამპუნი გაქვთ?
— აი, ინებეთ, კვერცხის შამპუნია.
— თავის არა გაქვთ?

* * *

— ექიმო, მგონი, იმპოტენტი ვარ!
— საიდან დაასკვენი?
— სიზმარში 3785 შიშველი ქალი დამესიზმრა.
— მერე, რა?
— მერე ის, რომ ვიდექი და დებილივით ვითვლიდი, სანამ არ გამეღვიძა...

* * *

ტელეფონის ზარია. მამაკაცი ყურმილს იღებს.
— ძვირფასო, ვაჟი გვყავს.
— ვახ, შენ გენაცვალე!.. მოიცა, რომელი ხარ?!.

* * *

— უმაღლესში ჩააბარე?
— კი, სამედიცინოზე!
— ვაა, მაგარია, მე კი — ვეტერინარულზე. რომ დავამთავრებთ, შეგვიძლია, ერთმანეთს ვუმკურნალოთ ხოლმე!

* * *

— ეს სოკოები სად მოაგროვეთ?
— მეზობლის აივანზე.
— როგორ? სოკო აივანზე იზრდებოდა?
— არა, შრებოდა...

* * *

— ცოლთან დაოჯახებამდე სექსი თუ გქონდა?
— არა, შენ?
— მე კი, მაგრამ მაშინ რა ვიცოდი, შენ თუ ცოლად შეირთავდი.

* * *

— სიყვარული მარადიულია?
— რა თქმა უნდა! პარტნიორები იცვლებიან მხოლოდ...

* * *

— რას ჩამოგტირის თავ-პირი?
— კლაუდია შიფერი ვნახე პლაჟზე მწოლიარე და ეგრევე თავზე დავაცხერი.
— მერე?!.
— ვიღაც ბებია შემრჩა ხელში, „პლეიბოი“ ეხურა თავზე.

* * *

— გუშინ ძალზე უცნაური რამ შემემთხვა.
— მაინც, რა?
— შინ ნასვამი მივედი და საძინებელში ჩუმად შევიხედე. ვხედავ, ჩემი ცოლის გვერდით ვიღაც მუტრუკი წევს.
— მერე?
— გავსივდი გულზე, დაბოღმილი სამზარეულოში გავედი, მაცივარი გავაღე და ერთი ბოთლი არაყი და სამი ბოთლი ლუდი სულმოუთქმელად დავცალე.
— მერე?
— რა მერე... თურმე სხვის ბინაში შევსულვარ... გამომივარდა ის მუტრუკი და სულ პანღურები მირტყა.

* * *

— უფროსო, დღეს რა გვაქვს სადილად? — ეკითხება ჯარისკაცი მზარეულს.
— ბორშჩი.
— ხორცი იქნება შიგ?
— ხორცს კი არა, კომბოსტოსა და კარტოფილს ჩაგიჭრით კიდევ შიგ!..

* * *

— შენი ცოლი დღითი დღე უფრო ლამაზდება!
— შენ რა იცი?
— გუშინ დაგინახეთ მანქანაში.
— ის ჩემი ბულდოგი იყო, ვასეირნებდი...

* * *

— რომელი ფრინველია ყველაზე სასარგებლო?
— შემწვარი წიწილა.

* * *

— ისეთივე შავი სინდისი გაქვთ, როგორიც თავზე თმა! — ლანძღავს მოსამართლე ბრალდებულს.

— თქვენ რომ საერთოდ არა გაქვთ თავზე თმა, ბატონო მოსამართლევ?!.

* * *

— ექიმო, მითხარით, ჩემი გარეგნობის ქალს თუ აქვს შანსი, ცოლად გაჰყვეს ახალგაზრდა, ლამაზ და მდიდარ მამაკაცს?
— ქალბატონო, ეს პოლიკლინიკაა, ფსიქიატრიული საავადმყოფო კი გვერდით ქუჩაზეა.

* * *

ბავშვები ეზოში თამაშობენ:
— მე დედაჩემის ცხვირი და მამაჩემის თვალები მაქვს, — ამბობს ერთი.
— მე ბაბუაჩემის შუბლი და ბიძაჩემის ნიკაპი მაქვს, — ამბობს მეორე.
— მე კი ჩემი ძმის შარვალი მაცვია, — ამბობს მესამე.

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ბილ გეიტსი.
2. ბაირონს.
3. სოფლის დიაკვანმა.
4. უსურიული ვეფხვი.
5. ვაჟა-ფშაველა.
6. ფაშისტური გერმანიის სატანკო ჯარების მთავარსარდლები.
7. იმპრესიონიზმის.
8. საფრანგეთი.
9. ჩონგურისმაგვარი საკრავი. მეორე მნიშვნელობით ეს სიტყვა ცელქს, მალხაზს ნიშნავს.
10. 35 წლის ასაკში.
11. „... — ენა!“.
12. მან აღმოაჩინა და რუკაზე დაიტანა არაერთი კუნძული.
13. ილია რეპინის.
14. ჯო დასენი.

ჩვენი ფოტო მაღვრეა

ჰოროსკოპი

22-28 ივლისი

ვირი

სხვისი საქმეების მოგვარებას გირჩევნიათ, საკუთარ პრობლემებს მიხედოთ. მიზანმიმართულად და თავდაჯერებულად იმოქმედეთ.

ლომი

გარშემო მყოფებისთვის ავტორიტეტი ხართ და ნუ გაგიკვირდებათ, თუ რჩევისთვის ხშირად მოგმართავენ. დასვენების დღეები საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ.

ტყუპი

კარგი პერიოდია უცხოელებთან საქმეების დასაწყებად, ცოდნის გასაღრმავებლად და ხანმოკლე მოგზაურობისთვის.

ქიბრიტა

ახალი იდეები კვირის მეორე ნახევრიდან განახორციელეთ. ეგოისტობის გამო, გარშემო მყოფებთან ხშირად გექნებათ კონფლიქტი.

ღიმი

რომანტიკულ განწყობილებაზე ხართ. კარგი პერიოდია ახალი სასიყვარულო ურთიერთობის დასაწყებად. მეტი ყურადღება დაუთმეთ გარეგნობასა და ჩაცმულობას.

ჟანგწუღი

კოლეგების დახმარებით დასახულ მიზნებს ადვილად მიაღწევთ. ძალების აღსადგენად ხშირად დაისვენეთ და დიდხანს იძინეთ.

ხანსწორი

თუ არ გსურთ, გარშემო მყოფებს თქვენზე შთაბეჭდილება შეეცვალოთ, საეჭვო რეპუტაციის მქონე ადამიანებთან ურთიერთობა შეწყვიტეთ.

ბორიბანი

საოჯახო საქმეების მოგვარებით დაკავდებით. ახალი საქმეები მომავალი კვირისთვის გადადეთ. უცხოებთან ურთიერთობისას სიფრთხილე გამოიჩინეთ.

ბუკიდოსანი

ყველაფერი ისე იქნება, როგორც გსურთ. მთავარია, კოლეგებთან ურთიერთობაში — დიპლომატია, ხოლო ახლობლების მიმართ სითბო და ყურადღება გამოიჩინოთ.

თხა ან რქა

მოულოდნელად გამდიდრდებით და ყველა სურვილის ასრულებას შეძლებთ. ცნობილ და პოპულარულ ადამიანებთან კონფლიქტს მოერიდეთ, რადგან რეპუტაცია შეგელახებათ.

ბობრწყუღი

ინტუიციის წყალობით ახალ საქმეებს ადვილად განახორციელებთ. კვირის ბოლოს უამრავ დროსა და ენერგიას წაგართმევთ რთული და ჩახლართული სიტუაციების ამოხსნა.

თევზები

თუ სამსახურში დაწინაურება გსურთ, მიზნის მისაღწევად, ყველა ხერხი გამოიყენეთ. კარგი პერიოდია სამომავლო გეგმის შესადგენად. შესაძლოა, საყვარელმა ადამიანმა იმედი გაგიცრუოთ და კვლავ მარტო დარჩეთ.

ნებისმიერი ავადმყოფობა სახეზე აისახება

ჩინური მედიცინის თანახმად, ადამიანს ყველა დაავადება სახეზე „აწერია"

- შუბლზე (ცეცხლის სტიქია) გულისა და წვრილი ნაწლავის მუშაობა აისახება. თუ წითელი ლაქები ან კაპილარები გამჩნევიათ, გულს მიხედეთ. თუ შუბლი სხვა ნაკვთებთან შედარებით მუქი ფერის გაქვთ, ყურადღება საჭმლის მომნელებელ სისტემას უნდა მიაქციოთ.
- ცხვირზე (მიწის სტიქია) კუჭის, კუჭქვეშა ჯირკვლისა და ელენთის მუშაობა აისახება. თუ ცხვირზე მოულოდნელად მუწუკი გაგიჩნდათ, გაიხსენეთ, რა ჭამეთ წინადღეს. შოკოლადი, ცხიმიანი საკვები ან შემწვარ-მოხრაკული გამონაყარს იწვევს. ცხვირზე წითელი ლაქები და კაპილარები იმაზე მიუთითებს, რომ ალკოჰოლურ სასმელს ხშირად მიირთმევთ.
- ნიკაპი (წყლის სტიქია) თირკმლების, საშარდე სისტემისა და ჰორმონების მდგომარეობას აირეკლავს. თუ ნიკაპზე გამონაყარი გაგიჩნდათ, კანი გაშავებული ან გათეთრებულია, თირკმლებისა და საშარდე სისტემა დარღვეული გაქვთ. ფერმჭამელების ხშირად გაჩენა ჰორმონულ დისბალანსზე მიუთითებს.
- მარჯვენა ლოყაზე (რკინის სტიქია) ფილტვებისა და მსხვილი ნაწლავის მდგომარეობა აისახება. კანის აქერცვლა, გამონაყარი და შეწითლება გაცივებასა და ბრონქების ანთებაზე მიუთითებს.
- მარცხენა ლოყა (ხის სტიქია) ღვიძლის, ნაღვლის ბუშტისა და ნერვული სისტემის მუშაობას გამოხატავს.
- თუ ცხვირის ნესტოსთან წითელი კაპილარები ან შეწითლებული კანი გაქვთ, ყურადღება ღვიძლს უნდა მიაქციოთ.
- თუ მარცხენა თვალის ქვეშ კანს მოყვითალო ფერი დაჰკრავს, ნაღვლის ბუშტში კენჭები, ან ქოლესტერის დონე გაქვთ მომატებული. ■





ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

1. მუქთახორპა; 2. ქარქაში; 3. მხატვრობა; 4. ოკულისტი; 5. არარა; 6. გარნიტური; 7. ნიამორი; 8. ფინდიხი; 9. კეგლი; 10. ტოლაი; 11. დუნაი; 12. ცეტი; 13. მანათი; 14. კორუფცია; 15. კორიდა; 16. მედინა; 17. ლეი; 18. ანკარა; 19. გალაქტიკა; 20. საინი; 21. და; 22. აფონია; 23. ხელფასი; 24. ფილა; 25. ფისი; 26. კრანახი; 27. ბრიფინგი; 28. ანაბარი; 29. მალარია; 30. შიშინი; 31. ფალსტაფი; 32. სპა; 33. ბუში; 34. ანტალია; 35. სოპრანო; 36. ილინოისი.

სურათებზე: 1. მეგან ფოქსი; 2. შონ პენი.

სპეციალური კროსვორდი



შევსების წესი: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

გ. არკადი გაიდარის მოთხრობა „ჩუკი და ...“; **ზ**. დიდი ვენახი; **ა**. განთიადის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში (მისი სახელი რუსებმა თავის დროზე ერთ მურდალ კრეისერს დაარქვეს); **გ**. რა ჰქვია მთავარ პერსონაჟს ნოდარ დუმბაძის მოთხრობაში „ძაღლი“; **ზ**. ნოდარ წულეისკირის რომანი; **ი**. მგალობელი ფრინველი; **ს**. საქართველოს მაღალმთიანი კუთხე; **თ**. მართლმსაჯულების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელსაც ერთ ხელში სასწორი უჭირავს, მეორეში — მახვილი; **ვ**. ქალის პირბადე; **ი**. კავკასიონის უმაღლესი წერტილი; **ს**. შეჯიბრება თხილამურებით მთიდან სწრაფდაშვებაში მიხვეულ-მოხვეული გზებით; **ა*** ჩვილი ბავშვის სარწეველა საწოლი; **ო*** რა ერქვა ჰამლეტის საცოლეს; **მ*** რა გვარი იყო რომეო; **ჯ*** ვულკანის ჩაღრმავებული ნაწილი, საიდანაც ლავა გადმოდის; **ი*** ფრინველი, რომლის ხორცისგან გაკეთებულ ტოლმას ხუმრობით ახსენებენ ხოლმე; **თ*** წვრილი ღვედი; **ხ*** მდინარის ფსკერზე ჩასმული ძელი ხიდის საყრდენად; **ვ*** მამაკაცის პოტენციის ასამაღლებელი პრეპარატი; **ე*** ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი; **ლ*** სიგრძის საზომი ერთეული ძველ საფრანგეთში; **ი*** დოსტოევსკის რომანი; **ს*** მონადირე ძაღლის ჯიში; **თ*** რა ერქვა დათა თუთაშხიას მეგობარს, რომელსაც ხლისტებმა ჩხუბში თვალი გამოსთხარეს; **ვ*** იტალიელი კომპოზიტორი; **ი*** ქალაქ ტროას მეორენაირი სახელწოდება; **ს*** თავის კანი თმიანად, რომელსაც ინდიელები მოკლულ მტერს აჭრიდნენ; **ა*** პრივილეგირებული წოდება ფეოდალურ საზოგადოებაში; **ო*** ნიშნის მოგების გამომხატველი შორისდებული, რომელიც იხმარება პირის ნაცვალსახელთან ერთად (ხმარობდა ლუარსაბ თათქარიძე).

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

გ. გოგენი; **ზ*** ზნე; **ა*** არშინი; **გ*** გაიანე; **ზ*** ზანდუკი; **ი*** იპონი; **ს*** სიდნეი; **თ*** თვე; **ვ*** ვასილი; **ი*** იდილია; **ს*** სუმო; **ა*** ათინათი; **ო*** ოფსაიდი; **მ*** მზიური; **ჯ*** კევრი; **ი*** ილიადა; **თ*** თასმა; **ხ*** ხვადაგი; **ვ*** ვიცინი; **ე*** ერშოვი; **ლ*** ლიე; **ი*** იანძი; **ს*** სტიმული; **თ*** თხემი; **ვ*** ვიშნუ; **ი*** ისინდი; **ს*** სანტინო; **ა*** არიადნე; **ო*** ონასისი.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

გეშინოდეს იმისი, ვისაც შენი ეშინია

იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

6	1	9	8	2	5	7	4	3
5	7	4	6	3	9	1	8	2
2	3	8	1	4	7	6	9	5
4	8	5	9	6	1	3	2	7
3	9	7	4	5	2	8	6	1
1	6	2	3	7	8	9	5	4
7	2	3	5	8	6	4	1	9
9	5	6	7	1	4	2	3	8
8	4	1	2	9	3	5	7	6

2	3	9	1	4	8	7	6	5
1	6	5	7	9	3	4	8	2
4	8	7	2	6	5	3	1	9
8	9	4	5	3	1	6	2	7
5	2	1	8	7	6	9	4	3
6	7	3	4	2	9	1	5	8
3	5	8	9	1	4	2	7	6
9	1	2	6	5	7	8	3	4
7	4	6	3	8	2	5	9	1

6	8	4	2	7	3	1	5	9
1	2	3	8	9	5	7	6	4
9	5	7	6	1	4	8	2	3
4	3	2	1	6	9	5	7	8
8	6	9	5	4	7	3	1	2
5	7	1	3	2	8	4	9	6
2	9	8	4	5	1	6	3	7
3	1	6	7	8	2	9	4	5
7	4	5	9	3	6	2	8	1

* მარტივი

	6				7	8		
9			3			5	6	
	3				2		1	
		1	7			9		
		4	5			6		
		2	1	9		4		
	5		8				9	
	2	6			9			7
		9	2				8	

** საშუალო

9					8	5		
		3	4	6				9
		7			1		6	
		5			4	3		
			7					
		8				1		
	5		6			9		
3				4	7	8		
		6	9					2

*** რთული

	9				3			6
	1		7					
6					9	5		
		5	3		1		9	
		8		5		4		
	6		4			2		
		4	9					8
					5		4	
3			6				7	

ფოტოკუიზები







დაინტერესდით ზვიგენებით და მათი მონათესავე თევზებით!

როგელ ოკეანეში ბინადრობენ ზვიგენები?

იცით რა არის ვობეგონგი?

რამდენ კბილს იცვლის ზვიგენი სიცოცხლეში?

გაიგეთ უფრო მეტი !

26 ივლისიდან – 2 აგვისტომდე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის

სპეციალური ფასი 15 ლარი!

სამგანზომილებიანი (3D) გამოსახულებები *

შეიძინეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად

„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ!

*



წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით „ელვა.ჯი“-ს

ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ

ეს სამყაროა

* - მალე

სერია „ეს სამყაროა“-ს უკვე გამოსული ტომები გაყიდვაშია წიგნის მაღაზიებში!

666/30